საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო ... ხი – შიგ ჩასმულ...
№23 1,50 ლარი ...-14 ივნის

როლის გადავა სცენაზე მამასავით ყირაზე „X ფაქტორის“ მონაწილე დიმა კობეშავიძე და ვის უშლიდა ის თავისი აქტიურობით ნერვებს

გვ. 63

გვ. 11

რა დრო მისცა ბუბა მათნაძემ ხატია ბრაჭულს გრძნობებში გასარკვევად და რატომ გააქციეს გადასაღები მოედნიდან გიორგი ლიფონავა

გვ. 62

როგორ აპირებს დედის შემდეგ „სლავიანსკი ბაზარზე“ ძალების მოსინჯვას სოფი სააკაშვილი და როგორ ახერხებს ის ჰაერში აწევას

გვ. 28

რატომ არ იტოვებს სულში ემოციებს ნიკა ნიკვაშვილი და რატომ დადის ის 70-იანი წლების ქართული ესტრადის ჩანაწერებით უცხოეთში

გვ. 55

როგორ გახდა მოდელი სოფო ცისკარიშვილი ერთადერთი მაშველი-დამჭერი და სად იპოვა მან სიმშვიდე

გვ. 10

რატომ ჰყავდა ნიუ-იორკში ყოველდღე მუცელში პეპლები თინათინ წულაძეს და როგორ შეძლო მან „ბროდვეის ცეკვის აკადემიაში“ ხალხის გაოცება

გვ. 54

რა უძძიმესი ტრავმა გადაიტანა ქუჩის მუსიკოსმა კოსტა პარანაძემ და როგორ გახდა ის ქველმოქმედი

მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

რატომ ირჩევს თბილისური ბომონდი სილამაზის ცენტრ „ლე ბიუროს" და სად გაირუჯებით ყველაზე სწრაფად

ნამდვილი ფრანგული სტილი: დახვეწილი სალონური ანტურაჟი და ხარისხიანი მომსახურება. „ლე ბიურო" თბილისში სულ რამდენიმე თვეა, გაიხსნა და უკვე მოახერხა თბილისური ბომონდის გულის მოგება. რატომ ირჩევენ სილამაზის ცენტრ „ლე ბიუროს", ამ კითხვაზე პასუხი ერთია: სალონში მყუდრო გარემო და მაღალი კლასის სერვისი ხვდებათ. თუ რა ტიპის მომსახურებას უწევენ სტუმრებს „ლე ბიუროში", ამას თავად სილამაზის ცენტრის დამფუძნებელი, ქალბატონი დოდო რუსიშვილი გვიამბობს:

დოდო რუსიშვილი: სილამაზის ცენტრი 2014 წლის ოქტომბერში გაიხსნა. მომხმარებელმა თბილად მიგვიღო. „ლე ბიუროში" ხდება თმის მოვლის პრაქტიკაში არსებული ყველა პროცედურა: თმის შეჭრა-დავარცხნა, თმის გასწორება ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული კერატინ-კომპლექსით, 6-თვიანი ეფექტით, ასევე, კერატინის აღმდგენ-გამაჯანსაღებელი სპა-თერაპია. ცალკე გამოვყოფდი თმის ლამინირებას. ის უნიკალურია, რადგან შეგიძლიათ, გაიკეთოთ სურვილისამებრ: როგორც აღმდგენი თერაპიით, ასევე თმის ფერის განახლებითა და შეცვლით. ეს გულისხმობს, თმას მივცეთ ფერი ისე, რომ არ დაზიანდეს და ვუმკურნალოთ. ჩვენს მომსახურებაშია: თმის დაგრძელება, თმის სამკურნალო თერაპია, თავის კანის

პილინგი და მასაჟი. კეთდება კლასიკური მანიკიურ-პედიკიური, ასევე გელ-მანიკური (იგივე „შილაკი") და ფრჩხილის დაგრძელება – როგორც გელით, ასევე აკრილით. გვყავს მაღალი კლასის კვალიფიციური სპეციალისტები. მაგალითად, ფრჩხილის დაგრძელებაზე მომუშავე ქალბატონი სუზი, წლების განმავლობაში, მოსკოვში წამყვანი სალონის ბრენდხელოსანი გახლდათ. განსაკუთრებით მინდა, გამოვყო სოლარიუმი, რომელიც თბილისში უნიკალურია თავის 52-ნათურიანი კოლაგენის დამცავი სანათებით და აქვს რუჯის მიღების სწრაფი ეფექტი. ჩვენთან გერმანული წარმოების, „სონექსის" სრულიად უსაფრთხო სოლარიუმის აპარატია დამონტაჟებული. კოსმეტოლოგიას სალონში უძღვება პროფესიონალი ექიმი, რომელიც ახორციელებს როგორც მეზოთერაპიას, ასევე – კონტურულ მაკიაჟს, ნებისმიერი სახის ფილერსა და პირსინგს. კანის მოვლა უნიკალური, ფრანგული საშუალებებით თქვენს კანს იცავს და აღადგენს. კანის გაწმენდა ხდება როგორც ხელით, ასევე – აპარატით, თქვენი არჩევანის მიხედვით.

– თბილისური ბომონდის გული ასე მალე როგორ მოიგეთ?

– თბილისში, რეალურად, ევროპული ხარისხის მომსახურება იშვიათია. სწორედ ამიტომაც ავირჩიეთ ფრანგული სტილი მომსახურების კლასისა და კლიენტებთან მიდგომის თვალსაზრისით. ინტერიერიც სადა და დახვეწილია – ევროპაში მიღებული ფრანგული ვინტაჟის გათანამედროვებული დიზაინი. ჩვენთან ფასებიც ხელმისაწვდომია. მუდმივი კლიენტებისთვის, დაბადების დღესთან დაკავშირებით, საჩუქრად გვაქვს გარკვეული პროცედურები. ვფიქრობ, სწორედ ეს კომფორტი და კეთილგანწყობა იწვევს თბილისელი კლიენტურის სიმპათიას.

***გადაცემა „იმედის დილის" წამყვანი* თაკო ჩორგოლაშვილი:** „ლე ბიუროში" სრულ განტვირთვას ვიღებ. კომფორტული დახვედრა პოზიტიურად განმანყობს. მანიკიურსა და ვარცხნილობასაც აქ ვიკეთებ და სოლარიუმშიც აქ ვირუჯები. სილამაზის ცენტრში რუჯის მისაღები სწრაფი და ეფექტური აპარატია. „ლე ბიურო" ძალიან კომფორტული ადგილია იმ ქალბატონებისთვის, ვისაც უყვარს საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა.

***მსახიობი* შორენა ბეგაშვილი:** ორი საათი „ლე ბიუროში" და მივიღეთ – შამპანური, შოკოლადი და არაჩვეულებრივი თმა.

P.S. გარდა იმისა, რომ სილამაზის ცენტრი „ლე ბიურო" თბილისური ბომონდის საყვარელ ადგილად იქცა და ქალბატონები ხშირად მიმართავენ მას გასალამაზებლად, „ლე ბიუროში" ასევე, ფუნქციონირებს თმის, მანიკიურისა და კოსმეტოლოგიის სასწავლო კურსები. თქვენ ძალიან მოკლე დროში, ეფექტური პრაქტიკის თანხლებით, გახდებით სერტიფიცირებული სპეციალისტები. ასე რომ, მიმართეთ „ლე ბიუროს" და თავად დარწმუნდებით, რომ ფრანგული სტილი უკვდავია!

ასევე, ექსკლუზიურად მხოლოდ ჟურნალ „თბილისელების" მკითხველისთვის სილამაზის ცენტრი „ლე ბიურო" გთავაზობთ აქციას. თქვენ შეგიძლიათ, შეიძინოთ 50-წუთიანი აბონემენტი 100 ლარის ნაცვლად – 45 ლარად და 100-წუთიანი აბონემენტი 200 ლარის ნაცვლად – 90 ლარად.

Tel: 2 375603; 597 101 100; Facebook: le bureau beauty center

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი – ხარისხიანი განათლების კერა, ევროპული სტანდარტებითა და მიდგომებით. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა უნივერსიტეტში, აღფრთოვანებული დარჩება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, აკადემიური პერსონალითა და სალექციო კურსით.

თუ რომელ გაცვლით პროგრამებს ახორციელებს და რატომ უნდა აირჩიოს აბიტურიენტმა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, ამის თაობაზე რექტორს, ბატონ დავით ჩერქეზიშვილს ვესაუბრეთ.

არის თუ არა საქართველოში შესაძლებელი, მიიღო ხარისხიანი განათლება

– როდის ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და რა არის მისი დეკლარირებული პრინციპები განათლების სისტემაში, მისი განვითარების გეგმა?

– რამდენიმე წელია შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და ძალიან სწრაფი ტემპით შეძლო განვითარება. განათლების სისტემაში, შეიძლება ითქვას, არაერთი აღიარებული პრინციპი არსებობს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მივდივართ ერთადერთ და მთავარ პრინციპთან: „მხოლოდ ხარისხიანი განათლება – პირდაპირი გზა წარმატებისკენ“.

სწორედ რომ ხარისხიანი განათლება, საერთაშორისო საუნივერსიტეტო გამოცდილების მიღება და პრაქტიკული ცოდნის შეძენა გახლავთ ის ყველაზე ძვირფასი პროდუქტი, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი გვთავაზობს.

– რომელი ფაკულტეტებია უნივერსიტეტში და რა სპეციალობებს დაეუფლებიან სტუდენტები თქვენთან სწავლისას?

– უნივერსიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს იურიდიული, ბიზნესისა და ეკონომიკის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე მოქმედებს: სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები), საერთაშორისო ურთიერთობების, ინგლისური ფილოლოგიის, ადამიანური რესურსების მართვის, განათლების კვლევისა და ადმინისტრირებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამები.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის გახსნა იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის.

– სასწავლო პროცესი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში – რა სტანდარტებია, რითაა გამორჩეული, როგორ შეისწავლება საგნები და პრაქტიკული კურსი?

– სასწავლო პროცესი სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზეა ორიენტირებული; სწავლება მიმდინარეობს ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს და, აგრეთვე, თანამედროვე ლიტერატურასა და სასწავლო მასალას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დინამიკურად და საინტერესოდ.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად დაწესებულია სახელობითი სტიპენდიები („ჯინო ფერედაისის“ სტიპენდია – თვეში 100 ლარის ოდენობით; საუნივერსიტეტო სტიპენდია და ასე შემდეგ); ასევე, ყველა სტუდენტი, ოჯახის წევრებთან ერთად, სურვილის შემთხვევაში, სარგებლობენ უფასო დაზღვევის ექსკლუზიური შეთავაზებით.

სტუდენტთა დასაქმების კუთხით, უნივერსიტეტი გამოირჩევა პარტნიორთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფით – უნივერსიტეტის პარტნიორები არიან: უზენაესი სასამართლო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტრო, იურიდიული დახმარების სამსახური, ცესკო; სხვადასხვა წარმატებული კომპანია: „ჯინო ფერედაისი,” სს „ლომისი”, შპს „დიო”; ასევე, ცნობილი იურიდიული კომპანიები, დასაქმების სააგენტოს ასოციაცია, ადამიანური რესურსების ასოციაცია, ბიზნესგაერთიანება „დასაქმებელთა ასოციაცია” და არაერთი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია, სადაც სტუდენტებს აქვთ როგორც პრაქტიკების გავლის, ასევე მომავალში დასაქმების შესაძლებლობა. უკვე არაერთი სტუდენტია დასაქმებული ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებში და წარმატებით განაგრძობს საქმიანობას.

– პროფესორ-მასწავლებლებისა და სალექციო კურსის შესახებ გვიამბეთ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში საკმაოდ კვალიფიციური აკადემიური პერსონალია.

– აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დონე და მათი მაღალი კვალიფიკაცია ზუსტად ასახავს არსებულ რეალობას, რომელიც შეეხება მოპოვებულ ავტორიტეტს პროფესორ-მასწავლებელთა შესახებ. ზემოთ აღნიშნულ ყველა მიმართულებით სასწავლო პროცესს წარმართავენ გამოცდილი, ცნობილი და აღიარებული სპეციალისტები; ასევე, მოქმედი და წარმატებული პრაქტიკოსი ლექტორები, უცხოეთში მიღებული განათლებ-

ის მქონე ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერები და უცხოელი პედაგოგები. ყველა სასწავლო პროგრამა აგებულია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო ეფექტურად და დინამიკურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. რასაკვირველია, ხელს გვიწყობს ის, რომ სალექციო პროცესს წარმართავენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. ჩამოვთვლი მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელებს; ესენი არიან ზურაბ ძლიერიშვილი, ზვიად როგავა, შალვა მაჭავარიანი, ავთანდილ გაგნიძე, ვარდიკო გვარჯალაძე, გიზო ჭელიძე, ლილი ბიბილაშვილი, ნინო ბერუაშვილი, ირმა ბარბაქაძე, ნინო სოზაშვილი.

– თქვენი უნივერსიტეტი ცნობილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზებით...

– აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ნამდვილად კომფორტული გარემოა შექმნილი სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისთვის. გარდა იმისა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია ახალი სასწავლო ინვენტარით, სტაციონარული პროექტორებით, ეკრანებით, გახმოვანების აპარატურით შესაბამის ადგილებში და, მოქმედებს სათანადოდ აღჭურვილი ორი საკონფერენციო დარბაზი (დიდი და მცირე), ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, გვაქვს ფეხბურთის მოედანი და ახლახან უნივერსიტეტის ეზოშივე მოეწყო ფრენბურთის მოედანი. უნივერსიტეტის მთელ შიდა პერიმეტრზე არის ინტერნეტზე წვდომა; ამავე დროს, მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე; ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

– აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი აწარმოებს გაცვლით პროგრამებს უცხოეთში. სულ ახლახან თქვენ რიგის უნივერსიტეტთან გააფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. რას ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამა?

– აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძალიან მნიშვნელოვანი მხარე გახლავთ ის, რომ იგი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, სტაჟირებებსა და საზაფხულო სკოლებს ლონდონის, პრაღის, ლინცის (ავსტრია), ლოძის (პოლონეთი), ტალინის, რიგის, ტურიბის, ბალტიის საერთაშორისო აკადემიასა და კონსტანტას უნივერსიტეტებში. ხაზგასასმელია, რომ სტუდენტი თავიდანვე სარგებლობს საუნივერსიტეტო სტიპენდიებით და, საერთო ჯამში, მას უნევს ძალიან დაბალი ფასის გადახდა. რამდენიმე სტუდენტი უკვე გაემგზავრა ლონდონის უნივერსიტეტებში და მათ საკმაოდ მაღალი საუნივერსიტეტო სტიპენდიები მიიღეს. მიმდინარე ზაფხულის პერიოდში არაერთი სტუდენტი აპირებს გამგზავრებას პრაღის, ლოძისა და რიგის უნივერსიტეტების საზაფხულო სკოლებში.

რაც ასევე ყველაზე მნიშვნელოვანია, რიგის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ჩვენს სტუდენტებს შეეძლებათ ორმაგი ხარისხის მიღება საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებზე.

ეს თანამშრომლობა ითვალისწინებს ორმაგი ხარისხის მინიჭებას; შესაბამისად, ჩვენი სტუდენტები, რომლებსაც ექნებათ ორმაგი ხარისხის მიღების სურვილი, ისწავლიან ჩვეულებრივ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში და ბოლო სემესტრს გაივლიან რიგის უნივერსიტეტში. ჩვენ ვაღიარებთ რიგის უნივერსიტეტში აღებულ კრედიტებს და, შესაბამისად, რიგის უნივერსიტეტიც აღიარებს ჩვენთან აღებულ კრედიტებს.

– დაბოლოს, რატომ უნდა გააკეთოს არჩევანი აბიტურიენტმა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტზე?!

– თუ გსურთ, მიიღოთ მხოლოდ ხარისხიანი განათლება; თუ სურვილი გაქვთ, უცხოეთში გაგრძელოთ სწავლა ან/და უცხოელმა პედაგოგებმა საქართველოში გასწავლონ; თუ გსურთ, რომ გასწავლიდნენ გამორჩეული და მაღალი დონის პედაგოგები; თუ გინდათ, რომ სწავლის პერიოდშივე გქონდეთ უშუალო შეხება პრაქტიკასთან, გაგაჩნდეთ კონრეტული დასაქმების პერსპექტივა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ და, რაც მთავარია, მიიღოთ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მომსახურება ისე, რომ არ გადაიხადოთ ზედმეტი, უნდა აირჩიოთ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი!!!

ეს არის უნივერსიტეტი, რომელმაც სულ ახლახან მოიპოვა სადოქტორო პროგრამის განხორციელების უფლება და, „აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის” ნაცვლად, მისი სახელია – „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“.

ხატია კარანაძე

პასუხისგებლობის დეფიციტი

„რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია“

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვაზე საუბრები ჯერ კიდევ **ვარდების რევოლუციის აისიდანაა დაწყებული**. და თუმცა **ამ იდეას მაშინვე ჰყავდა მონინააღმდეგეები**, მოტივით, იქაც ვერ ამართლებს, სადაც დანერგესო, **ის მაინც განხორციელდა**, მართალია, სულ ახლახან.

მეორე მხრივ, **რთული სათქმელია, ამას განხორციელება დავარქვათ,** ვინაიდან **ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი ვერ გამოიტანეს**. ამიტომაც **მოსამართლე ახალ ნაფიც მსაჯულებს შეაგროვებს**, ოღონდ, შესაძლოა, **ისეც მოხდეს, რომ ამასობაში მკვლელობაში ბრალდებული გათავისუფლდეს**, ვინაიდან **წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა ამოეწურება.**

ამ ფაქტმა **სკეპტიკოსები კიდევ უფრო გაამყარა თავის არგუმენტებში, მომხრეები** კი, პირიქით, **თავიანთ აზრზე დარჩნენ**; მეტიც, მიაჩნიათ, რომ **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უნდა განვითარდეს და გაფართოვდეს** (გავრცელდეს ყველა კატეგორიის დანაშაულზეო).

ჩვენ **არ ვიცით დაზუსტებით, რატომ ვერ მიიღეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილება ნაფიცმა მსაჯულებმა**, რომლებიც ჩვეულებრივი, **არაიურიდიული განათლების მქონე მოქალაქეები არიან**, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ **ხელის შემშლელი პასუხისმგებლობის აღების შიში იქნებოდა,** რაც, ნაფიც მსაჯულებს ვინ ჩივის, **უკვე ლამის ზოგადეროვნული პრობლემაა**. –

„სად წაიყვან სადაურსა“

ანუ „რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“

გავრცელებული ინფორმაციით, **თბილისის საერთაშორისო აეროპორტს, შესაძლოა, შოთა რუსთაველის სახელი დაერქვას**. და, თუმცა, როგორც პოეტი ამბობს, **საქართველოში მხოლოდ ის ერთი** (ანუ შოთა) **დგას შურზე მაღლა**, იდეას **ოპონენტები მაინც გამოუჩნდნენ.**

ზოგის მოტივია, რომ **სახელის გადარქმევას აჯობებდა, აეროპორტი მფლობელი თურქებისთვის წაგვერთმია;** მეორეთა ლოგიკით, **რუსთაველის სახელი აეროპორტისთვის დასანანია** და მისთანანი (პათოსი, დაახლოებით, ასეთია: **„რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“).**

მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ **ცნობილ ხელოვანთა სახელების დარქმევა მსოფლიოში ფრიად ხშირი მოვლენაა**. სახელდობრ, **რომის აეროპორტი ლეონარდო და ვინჩის** სახელობისაა; **ვარშავისა,** ცხადია, **ფრედერიკ შოპენის**, ბუდაპეშტის – ფერენც ლისტის, **ლიონისა – ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა**.

ამ ლოგიკით, **რუსთაველის სახელი თბილისის აეროპორტისთვის მისწრებაა**, ბუნებრივია, **უპირველესად ჩვენთვის**, თორემ, **თავად რუსთაველმა ისეთი სახელობის პოემა დაიწერა,** რომ, კარგა ხანია, **ხელოვნების ცის კაბადონზე კაშკაშა ვარსკვლავად დაივანა**. –

გალაქტიკების მბრძანებელი

„რუსო, რუსო, თავი გიგავს ბუსო“

გასულ კვირას, თავსხმა წვიმის გარდა, კიდევ ერთი თემა – **მარიხუანის დეკრიმინალიზაცია იყო უაქტუალურესი**. კერძოდ, **ამ მოთხოვნით თვით აქცია გაიმართა**, სხვათა შორის, არც მეტი, არც ნაკლები, **არასრულწლოვანთა მონაწილეობით,** რასაც **იოტისოდენა უხერხულობაც კი არ შეუქმნია აქციის მომწყობთა და მონაწილეთათვის.**

მოკლედ, როგორც უნდა იყოს, **რაკი ჩვენი აზროვნების სტილი რადიკალიზმით ხასიათდება** (დაახლოებით ისე, რა პრინციპითაც ნერვული უჯრედები მუშაობს: **სულ ან არაფრის კანონი**), ასე მაგალითად, პროდიუსერ მიშა **შშვილდაძის ღრმა რწმენით, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანებს ციხეში უნდა სვამდნენ მარიხუანის მოწევის გამო, არის, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით რუსი** (არადა, თითქოს სად – მარიხუანა და სად – რუსი?!)!

მან ეს შეფასება სწორედ ზემონახსენებ აქციაზე გააკეთა, რომელზეც მარიხუანის დეკრიმინალიზაციას ითხოვდნენ. მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობისთვის მოვიხმობ სრულ ციტატას: **„ვინც პარლამენტში ხმას მისცემს იმას, რომ ციხეში სვამდნენ ადამიანებს მარიხუანას მოწევის გამო, იქნება რუსი,** არსით, სულით, თავისი ადამიანობით. **ვინც ხმას მისცემს** იმას, რომ **ადამიანებს ციხეში არ უნდა სვამდნენ მარიხუანას გამო,** ყველა თავისი არსით **იქნება** ნორმალური, **კეთილი, ევროპელი ადამიანი.“**

მე არ შევჩერდები იმ **დეტალზე, რომ, ვინც მარიხუანის მოხმარების გამო ციხეში ჩასმა მოიფიქრა**, მათ **მაშინაც თანაუგრძნობდა და დღესაც თანაუგრძნობს** ბ-ნი **მშვილდაძე** (ანუ ცოტა თანმიმდევრულობის პრობლემაა, თუმცა, რაკი თავად მას არ უქმნის უხერხულობას, შევეცადოთ, **არც ჩვენ დავლონდეთ ძალუმად**).

მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ხსენებულ ბატონს **გაევროპელების მეტად მარტივი გზა აურჩევია**: ჩამოჯდები შენთვის სახლის კიბეზე, **დაბოლდები** და **თავს**, მარტო ევროპელობა რა ბედენაა, **თუ მოისურვებ, თვით გალაქტიკების მბრძანებლადაც კი წარმოიდგენ**. –

შესაბამისად, მაქვს იდეა, შემდეგი აქცია ჩატარდეს დევიზით: **„რუსო, რუსი, თავი გიგავს ბუსო“!**

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ებ ი

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხუციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეიშა კვეზერელი, ალექს ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერესელიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჭავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ქლენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

„რომელმან შექმნა სამყარო“

ანუ „მზე იტირებს და ჩაქრება“

საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამით კმაყოფილება იმადენად მაღალია, რომ, თუკი **საპარლამენტო ოპოზიცია აქამომდე აკრიტიკებდა, ან უკვე ტაქტიკის შეცვლა მოუწია** (იფიქრა რა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო?!).

ტაქტიკის ცვლილებაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგებზე შევჩერდები: მათი **80,3 პროცენტი კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია** საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში **მიღებული გეგმური ამბულატორიული მომსახურებით**; უკმაყოფილო მხოლოდ 1,7 პროცენტია.

უფრო მაღალია მაჩვენებელი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში **სტაციონარული და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებით მოსარგებლეებისა: 96,4 პროცენტი.**

თუმცა, რესპონდენტთა 40 პროცენტის აზრით, **პროგრამის გაფართოებაა აუცილებელი** და, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი – ფარმაცევტული პრეპარატების დამატება.

რაკი **კვლევა** 2014 წელს **ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, USAID -ისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა ჩაატარეს**, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ერთი წლის შედეგების შეფასების მიზნით, **ყველა მხარე შეიქმნა იძულებული, ეღიარებინა შედეგი.**

ხოლო, **რაკი იძულებული გახდა, ოდესის გუბერნატორმა** (რომელიც საქართველოს პრეზიდენტობის დროინდელ ტრადიციას არ ღალატობს და კვლავ ერთადერთი ტელეკომპანიის ეთერით გვესაუბრება) **განაცხადა,** რომ (მოვიხმობ ციტატას): „**სერგეენკომ კი არ შექმნა ეს სისტემა, ეს სისტემა ჩვენ შევქმენით,** ჩვენ ავაშენეთ ეს საავადმყოფოები და 2 წელი გვჭირდებოდა, რომ საყოველთაო დაზღვევაზე გადავსულიყავით“ და **დრამატული პროგნოზიც არ დაუმადლებია**: „ეს **რეფორმაც ჩამოიშლება** და **უხელფასო ექიმები ისევ დაიწყებენ ფულის აღებას**.“

მეორე მხრივ, დარწმუნებული ვარ, **თვით მზე ჩაქრება,** თუკი აწ უკვე ოდესის გუბერნატორს **მესამე პოსტად დედამიწის მბრძანებლობას არ ჩააბარებენ**, ვინაიდან სწორედ **იგია, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“.** –

SOS!

ყოფილი ჩინოვნიკის დეკრიმინალიზაციური ვნებანი

რაკი **მარიხუანის ყოფნა-არყოფნა ჩვენს თანამდევ უკვდავ სულად**, მე ვიტყოდი, **სასპეკულაციო თემადაც კი იქცა**, იძულებული ვარ, **თითისტარივით ვიტრიალო ამ პრობლემის გარშემო**.

თან, იმის გათვალისწინებით, რომ **დეკრიმინალზაციის მოთხოვნას აშკარად დაჰკრავს ლეგალიზაციის ელფერი**. ასე, მაგალითად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ნაუფროსალი ბ-ნი **ბარნოვის** (რომელიც აქციასაა შეერთებული, იმიტომ რომ, როგორც თავად ამბობს, **„მშვენიერი აქციაა“) პათოსია – მოწიეთ და დაიხეთქეთ ტვინფილტვები**, რადგან, ყოფილი ჩინოვნიკის აზრით, „**სახელმწიფოს საქმე არ არის, რას უზამს კონკრეტული ადამიანი თავის სხეულს** (რაც იმას ნიშნავს, რომ, მისი აზრით, სუიციდის მცდელობისას არ ღირს ადამიანების გადარჩენა).“ იგი იმასაც შეუშფოთებია, რომ „ამ კანონის გამო ახალგაზრდებს მასობრივად ვსვამთ ციხეში, წლობით ვალპობთ იქ და ვუსპობთ მომავალს არაფრის გამო (აქ **პაუზა გააკეთეთ, ცრემლების მოსაწმენდად**) და იქვე დასძენს, რაკი გვახსოვს, ვინც ეს კანონი შემოიღო, რომ კანონი უნდა შეიცვალოს.

ცხადია, **შორს ნაგვიყვანს** ბ-ნი **ბარნოვის აზრებს ჩაყოლა**. მეტიც, თუმცა **პირადად მე თავს მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მომხრეთა რიცხვში მოვიაზრებდი,** ამ აქციების პათოსის ფონზე აღარც კი ვიცი, **მარიხუანის მეორე და შემდეგ ჯერზე გათვალისწინებული სასჯელი ზედმეტია თუ შეკავების ერთადერთი მექანიზმია?!**

მეორე მხრივ, დღესავით ნათელია, რომ **ანტინარკოტიკული კამპანია საბავშვო ბაღიდანვე უნდა იწყებოდეს**, რომ ბავშვობიდან ჩაიბეჭდოს ტვინში, როგორ ხდება მარიხუანის მომხმარებელთა 60 პროცენტი, როგორც წესი, უფრო მძიმე ნარკოტიკის მუშტარი; **რა ემართება ორგანიზმს ეგრეთ წოდებული „ლომკისას“** და, რაც მთავარია, **მარიხუანის მომხმარებელი ათი ათასიდან ერთი აუცილებლად რომ ავადდება შიზოფრენიით**, რაც იმას ნიშნავს, რომ ის **მეათიათასე ნებისმიერი თქვენგანი შეიძლება იყოს!**

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

ვაკანსია

ისე მოხდა, რომ **რუმინეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ-ვიორელ პონტას წანააღმდეგ**, რომელსაც **გამოძიება ედავება**, არც მეტი, არც ნაკლები: **ფულის გათეთრებაში, ინტერესთა კონფლიქტისა და გადასახადების დაფარვაში.**

რუმინეთის პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს გადადგომა მოსთხოვა. რუმინეთის ეროვნულმა ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა კი განაცხადა, რომ **პონტამ, წარსულში მოსამართლემ და პროკურორმა,** 2007-2008 წლებში **არარსებული სამუშაოს სანაცვლოდ 63 ათასი ევრო მიიღო იმ ფირმისაგან**, **რომელიც მის კომპანიონს ეკუთვნოდა**. ამ კომპანიონს კი თავად პონტას მთავრობაში რამდენიმე პოსტი, მათ შორის ტრანსპორტის მინისტრის თანამდებობა ეკავა, **ამჟამად კი იქ არის, სადაც ჯერ არს, როგორც ეჭვმიტანილი სხვა კორუფციულ სქემაში.**

ანტიკორუფციული დეპარტამენტი მიმართავს რუმინეთის პარლამენტს, რომ

გადასაბირებელი

პრემიერ-მინისტრ პონტას იმუნიტეტი მოუხსნან. ჩვენ არ ვიცით, რას მოიმოქმედებს რუმინეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თუმცა ვიცით, რომ **რუმინეთი ერთ-ერთი ყველაზე მეტად კორუმპირებული ქვეყანაა ევროპაში** და კორუფციული სკანდალის გამო მარტში თანამდებობიდან ფინანსთა მინისტრიც კი გადადგა; ასევე, ცნობილია, რომ **ევროკავშირსა და სრულიად დასავლეთს განგაშის ზარები არ დაურისხებიათ – პოლიტიკური დევნაა**, რაც იმას ნიშნავს, რომ ან **ჩვენ ვგონივართ გონებრივად არც მთლად საღად მოაზროვნენი**, ან ჩვენი **პროკურატურა ვერ ასაბუთებს ბრალდებებს.**

როგორც უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ, ერთი მხრივ, **რუმინეთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა** და, მეორე მხრივ, **პრემიერ-მინისტრის პოსტი თითქმის ვაკანტურია**, ეჭვი მაქვს, რომ **ოდესის ოლქს რუმინეთის სახით კონკურენტი გამოუჩნდა** – ვაიდა, მათი **გუბერნატორი რომ გადაიბირონ**, ევროკავშირი ხომ მაინც სულ სხვაა?! –

ნდობის ტელეფონი
ინგოიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

– რა პროექტებია ეს და როგორი პრაქტიკა აქვს „იბიარდს“?

– „იბიარდი“ ჩვენთან დიდი ხანია, მუშაობს და სტრატეგიაა კერძო სექტორისთვის ხელის შეწყობა, შემდეგ ემატება ენერგეტიკული სექტორის დახმარება და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ჩართვა გლობალურ ეკონომიკურ პროცესში. ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ დაფინანსდეს ეს მიმართულებები. არ ჩანს, კონკრეტულად ვისთან რა ხელშეკრულება აქვთ დადებული. არ ჩანს, მაგრამ ლაპარაკია, უპირველესად, ინფრასტრუქტურა, მომარაგება-ლოგისტიკა, ტელეკომუნიკაციები და ერთ-ერთი მიმართულებაა, რაც უნდა გასაკვირი იყოს, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ მიმართულებით საკმაოდ ჩამორჩენები გვაქვს. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს: ქალების წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში 4-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირში. ჩვენთან არის 16-17 პროცენტი და ევროკავშირში 64-65 პროცენტია. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე ვერ განვითარდებით და ვერც ხალხს მოვიმადლიერებთ, იმიტომ რომ, მაგალითად, ერთი მილიონის ინვესტიცია თითქმის 2-2,5-ჯერ მეტ სამუშაო ადგილს ქმნის მცირე ბიზნესში მსხვილ ბიზნესთან შედარებით. ამიტომ ეს პერსპექტიულია ხალხის დასაქმების, უმუშევრობის შემცირებისა და კეთილდღეობის შედარებით სწრაფ რეჟიმში ამაღლების კუთხით.

ქალებმა უფრო იოლად მოახერხეს ადაპტაცია: ზოგი უცხოეთში წავიდა, ზოგმა შინამეურნეობას მიჰყო ხელი და ფაქტობრივად, მამაკაცებმა დაიტოვეს უფრო ნომენკლატურული და მაღალი თანამდებობები, სადაც ანაზღაურებაც უფრო მაღალი იყო

– ქალების მომენტი რატომ გახდა აქტუალური, ეს საკუთრივ „იბიარდის“ ინიციატივაა?

– მახსენდება ერთი პასაჟი ფილმიდან „კავკაზსკაია პლენნიცა“, „კოგდა კოსმიჩესკიე კორაბლი ბოროზდიატ“, ანუ მსოფლიოში ისეთი პროცესებია, როდესაც ქალები აქტიურობენ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოებაში... ყველაზე დიდი გავლენის მქონე პირთა მსოფლიო ათეულში ორი ქალბატონია. ერთი – გერმანიის კანცლერი და მეორე – ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი. სულ მსოფლიოში 1 800-მდე მილიარდერია და მათგან 200-მდე ქალია, ანუ ყოველი მეცხრე მილიარდერი მსოფლიოში ქალია. და ერთ ციფრსაც ვიტყვი, მილიარდერთა პირველ ათეულში ორი ქალბატონია და ცალცალკე თითოეულის აქტივების ღირებულება 2,5-ჯერ აღემატება საქართველოს წლიურ მთლიან შიგა პროდუქტს. თითოელ მათგანს 40 მილიარდ დოლარზე მეტი აქტივი აქვს.

– ამ ქალებმა თავად დააგროვეს ეს ფული, თუ მამამ დაუტოვა, ქმარმა, საყვარელმა აჩუქა?

– არ ვიცი, საიდან დაიწყეს, მაგრამ ერთ-ერთმა ბოლო ერთ წელიწადში თავისი აქტივების ღირებულება 13 მილიარდით გაზარდა. შარშან შეფასებული იყო 27-28 მილიარდად და წელს მისი აქტივების ღირებულება 41 მილიარდს გადასცდა. ჩვენ კი, ამ მხრივ, სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს, იმიტომ რომ, საშუალო ხელფასად ჩვენი ქალები საშუალო ეროვნული ხელფასის მხოლოდ 64 პროცენტს იღებენ. უშუალოდ კაცების ხელფასებს რომ შევადაროთ ქალების ხელფასი, იქ უფრო მცირე ციფრი გამოდის: ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 46 პროცენტის დონეზეა. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობაში ქალთა რიცხვი მამაკაცებისას სჭარბობს, 15 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში ეკონომიკურად არააქტიურებიდან 69 პროცენტია ქალი. ესე იგი, ქალები შეადგენენ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტს. ისინი, ძირითადად დიასახლისობენ. ერთი მომენტია კიდევ: ჩვენი ქალები სახლში იმდენს შრომობენ, რომ, თუ ამას ფულად ერთეულში გადავიყვანთ, მივიღებთ მთლიანი შიგა პროდუქტის მეოთხედს მაინც – 7,5 მილიარდ ლარს.

– როგორ გადაგყავთ? რის მიხედვით შეაფასეთ ქალის შრომა სახლში?

– შევაფასე შემდეგნაირად: თუ პირობითად ქალთა შრომას სახლში რვასაათიან სამუშაო დღედ ავიღებთ, თუმცა დიასახლისი უფრო მეტს შრომობს, ხოლო ჩავთვლით, რომ დასაქმებული ქალი მხოლოდ 4 საათს უთმობს საშინაო საქმეებს, გამოვა, რომ ჩვენი დიასახლისების სახლებში შრომა ფულად ერთეულში 7,5 მილიარდს შეადგენს. სამწუხაროდ, ეროვნული ანგარიშგების სისტემა არ მოითხოვს მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელში დიასახლისების შრომის შეყვანას. ამიტომ ეს შრომა შეუფასებელი და დაუფასებელი გვრჩება.

როგორ ქმნიან ქართველი ქალები ოჯახში საქმიანობით 7,5 მილიარდის პროდუქტს და რატომ იღებენ საქართველოში დასაქმებული ქალები მამაკაცებზე ნაკლებ საშუალო ხელფასს

„იბიარდის“ ფორუმის დასრულების შემდეგ შევიტყვეთ, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს და ამ საქმისთვის თანხასაც გამოყოფს. უფრო კონკრეტულად კი ბიზნესსაქმიანობაში, არც მეტი, არც ნაკლები, ქალების ჩასართავად. რა შესაძლებლობა ეძლევათ საქართველოს მოქალაქე ქალებს, რატომ აიძულებს დასავლეთი საქართველოს მამაკაცებს, ჩართონ ქალები პოლიტიკასა თუ ბიზნესში, რატომ არ ფასობს ქალის შრომა საქართველოში და არსებობს თუ არა ქვეყანაში განვითარებისა და სოციალური სტატუსის მოპოვების თანაბარი შანსები, სქესის მიუხედავად, – ამ კითხვებზე ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე გვიპასუხებს.

– რამდენად რეალურად გეჩვენებათ ქალების ჩართვის ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესში. მოუტანია სხვა ქვეყნებში ასეთ პროექტს შედეგი?

– საერთოდ, რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალია ქალთა წარმომადგენლობა არა მარტო დასაქმებაში, არამედ ზოგადად ეკონომიკურ საქმიანობაში და მით უფრო მაღალია მათი შრომის ანაზღაურებაც. ჩვენთან მთელი სამუშაო ძალის მხოლოდ 46 პროცენტია ქალი, მაშინ, როდესაც მოსახლეობაში ქალი 53 პროცენტია. ცოტა ქალი გვყავს პარლამენტშიც, აზერბაიჯანიც კი გვისწრებს: თუ ჩვენს პარლამენტში ქალები 12 პროცენტია, აზერბაიჯანში – 16. ყველაზე მეტი ქალი პარლამენტში კი ჰყავს რუანდას. რუანდას, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველაზე მეტი სისხლისღვრით იყო გამორჩეული. ეტყობა, ქალებმა ჩათვალეს, რომ კაცები არ ვარგოდნენ არც პოლიტიკაში, არ გამოსდიოდათ ურთიერთობა და თავიანთ თავზე აიღეს ქვეყნის მართვა. დღეს რუანდის პარლამენტში ქალები შეადგენენ ნახევარზე მეტს, 52 პროცენტს.

– დაამჩნია ამან კვალი ქვეყანას?

– ყოველ შემთხვევაში, ცუდი მაინც აღარ ისმის რუანდაზე. როგორც ჩანს, ქალებმა მშვიდობის მანდილი ჩამოაგდეს. სხვათა შორის, ჩვენთან, გაეროს შეფასებებით, დაბალია მთლიანი ეროვნული პროდუქტის შექმნაში ქალების წილის მაჩვენებელიც. საქართველო, ამ მხრივ, ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ტაჯიკეთიც კი გვისწრებს. ჩვენთან ეს მაჩვენებელი, ანუ ქალების წილი მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში მამაკაცების იმავე მაჩვენებლის 43 პროცენტია. და, თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბოლო ადგილი გვიჭირავს, მსოფლიოს 175 ქვეყნიდან მხოლოდ 144-ე ადგილზე ვართ.

– ჩვენთან ნამდვილად არ არსებობს ქალების განათლების პრობლემა. ვერც იმას ვიტყვით, რომ ქალებს მიზანდასახულად არ აძლევენ სამუშაო ადგილებს. არ არის ასეთი მასობრივი და გამოკვეთილი დისკრიმინაცია. მაშინ რა გვჭირს, რატომ გვაქვს ასეთი არაცივილიზებული მაჩვენებელი?

– სტუდენტთა 57 პროცენტი გოგონაა და 43 პროცენტი ვაჟი, ანუ უფრო მეტი სტუდენტი გოგონაა, მაგრამ კარიერულ სვლასა და სამუშაო ადგილების დაკავებაში ეს ტენდენცია იკარგება. იმიტომ რომ, იმ დარგებში, სადაც მაღალია ხელფასი, ქალების წილი დაბალია. მაგალითად, მშენებლობის სექტორში, სადაც შედარებით მაღალი ანაზღაურებაა, ქალი სულ 7 პროცენტია; მრეწველობაში – 27 პროცენტი, მაგრამ განათლების სექტორში, სადაც დაბალია ანაზღაურება, ქალების წილი 84 პროცენტია და ეს ახდენს გავლენას საშუალო მაჩვენებელზე, რასაც მიხედვა სჭირდება.

– არც ერთი ქართული ბანკი არ აფინანსებს ბიზნესის დაწყებას, არადა „იბიარდი“ სწორედ ბანკების მეშვეობით იწყებს ქალების საშუალო და მცირე ბიზნესში ჩართვას. იგულისხმება, რომ ამ ქალებს აქვთ ბიზნე-

გიორგი მიქაძის მოსაგონარი

უმძიმესი განცდაა, როცა ხედავ, რომ საყვარელი ადამიანი მიდის... გტოვებს და ვერაფერს ველი მის ტკივილებს.

გარდაცვალება ყოველთვის სევდას, მონატრებასა და უსასოობის შეგრძნებას ბადებს. დრო ვერ უშველის, ვერ მოაშუშებს შენი ახალგაზრდა მეუღლისა და ჯერ კიდევ ნორჩი შვილების მწუხარებას... დღე არ გავა, შენზე არ იფიქრონ და უმწეობის ცრემლმა არ დაუსველოთ სახე.

ნათელში იყავი, კარგო ადამიანო... უსამართლობა იყო შენი ამქვეყნიდან წასვლა... უსამართლობა და დიდი ტკივილი.

ახობაძეების ოჯახი

ალექსიშვილის კლინიკა

ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

ერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

ნინო ლაღიძე, *95 წლის, მუსკომედიის დამსახურებული მსახიობი.*

დიაგნოზი: *ხერხემლის გავრცელებული ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი, ორმხრივი გონართროზი.* ამ წერილს ვწერ 95 წლის ქალი. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო და დავლოცო მანანა ექიმი, ჩემი აზრიანი და სრულფასოვანი სიცოცხლისთვის.

„ალექსიშვილის კლინიკაში“ პირველად 90 წლის ასაკში მოვხვდი. იმედგადაწურული ვიყავი, ყველაფერი ერთიანად მტკიოდა – ხერხემალი, სახსრები... გამოვჯანმრთელდი და უჯოხოდ დავდიოდი. ახლა კი ასაკი მომემატა და ფეხები ძალიან ამტკივდა. ნემსებმა და აფთიაქის მალამოებმა არ იმოქმედა. ისევ ჩემმა მანანა ექიმმა მიშველა. რამდენიმე პროცედურის შემდეგ ბევრად უკეთ ვარ. მინდა მადლობა გადავუხადო და ვუსურვო ჩემზე დიდხანს იცოცხლოს ჯანმრთელად და ბედნიერად.

ავთანდილ სილაგაძე, *60 წლის, ტაქსის მძღოლი. ბათუმი.*

დიაგნოზი: *გავა-წლის დისკოგენური რადიკულიტი, ქუსლის დეზი.* დიდი ხანია, წელის ტკივილები მაქვს. პატარა რაღაცაზე მიმწვავდებოდა, მერე ვიზელდი მალამოებს, ვსვამდი გამაყუჩებლებს და მუშაობას ვახერხებდი. ამჯერად წამლებმა აღარ მიშველა. წელში მომხარა. ტკივილი თეძოში გადაეცემოდა. ზოგჯერ ფეხშიც მირტყამდა. შვილმა აქ ჩამომიყვანა. ბევრი ჩვენიანი მოარჩინეს ამ კლინიკაში. მეც გამიმართლა – თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ერთი ხელის მოსმით როგორ მომაცილეს ტკივილი... გაოცებული ვიყავი, დილით რომ ავდექი და ჩვეულებრივ გავიმართე წელში. დიდი მადლობა, მანანა ექიმო, სოსო ექიმო... ამ ზაფხულს ჩემს ოჯახში გეპატიჟებით, საზღვაო სეზონზე...

ბუასილი მარტივად იკურნება

მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.

ცირა ცირეკიძე, *50 წლის. თბილისი.*

დიაგნოზი: ანალური ნაპრალი, მწვავე კოლიტი. ძალიან გავირთულე მდგომარეობა. სულ მერიდებოდა ექიმთან მისვლა და გასინჯვა. სანამ ტკივილმა სული არ გამიმწარა, თავს არ მივხედე. აქ ისეთი ტკივილით მოვედი, ვერ ვჯდებოდი, ღამით არ მეძინა, მქონდა შეკრულობა, შებერილობა, ასევე, სისხლდენა. საოცარი, მართლაც უებარი მალამოებით მიმკურნალეს ქალბატონმა მანანამ და მისმა ვაჟმა – სოსო ექიმმა. ორ დღეში ტკივილი ალაგდა, კიდევ ორ დღეში კუჭი მომიწესრიგდა. ბოლოს, აღარც მახსოვს, როდის ვიყავი ასე კარგად. ახლა კურსი დავამთავრე.

ძალიან, ძალიან დიდი მადლობა კლინიკის ყველა თანამშრომელს ასეთი კვალიფიციური დახმარებისთვის.

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

თამუნა ნიჟარაძე

სი და დაეხმარებიან მის გაძლიერებაში თუ წამოაწყებინებენ ბიზნესს?

– გენდერული უთანასწორობის დაძლევა ცალკე ასპექტია და პირდაპირ ბიზნესის წამოწყებას არ უკავშირდება. ისინი ატარებენ ახსნა-განმარტებით სამუშაოებს, ქმნიან სოციალურ ფონს, საინფორმაციო ველს, რომ ადამიანმა არა მარტო ისწავლოს და განათლება მიიღოს უმაღლესში, არამედ შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაეხმაროს ქალს, რომ შედარებით იოლად შეათავსოს დედისა და სოციალურად აქტიური პიროვნების ფუნქციები. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ქალებმა ბიზნესი წამოიწყონ, რადგან ბიზნესის დასაწყებად თანაბარი პირობები ყველას აქვს, ქალს თუ კაცს, არამედ, იგულისხმება, რომ ყურადღების ცენტრში იყოს ქალთა სოციალური აქტიურობის შენარჩუნება. სხვათა შორის, 2010 წელს პარლამენტში შეიქმნა ქალთა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის ხელმძღვანელიც რუსუდან კერვალიშვილი იყო.

– და ჩვენი ქალთა მოძრაობის წარმომადგენლები ძალიან უმაყოფილონი იყვნენ ამ საბჭოს მუშაობით.

– ყოველ შემთხვევაში, ეს საბჭო არსებობს პარლამენტში და ის რომ რამდენიმე კვირის წინათ დაიწყეს მუშაობა ქალთა კვოტირებაზე პარლამენტში, იმის მაჩვენებელია, რომ ის მდგომარეობა, რაც გვაქვს, არ არის ნორმალური. რატომ უნდა იყოს რუანდის პარლამენტში ქალთა წილი 52 პროცენტი, კუბაში – 49, შვედეთში – 45, ფინეთში – 43, აზერბაიჯანში – 16 და ჩვენთან – 12 პროცენტი?! ფაქტია, რომ სკანდინავიის ქვეყნები ჩვენთვის სამაგალითოა და იქ სავალდებულოა მამაკაცებისთვის, ისარგებლონ დეკრეტული შვებულების 40 პროცენტით და ბავშვებს მოუარონ. ჩვეთნან ოჯახის სხვა წევრს, მაგალითად, ბებიასაც შეუძლია, გავიდეს შვილის ნაცვლად დეკრეტულ შვებულებაში და მან მოუაროს ბავშვს, მაგრამ ვალდებულება, რომ ორივე მშობელი აუცილებლად უნდა გავიდეს დეკრეტულში, არ არის.

– როგორც მივხვდი, „იბიარდის“ მცირე და საშუალო ბიზნესში ქალთა ჩართულობის პროგრამა მხოლოდ საზოგადოებაში ამ განწყობის გაჩენას ემსახურება და არა თანხის გამოყოფას ქალებისთვის, ვისაც სურს ბიზნესის წამოწყება?

– საქართველოში გენდერული უთანასწორობა ყურადღების ცენტრში იმიტომ მოექცა, რომ თვითონ საქართველოშია, ამ მხრივ, მდგომარეობა არცთუ სახარბიელო. თუ მივდივართ დემოკრატიული განვითარების გზით, მაშინ უნდა დავძლიოთ ეგრეთ წოდებული გენდერული უთანასწორობის ინდექსი, რომელიც ცალკეული ეკონომიკური და სოციალური პარამეტრების მიხედვით გვიჩვენებს მამაკაცთა და ქალთა რეალურ უთანასწორობას.

– თქვენ რით ხსნით ამ უთანასწორობას, რატომ არ აღიარებენ ქალებს, ხელოვნურად ცდილობენ პატრიარქალური მიდგომების შენარჩუნებას?

– ბევრი მომენტის თანხვედრაა, მაგრამ ძირითადს გეტყვით: როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მოიშალა სამეურნეო კავშირები და მაშინდელი მყარი, ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემა დაინგრა, ამან, უპირველესად, დაარტყა იმ დარგებს, სადაც ქალთა დასაქმების წილი შედარებით მაღალი იყო და ასიმეტრიული უმუშევრობა წარმოიშვა. მაგრამ ქალებმა უფრო იოლად მოახერხეს ადაპტაცია: ზოგი უცხოეთში წავიდა, ზოგმა შინა მეურნეობას მიჰყო ხელი და ფაქტობრივად, მამაკაცებმა დაიტოვეს უფრო ნომენკლატურული და მაღალი თანამდებობები, სადაც ანაზღაურებაც უფრო მაღალი იყო. ასე რომ, იმდენად არა სოციალური დისკრიმინაციის შედეგია ეს, არამედ შედარებით მაღალი თანამდებობების გამო იღებენ მამაკაცები უფრო მეტს, ვიდრე ქალები. თუმცა არ გვაქვს ინფორმაცია, რა არის ქალთა წილი უცხოეთიდან გამოგზავნილ თანხაში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნიდან წასულთა შორის ქალები ჭარბობენ, მათი ფულადი გზავნილების მოცულობაც, გონივრული ეჭვია, უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა, ოღონდ ძნელი სათქმელია, რამდენით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რამდენ პროდუქტს ქმნიან მამაკაცები ქვეყნის შიგნით: მთლიანი შიგა პროდუქტის ორი მესამედი კაცების შექმნილია და მხოლოდ ერთი მესამედი მოდის ქალებზე. ამაში არ შედის ის 7,5 მილიარდი, რომელიც ქალების ოჯახში შრომას ასახავს. მართალია, ჩვენი მონაცემებით, უცხოური ტრანზაქციების რაოდენობა მილიარდ 300 მილიონია, მაგრამ, მსოფლიო ბანკის მონაცემით, ჩვენი თანამემამულეების მიერ უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის მოცულობა 2 მილიარდამდეა. სხვათა შორის, თურქეთში ტრანზაქციების მოცულობა მილიარდ 100 მილიონია, მაშინ, როცა იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ ის-ის იყო პირველი ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით, თურქეთი ფულადი გზავნილების სახით 4 მილიარდს იღებდა; დღეს ჩვენ ვიღებთ თითქმის ორ მილიარდს.

ნინო ხაჩიძე

ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

რატომ ვეღარ გაიყიდება საქართველოში წარმოებული რძის პროდუქტების უმეტესობა ტრადიციული დასახელებებით: მაწონი, ხაჭო, კარაქი და არაქანი

2004 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ყველა ქვეყანას მოუწოდა, ადამიანთა პოპულაციის ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ხმარებიდან ამოეღოთ ტრანსცხიმების შემცველი პროდუქტები. მაგალითად, დანიაში ტრანსცხიმების შემცველი პროდუქტებით ვაჭრობა უკვე აიკრძალა, ზოგიერთ ქვეყანაში შეიზღუდა – დაშვებულია პროდუქტში მისი 2 ან 8-პროცენტიანი შემცველობა. აშშ-ში კი ამ ინფორმაციის პროდუქტის ეტიკეტზე დატანაა სავალდებულო. ჩვენს ქვეყანაში ტრანსცხიმების რეგულირების მექანიზმი არ არსებობს. არადა, ტრანსცხიმები აქვითებენ ეგრეთ წოდებული „კარგი“ ქოლესტერინის წარმოქმნას ორგანიზმში და ზრდიან ეგრეთ წოდებული „ცუდი“ ქოლესტერინის რაოდენობას, რასაც შედეგად მოაქვს ათეროსკლეროზი და გულის კორონარული უკმარისობა. საკვებში ტრანსცხიმების შემცველობის 2 პროცენტით მატება თითქმის ორჯერ ზრდის კორონარული უკმარისობის რისკს ადამიანებში.

პირველი აგვისტოდან ამოქმედდება ტექნიკური რეგულაცია, რის მიხედვითაც, რძისა და რძის პროდუქტების დასახელება ვერ გამოიყენება იმ პროდუქტებზე, თუ ისინი შეიცავს მცენარეულ ცხიმს ან მცენარეულ ცილას

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რომელი საკვები შეიცავს ტრანსცხიმებს? ესენია: მარგარინები, სპრედები და მათი გამოყენებით დამზადებული პროდუქტები.

ამიტომაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა რამდენიმე უცხოური და ადგილობრივი სპრედის (აქ კარაქად წოდებულის) ნიმუში შეამოწმა. კერძოდ, ლაბორატორიაში შესამოწმებლად გაიგზავნა თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შეძენილი 10 დასახელების მარგარინი და სპრედი: ორი დასახელების „დაჩა“, სპრედი „შატილი“, „სანტეს“ ორი დასახელების სპრედი, ორი სახეობის „ტიფლისის“ სპრედი, ცხიმი „მასლიანა“, „მილკო-ფუდის“ სპრედი „საბუტერბროდე“ და მცენარეული ერბო „ტექსუნი“.

კვლევამ დაადგინა, რომ „დაჩა ზალატაია“ შეიცავდა 0,6 გრამ ტრანსცხიმებს; „დაჩა“ – 0,5 პროცენტს, „მასლიანა“ – 0,1 გრამს, „ტექსუნი“ – 5,8 გრამს, ხოლო ქართულ სპრედებში, რომლებსაც მწარმოებლები ჯიუტად უწოდებენ კარაქს, შემდეგნაირი სავალალო სურათი გამოვლინდა. „სპრედ კარაქ სანტე-ექსტრაში“ ტრანსცხიმების შემცველობა 5, 6 გრამი აღმოჩნდა, „სანტეში“ – 10,6 გრამი; „მილკო-ფუდის“ საბუტერბროდე სპრედში – 23,1 გრამი, „შატილში“ – 20,5 გრამი, სპრედებში „ტიფლისი“ 14,4 და 17,1 გრამი. სპეციალისტები გვირჩევენ, რომ იმ სპრედების მოხმარება, რომლებშიც ტრანსცხიმების შემცველობა ცხიმში 10 ან მეტი პროცენტია, შეზღუდოთ დღეში 10-15 გრამამდე. ტრანსცხიმებით დამძიმებულ ჩვენს ყოფაზე კი სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი ლია თოდუა გვესაუბრება.

– რატომ გადაწყვიტეთ, ასე მასობრივად შეგემოწმებინათ ზემოდასახელებული პროდუქტები?

– სინჯების უცხოეთში გაგზავნა ძალიან ძვირი ჯდება, ამიტომ ერთად ვაგზავნით ბევრს. ეს კვლევა 2 000 დოლარი დაჯდა. 1 500 დოლარი – ტრანსპორტირება, 500 ევრომდე – უშუალოდ შემოწმება. ჩვენ ტრანსცხიმები ადრეც, 2011 წელსაც გავზომეთ და არ იყო მაინცდამაინც მაღალი, ამიტომ დიდი ხანია, არ შეგვიმოწმებია.

– რა ინფორმაციას გვაძლევს პროდუქტში ტრანსცხიმების გაზომვა?

– სპრედი არ არის კარაქი, ეს არის მარგარინისგან ხელოვნურად მიღებული პროდუქტი. მას ურევენ თხევად ზეთებს და ქიმიური დამუშავების შედეგად ხდება უფრო მყარი, კარაქის კონსისტენციის მასა. ანუ სპრედი არის მარგარინისა და სხვა ცხიმების ნარევი. მარგარინი კი არის ქიმიურად დამუშავებული მცენარეული ზეთი. დამუშავების მიზანი არის ცხიმის თხევადიდან მყარ ფორმაში გადაყვანა. ამისთვის კი უჯერი ცხიმები ქიმიურად უნდა გარდაიქმნას ნაჯერ ცხიმებად, თუკი ეს პროცესი ბოლომდე და სრულად განხორციელდა, საშიშ ნივთიერებებს არ წარმოქმნის. მაგრამ მხოლოდ ნაჯერი ცხიმებისგან შემდგარი მასა მაგარი და უხეშია, საცხისებურია და იმისთვის, რომ ეს მასა კარაქივით რბილი გამოვიდეს, საჭიროა მასში ზეთის შეზელა. თუმცა უფრო იაფია ჰიდროგენიზაციის პროცესის „შუა გზაზე“ შეჩერება, როდესაც უჯერი ცხიმების მხოლოდ ნაწილია ნაჯერ ფორმაში გადასული, და ცხიმის მასა ჯერ არ გაუხეშებულა. მეწარმეთა უმრავლესობა სწორედ ასეთ, არასრული ჰიდროგენიზაციის პროცესს იყენებს მარგარინის მისაღებად. პრობლემა ისაა, რომ ასეთი პროცესის შედეგად ცხიმის მასაში დარჩენილი უჯერი ცხიმოვანი მჟავების ნაწილი „გადაიგრიხება“, ანუ ტრანსცხიმებად იქცევა. ჩვენს შემთხვევაში ყველა სპრედს ეწერა, რომ არის მხოლოდ მცენარეული ცხიმებისგან მიღებული და საშიშროება არის, რომ აი, ასეთი ჰიდროგენიზებული, ანუ ქიმიური დამუშავების შედეგად მიღებულ ცხიმებში იყოს ეგრეთ წოდებული ტრანსცხიმები, რომლებიც ადამიანისთვის და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისთვის, ცხოველებისთვისაც უცხოა. ეს ცხიმები, სამწუხაროდ, ჩაჯდება უჯრედის მემბრანაში და იწვევს უამრავ დაზიანებას. ადამიანს არ გააჩნია ფერმენტები, რომლებიც მას გაანადგურებდა, ანუ ჩვენს ორგანიზმს არ აქვს ამ ტრანსცხიმების თავიდან მოშორების საშუალება. ამდენად, ტრანსცხიმები შესაძლოა, ჩაჯდეს ყველა ორგანოში და გამოიწვიოს სხვადასხვა ცვლილება.

– შესაძლებელია ტრანსცხიმების ნულამდე დაყვანა პროდუქტში?

– ტრანსცხიმების ნულამდე დაყვანა შეუძლებელია. არსებობს შეფასებები, რომ საკვებში ყოველი 2 პროცენტით ტრანსცხიმების გაზრდა თითქმის ორჯერ ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის. ამიტომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია, რომ ადამიანმა დღეში ორ გრამზე მეტი ტრანსცხიმი არ მიიღოს. ვერ ხერხდება, რომ საერთოდ არ მიიღოს, იმიტომ რომ ასეთი ცხიმები ფორმირდება შეწვის დროსაც, თუ დიდხანს აცხელებენ ზეთს. ამდენად, თუ ნულამდე ვერ დაგვყავს, უნდა ვეცადოთ, რომ, რაც შეიძლება, ნაკლები ტრანსცხიმი მივიღოთ. ამის გაზომვა გვინდოდა და იმიტომ ავიღეთ სინჯები. მას შემდეგ, რაც გაირკვა, თუ რამდენად მავნეა ტრანსცხიმები ადამიანის ჯანმრთელობისთვის, რიგმა მეწარმეებმა შეცვალეს ტექნოლოგია და უსაფრთხო მარგარინების წარმოებაზე გადავიდნენ, თუმცა ასეთი პროცესით მიღებული მარგარინი და სპრედი უფრო ძვირია. იმ ქვეყნებში, სადაც პროდუქტში შემავალი ტრანსცხიმების შესახებ ინფორმაციის ეტიკეტზე დატანა სავალდებულო არ არის, როგორც ეს საქართველოშია, ასეთი უვნებელი მარგარინი უფრო იაფიანი პროცესის შედეგად მიღებულ მავნე, ტრანსცხიმების შემცველ მარგარინს კონკურენციას ვერ უწევს, მომხმარებელი უბრალოდ ვერ არჩევს მათ ერთმანეთისგან! გვქონდა შიში, რომ, რადგან ჩვენი მეწარმეები ცდილობენ, იაფი ცხიმები გაყიდონ, შეიძლება, შეიძენენ შედარებით უხეშად დამუშავებულ მარგარინებს, რომ იაფად გაყიდონ. ადრე შევამოწმეთ და როგორც გითხარით, არ აღმოჩნდა ტრანსცხიმების მაინცდამაინც მაღალი შემცველობა, მაგრამ ბევრმა მოგვმართა ამ თხოვნით და განსაკუთრებული ეჭვი იყო უცხოურ ცხიმებზე: „დაჩა“, „ტექსუნი“ და „მასლიანა“. ამიტომ ეს უცხოური ცხიმებიც გავგზავნეთ და ქართული მცენარეული სპრედებიც. ყველაზე კარგი პასუხი უცხოურ ცხიმებში აჩვენა „მასლიანამ“, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, ევროკავშირში იწარმოება, სადაც საკმაოდ მკაცრი ნორმებია ცხიმებთან დაკავშირებით და ძალიან ცუდი პასუხები აჩვენა ქართულმა სპრედებმა, სადაც ზოგან 20-23 პროცენტიც კი აღმოჩნდა ტრანსცხიმების შემცველობა. ეს ძალიან საგანგაშოა და მომხმარებლებმა ითხოვეს, რომ შევამოწმოთ ყველა სხვა ცხიმიც. ახლა ჩვენ ვართ ნებართვების აღების პროცესში, იმიტომ რომ ცხოველური ცხიმის გაგზავნა შესამოწმებლად ცოტა უფრო რთულია, ცალკე ნებართვაა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უკვე მოვითხოვეთ ნებართვები და გაიგზავნება სინჯები, როგორც კი ნებართვას მივიღებთ და ყველა დანარჩენ სპრედებსა და კარაქებს შევამოწმებთ.

– თქვენ რის მიხედვით შეარჩიეთ მხოლოდ სპრედები და არა ნამდვილად კარაქები?

– შევარჩიეთ შემცველობის მიხედვით. ჩვენ ვიცით, რომ პირველი აგვისტოდან ვეღარ გამოიყენებენ დასახელება კარაქს, თუ პროდუქტი არ არის კარაქი, მაგრამ მანამდე შეუძლიათ. ამიტომ ვუყურებდით შემადგენლობას და არა დასახელებას.

– თქვით, რომ შესაძლოა, ტრანსცხიმები იყოს ცხოველური ცხიმებით დამზადებულ პროდუქტებშიც. ეს რას ნიშნავს, რომ ნამდვილ კარაქშიც არის ტრანსცხიმები?

– ტრანსცხიმების რაღაც რაოდენობა რძეშიც არის. ძროხის რძეში გადამუშავებისას სხვადასხვა ბაქტერია წარმოიქმნება. თუმცა ითვლება, რომ ის სხვა ტრანსცხიმებია და არ არის მავნე, მაგრამ მაინც შევამოწმებთ, რომ ისე არ გამოვიდეს, რომ ჩვენი მოსახლეობა ძალიან ბევრ ტრანსცხიმს იღებდეს. მომავალში გვინდა, შევ-

ვინ აჩუქა გიორგი მელაძის ორივე ვაჟს 140 000 და 50 000 აშშ დოლარად ღირებული მიწის ნაკვეთები და სახლები

პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ და აწ უკვე ამ პოლიტიკური ძალიდან წასული გიორგი მელაძე 1972 წელსაა დაბადებული. მას უმაღლესი განათლება თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აჭარაში“ მიუღია და კვალიფიკაციით, იურისტია. ასევე, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მისი სპეციალობაა მაღალმოლეკულური ქიმია. გიორგი მელაძის სამუშაო გამოცდილება 1988 წელს დაწყებულა საბჭოთა კავშირის „50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში,“ შემდეგ „ცეკავშირში“ გადაუნაცვლებია – ოპერატორად; 1989 წელს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაუბარებია, რომელიც 1994 წელს დაუმთავრებია, თუმცა 1991 წელს მუშაობა დაუწყია ანტიმონოპოლიურ სამსახურში, სადაც 2004 წლამდე დაუყვია და, სავარაუდოდ, ბოლოს სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიცია ეკავა. 2004-2005 წლებში სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში მუშაობდა სააგენტოს თავმჯდომარედ. 2005 წელს თბილისის მერის მოადგილედ დანიშნა. 2008 წელს კი პარლამენტში მოხვდა, ბუნებრივია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით. იგივე შედეგი 2012 წელსაც გაიმეორა და დღემდე საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია.

გიორგი მელაძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2002 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა და ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე, მაკა ლაჩაშვილი და ორი შვილი: 1992 წელს დაბადებული სერგო და 1999 წელს დაბადებული ნიკოლოზი. იმხანად მელაძეების ოჯახის ქონება შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: გიორგი მელაძის საკუთრება გახლდათ ბინა თბილისში, 40 000 ლარად ღირებული და 10 000-ლარიანი ავტომანქანა, ხოლო მის მეუღლეს კი ეკუთვნოდა 20 000 ლარად ღირებული ბინა თბილისში. მასვე ჰქონდა ნაღდი ფული დეკლარაციის შევსების მომენტში – 4 000 აშშ დოლარი. ბ-ნი მელაძის მეუღლე საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგში მუშაობდა სამსახურის უფროსის მოადგილედ და იმ წელს ანაზღაურების სახით 5 040 ლარი აიღო, თავად ბ-ნ მელაძემ კი, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილემ – 1 500 ლარი.

ბოლო დეკლარაცია გიორგი მელაძემ 2015 წელს შეავსო, როგორც პარლამენტის წევრმა. მისი ოჯახის ქონება შემდეგნაირია: ბ-ნი მელაძის საკუთრებაა ბინა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე (60 კვ. მ.); ნიკოლოზ მელაძეს ეკუთვნის თბილისში, გაზაფხულის ქუჩაზე მდებარე 208 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის 50-პროცენტიანი წილი, ასევე, იმავე მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლის (161 კვ. მ.) ნახევარიც. მაკა ლაჩაშვილის საკუთრებაა ბინა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე; აგრეთვე, თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე 70 კვ. მ. ფართობის ბინის ნახევარი, ასევე, თბილისში, აგლაძის ქუჩაზე მდებარე 60 კვ. მ. ფართობის ბინის ნახევარიც. მასვე ჰყავს 2008 წლის ავტომანქანა „მიცუბიში“.

დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფულის სახით გიორგი მელაძეს 9 000 ლარი ჰქონდა, მაკა ლაჩაშვილს – 5 000 აშშ დოლარი. 2014 წლის განმავლობაში გიორგი მელაძემ, როგორც პარლამენტის წევრმა, 60 804 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც „ჯი პი აი ჰოლდინგის“ საცალო გაყიდვების სამსახურის უფროსმა, 35 972 ლარი. 2014 წელს გიორგი მელაძეს შვილების სწავლის საფასური 11 000 ლარი დაუჯდა.

ახლა კი ვნახოთ, როგორი იყო მელაძე-ლაჩაშვილის წყვილის სახელფასო შემოსავალი წლების მიხედვით: 2003 წლის განმავლობაში გიორგი მელაძემ, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა, 2 640 ლარი აიღო, მაკა ლაჩაშვილმა კი, როგორც საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგის დაზღვევის მენეჯერმა, 7 320 ლარი.

2008 წელს წელს მაკა ლაჩაშვილმა, როგორც საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგის ინდივიდუალური გაყიდვების უფროსმა, 26 057 ლარი აიღო; გიორგი მელაძემ კი, როგორც მერის მოადგილემ, 18 593, ხოლო, როგორც პარლამენტის წევრმა, 34 000 ლარი. იმ წელს მაკა ლაჩაშვილმა 35 000 აშშ დოლარად ახალი ავტომანქანაც შეიძინა. ნაღდ ფულად კი ცოლქმარს, საერთო ჯამში, 35 000 ლარი და 5 000 აშშ დოლარი ჰქონდა.

2009 წელს გიორგი მელაძის წლიურმა საპარლამენტო ხელფასმა 56 676 ლარი შეადგინა, მისმა მეუღლემ კი, როგორც „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მენეჯერმა 27 177 ლარი აიღო. იმავე წელს ბაბუამ გიორგი მელაძის ორივე ვაჟს აჩუქა მიწის ნაკვეთები სახლებით: 140 000 და 50 000 აშშ დოლარად ღირებული. 2010 წელს გიორგი მელაძემ 67 232 ლარი აიღო, მაკა ლაჩაშვილმა – 35 835. 2011-ში გიორგი მელაძემ – 69 009, მისმა მეუღლემ – 41 370 ლარი. 2012-ში – 67 719 და 43 835 ლარი; 2013-ში კი – 61 961 და 33 867 ლარი.

ნინო ხაჩიძე

ამოწმოთ ის, რაც ამ ჯერზე ვერ შევამოწმეთ, ცხოველური და მცენარეული ცხიმების ნარევი პროდუქტი.

– ჩვენს პროდუქციაში ხდება ეს შერევა თუ უცხოურსაც გააგზავნით?

– რძეში 5 პროცენტამდე შეიძლება, იყოს სტრანსცხიმი და ეს არ ითვლება მავნედ, მაგრამ გააჩნია რძეს, სანამ არ შევამომწებთ, ამის თქმა წინასწარ ძნელია.

– თუ პროდუქტში ტრანსცხიმია, ის არ ქრება თერმული დამუშავებისას? მაგალითად, მასში შეწვისას?

– არა, არ გარდაიქმნება, ეს მავნე პროდუქტები მათში რჩება.

– სხვა რა ტიპის მავნე ელემენტს შეიძლება, შეიცავდეს რძის სხვა პროდუქტები: ხაჭო, მაწონი, არაჟანი?

– შეიძლება, მათშიც იყოს ტრანსცხიმები, მაგრამ, რადგან ხაჭოსა და არაჟანში ცხიმი ნაკლებია, საერთო ჯამში, პროდუქტში ნაკლები ცხიმები გამოდის. მაგრამ, თუ ბევრს მიიღებთ ამ პროდუქტებს, მაშინ დაგიგროვდებათ ორგანიზმიში. ამიტომ გავზომეთ, რომ განვსაზღვროთ, როგორც უნდა იკვებონ ამ პირობებში ადამიანებმა.

– განსაკუთრებით, ბავშვებმა, რომელთა რაციონში ბევრი რძის პროდუქტია.

– სპრედები ბავშვებს უნდა მოვარიდოთ.

– აგვისტოდან რძის პროდუქტებზე ახალი რეგულაციები ამოქმედდება. რას ითვალისწინებს ისინი, უფრო დეტალურად რომ გვითხრათ?

– პირველი აგვისტოდან ამოქმედდება ტექნიკური რეგულაცია, რის მიხედვითაც, რძისა და რძის პროდუქტების დასახელება ვერ გამოიყენება იმ პროდუქტებზე, თუ ისინი შეიცავს მცენარეულ ცხიმს ან მცენარეულ ცილას. ასეთი პროდუქტები ამ ძველი, ტრადიციული დასახელებებით, მაწონი, არაჟანი, ხაჭო, ვერ გაიყიდება.

– იმ პროდუქტების შემოწმების საშუალება თუ იარსებებს თუ მეწარმეებს სიტყვაზე, ანუ წარწერაზე უნდა ვენდოთ?

– ჩვენ ვამოწმებთ ხოლმე რძის ცხიმის შემცველობას ამ პროდუქტებში და ბევრჯერაც გამოვაქვეყნეთ, რომ ზოგიერთი დასახელების ხაჭო, მაწონი თუ არაჟანი არ არის ხაჭო, არაჟანი თუ მაწონი. ჯერჯერობით ეს არ არის აკრძალული, მაგრამ პირველი აგვისტოდან მათი ამ დასახელებებით გაყიდვა აიკრძალება.

– აკრძალვა რას ნიშნავს, საჯარიმო სანქციები დაწესდება?

– დიახ, ჯარიმა დაწესდება, როგორც ეტიკეტირების წესის დარღვევაზე, პირველ ჯერზე ეს ჯარიმა იქნება 400 ლარი, განმეორების შემთხვევებში – 1 200 ლარი.

– როგორც მივხდი, ადგილობრივი კარაქის წარმოება ეს არის უცხოურ მარგარინებში შერეული მცენარეული ცხიმი?

– დიახ, ჩვენთან არც მარგარინებს არ აწარმოებენ, კარაქიც და მარგარინიც შემოტანილია. ჩვენ არ გვაქვს იმდენი რძე, რომ თავად ვაწარმოოთ კარაქი. არც ზეთის მარგარინად გადამუშავების საწარმოები გვაქვს. ასე რომ, მგონი, შემოტანილ სპრედებსა და მარგარინებს ურევენ ერთმანეთში. ქართული წარმოება არის უცხოური პროდუქციის შერევა და შემდეგ შეფუთვა. ჯერჯერობით საქართველოში მეტი ვერაფერი კეთდება სპრედების მიმართულებით, თორემ ზეთს აწარმოებენ საქართველოში.

– დარღვევები ძველებურია? იმატა თუ შემცირდა?

– ამ ბოლო დროს დარღვევები ძალიან ცოტა იყო, ანუ გამოსწორების გზაზე იდგა პროცესი და გავიკვირდა, რომ ამხელა დარღვევა აღმოვაჩინეთ. ფაქტობრივად, იმისი იმედი აქვთ მეწარმეებს, რომ, რადგან საქართველოში არ მოწმდება პროდუქტი, არავინ შეამოწმებს.

– ერთია, რომ იმედი აქვთ, არ შეგვამოწმებენო, მაგრამ მეორეა ის, იციან კი, რომ ეს დარღვევაა?

– საქმეც ეს არის, საქართველოში არ არის აკრძალული ტრანსცხიმების გამოყენება, ამიტომ არც იზომება მათი რაოდენობა პროდუქტში. მეორე მხრივ, არ კრძალავენ იმიტომ, რომ არ ზომავენ და არ იციან, რომ გადამეტებულია. ტრანსცხიმების შეზღუდვა არის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომ რაც შეიძლება, ნაკლები ტრანსცხიმი უნდა მიიღოს ადამიანმა, რათა ჯანმრთელი იყოს. დღეს საქართველოში მოქმედებს გასული საუკუნის 70-ან წლებში მიღებული ნორმები და ვერა და ვერ გადავედით ახალ ნორმებზე.

– და მაშინ, რა შედეგი მოჰყვება იმას, რომ აღმოაჩინეთ ეს ტრანსცხიმები ზემოჩამოთვლილ პროდუქტებში?

– არანაირი, უბრალოდ მომხმარებელს მივაწოდეთ ინფორმაცია, თორემ სანამ ახალი ნომრები არ შეიქმნება, ამ პროდუქტების გაყიდვა გაგრძელდება, სახელმწიფო ამას ვერ აკრძალავს.

ნინო ხაჩიძე

თინათინ წულაძე ცოტა ხნის წინ ამერიკიდან საქართველოში დაბრუნდა. მან „ბროდვეის ცეკვის აკადემიაში“ ერთწლიანი კურსი გაიარა და საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო როგორც ცხოვრებისეული, ასევე პროფესიული. რაც მთავარია, თინათინის ყველაზე დიდი სურვილია, უკვე მიღებული გამოცდილება და ასევე, ისიც, რასაც მომავალში შეიძენს, საკუთარ ქვეყანას მოახმაროს და იმ სფეროში, სადაც ტრიალებს, თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს.

რატომ ჰყავდა ნიუ-იორკში ყოველდღე მუცელში პეპლები თინათინ წულაძეს და როგორ შეძლო მან „ბროდვეის ცეკვის აკადემიაში“ ხალხის გაოცება

თინათინ წულაძე: მგონია, რომ ვისაც შესაძლებლობა აქვს, ცოტა ხნით უნდა წავიდეს უცხოეთში და გარემო შეიცვალოს. იქ დიდი დრო გაქვს ფიქრისთვის, არა მხოლოდ პროფესიაზე, არამედ ცხოვრებაზეც. ბევრ რამესთან გიწევს შეჯახება და შენით მოგვარება. ბევრს რომ ფიქრობ, მერე უფრო მეტად მშვიდდები. ადრე ყველაფერი გულთან მიმქონდა, ახლაც ასეა, მაგრამ ბევრად მშვიდი რეაქცია მაქვს. უფრო განონასწორებული გავხდი, თუმცა ძალიან ემოციური ვარ. თავიდან ცოტა მიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხთან კონტაქტი არ მიჭირს. ზედმეტად თბილები არიან და ვერ ვხვდებოდი: ეს ყალბი იყო, თუ არა. ამიტომ, ცოტა დავიბენი. მერე ყველაფერს შევეგუე. თანაც, ჩემ გარშემო მართლა ძალიან კარგი, თბილი ხალხი ტრიალებდა: პედაგოგები, ლექტორი. ყველა ორიენტირებული იყო სტუდენტის მომავალზე, ცდილობდნენ, მაქსიმალურად ბევრი გესწავლა და ცოდნით დატვირთული წასულიყავი უკან. ეს არის საოცრება: როდესაც ხედავ, შენ გარშემო ასე მუშაობენ, უკვე არანაირი უფლება არ გაქვს, დაგეზაროს და რამე არ გააკეთო. დილით რომ ვიღვიძებდი და ვიცოდი, უნდა წავსულიყავი, პეპლები მყავდა მუცელში. ვიღაც რომ მოგწონს, მეორე დღეს უნდა შეხვდე, დილა თენდება და მიდიხარ შესახვედრად – აი, ასეთი შეგრძნება მქონდა. მართლაც ჯადოსნური ადგილია მოცეკვავისთვის.

– ამ ხნის განმავლობაში რა იყო შენთვის ყველაზე გამორჩეული?

– შიდა კონცერტები გვქონდა და მე თითების სპექტაკლი გავაკეთე. სანამ წავიდოდი, სტაჟირებას გავდიოდი თითების თეატრში, რომლის ხელმძღვანელი ბესო კუპრეიშვილია. ერთი წელი ვიყავი სტაჟიორად. იქ, დახურულ კონცერტებზე ყველა რაღაც ორიგინალურს აკეთებდა და მეც მინდოდა, რაიმე განსხვავებული მეჩვენებინა. ამიტომ, თითების თეატრიდან გავაკეთე ნაწყვეტი – ეს იყო ცეკვა მიუზიკლიდან „ჩიკაგო“. არ მეგონა, თუ ამაზე ამხელა რეაქცია ექნებოდათ. რეპეტიციაზეც გადაწყვეტეს, რომ კონცერტი მე გამეხსნა. პირველი ნომერი ჩემი იყო – იმდენად კმაყოფილები იყვნენ. მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ: შენ მოიფიქრეო. ამერიკაში თუ რამე გაუკვირდებოდათ, არ მეგონა.

– მარტო აკეთებდი?

– ჩემი მეგობარი დამეხმარა, პირს აღებდა ტექსტზე, დანარჩენს მე ვაკეთებდი. ორი გოგოს საცეკვაო პარტია იყო და ორი ხელით ვაკეთებდი. ძალიან გაერთნენ და მეც ისე მსიამოვნებდა. ვიდეოც არის და ისეთი სახე მაქვს, აშკარად მეტყობა, როგორ მსიამოვნებდა ეს ყველაფერი. მიხარია, რომ დააფასეს ადამიანის შესაძლებლობები. იქ ყველაფერს აფასებენ, ყველაფრისგან შეგიძლია, რაღაც შექმნა. წამოსვლამდე მომყვებოდა ემოციები.

– რატომ გადაწყვიტე თავის დროზე თითების თეატრში სტაჟირების გავლა?

– ქასთინგი გამოცხადდა, მე და ჩემი ორი მეგობარი მივედით და გავიარეთ სტაჟირება. ვგიჟდებოდით, ისე გვიყვარდა იქ მისვლა. ერთი ოთახი იყო, იქ შევიკეტებოდით განუსაზღვრელი დროით და აღარასდროს გამოვდიოდით. მერე თოჯინებთანაც გვქონდა მცირედი შეხება. სულ სხვა სამყაროა. იმ პატარა ოთახში თავი უზარმაზარ გალაქტიკაში გვეგონა, საოცრება იყო. მერე ვეღარ შევუთავსე დრო და მომიწია უარის თქმა.

– როგორი იყო შენთვის ამერიკაში გატარებული ყოველი დღე?

– ყოველი დღე იყო განსაკუთრებული. ალბათ, ნახევარ დღეს მეტროში ვატარებდი. ბრუკლინში ვცხოვრობდი და დიდ დროს ვანდომებდი კოლეჯამდე მისვლას. ყოველდღე ადამიანების ყურებით იმდენ ახალ რაღაცას ვიგებდი – განსაკუთრებით, მამა-შვილის ურთიერთობამ მოახდინა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება. შემოდიოდნენ მეტროში მამები სამ-სამი შვილით. დატვირთულები, ველოსიპედაკიდებულები. ერთი ტირის, მეორე – დარბის, მაგრამ, მათ არ ეშლებოდათ ნერვები, ყველაფერს მშვიდად აკეთებდნენ. საერთოდ არ იგრძნობა დაძაბულობა. ზედმეტი ყვირილისა და მოჩეჩვის გარეშე აგვარებდნენ ყველაფერს. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ცოტა მენატრებოდა ქართული ამბები, ამდენი სიწყნარეც რთული იყო.

არ მეგონა, თუ ამაზე ამხელა რეაქცია ექნებოდათ. რეპეტიციაზეც გადაწყვიტეს, რომ კონცერტი მე გამეხსნა, პირველი ნომერი ჩემი იყო – იმდენად კმაყოფილები იყვნენ

– თან, მშობლებიც გენატრებოდა.

– ძალიან. ჩემი დეიდაშვილი ცხოვრობს იქ და მეგობრებს რომ აცნობდა ჩემს თავს, ეუბნებოდა: ეს ის არის, უკან რომ უნდა დაბრუნებაო. ეს იმდენად უკვირდა ყველას... არანაირი სურვილი არ მაქვს სხვაგან ვიცხოვრო, თუ ეს რაღაც მომენტში არ დამჭირდა. იმედია, არ დამჭირდება. ვიღაც ხომ უნდა ჩამოვიდეს საქართველოში და აქ გააკეთოს რაღაც. რაც ვისწავლე, შეიძლება, ის დიდი არაფერია, მაგრამ ამას მაინც გამოვიყენებ, რომ წინ თუნდაც პატარა, ჭიანჭველის ნაბიჯი გადავდგა ჩვენთან ქორეოგრაფიისა თუ სხვა სფეროში. მინდა, აქ იყოს ისეთი პირობები და გარემო, რომ უცხოეთში წასვლა და სწავლა აღარ დაგვჭირდეს.

– რომ იყოს საინტერესო და კარგი შემოთავაზება?

– ჯერჯერობით, ალბათ, დიდი ხნით ან სამუდამოდ არ წავიდოდი, ერთი წლით – შეიძლება. როცა ასეთ კოლეჯში სწავლობ, პედაგოგებთან ახლო ურთიერთობა გაქვს, შეგიძლია, რჩევა ჰკითხო. შესაბამისად, შემიძლია, მათ ნებისმიერ მომენტში დავეკონტაქტო. ახლა ვფიქრობ თებერვალში, სამი თვით წავიდე, რომ ყველაფერი შევაჯამო. დავფიქრდები, დავლაგდები, მერე ისევ წავალ. ზოგადად, მგონია, რომ არასდროს არ არის სწავლა საკმარისი. ყოველთვის წინ და წინ უნდა იარო. ბალეტის პედაგოგი მყავდა, ფრანგი ქალი, დაახლოებით 60 წლის, საოცარ ფორმაშია, დღესაც ძალიან კარგად ცეკვავს. მიუხედავად ამისა, სხვა პედაგოგების ბალეტის გაკვეთილებს იღებდა, პილატესს ვარჯიშობდა, არ ჩერდებოდა. ამას რომ ხედავ, კიდევ უფრო მეტ სტიმულს გაძლევს: უფრო მეტი უნდა ვიმუშაო, ვისწავლო, გავაკეთო... ერთი ავსტრიელი პედაგოგი მყავდა – სლემი, საოცარი სული ჰქონდა. ისე ცეკვავდა, ისეთ კომბინაციებს გვაკეთებინებდა, გულს სწვდებოდა – ისე, გემრიელად რომ აკეთებ ყველაფერს და შენს სათქმელში დარწმუნებული ხარ. ჩემი მენტორი იყო, ვგიჟდებოდი მასზე. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. გახურების დროს მუსიკა ხომ იყო ჩართული და რითმში საუბრობდა – ასევე ხსნიდა მუსიკის თანხლებით და შენიშვნებსაც რითმში გვაძლევდა.

– ხომ არ დადგი ქართული ცეკვა?

– მინდოდა ძალიან, მაგრამ ბიჭების პრობლემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად ცეკვავდნენ, კარგი მოცეკვავეები არიან, ქართული ცეკვა არ გამოსდიოდათ. ცუდის გაკეთებას, მერჩივნა, არ გამეკეთებინა.

– ბროდვეიზე სპექტაკლებზე, ალბათ, დადიოდი.

– ხშირად დავდიოდი სპექტაკლებზე, მიუზიკლებზე და კიდევ, ქართველ მეგობრებთან ვიყავი ხშირად. ქართულ რესტორანში დავდიოდი, რადგან ქართული ცეკვა მენატრებოდა ძალიან. „ქართული სახლია“ რესტორანი, ქართველი მუსიკოსები უკრავენ და რომ მივდიოდი, სულ ვცეკვავდი, უკვე ვეღარ მიტანდნენ. ყველაზე მეტად რისი ნახვაც მინდოდა, ჯერ კიდევ საქართველოდან წასვლამდე, ეს არის კომპანია „ფუერცა ბრუტა“ – მათი წარმოდგენები საოცარია, დაფრინავენ, საოცრებებს აკეთებენ მსახიობები. ალბათ, ასჯერ ვიყავი, არასდროს მბეზრდებოდა. ასეთ რაღაცეებს როგორ აკეთებდნენ, არ ვიცი. ფიზიკის ყველა კანონს სცილდებოდა მათი ცეკვა, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კიდევ ვაშინგტონში ვიყავი და ძალიან მომეწონა. თეთრ სახლთან რომ მივედი, მეგონა, შემეშალა – რაღაცა დიდს, შთამბეჭდავს ველოდებოდი და აღმოჩნდა თეთრი, უბრალო სასახლე – შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი.

– როგორ აპირებ შენი პროფესიის გამოყენებას?

– ჯერჯერობით ფიქრის პროცესში ვარ: როგორ გავაკეთო, რა გავაკეთო. მშობლები მეხმარებიან, მარტო გადაწყვეტილების მიღება ცოტა რთულია. დაბნეული ვარ, ყველაფერი ერთად მინდა, მაინტერესებს. თან, ვერ ვხვდები, რა არის ის, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს, რომ ვაკეთო მთელი ცხოვრება. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. ვნახოთ, რა იქნება. ახლა „სუხიშვილებს" დავუბრუნდი და ძალიან მიხარია, რომ დამიბრუნეს.

ნათია უტიაშვილი

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ თამუნასა და ბაქარის სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შეძლო ნუნუკას და სხვა, ყველა მოწინააღმდეგის დამარცხება. როგორც ვნახეთ, წყვილმა მალულად ჯვარიც დაიწერა და ამით, ალბათ, ბევრი გულშემატკივარი მაყურებელი გაახარა. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მომდევნო სერიებში ვიხილავთ, მანამდე კი ბაქარისა და თამუნას როლის შემსრულებლებს – ბუბა მათნაძესა და ხატია ბრაჭულს, მათი „კადრს მიღმა“ ურთიერთობის შესახებ ვესაუბრეთ.

რა დრო მისცა ბუბა მათნაძემ ხატია ბრაჭულს გრძნობებში გასარკვევად და რატომ გააქციეს გადასაღები მოედნიდან გიორგი ლიფონავა

ბუბა: თუ თავისუფალი დრო მაქვს, ჩემს უბნელებთან ერთად ვარ და სადმე მივდივართ ხოლმე, ან ერთ-ერთის სახლში ვერთობით ყველა ერთად. ყველას თავის საქმე აქვს, თუმცა ძირითადად, მაინც, როცა მე ვარ თავისუფალი, მაშინ ვიკრიბებით. ყველას „მოვხოდავ“ ხოლმე *(იცინის)*. ახლა ცოტა რთული პერიოდი მაქვს საატესტატო გამოცდების გამო, მაგრამ, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

ხატია: მეც, უკვე მეორე თვეა, ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს, მაგრამ მეგობრებისთვის მაინც ვიცლი. თუმცა, რომ გითხრა, ბოლო ორი თვე ძველებურად ვერთობი და სადმე დავდივარ-მეთქი, მოგატყუებ. უფრო საქმეზე ვარ კონცენტრირებული.

– სერიალში ნუნუკა თქვენს დაშორებას ცდილობს. რეალურ ცხოვრებაში თუ გქონიათ შემთხვევა, რომ მშობლებს თქვენი არჩევანი არ მოსწონებიათ?

ბუბა: მე ახლა შეყვარებულიც არ მყავს და ასეთი თემები ძალიან შორსაა ჩემგან *(იცინის)*. ხატია, შენ რას იტყვი?

ხატია: ასეთი ცანცარული რაღაცეები არ მომსვლია ცხოვრებაში. თამუნასავით „შტერი“ არ ვარ. ოჯახის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. არა მგონია, ისეთი ადამიანი მომეწონოს, რომელიც მათ არ მოეწონებათ. მაგრამ თუ მაინც მოხდა ასე და ვინც მე მომწონს ჩემი ოჯახისა და მეგობრებისთვის მიუღებელია და არც ჩემი შესაფერისია, მაშინ მათ აზრს აუცილებლად გავითვალისწინებ. თუმცა, არა მგონია, ასეთი რამ მოხდეს. ზოგადად, ახლა იმდენად ჩართული ვარ საქმეში, პირადი ცხოვრება თითქოს გვერდზე გადავდე.

ბუბა: ჩემს ცხოვრებაშიც მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები არიან.

ხატია: იმას არ ამბობ, მე რომ სიყვარულს მიხსნიდი? *(იცინის)*.

ბუბა: ხატიას სიყვარული ავუხსენი და პასუხს ველოდები. მითხრა, ორი კვირა დამაცადეო და ერთი კვირა უკვე გავიდა. ვნახოთ, ახლა რა იქნება. ბაქარს უყვარს თამუნა და ბუბა პასუხს ელის ხატიასგან. ხალხო, მიგულშემატკივრეთ! *(იცინის)*.

– თაყვანისმცემლები არ ცდილობენ თქვენს მოხიბვლას?

ხატია: ბუბა პოპულარული ბიჭი გახდა და ეჭვიც არ მეპარება, რომ მის მოხიბვლას ცდილობენ. ეს მეც კარგად ვიცი. კაცები, ხომ იცი, ბევრს არ ლაპარაკობენ და ეს არ იტყვის, მაგრამ საკმაოდ ბევრი გოგონაა მისით დაინტერესებული.

ბუბა: მეც გამაცანი, იქნებ ბედს ვეწიო *(იცინის)*.

ხატია: ნახე, როგორ არ იმჩნევს *(იცინის)*. ფოტოებს მანახვებს ხოლმე – ამას მოვწონვარო და მე ვუფასებ. ვეუბნები, მომწონს თუ არა.

ბუბა: მე გარეთ როცა გავდივარ, ისე ვიქცევი, როგორც არ უნდა მოვეწონო გოგოს, ჩემთან არ მოვა. თავს არ მიაყენებს ასეთ შეურაცხყოფას *(იცინის)*. ყველაფერს ვაკეთებ ამისთვის. არაორდინარულად ვიცვამ. მაგალითად, – დიდი „ბატინკები“, მუხლებამდე აწეული გეტრები და მაისური, რომელსაც ოცდაათი „ძუძუ“ ახატია. მიყვარს ბოლომდე გაჯაზება. გოგოებს ძირითადად „დასტოინი“ ბიჭები მოსწონთ და არ შემიძლია, მათთვის „ვკერო“ სახეები *(იცინის)*. მეგობრებთან ერთად ძალიან მხიარული ვარ და მოკლედ, ისე ვიქცევი, რომ შე იძლება, გამარჯობაც არ მითხრან გოგოებმა *(იცინის)*. მართლა არ შემიძლია, იმისთვის, რომ ვინმეს მოვეწონო ან „ძველი ბიჭი“ გავხდე, ან „დასტოინი“, ანდაც ყოვლისშემძლე. ვარ, ვიყავი და ვიქნები ისეთი, როგორიც ვარ.

ბუბა: „ისე ვიქცევი, როგორც არ უნდა მოვეწონო გოგოს, ჩემთან არ მოვა. თავს არ მიაყენებს ასეთ შეურაცხყოფას“

ხატია: მე არ ვცდილობ, თაყვანიმცემლების დაფრთხობას. ყურადღება სასიამოვნოა, თუ ზომიერების ფარგლებში ჯდება.

– თქვენ როგორები მოგწონთ?

ბუბა: კომუნიკაბელური და ყურადღებიანი გოგონები მომწონს. „კაი ოჯახის შვილი“ უნდა იყოს, აუცილებლად თავადური გვარით. აბა, გლეხს ხომ არ მოვიყვან *(იცინის)*. სერიოზულად რომ დავფიქრდე, რაღაც ისეთი უნდა ჰქონდეს, რაც სხვას არ ექნება.

ხატია: ჩემს ყურადღებას ძლიერი მამაკაცები იმსახურებენ. რეალიზებული, შემდგარი და განთლებული უნდა იყოს და აუცილებლად ჯენტლმენი. იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ მასში ჩემს ზურგს ვხედავდე.

ბუბა: შენ სტალონე და ჩაკ ნორისი გდომებია.

ხატია: არ ვიცი, ეს პრეტენზიებია თუ ამბიციები, მაგრამ ვფიქრობ, რომ არიან ასეთი მამაკაცები.

– ერთმანეთის თაყვანისმცემლებს იცნობთ?

ხატია: სადაც არ უნდა მოვხვდე, ბაქარის შესახებ უამრავ რამეს მეკითხებიან. ყველას ძალიან უყვარს და აინტერესებთ, როგორია სინამდვილეში. შეყვარებული არ არის, მაგრამ, მგონია, რომ იყოს, ცოტა დაბნეული იქნებოდა.

ბუბა: ეს შეყვარებული მეც არ მინახავს და ისე, ხატია, ზოგადად, ყველას ეპრანჭება *(იცინის)*. ლამაზი და პოპულარი გოგოა და ასეც უნდა იყოს. თუმცა, სერიოზული არაფერი ყოფილა ან მე არ ვაკვირდები და არ შემიმჩნევია.

– ხატიას ნომერი არ უთხოვიათ შენთვის?

ხატია: *(იცინის)* ერთხელ მითხრა: ვიღაცამ მომწერა, თამუნას ნომერი მომეცი და არ დავურეკავო.

ბუბა: ჰო, გამარჯობაც არ უთქვამს, პირდაპირ ამის ნომერი მთხოვა. თან, არც ვიცნობდი ვინ იყო.

– როცა სერიალში ახალი გამოჩენილი იყავი, მითხარი: იმედია, პოპულარობა თავში არ ამივარდებაო. ახლა ხატიას ვკითხავ, შეცვალა ბუბა წარმატებამ?

ხატია: ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ ბუბა დღესაც ისეთივეა, როგორიც პირველ დღეს იყო.

ბუბა: ახლა სხვა რამეზე ვარ გადართული. გამოცდები მაქვს და პროფესიაც უნდა ავირჩიო. სერიალი ძალიან მაგარია და რა თქმა უნდა, არ ვნანობ იქ მოხვედრას. პირიქით, ძალიან მიხარია. უბრალოდ, რაღაც პერიოდის მერე, მოვა დრო, როცა ცოტა უნდა დავისვენო. მსახიობობას არ ვაპირებ, თუმცა, თუ ვინმეს დავჭირდები, მერე გადავწყვეტ, შემეძლება თუ არა იმ მომენტში ამის გაკეთება, ჩემი საქმიანობის პარალელურად. ახლა სამოცი პროცენტით ჯარში წასვლა მინდა, ორმოცი პროცენტით – პოლიციის აკადემიაში ჩაბარება და რაიმე სტაბილურ სამსახურში დასაქმება. ეს ყველაფერი ისე უცებ მოვიდა ჩემს ცხოვრებაში, რომ ცოტა დავიღალე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმადური ვარ. უბრალოდ, ჩემს თავს ვატყობ, რომ ცოტა ხანს დასვენება მჭირდება ძალების აღსადგენად.

– ბაქარი კიდევ ერთხელ „წეიქცა“. ამ სცენის ჩაწერა არ იყო სახალისო?

– არ იყო, იმიტომ, რომ იმ დღეს ცუდად გავხდი. არაფერი მქონდა ნაჭამი. გადაღებები დიდხანს გაგრძელდა და ვეღარ მოვიცალე. ხელები ამიკანკალდა, თავი და თვალებიც უცნაურად მქონდა და რა გამაცინებდა, მიგდებული ვიყავი *(იცინის)*.

ხატია: სცენარიდან გამომდინარე, ძალიან ვხალისობთ ხოლმე. განსაკუთრებით ერთი მომენტი დამამახსოვრდა. როცა კატო ტელევიზიაში მიმინვევს და ამის შემდეგ ნუნუკა მოდის ჩვენთან სახლში. მლანძღავს და სახლიდან მაგდებს. სასაცილოც იყო და საინტერესოც. ქეთი ჩხეიძესთან თამაში პროფესიულად გზრდის.

ბუბა: მე ყველაზე კარგად პირველად რომ მცემეს, ის სცენა მახსოვს. როცა ვამბობ „გაყინული ქათამი მაინც დამადევით ვინცხამ“. ამ ფრაზაზე ყველას ძალიან გვეცინებოდა. ველარ ვიღებდით და რეჟისორი, გიორგი ლიფონავა ისე გაბრაზდა, საერთოდ გაგვექცა გადასაღები მოედნიდან. ბოლოს ჩვენით გადავიღეთ *(იცინის)*.

თამუნა: ბაქარის ფრაზები ყოველთვის აქტუალურია: „შოკოლადი გიყვარს?“, „გევიანადო?“, „წევიქეცი“, „კიდევ ერთხელ უნდა დევიტანჯოთ“ *(იცინის)*.

– ხატია, შენი მისამართით თავიდან ბევრი უარყოფითი კომენტარი კეთდებოდა. ახლა შეიცვალა მდგომარეობა?

ხატია: ახლა, პირიქით, თამუნა ყველას შეუყვარდა. ეცოდებათ და გულშემატკივრობენ. აღმოჩნდა, რომ მათი სიყვარული ძალიან ძლიერია. იმდენად, რომ მოახერხეს ნუნუკას წინააღმდეგობის დაძლევა და ჯვარიც დაიწერეს.

ქეთი კაპანაძე

ასმათ ტყაბლაძის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო ეტაპი იყო. ფიქრობს, რომ იღბლიანი ქალია – იმის მიუხედავად, რომ მისი პირადი ცხოვრება ისე ვერ აეწყო, როგორც ფიქრობდა. კარგი მეგობრები, საინტერესო როლები და მძაფრი ემოციები, რაზეც ნიჭიერი და საყვარელი მსახიობი, როგორც მას სჩვევია, რესპონდენტის როლშიც გულწრფელად საუბრობს.

რატომ ეპრანჭებოდნენ ასმათ ტყაბლაძეს ცოლიანი კაცები და როგორი იყო მისი სამი სიყვარული

ასმათ ტყაბლაძე: ჩემი ცხოვრების გზაზე ყველაზე დიდი გავლენა ჩემმა ხასიათმა იქონია. ჩემი მთიული ხასიათის წყალობით, ძალიან პირდაპირი ვიყავი ყოველთვის, მომთხოვნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ, რაც რაღაც თვალსაზრისით, მირთულებდა კიდეც ცხოვრებას. ამასთან ერთად, შემოქმედებითი ადამიანი ვარ. ეს მხოლოდ ჩემს პროფესიასთან არ არის დაკავშირებული. მეოთხე კლასის მოსწავლე ვიყავი, მომინდა, კარგი კაბა მქონოდა, ავდექი და შევიკერე. პირველი კაბა მაინცდამაინც კარგი არ გამომივიდა, დედა გამიბრაზდა, მაგრამ მეორე ცდაზე გამოვასწორე. როცა ადამიანს აქვს სურვილი, გააკეთოოს რამე, ის ამას აუცილებლად გააკეთებს. პაპა გიჟდებოდა ჩემზე, ძალიან ვგავდი დედამისს, რომელიც თურმე საოცრად კერავდა. ჩემი დიდი ბებია ჩემს სოფელში ჭრა-კერვას და წერა კითხვას ასწავლიდა ახალგაზრდებს. კვიცი გვარზე ხტისო და მეც მას დავემსგავსე. ჩემი წინაპარი დედის მხრიდან, სამასი არაგველიდან ერთ-ერთი იყო. მისი სიგელი და ხმალი დღემდე გვაქვს შემონახული – ახლა ასეთი წინაპრის შთამომავალს მებრძოლი ხასიათი არ მექნებოდა? ისე მოხდა, რომ მეც არაერთხელ მომიწია მებრძოლა ცხოვრების რთულ ეტაპებთან, რასაც, ვფიქრობ, ცუდად არ გავართვი თავი *(იცინის)*. გენეტიკას დიდი გავლენა აქვს ადამიანზე. ისე მოხდა, რომ ყოველთვის ვხვდებოდი ყურადღების ცენტრში.

ალბათ იღბალიც იყო, რომ ასე მაგნიტივით ვიზიდავდი ადამიანებს. მათ ჩემი სიალალე მოსწონდათ. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან აქტიური ვიყავი კარიერული წინსვლისთვის და ამან დამაზარალა ჩემს საქმეში, რომელიც ძალიან მიყვარდა. ვნანობ, რომ უფრო მეტი არ გავაკეთე თეატრში, მეტად არ ვიბრძოლე ჩემი კარიერისთვის. მაგრამ, ჩემთვის უცხო იყო ხრიკები და ეშმაკობები, რომლის გარეშეც შორს წასვლა ჭირდა. არ არსებობდა დუბლიორისთვის თამაში არ დამეთმო, ან ეშმაკობა დამეწყო ჩემს კოლეგასთან. პირიქით, მე ვიყავი ხოლმე „დაზარალებული". ამის მიუხედავად, ბოლომდე ვერ დამჩრდილეს, რეჟისორები კარგ როლებს მანდობდნენ. რატომღაც ისე მოხდა, რომ დამებედა ცოტა უცნაური, არეულ-დარეული, თუმცა საინტერესო ქალების როლის შესრულება. საინტერესო ქალები ვითამაშე „მარადისობის კანონში," „რეფორმატორში". ბოლოს ვითამაშე რევოლუციონერი ქალი, რომელსაც შეეძლო სიყვარულის გულისთვის ბავშვის მოკვლა. ეს არ იყო იოლი, ამას ნიჭიერება სჭირდება.

ახლა რომ წარმოვიდგინო, ვინმე ბებერი დაჩლახუნობდეს ჩემ გვერდით, ჭკუიდან გადავალ

– ალბათ, თქვენი ცხოვრება და ხასიათიც იყო ამაში გადამწყვეტი. ამბობენ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ იმ წლებში.

– თაყვანისმცემლები მართლაც ბევრი მყავდა. ვერ ვიტყვი, რომ მე განსაკუთრებულად ვზრუნავდი ამაზე, თავისით ხდებოდა ასე. მე თვითონ ვცდილობდი ხოლმე დისტანციის დაცვას. ზოგი ურთიერთობა მეგობრობაში გადამყავდა, ზოგიც თავისით მიდიოდა, ზოგთან კი მე დავასრულებდი ხოლმე ყველაფერს. როცა რთული პერიოდი მქონდა, უცხოეთში მივდიოდი, და ამით ვცდილობდი ტკივილისთვის თავის დაღწევას. ეს ყველა ქალს გაუვლია. ყველაზე რთულ პერიოდებში მშველის და მშველოდა იუმორი, რომელიც, როცა გტკივა, მაშინ თუ არ მოიშველიე, შეიძლება, სიკვდილამდე მიხვიდე. მე მძაფრი სიყვარული ვიცოდი, მაგრამ რაც არ უნდა მყვარებოდა, ამას არ გამოვხატავდი. ოო, ძალიან თავმოყვარე ვიყავი. როგორ ვაფიქრებინებდი მამაკაცს, რომ მე ვეძალები ვინმეს? რა მჭირდა სამაგისო? კარგად ვქსოვდი, ვკერავდი, კარგად ვსწავლობდი, კარგი გარეგნობა მქონდა, კარგი მეგობარი და კოლეგა ვიყავი, უფრო კარგი კი შვილი – ასი ნელი და ოთხი თვე ვაცოცხლე ჩემი დედიკო. იმ განცდებსაც კი არ ვამხელდი, რაც სიყვარულს ყოველთვის ახლავს. აბა, ჯერ მუსიკალური სასწავლებელიო, მერე კარგი მეგობრებიო. აბა გართობა, წასვლა წამოსვლა და ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მარტო დავრჩი. ყველა ჩემი მეგო-

„საქართველოს ბანკის" ამაგდარი ფინანსისტი

ცნობილი ფინანსისტი და ეკონომისტი **დიმიტრი გოშაძე** 40 დღის წინ თბილისიდან ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს. მისი სურვილისამებრ, იგი მშობლიურ სოფელში დაკრძალეს – იქ, სადაც მისი მშობლები და საყვარელი და განისვენებენ.

დიმიტრი გოშაძე 1931 წელს ონის რაიონის სოფელ ქვაშხიეთში დაიბადა. სწავლობდა ადგილობრივ სკოლაში. 14 წლის იყო, უბედური შემთხვევის გამო მამა – სერაპიონ გოშაძე რომ გარდაიცვალა. ამიტომ, სკოლის მოსწავლეობისას მოუწია, ფიზიკურად ეშრომა, რათა ოჯახს მატერიალურად დახმარებოდა. ბეჯითმა სწავლამ, მუყაითობამ და კეთილმა ხასიათმა თავისი შედეგი გამოიღო – დიმიტრი გოშაძემ წარჩინებით დაამთავრა სკოლა, შემდეგ – საკავშირო საფინანსო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო სამრეწველო ბანკის რუსთავის განყოფილებაში. 1955 წლიდან ის რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში გადადის ჯერ საგეგმო განყოფილების უფროსად, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ ეკონომიკურ საკითხებში. რამდენიმე წელიწადში ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე გახდა საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სამრეწველო ბანკის თხოვნით დიმიტრი გოშაძე ისევ საბანკო სისტემაში ბრუნდება. 1970 წელს მას ბანკის რესპუბლიკური კანტორის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად ნიშნავენ. 1988 წელს საქართველოში საბანკო სისტემის რეორგანიზაცია მოხდა. დიმიტრი გოშაძე ახლად შექმნილი „ბინსოცბანკის" (დღევანდელი „საქართველოს ბანკის" გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან 1994 წლამდე იმუშავა, შემდეგ კი ბანკის ვაკის განყოფილების მმართველად გადაიყვანეს. ეს აღმოჩნდა ყველაზე მძიმე პერიოდი იმდროინდელი საქართველოს საბანკო სისტემაში. ქვეყანაში თარეშობდნენ შეიარაღებული საძმოები და მხედრიონელები ნაირ-ნაირი პრეტენზიებითა და უსაფუძვლო მოთხოვნებით. 1995 წელს ბატონი დიმიტრი „გაერთიანებული ქართული ბანკის" შიდა აუდიტის მთავარი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. ბატონი დიმიტრი ყოველთვის კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ნაკლოვანებებისა და უკანონო ქმედებების მიმართ, რაც საქართველოს ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში ასეთ თანამდებობაზე მომუშავე, პროფესიონალი ფინანსისტისგან საკმაოდ დიდ ძალისხმევას, სიმამაცესა და პასუხისმგებლობას მოითხოვდა.

ბატონი დიმიტრი ძალზე არაორდინარული და საინტერესო ადამიანი გახლდათ: წერდა ლექსებს; ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია მისი მემუარული ჟანრის პროზაული ნაწარმოები, რომელშიც იგი არაჩვეულებრივი მხატვრული ხერხებით აღწერს საქართველოს ულამაზესი მხარის – რაჭისა და მისი მცხოვრებლების ყოფასა და წეს-ჩვეულებებს; წარმოაჩენს ამ კუთხის უნიკალურობასა და სილამაზეს. ის იყო არაჩვეულებრივი თამადა და ქართული სიმღერების შემსრულებელი. ბატონი დიმიტრი არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და ბაბუა (ჰყავს 2 შვილი და 3 შვილიშვილი) იყო. მისი მეგობრები ხშირად იხსენებენ მადლიერებითა და სიკეთით გამორჩეული მისი ცხოვრების გზას.

კობა ბრეგვაძე

ქილების მასაჟი

– ქალბატონო მარი, რა ვუყოთ აკრეფილ კილოგრამებს, როცა გვინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ?

– ადამიანი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში წონაში იმატებს და თუკი ადრე ამ მომატებულს მალევე და ადვილად იკლებდა, ახლა უკვე დიდი ძალისხმევითაც ვერ ახერხებს ამას. ზოგიერთი ეგუება ამ ფაქტს, ხელს ჩაიქნევს და განაგრძობს მატებას. ზოგიერთი კი ტანჯვა-წამებით დაკლებულ 2-3 კილოგრამს მალევე ორმაგად იბრუნებს. ისინი, ვინც თვეში ნახევარი კილოგრამის მომატებას არაფრად არ აგდებენ, ერთი წლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ თურმე ექვსი კილოთი მეტს იწონიან. ვაკუუმ-თერაპია ყველაზე ეფექტური მეთოდია ჭარბ წონასთან და ცელულიტთან ბრძოლაში. სხეულზე პროცედურები კეთდება დიდი და საშუალო ზომის ქილებით. ისინი ქმნიან ძლიერ ვაკუუმს, რის შედეგადაც ცელულიტი ჯერ რბილდება და შემდეგ მცირდება. წარმოიდგინეთ, ერთდროულად დასმული ათი ნახევარლიტრიანი ქილების დიამეტრის ვაკუუმი. ეს ძალიან დიდი ძალაა, გარდა ამისა, თერმულ-მექანიკური ზემოქმედებაც ხდება და კანი, რაც არ უნდა მოიკლოთ, არ დაკარგავს ელასტიკურობას და არ „ჩამოეკიდება“.

– რამდენი კილოგრამის დაკლებაა შესაძლებელი საშუალოდ და რა ღირს ერთი პროცედურა?

– 8-10 კილოგრამის დასაკლებად 15-20 პროცედურაა რეკომენდებული, სეანსი ერთი საათი გრძელდება და 35 ლარი ღირს. ერთდროულად პაციენტს ენიშნება სწორი კვება (სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის მიხედვით), თუ არ არის წონის პრობლემა, მაგრამ საჭიროა სხეულის ცალკეული ნაწილების (გალიფე, თეძოები, დუნდულები, წვივები, მხრები) კორექცია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურები უტარდებათ, ოღონდ დიეტის გარეშე. ზოგიერთი მეკითხება: „თუ დიეტა დავიცავი, ხომ ისედაც დავიკლებ, რაღა საჭიროა მასაჟი?“ გარწმუნებთ, მარტო დიეტის დაცვით ამ ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოიგვარებთ, მოიკლებთ ყველგან, გარდა იმ ადგილებისა. თანაც მიიღებთ ნატანჯ-ნანამებ სახის გამომეტყველებას. უფრო მეტად გაღიზიანებულები, კონფლიქტურები და დეპრესიულები გახდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, წონის დაკლებისას დანიშნული სწორი კვების რეჟიმის მკაცრი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „დიეტიდან“ გამოსვლა, ანუ, მიღებული შედეგის შენარჩუნება. იმიტომ რომ, ამ დროს ორგანიზმი არასწორად იღებს საკვებს ცხიმების სახით, აი, საიდან მოდის დიეტის შემდეგ კვლავ წონის მომატება. აუცილებელია, მიეცეს პაციენტს სწორი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ მოიქცეს შემდგომში იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს „რიკოშეტის“ რეაქცია. პროცედურების დროს ჩვენ პარალელურად ვიყენებთ თაფლს, შავ შოკოლადსა და ყავას. მათ გააჩნიათ ანტიცელულიტური მოქმედება. ქილებით დამუშავებულ და გახსნილ ფორებში, კანქვეშა ცხიმიდან ქსოვილებში აღწევენ და შლიან მათ. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ პაციენტები, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებითაც კი უფრო გამხდრად გამოიყურებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან დაკლებულები, რადგან ვიზუალური კლება სანტიმეტრების ხარჯზე ხდება.

– ამავე მეთოდით ხდება სახეზე ნაოჭების გასწორება. გამიგია, რომ ამ მასაჟის შემდგომ შეიძლება, ლაქები გაჩნდეს, ტანზე კიდევ არა უშავს, მაგრამ სახეზე?

– მეთოდი იგივეა – ვაკუუმთერაპია, მაგრამ სახეზე, სხეულისგან განსხვავებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ მცირე და საშუალო ზომის პარამეტრებს და შესაბამისად არანაირი ლაქები არ რჩება.

ამ პროცედურების გაკეთება ექიმისგან დიდ სიფრთხილეს, ყურადღების კონცენტრირებას, პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს. ეს მეთოდი აძლიერებს სისხლის მიკროცირკულაციას კანქვეშ და ნაოჭები ქვევიდან, სილრმიდან სწორდება. კრემები (რაც უნდა ხარისხიანი და ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს), კი ზედაპირზე მოქმედებს და მათი ეფექტი მოკლევადიანია. დოზირებული ვაკუუმით სახის კანზე ჩვენ ვახდენთ ღრმა ზემოქმედებას ნაწიბურებზე, ნაოჭებზე. ამ დროს 4-5-ჯერ ძლიერდება მიკროცირკულაცია. „ცოცხლდებიან“ დისტროფიული უჯრედები და „გაზარმაცებულ“ კაპილარებში სისხლის დიდი ნაკადი მიედინება. აი, რაშია ამ მეთოდის უნიკალურობა და შეუდარებელი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი!

– ამ შემთხვევაში რამდენი პროცედურაა ჩასატარებელი და რა ღირს ერთი მასაჟი?

– სახის მასაჟი 40-50 წუთი გრძელდება და 20 ლარი ღირს, თავიდან დღეგამოშვებით კეთდება, სანამ სისხლის და ლიმფის მიმოქცევა აღდგება, შემდეგ კი, მიყოლებითაც შეიძლება. პროცედურები არ ტარდება ჩირქოვანი გამონაყარის, ჰერპესისა და სოკოვანი დაავადებების დროს.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმეტესობა პირველივე სეანსების შემდეგ აღნიშნავს, რომ კანს უბრუნდება ჯანმრთელი ელფერი (ამას განსაკუთრებით მწეველები ამბობენ), წვრილი, მიმიკური ნაოჭების რაოდენობა მცირდება, ხოლო ღრმა, ფუნქციური ნაკეცები ნაკლებად გამომხატველი და თვალში საცემი ხდება (დერმატოლიფტინგის ეფექტი). მომდევნო სეანსების შემდეგ კანის სტრუქტურა მკვეთრად უმჯობესდება. მცირდება შეშუპებები და ლაქები თვალების გარშემო, მყარდება სახის კუნთოვანი კარკასი და პაციენტი 5-8 წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვაკუუმთერაპია ებრძვის ძველ, უკვე არსებულ და ახალ მიმიკურ ნაოჭებს. გარდა ამისა, კურსის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გარდა, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ზოგადი მდგომარეობა. აღნიშნავენ ენერგიის მოზღვავებას, ძალის მოწესრიგებას, უმიზეზო თავის ტკივილებისა და დეპრესიული მოვლენების ალაგებას, უმჯობესდება ადამიანის გუნება-განწყობა და პაციენტი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

ექიმი მარინა ლომიძე 593-30-00-08.

ბარი დაოჯახდა. თავიდან ვფიქრობდი, რა დროს გათხოვებაა-მეთქი და მერე მივხვდი, რომ დრო გამეპარა. ჩემს თავში ისე ვიყავი დარწმუნებული; ისე მქონდა მორგებული პოზა, რომ ყურადღება არ მაკლდა; ამაზე უფრო ღრმად არ ვიფიქრე. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემს შვილს ხელი შევუწყვე, რომ მალე გათხოვილიყო. ინსტიტუტში სხვა ურთიერთობები იყო – საოცარი მეგობრები მყავდა ბიჭებს შორის, მაგალითად, გია ფერაძე, მათთან ისე ვმეგობრობდი, ვერც წარმომედგინა სხვანაირად მეფიქრა. უცებ აღმოჩნდა, რომ დავრჩი როგორც ეული. ყველას ცოლი ჰყავდა, ამიტომაც იყო, რომ დაიწყო ცოლიანი კაცების „შემოტევა“, მეპრანჭებოდნენ *(იცინის).*

– თავად ბევრჯერ გიყვარდათ?

– სულ სამჯერ მიყვარდა ცხოვრებაში, მეტი არ მყვარებია. გართობით, ფლირტით, რა კარგი ბიჭია – ითქვა და გაიარა, ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ იყო. მაგრამ, ნამდვილი დიდი სიყვარული სამჯერ მქონდა. ალბათ, ჯობია, თუ გაგიმართლა ერთხელ გიყვარდეს და ბოლომდე, მაგრამ ეს იშვაითად ხდება. ჩემი ერთი ისტორია ტრაგიკულად დასრულდა. ორი – ჩვეულებრივ, როგორც ხდება ხოლმე: ერთი, როცა შეხვედრები დავიწყეთ, ცოლს იყო გაცილებული და მას დაუბრუნდა, ასევე იყო ბოლოც – ისიც ცოლიანი იყო და ისე დავუსვი წერტილი ამ ურთიერთობას, უკან არ მიმიხედავს. არ მინდოდა, მის ოჯახს პრობლემები შექმნოდა. არ ვიყავი ის ქალი, რომელიც დათანხმდებოდა, რომ მამაკაცი ოჯახიდან წამოსულიყო და შვილისთვის ტრავმა მიმეყენებინა. ხომ არიან ქალები, რომლებიც მერე ამბობენ: რა ვქნა, შევუყვარდი მე უფრო მეტად, ვიდრე ის და სახლიდან ამიტომ წამოვიდაო. ეს თვითონ გაარკვიონ, ვინ მეტად უყვარდათ და ვინ - არა. მე მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი, როცა ჩემი საკუთარი დავშალე და სხვას ხელი არ შევუშალე. ამიტომაც ვიყავი თამამად და არ მეშინოდა, რომ ვინმე რამეს წამომაძახებდა. არ ჩამიდენია ისეთი დანაშაული, ვინმეს ამაზე რამე მოეხალა ჩემთვის. ვერავინ დამაყვედრებს თავს. მარტომ ისე გავზარდე ჩემი შვილი, ათი მამა რომ ჰყოლოდა, ისე ვერ გაიზრდებოდა. ჩემი შვილი ჩემთვის ყველაფერია, ყველაზე დიდი სიყვარული. არაფერი აკლდა ჩემს გოგოს. ოთხი ენა ვასწავლე, კარგი ადამიანი გავზარდე. მე ისეთი ძლიერი ქალი ვიყავი, ვერც კი წარმომედგინა სუსტი მამაკაცის გვერდით ცხოვრება. ახლა რომ წარმოვიდგინო, ვინმე ბებერი დაჩლახუნობდეს ჩემ გვერდით, ჭკუიდან გადავალ *(იცინის).*

– თქვენი ცხოვრების რთული პერიოდებიდან დღეს ყველაზე მეტად რა გახსოვთ?

– იმის მიუხედავად, რომ ქალისთვის პირადი ცხოვრება და ემოციები ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემთვის ყველაზე მტკივნეული მაინც თეატრიდან წამოსვლა იყო. არც კი ვიცოდი, რით გამოვსულიყავი. ოო, მაშინ ძალიან გამიჭირდა. როცა საყვარელ პროფესიაში იმას ვერ იღებ, რაც უნდა მიიღო, ეს ყველაზე რთულია. სიყვარულის ტკივილი ნელდება, ეს ტკივილი კი სხვანაირია. თეატრის მერე ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ფარ-ხმალს ვერ დავყრიდი - 86 წლის დედა, და, შვილი მყავდა სახლში, მიხედვა, პატრონობა სჭირდებოდათ. ამ მხრივ მქონდა გამოცდილება. სტუდენტობის დროსაც და თეატრშიც, ყოველთვის მქონდა პერიოდი, როცა ვკერავდი, ვქსოვდი და ამით დამატებით შემოსავალს ვიღებდი. მერე, როცა ყველაფერი გაქრა და თეატრში ჩემი ხელფასი შვიდი ლარი იყო, რაღაც ხომ უნდა გამეკეთებინა? ავდექი და წავედი უცხოეთში, როგორც სხვებმა იყიდეს, ისე ვიყიდე მეც, ჩამოვიტანე, ჩავაბარე და ფული დამრჩა. მახსოვს, გასტროლებზე ვიყავით იაპონიაში, მანქანები ვიყიდეთ იაფად, ჩამოვიტანეთ, გავყიდეთ. ზოგიერთი მალავდა ამას, რცხვენოდათ, მე არასდროს დამიმალავს. სირცხვილი ისაა, როცა ადამიანს უმტრობ, მოპარავ, ცუდად მოექცევი. რომ იყიდი და გაყიდი, სირცხვილი არაა. არასდროს შემშინებია ცხოვრების, არც მაშინ, როცა მარტო დავრჩი უამრავი პრობლემის წინაშე. მერე ნატაშა ჩხიკვაძემ გაგვიხსნა გზა პაკისტანისკენ, ჩინეთისკენ. საოცარი ქალი იყო ნატაშა. ნელ-ნელა გამიჩნდა კონტაქტები, რამაც მომცა საშუალება, გამეზარდა ბიზნესი. მერე გავაკეთე ბარი, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი პოპულარულია. როცა ამ საქმეს მოვკიდე ხელი, ვფიქრობდი, რა გამოვიდოდა, მაგრამ გაამართლა. ცხოვრებაშიც ასეა – უნდა გაბედო, იმოქმედო, ოღონდ ისე, რომ სხვას არაფერი გაუფუჭო. ამ „გზით“ ყველაფერი გამოდის და ცხოვრებაც ბევრად უფრო საინტერესო ხდება.

თამუნა ნიჟარაძე

8 ივნისს იწყება პეტრეპავლობის მარხვა, რომელიც 12 ივლისამდე გრძელდება. ეს მარხვა წელიწადში არსებულ ოთხ მარხვათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):

როდის უნდა ითხოვონ ქრისტიანებმა კონკრეტული მარხვა სხვადასხვა განსაცდელისთვის და როგორ ეხმარებიან ამით ისინი სხვა ადამიანებს

– ყველა ქრისტიანი ვალდებულია, დაიცვას ოთხი კალენდარული მარხვა, ასევე, ოთხშაბათ-პარასკევის მარხვები და ისე დღეები, რომლებიც ეკლესიამ მარხვად დაადგინა. უნდა ვიცოდეთ, რომ ბოროტი სული ადამიანისგან გადის ლოცვითა და მარხვით. მარხვა სჭირდება პიროვნებას, რომელიც არის სულიერი. მას სჭირდება ხორციელი მოკვდინება, ხორციელი ცოდვების მიტოვება და სულიერი ცხოვრების დაწყება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარხვა არ არის ხორციელი, მარხვა არის სულიერი – განშორება ყოველგვარი უკეთურებისგან და ისეთ სულიერ მდგომარეობაში ყოფნა, როგორიც უფალს უნდა. წმიდა გრიგოლ ნოსელს დაწერილი აქვს შესანიშნავი შრომა – „რა არის ქრისტიანის სახელი და აღთქმა“, სადაც ასეთ რამეს გვეუბნება: თუკი ადამიანი ქრისტიანად იწოდება, უკვე სხვა ადამიანია, სხვა პასუხისმგებლობის მქონე, რადგან ყველა მისი მოქმედება სხვათა წინაშე, რომლებიც ქრისტიანები არ არიან, წარმოჩინდება როგორც ქრისტიანობა. შენ ქრისტიანი ხარ და რასაც აკეთებ, მათთვის ყველაფერი ქრისტიანის ნამოქმედარია. ამიტომ, ვინც მისიონერობას იტვირთებს, ცოტად თუ ბევრად, ამ აღმატებულ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს, რომ თავისი სამოღვაწეო თვისებებით, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ნებისმიერი სამოღვაწეო ქმედებით, ცხოვრების წესით, მისაბაძი იყოს.

გარშემო ყველას განვიკითხავთ, ვინც მარხვას არ იცავს, არ დადის ეკლესიაში, არადა, ჩვენ უარესად ვიქცევით

– რა ემართება იმ ადამიანს, რომელიც ეკლესიაში იწყებს სიარულს?

– როცა ადამიანი მოდის ეკლესიაში, მისი სული რენტგენზე გადის. როდესაც ისმენს სახარებას, სახარება სულიერ რენტგენზე ატარებს მის შინაგან მდგომარეობას და აღმოჩნდება, რომ ჩვენ უამრავი სნეულება გვაქვს, როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური. ქრისტიანული ანთროპოლოგია მოძღვრებაა ადამიანში ორი სიცოცხლის არსებობის შესახებ. ერთს ბერძნულად ჰქვია – „ბიოსი“, რაც იწყება შობით და მთავრდება გარდაცვალებით. ეს არის ეგოცენტრული და არსებობისთვის საჭიროებს ოთხივე სტიქიას – წყალს, ჰაერს, ცეცხლსა და მიწას. მეორე სიცოცხლე არის „ზოე“, რომელიც იბადება ადამიანში, გარდაცვალებით გრძელდება და მარადიულია. ეს არის ადამიანის სულიერი სიცოცხლე, პიროვნება, პერსონა, სული. ამიტომაც, ამ ორ სიცოცხლეს ერთმანეთში ძალიან დიდი კამათი და დავა აქვს. პირველი – ბიოსი – არის ხორციელი, ეგოცენტრული, ხოლო ზოე არის სულიერი, მარადიული და იბადება ადამიანში ძველი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, ანუ ძველი ცხოვრების მიტევებით და ქრისტეში განახლებით.

– როგორც ვიცი, არსებობს საგანგებო მარხვები და ლოცვები.

– როდესაც თქვენს ცხოვრებაში არის გარკვეული განსაცდელი: სნეულება, პატიმრობა და ასე შემდეგ, შეგიძლიათ, მოხვიდეთ ეკლესიაში, აიღოთ მოძღვრისგან კურთხევა და შეინახოთ გარკვეული მარხვა კონკრეტული ადამიანებისთვის – ეს ძალიან კარგი იქნება თუ შენი ოჯახის წევრი სნეულებაშია ან საპატიმროშია, ან შენი სულიერი და-ძმა განსაცდელშია, კარგი იქნება, თუ კვირაში ერთ დღეს დამატებით კიდევ იმარხულებ მისთვის – ეს იქნება შენგან ძალიან კარგი ქმედება, შენც განიწმიდები და მასაც დაეხმარები.

– როგორც ცნობილია, პეტრე მოციქულმა სამჯერ უარყო მაცხოვარი, ხოლო პავლე მოციქული დიდხანს დევნიდა ქრისტიანებს.

– პეტრე მოციქული არასდროს ტოვებდა უფალს, შესაბამისად, ის უშუალო მონაწილე და თვითმხილველი იყო უფლის მრავალი დიდი სასწაულქმედებისა. თუმცა ღმერთმა თავისი მიუწვდომელი განგებულებით დაუშვა პეტრე მოციქულის სამგზის განდგომა უფლისგან, როცა ქრისტე შეიპყრეს და განსასჯელად მღვდელმთავართან მიიყვანეს; მაგრამ, წრფელი სინანულითა და ცხარე ცრემლთა ღვრით მან გამოისყიდა საკუთარი სისუსტე და შენდობაც ითხოვა. წმიდა პეტრე, მოციქულთაგან პირველი, ღირს იქმნა და მკვდრეთით აღდგა. როგორც პეტრემ, პავლემაც ძალიან ბევრი ადამიანი მოაქცია და აზიარა ქრისტეს რჯულს. ბოლოს ის დაბრუნდა რომში, რადგან იცოდა, რომ მოახლოებული იყო მისი აღსასრული. ნერონმა მასაც სიკვდილი მიუსაჯა – პავლეს მახვილით მოჰკვეთეს თავი. ორი დიდი მოციქული ერთ წელიწადს არ აღსრულებულა, თუმცა, ცნობილია, რომ ორივე 29 ივნისს, ახალი სტილით 12 ივლისს მოაკვდინეს. გადმოცემით, როცა წმიდა პავლეს თავი მოჰკვეთეს, მისი ჭრილობებიდან სისხლი და რძე გადმოიღვარა. პეტრე მოციქული ღირსი გახდა იესო ქრისტეს ხილვისა. მოგვიანებით მან დიდი სასწაულმოქმედი ძალაც გამოამჟღავნა. ბოლოს კი, სხვა მოციქულებთან და სხვა მრავალ ქრისტიანთან ერთად, ისიც შეიპყრეს. პეტრეს, როგორც არარომაელს, ჯვარზე სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. როცა მეომრებმა ჯვარი აღმართეს, მოციქულმა ითხოვა, თავდაყირა გამომკიდეთო – ამით ჯეროვან პატივს მიაგებდა უფალს, რომელმაც თავისი ნებით დაითმინა ჯვარზე სიკვდილი; ამასთან, ღირსადაც არ მიაჩნდა თავი, რომ უფლის მსგავსად ჯვარცმულიყო. მართლაც, წმიდა პეტრე მოციქული თავდაყირა მიამსჭვალეს ჯვარს. სიკვდილის წინ მან უქადაგა ხალხს და ბოლოს მადლობა მიუძღვნა ღმერთს იმისთვის, რომ მოწამეობრივი ხვედრის ღირსი გახადა და ამ სიტყვებით ნეტარი სულიც განუტევა. დღეს ადამიანმა მარხვაც თავისი ამპარტავნების გამოსაჩენად და დასაკმაყოფილებლად მოიგონა, რათა ვინმეს წინაშე აღიმაღლოს თავი. იმის მაგივრად, რომ მარხვაში სიმდაბლე, სიყვარული მოიპოვონ, საკუთარი თავი შეიმეცნონ, შეიცვალონ, პირიქით, უფრო მეტ ამპარტავნებასა და ცოდვაში ვარდებიან. მარხვის შენახვით ადამიანი ისეთი აღარ უნდა იყოს, როგორიც მარხვის დაწყებამდე იყო და, თუ მარხვის დამთავრების შემდეგ ისევ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდება, მაშინ მთელი მისი მარხვა და მოღვაწეობა ფუჭი იქნება. მარხვაში ქრისტიანს უნდა გაეღვიძოს სულიერი მარხვა. მარხვამ თუ არ დაგვამდაბლა, თუ არ გაგვახსენა, რატომ არ უნდა მივიღოთ ან მივიღოთ ესა და თუ ის ნაყოფი, პირიქით, ამპარტავნებაში ვვარდებით, უფრო თავდაჯერებულები ვხდებით და ვშორდებით უფალს. გარშემო ყველას განვიკითხავთ, ვინც მარხვას არ იცავს, არ დადის ეკლესიაში, არადა, ჩვენ უარესად ვიქცევით. სამწუხაროდ, ბევრი, როგორიც მოდის ეკლესიაში, ისეთივე მიდის მარხვის შემდეგაც და ახლა უკვე მომდევნო მარხვას ელოდება.

მარხვის შენახვის შემდეგ ადამიანი ისეთი აღარ უნდა იყოს, როგორიც მარხვის დაწყებამდე იყო და, თუ მარხვის დამთავრების შემდეგ ისევ ძველ მდგომარეობას დაუბრუნდება, მაშინ მთელი მისი მარხვა და მოღვაწეობა ფუჭი იქნება

ნათია უტიაშვილი

ღვთისმშობლის ხატი – „კეთილმყოფელი“

ათონის წმიდა მთის ვათოპედის მონასტერში დაბრძანებულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, სახელით – „კეთილმყოფელი“, ანუ გამაფრთხილებელი. ხატი გამოსახულია წმიდა დიდმოწამე დიმიტრი სოლუნელის სახელობის ტაძრის გარე კედელზე, რომელიც სავანის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს არის მიშენებული. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხსენებული ხატის ეკლესიის გარე კედელზე დაწერის შესახებ ათონზე ასეთი გადმოცემა არსებობს: ბიზანტიის იმპერატორ თეოდოსი დიდის (მეოთხე საუკუნე) ასული – პლაკიდია თავისი ძმის, არკადის სახილველად რომიდან ზღვით კონსტანტინეპოლს გაემგზავრა (არკადი იმჟამად კონსტანტინეპოლში მეფობდა). პლაკიდიას განზრახული ჰქონდა, გზად ათონის წმიდა მთაზე გადასულიყო და მამის მიერ აგებულ ვათოპედის მონასტერში დაბრძანებულ ზეციური დედოფლის სასწაულმოქმედი ხატისთვის თაყვანი ეცა. მან მართლაც გასცა ბრძანება და ხომალდის მეთაურმა გემი ათონის მთის სანაპიროს მიაყენა. ვათოპედის სავანეში მოღვაწე მამები იმპერატორის ასულს დიდი პატივით მიეგებნენ. მაგრამ, როცა შეიტყვეს მისი სურვილი მონასტრის მოლოცვის შესახებ, ძალზე შეშინდნენ, რადგან ათონის მთის წესდების მიხედვით, მთაზე ქალის შესვლა სასტიკად იყო აკრძალული. შეწუხებული ბერები თავიანთი იმპერატორის დის სურვილს წინ მაინც ვეღარ აღუდგნენ და მასთან ერთად, ზღვის ნაპირიდან მონასტრისკენ გაემართნენ. პლაკიდიამ, რომელიც ბერებს თავმდაბლად მიჰყვებოდა, მონასტერში მათთან ერთად მთავარი კარიბჭით შესვლა არ იკადრა. ის სავანის ჩრდილოეთით, პატარა კარიბჭისკენ გაემართა. მაგრამ, როგორც კი მას მიუახლოვდა, ზეციდან მოულოდნელად მრისხანე ხმა გაისმა: „შესდექ! წინ ნაბიჯს ნუღარ წარსდგამ, თორემ სასტიკად დაისჯები!“ პლაკიდიას თავზარი დაეცა. შეშინებული ქალი მიხვდა, თუ რა საშინელი ცოდვა ჩაიდინა, როდესაც თავისი გაუთვალისწინებელი საქციელით წმიდა მთის წესდება დაარღვია. პლაკიდია მიწაზე დაემხო და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს შეევედრა. იქვე, მან სავანის ბერებისგან შეიტყო, რომ ზოგიერთი დედაკაცი, რომელნიც გაკადნიერდნენ და ათონის წმიდა მთაზე ცხადად თუ ფარულად შესვლას შეეცადნენ, უეცარი სიკვდილით დაისაჯნენ. პლაკიდიამ გულისხმაჰყო, რომ სიცოცხლე მას თავად ღვთისმშობელმა აჩუქა, როდესაც წმიდა მთის დარღვევისთვის სიკვდილით არ დასაჯა. ამ წყალობით გახარებულმა ქალმა სავანეში წმიდა დიდმოწამე დიმიტრის სახელობის ეკლესიის აგება, ხოლო იმ ადგილას, სადაც მას ზეციდან მრისხანე ხმა შემოესმა, ღვთისმშობლის ხატის გამოსახვა ბრძანა. სავანის ძმებს მან ასევე სთხოვა, რომ ხატის წინ მუდმივად ჰქონოდათ ჩაუქრობელი კანდელი (ამ წესს სავანის მამები დღემდე იცავენ). ხატს სახელად კეთილმყოფელი, გინდაც გამაფრთხილებელი ეწოდა.

როგორც კი დედოფალი პლაკიდია კონსტანტინეპოლში ჩავიდა, მან ვათოპედის მონასტერში მომხდარი სასწაულის შესახებ მაშინვე თავის ძმას, იმპერატორ არკადის აუწყა. ამ ამბით გახარებულმა იმპერატორმა ვათოპედის სავანეს მრავალი სიმდიდრე შესწირა. მან მონასტერს მამულები, რამდენიმე სავაჭრო ფარდული და ზღვისპირა ტბის მეოთხედი აჩუქა. ასევე, თავის მეჭურჭლეთუხუცესს დაავალა, რათა მას მონასტრისთვის ყოველწლიურ ძღვნად 12 ლიტრი ოქრო და 17 ლიტრი ვერცხლი გაეგზავნა.

საყურადღებოა, რომ ათონის წმიდა მთის წესდებას, მის მიწაზე დედაკაცის შესვლის აკრძალვის შესახებ, დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ წესს თვით დამპყრობელი ოსმალებიც კი, რომლებიც ათონის მთაზე საზედამხედველო სამსახურისთვის ინიშნებოდნენ, დიდი შიშითა და რიდით იცავდნენ.

ჭეშმარიტი სარწმუნოება

ნუ გაუშვებ ხელიდან მშობლის ლოცვა-კურთხევას

მშობლებს, განსაკუთრებით დედებს, მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ, როგორც გულმხურვალე ლოცვით შეუძლიათ, შვილებისთვის ღვთისგან უსაზღვრო მადლი მიიღონ, ასევე, გაღიზიანებულად ნათქვამით, წყევლით, რისხვით შეიძლება, შვილებს უბედურება დაატეხონ თავს.

მშობლები, რომლებიც სიტყვით „გზავნიან“ შვილებს ეშმაკთან, მას უძღვნიან თავიანთ შვილებს. ამის შემდეგ ეშმაკს უკვე აქვს უფლება ამ ბავშვებზე, ის ამბობს: „შენ მე ისინი თავად მომიძღვენი“.

ერისკაცისთვის მშობლის ლოცვა-კურთხევა უდიდესი განძია, ისევე, როგორც მონაზვნისთვის თავისი ბერის ლოცვა-კურთხევა. ამიტომაც ამბობენ: „ნუ გაუშვებ ხელიდან მშობლის ლოცვა-კურთხევას“.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მამა ბერი პაისი ასეთ შემთხვევას იგონებს: ერთ ქალს ოთხი შვილი ჰყავდა და ვერცერთი ოჯახს ვერ ეკიდებოდა. დედა ტირილით მეუბნებოდა: „მომკლავს ამათი დარდი, ილოცე მათთვის“. ეს ქალი ქერივი იყო, მე მეცოდებოდა ის და ვლოცულობდი მისი შვილებისთვის, მაგრამ უშედეგოდ. მივხვდი, რომ რაღაცა ისე ვერ იყო... ერთხელ მათ ვკითხე, დედა ბავშვობაში ხომ არ გწყვლიდათ-მეთქი.

– დიახ, მამაო, ბავშვობაში ძალიან ცელქები ვიყავით და დედა მუდამ გვწყევლიდა, – მიპასუხეს მათ.

– ნადით და დედათქვენს უთხარით, რომ თქვენი მოუწყობელი ცხოვრების ნამდვილი მიზეზი ეს არის. უთხარით, მოინანიოს, აღსარება თქვას და დღეიდან გამუდმებით გლოცოთ.

წელიწად-ნახევარში ოთხივემ ოჯახი შექმნა.

კარგია, როცა მშობელი ცოცხალია და ამდენად მონანიება შესაძლებელია. მაგრამ, ისმის კითხვა: თუ ის ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ თან წაიღო ეს ცოდვა? შეიძლება, თუ არა წყევლისგან გათავისუფლება?

მამა პაისი პასუხობს:

თუ შვილები თავის თავს ჩაუკვირდებიან და მიხვდებიან, რომ ადრე აშავებდნენ, აწვალებდნენ მშობლებს და ამიტომაც იქნენ დაწყევლილნი, თუ ისინი დანაშაულს აღიარებენ და ცოდვებს მოინანიებენ, ყველაფერი მონესრიგდება. სულიერ ცხოვრებაში წარმატებით ისინი განსვენებულ მშობლებსაც შეეწევიან.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება, თუ ზოგჯერ მოუცლელობის გამო ლოცვას შევამოკლებ?

პასუხი: არსებობს ლოცვების წაკითხვის დროს დამაბრკოლებელი ვითარებები. მაგალითად, ავადმყოფობა, გადაღლილობა, უეცარი სტუმარი და სხვა. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს და შესაძლებელია, ლოცვის კანონი შევამოკლოთ. თუმცა, ამან არ უნდა მიიღოს სისტემატური ხასიათი.

კითხვა: როგორი საქციელი შეეფერება ქრისტიანს მარხვაში?

პასუხი: მარხვის დროს უნდა ვიფიქროთ საკუთარ ცოდვებზე და მოვემზადოთ გულწრფელი აღსარებისთვის. არ უნდა ვიფიქროთ გართობაზე, სიამოვნებაზე, უნდა ვილოცოთ, ვიაროთ ტაძარში, ვაკეთოთ ბევრი კეთილი საქმე და ვიყოთ კარგი ქრისტიანები.

კითხვა: ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ ბავშვის მონათვლას. შეიძლება თუ არა მას ჯვარი გავუკეთო, რომ დაიცვას?

პასუხი: რა გიშლით ხელს, რომ ბავშვი მონათლოთ? რატომ ელოდებით განსაკუთრებულ დღეს, იმიტომ ხომ არა, რომ დიდი სუფრა გაშალოთ და ბევრი სტუმარი მოიწვიოთ. ეს არასწორია. სასწრაფოდ მონათლეთ ბავშვი და ჯვარიც ჩამოკიდეთ.

კითხვა: შეიძლება თუ არა მშობლების დაუკითხავად მოძღვარმა კურთხევა მისცეს მოზარდს და წაიყვანოს მონასტერში?

პასუხი: მშობლების დაუკითხავად მოზარდის ბედის გადაწყვეტა ყოვლად დაუშვებელია.

სწორად შეხამებულ ხილისა და ბოსტნეულის წვენებს სამკურნალო დანიშნულება აქვს

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ რამდენიმე სახეობის ხილისა და ბოსტნეულის წვენების შეთავსება-შეხამებას საკმაოდ ეფექტური სამკურნალო ზემოქმედება აქვს.

მკვებავი წვენებია: მარწყვი, ანანასი და ყურძენი; ნესვი, ბანანი, მარწყვი, ჟოლო, მანგო და ანანასი; მოცვი და ჟოლო.

გამწმენდი წვენებია: სტაფილო, ჭარხალი და კიტრი; კოჭა, ლიმონი და თაფლი; სტაფილო, ოხრახუში და ნიორი; სტაფილო, ვაშლი, კომბოსტო და ნიახური.

ანტიმჟანგავი წვენებია: შავი ყურძენი, მსხალი და ვაშლი; ფორთოხალი, მარწყვი და პომიდორი; პომიდორი და ისპანახი; შავი ყურძენი, ვაშლი და ლიმონი; ვაშლი და წითელი მოცხარი.

თუ ზედმეტი წონა ან დიაბეტი გაწუხებთ, მოერიდეთ ყურძნის, ჭარხლის, მსხლისა და მანგოს წვენებს, სხვა ტკბილი წვენები კი წყალში გააზავეთ.

ნებისმიერი წვენის დალევა კარგია დილით, უზმოზე. თუ წვენს საკვებს მიაყოლებთ, მათში არსებული მკვებავი ნივთიერებების დიდი ნაწილი ორგანიზმის მიერ არ შეითვისება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ წვენებს არ შეუძლია ხილისა და ბოსტნეულის შეცვლა, რადგან საჭმლის ნორმალური მონელებისთვის ბოჭკოებია აუცილებელი. ამიტომ, წვენები სვით როგორც კვების ჯანსაღი დანამატი.

მოძრაობა აუმჯობესებს სახსრების მდგომარეობას და დადებით გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე

ართროზი ხშირად უვითარდებათ მათ, ვისაც აქვს ათეროსკლეროზი და შაქრიანი დიაბეტი. მის განვითარებას ხელს უწყობს ბევრი ფაქტორი, მაგალითად, ამა თუ იმ სახსრის გადატვირთვა, უმოძრაო ცხოვრება, ტრავმა, სიმსუქნე, მემკვიდრეობითობა და ასე შემდეგ.

ართროზის დროს ქსოვილებში ლაგდება კალციუმისა და ფოსფორის მარილები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ძვლოვანი წანაზარდები სახსრების არეში, სასახსრე პარკში, იოგებში, მყესებში. ახლად წარმოშობილი ძვლოვანი წანაზარდები აწვება ირგვლივ მყოფ რბილ ქსოვილებს და იწვევს ტკივილს, ასევე, სახსართა მოქმედების შეზღუდვას. განსაკუთრებით შემაწუხებელი და მტკივნეულია ნერვულ ღეროებზე ზეწოლის მოვლენა. ხშირად, ერთდროულად ვითარდება შესაბამისი სახსრების ანთებითი ცვლილებებიც. თუ ცვლილებები ხერხემალშია, მაგალითად, ოსტეოქონდროზის დროს, ადამიანს აწუხებს სხვადასხვა ინტენსიობის ტკივილი კისერში, ზურგში, წელში, გულმკერდის არეში; არ არის გამორიცხული, თავის ტკივილმაც შეაწუხოს. სახსრების ირგვლივ გაჩენილი წანაზარდები და ქსოვილთა ცვლილებები იწვევს მუხლის, კოჭის, ბარძაყის, მხრის, იდაყვის, თითების ტკივილს. ტკივილი ძლიერდება მუშაობის, სიარულის, დაღლის დროს.

ამ დაავადების განვითარებისა და მისი მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის აქტიურობის შენარჩუნებას. ადამიანმა სისტემატურად უნდა ივარჯიშოს, ოღონდ ისე, რომ ყველა სახსარი მოძრაობდეს.

მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ, იმ შემთხვევაში, როცა მკვეთრადაა გამოხატული ამა თუ იმ არეში ართროზთან დაკავშირებული მოვლენები, მაგალითად, რადიკულიტი ან სახსართა დაზიანება, ფიზიკური ვარჯიში შესაბამისმა სპეციალისტმა უნდა დაგინიშნოთ. ის, ვისაც ართროზი აღმოაჩნდა, ბევრს უნდა მოძრაობდეს და დადიოდეს ფეხით. მოძრაობა არა მარტო აუმჯობესებს სახსრების მდგომარეობას, არამედ დადებით გავლენას ახდენს ზოგადად ნივთიერებათა ცვლაზე და, ასევე, აბრკოლებს დაავადების შემდგომ დამძიმებას.

გონებრივი აქტიურობისთვის ზღვის პროდუქტები მიირთვით

ჯანმრთელობისა და სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებლად აკონტროლეთ წნევა, სისხლძარღვების ჯანმრთელობა და წონა. გადაღლა, სტრესი და არასწორი კვება მთელ რიგ დაავადებებს იწვევს.

დაძაბულობისა და გადაღლის დროს უნდა მიირთვათ საქონლის ღვიძლი, ბროწეული, ანანასი, ავოკადო, ხორბლის, ღერღილის ნაწარმი, ბევრი ხილი და ბოსტნეული.

კვებით რაციონში აუცილებლად ჩართეთ მინერალური ნივთიერებებით მდიდარი ზღვის პროდუქტებიც. ეს აუმჯობესებს ადამიანის გონებრივ აქტივობას.

თუ ხშირად შეჭამთ ვაშლს, ამით შეამცირებთ ინსულტის განვითარების რისკს და დიდხანს შეინარჩუნებთ ჯანმრთელ გულს. ეს ხილი, საგრძნობლად ამცირებს პროსტატის, ფილტვებისა და ღვიძლის კიბოს განვითარების რისკს.

თუ გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ კარგი მხედველობა, არ დაივიწყოთ C და E ვიტამინები. ეს ამცირებს კატარაქტის განვითარების რისკს.

დღეში დაახლოებით 40 გრამი ნუშის ან ნიგვზის ჭამა ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია, რადგან ის სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს და გულის რიტმის მუშაობას ააქტიურებს.

ზეითუნის ზეთის რეგულარულად მოხმარება საკვერცხეების კიბოსგან დაგიცავთ.

სტაფილო გამოირჩევა კალიუმის მარილების დიდი შემცველობით. ეს კი აუცილებელია გულის, სისხლძარღვებისა და თირკმელების დაავადებების დროს. ასევე, თუ სტაფილოს ხშირად მიირთმევთ, პირის ღრუს დაავადებები არასდროს შეგაწუხებთ. ღრძილების ანთებისა და სტომატიტის დროს კი, კარგია სტაფილოს წვენის გამოვლება პირის ღრუში.

ზედმეტი ცხიმიანობის პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია სტაფილოს ჭამა კომბოსტოსთან ერთად, რადგან ეს ბოსტნეული დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს. ბუასილის დროს, ძილის წინ მიირთვით 1 ჩაის ჭიქა გახეხილი სტაფილო. ხოლო სტაფილოს წვენი, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

სწორად სუნთქვა აუცილებელია ღამით მშვიდი და გარანტირებული ძილისთვის

სწორად სუნთქვისა და სისხლის სისტემების საშუალებით, მარაგდება ჩვენი ორგანიზმი ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით, იწმინდება და ახლდება ის. თუ ფილტვები წესრიგში არ გაქვთ, დღის განმავლობაში ეს თავს იჩენს მოთენთილობით, ღამით კი უძილობით.

თუ ღამით დაძაბულს გძინავთ, გეუფლებათ შიში, ყურადღება მიაქციეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას. წვრილი ნაწლავის პრობლემების დროს ძილში ძლიერდება ოფლიანობა, დილით კი კისრის დაბუჟება იჩენს თავს.

როცა დღისით ძილის სურვილი გიჩნდებათ, იძინებთ, მაგრამ მაინც ვერ ისვენებთ, ყურადღება მიაქციეთ ელენთასა და კუჭქვეშა ჯირკვალს. მაგრამ, თუ დილით გეწყებათ თავბრუხვევა და თავის ტკივილი, ყურადღება მიაქციეთ ღვიძლს. ამ დროს, შესაძლოა, მხედველობის პრობლემებმაც იჩინოს თავი.

უძილობის ერთ-ერთი გამომწვევია გულის დაავადებები. გულის ნებისმიერი დაავადების დროს, როდესაც კუნთები საგრძნობლად დასუსტებულია, შესამჩნევ შედეგს იძლევა ერთი ან ორი თვის განმავლობაში დღე-ღამეში 50 გრამი თაფლის მიღება. ასეთი მკურნალობით უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა, გულ-სისხლძარღვთა ტონუსი და ჰემოგლობინის ბალანსი.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, 2 ჩაის ჭიქა ასკილის ნახარშს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, ნახევარ-ნახევარი ჭიქა, ხუთი დღის განმავლობაში. შემდეგ რამდენიმე დღე შეისვენეთ და კვლავ გაიმეორეთ.

ჰიპერტონიული დაავადებისა და უძილობის დროს, 1 ჩაის ჭიქა მინერალურ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი თაფლი, დაუ-

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲧᲣᲠᲨᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲣᲚᲘ. ᲠᲘᲡᲘᲐ ᲑᲠᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲘᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ყურებში პულსაციის შესაძლო მიზეზებია: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (ჰიპერტონია, ჰიპოტონია, ათეროსკლეროზი, საძილე არტერიის, საუღლე ვენის შევიწროება, არტერიული-ვენური შუნტი და სხვა სისხლძარღვოვანი დეფექტები); შუა და შიგნითა ყურის დაავადება; ტრავმა; სიმსივნური დაავადებები. ყურში პულსირებული ხმაურის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია ვენური ხმაური, რაც მიუთითებს ხოლმე ხერხემლის მეორე მალის საუღლე ვენაზე ზეწოლაზე ან გულის წუთმოცულობის გაზრდაზე (ანემიის, ფიზიკური დატვირთვის, თირეოტოქსიკოზის დროს). საწყის ეტაპზე მდგომარეობის შეაფასების მიზნით ოტოლარინგოლოგთან ვიზიტია საჭირო.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲝᲠᲡᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲒᲔᲒᲛᲐᲕ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲐᲥᲕᲡ ᲜᲔᲘᲠᲝᲡᲔᲜᲡᲝᲠᲣᲚᲘ ᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲐ, ᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑ ᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲡᲐᲪ. ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲠᲣᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ასეთ სიტუაციაში, ჯობია, საკითხი უშუალოდ თქვენს ყელ-ყურის ექიმთან გაარკვიოთ და არა ახლობლებთან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ექიმი არ გირჩევთ მშობიარობას, საგანგაშო არაფერია, რადგანაც დღეს საკეისრო კვეთა არ წარმოადგენს არავითარ საშიშროებას და წარმატებით ტარდება.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲢᲝᲜᲖᲘᲚᲘᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲛᲘᲡ ᲪᲕᲔᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲨᲘ, ᲗᲣᲙᲘ ᲗᲛᲘᲡ ᲪᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: თმის ცვენის შესაძლო მიზეზებად განიხილება ინფექციის ქრონიკული კერების არსებობა ორგანიზმში: ჩირქოვანი კბილები, ცხვირის დანამატი წიაღების ქრონიკული ანთება, ნუშურა ჯირკვლების ჩირქოვანი ანთება და ასე შემდეგ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘᲐ ᲡᲣᲑᲥᲝᲜᲓᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘ. ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: სუბქონდრალური სკლეროზის მკურნალობა გულისხმობს ძირითადი დაავადების მკურნალობასა და იმ ფაქტორების ბლოკირებას, რომელმაც გამოიწვია პათოლოგია. ყოველგვარი მკურნალობა ეფექტურია ადრეულ სტადიაზე.

ძვლოვანი წანაზარდების დროს მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია. ტკივილის სინდრომის კუპირება შესაძლებელია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით; ამავე მიზნით და სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად მიმართავენ ფიზიოპროცედურებს; სახსრების ზედაპირის სუბქონდრალური სკლეროზის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს პრეპარატები ქონდროიტინისა და გლუკოზამინის შემცველობით. საჭიროა მდგომარეობის შესაბამისად შერჩეული ფიზიკური დატვირთვა; მანუალურ თერაპიას, მასაჟსა და სანატორიულ-კურორტულ მკურნალობას არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ

მატეთ ნახევარი ლიმონის წვენი და მიიღეთ დილას, უზმოზე და საღამოს, ძილის წინ.

ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲡᲐᲣᲖᲛᲔᲗ

ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, თუ ადამიანი კვირაში ოთხჯერ, ნახევარი საათის განმავლობაში მაინც დარბის. მათ კი, ვინც ფიზიკურად მოუმზადებელია, ორი თვე მაინც დასჭირდება შედეგის მისაღწევად. თავიდან, დაიწყეთ სირბილი კვირაში ორჯერ, ოცი წუთის განმავლობაში, ხოლო კვირაში ორჯერ კი ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

შეცდომად ითვლება სირბილის დროს ცხვირით სუნთქვა. შეუძლებელია, ამ ხერხით ჟანგბადის იმ რაოდენობის შესუნთქვა, რომელიც კუნთებს სირბილის დროს ესაჭიროება. ამიტომ, ისუნთქეთ პირით. ასევე, სირბილი საჭიროა იმ ტემპში, როგორსაც შეძლებთ. თუ ჰაერი არ გყოფნით და ბეჭებში ჩხვლეტას იგრძნობთ, ტემპი შეამცირეთ.

ირბინეთ მაშინ, როცა ეს თქვენთვის ხელსაყრელია. მაგალითად, თუ ადრე ადგომა გიჭირთ, საღამოობით ირბინეთ. აღმართი და დაღმართი კარგია, მაგრამ მათთან გასამკლავებლად ჯერ სწორად სირბილის ტექნიკა უნდა აითვისოთ და ორგანიზმის ამტანობა გაზარდოთ. სირბილის დროს, შეარჩიეთ ოფლგამტარი მაისური და პრაქტიკული სპორტული ფეხსაცმელი.

დაიმახსოვრეთ, რომ მშიერ კუჭზე ვარჯიში არ ვარგა და არც ცხიმს წვავს, რადგან ნახშირწყლების საკმაო რაოდენობის გარეშე, ორგანიზმში ცხიმის წვა არ ხდება.

სირბილის დაწყებამდე ისაუზმეთ. დილით, კარგია შვრიის ფაფა, ხილი და ბანანი. ასევე, ხილის ან ბოსტნეულის წვენი და დიდი რაოდენობით მინერალური წყალი.

ᲐᲡᲙᲘᲚᲘ ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲔᲑᲐᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ

შავბალახა სამკურნალო მცენარეა და ის ხალხურ მედიცინაში, ოდითგანვე, შესანიშნავ დამამშვიდებელ საშუალებად მიიჩნეოდა. მას იყენებენ საგულე საშუალებად, კუჭის სპაზმების, მალარიის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ნერვული აშლილობისა და შიშების დროს. ეს მცენარე აფთიაქში უნდა შეიძინოთ და მისგან ნაყენი ასე მზადდება:

* ორ სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს, დაასხით 250 მილიგრამი წყალი. ადუღეთ, სანამ დაახლოებით, 12-15 სუფრის კოვზი არ დარჩება. დალიეთ ორი სადილის კოვზი, დღეში რამდენჯერმე.

ხალხურ მედიცინაში შავბალახას იყენებენ მაღალი წნევის დასარეგულირებლად, გულის რიტმის დამამშვიდებელად. ამ შემთხვევაში:

* ორი ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 200 მილილიტრი ცივი წყალი, დადგით და გააჩერეთ დაახლოებით ექვსი საათი. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ დღის განმავლობაში.

ასკილის ნაყოფი გამოიყენება კუჭის, თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს. მისი თესლის ნაყენი უებარია თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს. ის ასევე, არის ნაღველმდენი და სკლეროზის საწინააღმდეგო საშუალება.

ასკილი ხელს უწყობს ქოლესტერინის შემცირებას, სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს.

ასკილის ნაყენი კი ასე მზადდება:

*ერთი სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ასკილს დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. თავზე დაახურეთ, დადგით წყლის ორთქლზე დაახლოებით 10 წუთით. გააჩერეთ ნაყენი ოთახის ტემპერატურაზე ერთი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ გაწურეთ და დალიეთ მეოთხედი ჭიქა დღეში ორჯერ.

ასკილის თესლის ნახარშის მომზადება ასე ხდება:

* ერთი ჩაის კოვზი დანაყილი თესლი ჩაყარეთ ჭურჭელში და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. ადუღეთ ნელ ცეცხლზე დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ მეოთხედი ჭიქა დღეში ერთხელ, ჭამის წინ, თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს.

ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲜᲝᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲨᲘᲫᲔ

მოკვდავები ვართ და ბუნებრივია, გვაინტერესებს: რა სიურპრიზებს გვპირდება მომავალში ცხოვრება, რამდენ ხანს ვიცოცხლებთ, ვინ იქნება ერთგული ჩვენ გვერდით ცხოვრების ბოლომდე და ასე შემდეგ. თუმცა, რაც არ უნდა მოვინდომოთ, ალბათ, საკუთარ ბედისწერას ვერ შევცვლით. სრულიად შემთხვევით გავეცანი ბატონი კობას პუბლიკაციას ბედისწერის შესახებ, რომელმაც საკმაოდ დამაინტერესა. მივხვდი, ცხოვრებაში ბევრი ფაქტია, რაც გვაბედნიერებს, გვიქმნის კომფორტს და გვაგრძნობინებს, რომ თავად ვქმნით იმ ბედნიერ მომავალს, რომელშიც ვცხოვრობთ. ბატონი კობა, დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია და შეეცდება, დაგვისაბუთოს ის ამოუხსნელი ფენომენი, რასაც ბედისწერა ჰქვია.

რამდენ თაობაზე გადადის წყევლა და რისგან გვიცავს ხის სამკაულები

კობა: ცნობისმოყვარეობა ადამიანის ის თვისებაა, რომელსაც ვერასოდეს შეელევა. საკუთარი მომავლის შესახებ ინფორმაცია, ბევრს მიაჩნია, რომ სიმშვიდეს მიანიჭებს, მაგრამ ეს, ასე არაა. ეს უფრო გვაფორიაქებს და გვიშლის ხელს მშვიდ ცხოვრებაში. ბუნებაში, მით უმეტეს ადამიანის ცხოვრებაში, შემთხვევით არაფერი ხდება. ნებისმიერი მოვლენა ასტრალში დიდი ხნით ადრე მზადდება და განსაზღვრულ დროს ხორციელდება. სწორედ ამას უწოდებენ ადამიანები ბედისწერას და არავინ იცის, ბედი ვის რას გვიმზადებს.

– ბატონო კობა, კი ამბობთ, არავინ იცის ცხოვრება რას გვიმზადებსო, მაგრამ ვინც პარაფსიქოლოგიაში ერკვევა, ამტკიცებენ, რომ მომავლის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არსებობს და არსებობენ ადამიანებიც, რომელთაც ამ ინფორმაციის წაკითხვა შეუძლიათ. მათ არ ეთანხმებით?

– ნაწილობრივ შემიძლია დავეთანხმო და აგიხსნათ, ამას რატომ ვამბობ. აი, პარაფსიქოლოგები რომ ამბობენ, ადამიანის ბედის შეცვლა შეიძლებაო, რეალურად, მისი შეცვლა კი არა, კორექციაა შესაძლებელი. ანუ, შეგვიძლია, ჩვენივე ძალისხმევით, საკუთარ ბედ-იღბალში შევიტანოთ ცვლილებები და ცხოვრება, შედარებით უკეთ მოვიწყოთ. ასეთი ცვლილების შეტანა კი იმას არ ნიშნავს, რომ რაც შუბლზე დაბადების მომენტში დაგეწერათ, მას ასცდებით. გეტყვით, რომ ჩვენი ქმედებები სამყაროში არსებულ ჩვენსავე ბედის კოდში ინახება და გარკვეული დროის შემდეგ, უკან გვიბრუნდება. ამიტომ, უნდა ვიყოთ დაკვირვებულები და მეტად წინდახედულები.

– იმ რელიგიებში, სულის რამდენჯერმე მოსვლას რომ ქადაგებს, ნათქვამია, შეიძლება შენი ახლანდელი საქმიანობის და ქცევის შედეგი სხვა ცხოვრებაში მიიღოო. იქნებ, ესეც განმარტოთ?

– ამ თემაზე სიღრმისეული საუბარი შორს წაგვიყვანს. ამიტომ, ვეცდები მარტივად და ლაკონურად აგიხსნათ. მაგალითად, თუ საქმე არ გამოგდით, არ გიმართლებთ, მაინც არ დანებდეთ, არასდროს ჩაიქნიოთ ხელი და თავი უბედურად არ მიიჩნიოთ. შეიძლება, ამით ბედისწერა დიდ სიურპრიზს გიმზადებთ, გცდით და გამოწვევას თქვენგან ელის. უამრავი მაგალითია, როცა ადამიანს არ უმართლებდა, უიღბლობა ტანჯავდა წლების განმავლობაში, მაგრამ არ დანებდა, ბედის გამოწვევას გაუძლო, არ ჩაიქნია ხელი და იმდენი იბრძოლა, სანამ სასურველს არ მიაღწია. თუ ბედი ბიზნესში არ გაქვთ, ესე იგი, სხვა სფეროში უნდა მოსინჯოთ ძალები. თუ არ გიმართლებთ პოლიტიკაში ან ეკონომიკაში, მაშინ კურსი შეიცვალეთ. ეს ბუნებრივია, ბედისწერა თავად გაჩვენებთ, სად გაგიმართლებთ იღბალი და სად – არა. ამას თქვენ გარდა, ვერავინ მიხვდება. რომ ჩაიცვდე ერთ საქმეს, არ გიმართლებდეს და იძახო, ბედი არ მწყალობსო, ამით არაფერი გამოვა. უნდა დაფიქრდე, შეიცვალო სფერო და გაგიმართლებს. ბედისწერა თავად მიგიყვანთ იმ პროფესიამდე, ბედიც რმოდელი სოფ

ციკარიშვილიომ გაგიღიმებთ და კარგად თვალსაზრისითაც მოგებას მოგიტანთ. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბედის კორექციას ვერ ახერხებენ და იგივე განვითარების დონეზე რჩებიან სიცოცხლის ბოლომდე, როგორც თინეიჯერობის ასაკში იყვნენ.

– ბედის ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაცემა თუ ხდება, ანუ როგორც მას უწოდებენ – ბედის გადალოცვა?

– რეალურად, დიახ, შესაძლებელია ერთი ადამიანის ბედი რაიმე ნივთის საშუალებით მეორეზე გადავიდეს და ამას, ბედის გადალოცვა ჰქვია. სხვათა შორის, არსებობს დღეები, როცა ბედის გადალოცვა გაცილებით იოლია. ასეთი დღეებია, ყოველი თვის პირველი და ბოლო შაბათ-კვირა. სხვათა შორის, ამ დღეებში დიდი შანსია, სიზმარში ნახოთ მომავალი მეუღლე. ასევე, თუ გსურთ, თქვენი შვილი ბედნიერი იყოს და მას სხვისი ცუდი არ გადმოელოცოს, დაბადებისთანავე მის სახელზე ოჯახის მამაკაცმა, უმჯობესია მამამ, დარგოს ხე. სწორედ ეს ხე იქნება მისი ბედის მფარველი, დამცველი და ბოროტი ძალების ამცილებელი. ადამიანის სახელზე დარგული ხის მიზანია, დაიცვას კონკრეტული პიროვნება ბოროტი ძალებისგან, გადასცეს მას თავისი ძალის ნაწილი და იხსნას შესაძლო უბედურებისგან მისი მომავალი. ზოგადად, ძველად მიაჩნდათ, რომ ადამიანები და მათი დაბადების მომენტში მათ სახელზე დარგული ხეები, ერთმანეთთან შეერთებულნი და დაკავშირებულნი არიან ბედის უხილავი ძაფებით. ამიტომ, თუ ხე კარგად ხარობს, ადამიანიც ბედნიერია, ხოლო თუ ნელ-ნელა იწყებს ხმობას, მაშინ, რაღაც საფრთხე უახლოვდება მის სულიერ ძმას. მცენარეებს ასტრალური ძალა აქვთ, რაც ადამიანმა უნდა იცოდეს და თავის სასიკეთოდ გამოიყენოს. თუ ხისგან დამზადებულ სამკაულებს ატარებთ, ის თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს და დაგიცავთ გათვალვისა და ავი მზერის შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან. ხის სამკაული გათვალვისგან ერთ-ერთი უძლიერესი დამცველია.

ბედში ცვლილების შეტანა არ ნიშნავს, რომ, რაც შუბლზე დაბადების მომენტში დაგეწერათ, იმას ასცდებით

– რას ეტყვით მათ, ვინც ფიქრობს, რომ, რაც მისი დაბადების მომენტში შუბლზე დაეწერა, ვერ ასცდება?

– თუ ბედს ხარ მინდობილი და ამბობ, რაც მიწერია, არ ამცდებაო, მაშინ, ნუღარც დაიწუწუნებ, რომ წარუმატებელი და უიღბლო ხარ. მე თავშივე აღვნიშნე, რომ ადამიანის ბედის კორექცია შესაძლებელია და ამას თქვენზე უკეთ ვერავინ მოახერხებს. იმასაც ამბობენ, წყევლის ნუ შეგეშინდებათ, ის მაწყევრისაა, უკან უბრუნდება და თქვენ ვერაფერს დაგაკლებთო.

– კი, ეს მეც გამიგია.

– ჰოდა, მე გეტყვით, რომ შუბლზე დაწერილი ბედისწერა, წყევლის მეშვეობით ადვილად და სწრაფად იწყებს მოქმედებას. მას შეუძლია დაწყევლილი ადამიანის ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა – უბედურების ან ბედნიერების მოტანა. არ დაგავიწყდეთ, რომ წყევლა, თავისი ძლიერი პროგრამის წყალობით, სამი თაობიდან ცხრა თაობამდე გადადის და მუშაობს უარყოფითად. ხშირ შემთხვევაში, ადამიანზე ის მომაკვდინებლად მოქმედებს და ანადგურებს როგორც ფიზიკურად, ისე – მორალურადაც.

ნონა დათეშიძე

ოჯახის შექმნა – ორი ადამიანის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა, რომელსაც წყვილი ზოგჯერ ხანგრძლივი ურთიერთობის, ზოგჯერ ხანმოკლე, ან, სულაც, ერგეთ ნოდებული გარიგებით იღებს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ოჯახის შექმნის მეტი გზა აღარ არსებობს. გადაწყვეტით ვერავინ გეტყვით, იქნება თუ არა ოჯახური ცხოვრება ჰარმონიული, რადგან, არ არსებობს ამის „რეცეპტი”, თუმცა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გათვალისწინება, თურმე, საკმაოდ მნიშვნელოვანია, როცა ოჯახის შექმნას დაგეგმილად და გააზრებულად აპირებთ. ექიმ-სექსოლოგ პაატა სოფრომაძისგან შევიტყობთ, თუ როგორ უნდა შეაჩეროთ არჩევანი მომავალ პარტნიორზე და როგორ უნდა დაგეგმოთ მყარი, სტაბილური და ბედნიერი ოჯახი.

როგორ უნდა შეარჩიოთ პარტნიორი ოჯახის შესაქმნელად და რატომ არის გარიგებით ქორწინება უფრო სტაბილური

პაატა სოფრომაძე: როცა ქალი ან მამაკაცი ოჯახს ქმნის, მან უნდა გაითვალისწინოს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ოჯახის სიმტკიცეზე. ამ ფაქტორებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკური ფაქტორი – რამდენად შეესაბამება ჩვენი მომავალი პარტნიორი ჩვენს გემოვნებას; მისი გარეგნული პარამეტრები – წონა, სიმაღლე; თქვენ წარმოიდგინეთ, ჩაცმა-დახურვის სტილი და თვალის ფერიც კი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მატერიალური და სოციალური ფაქტორი, როდესაც ქალი და კაცი არიან შემდგარი ადამიანები, აქვთ თავიანთი სოციალური სტატუსი, ეკონომიკური მდგომარეობა. ოჯახი ნიშნავს პასუხისმგებლობას. საბედნიეროდ, ისე აღარ არის, რომ ქალი გათხოვდება და ქმარმა უნდა არჩინოს. ეს მიდგომა შეიცვალა – ქალიც და მამაკაციც მყარად უნდა იდგნენ თავიანთ პოზიციებზე და ერთად უნდა შეინახონ ოჯახი. ბუნებრივია, აუცილებელი არაა ორივეს ერთნაირი ხელფასი ჰქონდეთ, მაგრამ ისინი სოციალურად თანაბრად სრულფასოვნები უნდა იყვნენ. თავიდან ბოლომდე ქალის „ჩამოკიდება” მამაკაცზე, ან – პირიქით, რაც უფრო მძიმე შემთხვევაა როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად, შესაძლოა, საკმაოდ სახიფათოდ დასრულდეს წყვილისთვის. სასურველია, ქალი და მამაკაცი ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ეს არაა გადამწყვეტი, მაგრამ ყურადსაღები ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ოჯახის სიმტკიცეზე. მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან ქორწინების ვადებმა გადაიწია, ანუ საქართველოში ადრეულ ასაკში ოჯახების შექმნის ტენდენციამ იკლო და გაიზარდა ასაკი, როდესაც წყვილები დაქორწინების გადაწყვეტილებას იღებენ. ეს განპირობებულია ობიექტური მიზეზით: ადამიანები ცდილობენ, დაიმკვიდრონ სოციალური სტატუსი, დაამთავრონ უმაღლესი სასწავლებელი, იშოვონ სამსახური და მხოლოდ საკუთარი ადგილის პოვნის შემდეგ გადაწყვიტონ დაქორწინება.

– კიდევ რა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო, როცა წყვილი ოჯახის შექმნას გეგმავს?

– მნიშვნელოვანია ინტელექტუალურ-კულტურული შესაბამისობა. როცა ვამბობთ, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები, მეგობრები და მხარდამჭერები არიან, ძალიან ძნელია, ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. მათი კულტურული და ინტელექტუალური ინტერესები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტორი, შესაძლოა, ხელშემშლელად იქცეს ოჯახურ ურთიერთობებში. საინტერესოა წყვილის ფსიქოლოგიური შეთავსებადობა, რაც ყველაზე რთული თემაა. სხვადასხვა ხასიათის, განწყობის შეთავსება იოლი არაა, ამიტომაცაა საჭირო, წყვილს ქორწინებამდე ჰქონდეს ხანგრძლივი ურთიერთობა, რათა მათ ერთმანეთი კარგად გაიცნონ. აქედან გამომდინარე, როცა ოჯახის შექმნას ვგეგმავთ, უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გვქონდეს მომავალ მეუღლეზე. ძალიან მნიშვნელოვანია სექსუალური ფაქტორი, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური მნიშვნელობით. როგორი დამოკიდებულება აქვს წყვილს სექსის მიმართ – ეს ძალიან ბევრ რამეს წყვეტს.

– სექსუალური ასპექტი რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი სოციუმისთვის ამ მიმართულებით? ქართველი მამაკაცი თავს არიდებს სექსს მომავალ მეუღლესთან ოჯახის შექმნამდე?

– ასე ვერ ვიტყოდი, ეს ცოტა ჩახლართული თემაა. ის, რომ ქალი ქორწინებამდე ქალწული უნდა იყოს, კვლავ არის ჩვენი საზოგადოების შეკვეთა. ბოლო 20-25 წლის პერიოდში, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, რაც იყო კომუნისტური რეჟიმის წყალობით, ჩვენ მეტად მივუბრუნდით რელიგიურ საწყისსა და ღირებულებებს, რომელთა შორის არის ისიც, რომ სქესობრივი კავშირი ქორწინებამდე დასაშვები არ არის. ამის მიუხედავად, მაინც მოხდა სექსუალური მორალის ლიბერალიზაცია – განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, უკვე აღარ არის გადამწყვეტი, რომ საცოლე აუცილებლად ქალწული უნდა იყოს. ვერ გეტყვით, რამდენად ხშირია დღეს ჩვენი სოციუმისთვის სქესობრივი კავშირი ქორწინებამდე – ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ, ცხადია, რომ ქორწინებამდე სექსის მიმართ დამოკიდებულება ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე იყო წლების წინ.

თავიდან ბოლომდე ქალის „ჩამოკიდება” მამაკაცზე, ან პირიქით, რაც უფრო მძიმე შემთხვევაა როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად, შესაძლოა საკმაოდ სახიფათოდ დასრულდეს წყვილისთვის

– როგორ შევინარჩუნოთ ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობები ხანგრძლივი პერიოდით?

– ოჯახების უმეტესობას ძირითადად ანგრევს იმედგაცრუება, ჩვენი მოლოდინების შეუსაბამობა იმ რეალობასთან, რომელშიც აღმოვჩნდით ქორწინების შემდეგ. ოჯახის შექმნის სამი მთავარი „გზა” არსებობს: ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად გაჩენილი გრძნობით; ხანმოკლე ურთიერთობის შედეგად გაჩენილი გრძნობით ან გარიგებით. ხანმოკლე ურთიერთობის დროს პარტნიორის შესახებ ინფორმაცია მინიმუმია, რაც ზრდის თავსატეხს, რადგან, აღმოჩნდება, რომ პარტნიორი არ ყოფილა ისეთი, როგორც წარმოგვედგინა. ხანგრძლივი ურთიერთობებისას ეს თემები, ასე თუ ისე, მინიმუმამდეა დაყვანილი. რაც შეეხება გარიგებას, ითვლება, რომ გარიგებით შექმნილი ოჯახები, შედარებით ნაკლები ემოციების მიუხედავად, უფრო სტაბილური და მყარია. გარიგების დროს ორივე მხარე ცდილობს, პარტნიორზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღებას და, შესაბამისად, ნაკლებია მოლოდინი და იმედგაცრუება, რადგან ადამიანები უფრო საღად, ცივი გონებით არჩევენ პარტნიორს. დღევანდელ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, იმის მიუხედავად, რომ ყველა განქორწინება, ისევე, როგორც ქორწინება, არ რეგისტრირდება, 2014 წელს განქორწინებათა რიცხვი ოფიციალური მონაცემებით დაახლოებით 25 პროცენტს, სოციალური კვლევებით მიღებული შედეგები კი კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებელს – 33-35 პროცენტს აღწევს. ოჯახის დაშლა ცუდია მეუღლეებისთვის, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვისთვის, რომელიც ამ ოჯახში იზრდება – ის კარგავს კონტაქტის საშუალებას რომელიმე მშობელთან, რადგან ქართულ რეალობაში ძალიან ხშირად, განქორწინებული ცოლ-ქმარი ერთმანეთის მტერი ხდება, რაც, ჩემი აზრით, ძალიან ცუდი ტენდენციაა. ოჯახური წყვილის ურთიერთობა იმდენად მრავალმხრივია, რომ პოლიტიკური ორიენტაციაც კი შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი. ცოლ-ქმარი, პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, როგორც წესი, ძირითადად ერთ ბანაკში არიან.

– თუმცა მე ვიცი ამ ნიადაგზე „დაპირისპირებული” მეუღლეები, რომლებიც სხვადასხვა ბანაკში არიან.

– როგორც ჩანს, მათ ურთიერთობას ბევრი სხვა ასპექტი აქვთ კარგად დარეგულირებული. როცა ადამიანებს ერთნაირი შეხედულებები და ღირებულებები აქვთ, ბუნებრივია, ურთიერთობა უკეთესად გამოდის, თუმცა, ცალსახად იმის თქმა, რომ რომელიმე ფაქტორია ხანგრძლივი თანაცხოვრების გარანტია, ძალიან ძნელია. არსებობს სტერეოტიპი, რომ ცოლ-ქმარი ურთიერთობაში კრიზისულ პერიოდს გადის რამდენჯერმე – ქორწინების პირველი წელი, მეექვსე წელი; თუმცა, მინდა გითხრათ, რომ არაერთი წყვილია თუნდაც ჩვენ ირგვლივ, რომლებსაც ოჯახები დაენგრათ ქორწიებიდან 20-25 წლის შემდეგ, როცა უკვე შვილიშვილებიც კი ჰყავდათ. როდესაც შვილები თავის გზას პოულობენ, ცოლი და ქმარი ერთმანეთის პირისპირ მარტონი რჩებიან და, შესაძლოა, უფრო მეტი პრობლემა აღმოაჩნდეთ, ვიდრე ჰქონდათ წლების წინ. მაგალითად, თუ წლების განმავლობაში ცოლი უფრო მეტად გაიზადა ინტელექტუალურად, ვიდრე ქმარი, ან პირიქით, ეს, შესაძლოა, მომავალში ოჯახის დანგრევის მიზეზიც კი გახდეს. როგორც სპეციალისტი, ვურჩევ ყველა წყვილს, რაც შეიძლება მეტი ყურადღება გამოიჩინონ პარტნიორის მიმართ, მოუსმინოთ ერთმანეთს. ძალიან ხშირად, კონფლიქტისა და პრობლემის მიზეზი ხდება გაუცხოება, როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთის ინტერესები ნაკლებად აინტერესებს; როცა ღამით ცოლი ერთ კომპიუტერშია „დაკარგული”, ქმარი – მეორეში *(იცინის)*. როცა კომპიუტერი არ არსებობდა მაშინაც ხდებოდა მსგავსი რამ – ქმარი უყურებდა ფეხბურთს, რაც სულ არ აინტერესებდა ცოლს. აზრების გაზიარება, მხარდაჭერა, თანადგომა და ნდობა არის ოჯახური ჰარმონიის საფუძველი, რაც განაპირობებს ხანგრძლივ ცოლქმრულ ურთიერთობებს.

თამუნა ნიჟარაძე

რა ნიშნებით უნდა შეძლოს ცოლმა მოლალატე ქმრის გამოაშკარავება

თავიანთი ოჯახური ცხოვრების პერიოდში ცოლებს ძალიან ბევრის სწავლა უწევთ და ასე მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ გათხოვებამდე ძალიან ბევრი რამ არ იციან – კერძოდ, ურთიერთობის დელიკატური მომენტები და უამრავი ნიუანსი, რაც მათ ქმართან მშვიდობიან, სტაბილურ თანაცხოვრებას შეუწყობს ხელს. სამწუხაროდ, ამ ყველაფერზე ცოლები ფიქრს საკმაოდ გვიან იწყებენ ხოლმე მაშინ, როცა საშიშროების პირველი ნიშნები შესამჩნევი ხდება... ანუ, როცა ქმარი არაადეკვატურად იწყებს მოქცევას და ცოლს სხვა გამოსავალს არ უტოვებს, გარდა ერთისა – თავადაც შესაბამისად მოიქცეს...

იანა *(35 წლის):* მე არ ვარ რამით გამორჩეული, განსაკუთრებული ქალი. აბსოლუტურად ჩვეულებრივი ცხოვრება მაქვს; თუმცა, არც არავისზე ნაკლები არ გახლავართ. საკმაოდ კარგად გამოვიყურები, მამაკაცების ყურადღებაც არ მაკლია და ჭკუაც მაქვს, ანუ, არ მოვტყუვდები, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი გარკვეულია ჩემთვის...

– ანუ, ქმართან ურთიერთობაში პრობლემები გაქვთ?

– მთლად პრობლემები არა, თუმცა, არც სიმშვიდეა. ერთი ქალბატონი თქვენთან იმ სიმპტომებზე საუბრობდა, რომლებიც ახასიათებთ მოღალატე ქმრებს და ძალიან შეეშფოთდი. პირველად მაშინ დავფიქრდი ძალიან სერიოზულად, რომ შიშის საფუძველი მაქვს – ქმარს ვაკვირდები და ვღელავ.

– რატომ? ფიქრობთ, რომ გღალატობთ? რა სიმპტომები შენიშნეთ?

– ძალიან რთული შეკითხვებია, თან, ასე ერთბაშად რომ მომაყარეთ... იცით, როგორ არის საქმე? – უცებ ცივ წყალს რომ შეგასხამენ... რაღაცნაირად, ერთბაშად გამოვფიზლდი: „ნუთუ მღალატობს?“

– ცუდი სამსახური გაუწევია იმ ინტერვიუს თქვენთვის.

– ამას ვერ ვიტყვი. შეიძლება, ძალიან კარგი საქმე გამიკეთა – შეიძლება, მეტისმეტად ვენდობოდი ჩემს ქმარს და ეს ძალიან ძვირად დამიჯდებოდა. თუმცა, ჯერაც არ ვიცი, გადავრჩი თუ არა ღალატს. სიმპტომები სახეზეა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ძალიან საშიშ ნიუანსებს ვამჩნევ.

– შეგიძლიათ, ჩამოაყალიბოთ?

– დიახ, რატომაც არა. ერთი შეხედვით, ჩვენ შორის თითქოს ყველაფერი წესრიგშია: არ ვჩხუბობთ, არ გვაქვს სკანდალები, ვლაპარაკობთ და ვუსმენთ ერთმანეთს; გამოსასვლელ დღეებსაც ერთად ვატარებთ... მაგრამ, მე ვამჩნევ ქმარში მომხდარ ცვლილებებს. ჩემი ეჭვები ცალკე თემაა – ნამდვილად არაფერი მეჩვენება. თანაც, ეს ცვლილებები პროგრესირებს. ანუ, უარესობისკენ ვითარდება. ყოველდღიურად ახალ-ახალი აღმოჩენები მაქვს – ცუდი აღმოჩენები. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაც გაიჩინა ან აპირებს...

– დეტექტივივით ლაპარაკობთ.

– ჩემს ქმარს ჩემზე უკეთ ვინ იცნობს ან დეტექტივი რაში მჭირდება. თქვენი ჟურნალის გარდა, სხვაგანაც წავიკითხე რაღაც-რაღაცეები. მოკლედ, „სიმპტომები“ მეტ-ნაკლებად არსებობს. მაგრამ, კოპირება არ შეიძლება – ყველაზე ერთი საზომით ვერ იმსჯელებ.

– მაგალითად?

– მაგალითად, ზოგიერთი კაცი საყვარელს რომ იჩენს, უხეში და აუტანელი ხდება, მიზეზებს ეძებს, რომ ცოლს აუშარდეს... ასე იმ კაცებს ემართებათ, რომლებსაც ეშინიათ, რომ მათი საიდუმლო გამჟღავნდება.

– ესეც სადმე წაიკითხეთ?

– წავიკითხე კიდეც და დაკვირვებების შედეგადაც მივხვდი რაღაცეებს. ხომ ვთქვი, რომ სულელი არ ვარ, თანაც, რამდენიმე დღეა, ჩასაფრებული ვარ და, უკვე დავრწმუნდი, რომ ჩემი ქმარი ამ პირველ კატეგორიას არ მიეკუთვნება. მისი მეტისმეტი თავდაჯერებულობა, რომელიც გაცნობის პირველივე დღიდან მომწონდა, არც ისეთი კარგი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეა, ქმარი თან მყვება. ისეთი ვნებიანია, გამაოცა – ესე იგი, რაღაც ხდება.

– რა უნდა ხდებოდეს?

ჯერაც არ ვიცი, გადავრჩი ღალატს თუ არა

– მაგალითად, უნდა, ამ ფორმით გამოისყიდოს დანაშაული, ან, თავისი ჭკუით, ამ ფორმით ალიბის შექმნას ცდილობს.

– რა ალიბის?

– რომ არ მღალატობს. ანუ, მეორე კატეგორიას მიეკუთვნება. ერთ სტატიაში სწორედ ეს ამოვიკითხე: მამაკაცები, რომლებიც საყვარელს იჩენენ, იბნევიან, აქვთ ძალიან გაფანტული მზერა, ხშირად არც ესმით, რას ელაპარაკებიან და კონკრეტულ ფრაზებზე მწვავედ რეაგირებენ.

– რომელ ფრაზებზე? ან, რა შუაშია უყურადღებობა და დაბნეულობა? მამაკაცები ხომ ზოგადად ასეთები არიან.

– დიახ, ზოგადად, მამაკაცები დაბნეულები არიან, მაგრამ ასეთ დროს კიდევ უფრო იბნევიან. თუ კარგად დააკვირდებით, თურმე, მოღალატე ქმარს აბსოლუტურად უყურადღებო მზერა აქვს; თანაც, დამფრთხალ თვალებსაც სულ აცეცებს. რაც შეეხება ფრაზებს, რომლებზეც კაცები კურდღლებივით ფრთხებიან და თავს ყიდიან, ასეთია: „რაღაც უნდა გითხრა“, „სალაპარაკო მაქვს შენთან“, „რაღაც გავიგე“, „შენ ძალიან შეიცვალე“... ვერ წარმოიდგენთ, რა მოსდით ასეთ დროს კაცებს, რომლებმაც ცოლებს უღალატეს – ბნედა ემართებათ, შიშისგან თვალები უმრგვალდებათ... ზუსტად ასეთი რეაქცია ჰქონდა ჩემს ქმარს, თითქოს იმ მომენტში გამოვიჭირე ღალატში. მუდმივად სადღაც არის – ჩემგან შორს და, როცა ველაპარაკები, ფრთხება.

– ანუ, სტატიას ეყრდნობით...

– არა მხოლოდ სტატიას, ჩემს ინტუიციასაც. „შედარებითი ანალიზი“ კარგი საშუალებაა რეალობის დასადგენად. გულახდილად ვთქვათ, როცა ჩვენ ვართ სასიამოვნო მოგონებების ტყვეობაში, როგორ ვიქცევით? – არ გვინდა, ამაში ხელი შეგვიშალონ და განმარტოებას ვცდილობთ. ასეა ჩემი ქმარიც. სხვათა შორის, ეს ყველაფერი მე მას ვუთხარი.

– რა უთხარით?

– რომ „კულისებში“ ყველაფერი წესრიგში არ არის – ჩვენს „კულისებში“, ანუ შიდა სამზარეულოში. მე არ ვარ პროფესიონალი დიპლომატი და მაწუხებს ეს ამბავი, იმიტომ რომ, მითხრა – კუდიანი ალქაჯი ხარო.

– „კუდიანი ალქაჯი“ რას ნიშნავს? რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერი ვუთხარი, ყველა „ნიშანი“ ჩამოვუთვალე, რომლებითაც მისი ღალატის გამოაშკარავება შეიძლება. ჰოდა, გაბრაზდა, გაღიზიანდა და განერვიულდა... მგონი, კაცების უმრავლესობა, რომლებსაც ღალატში გამოიჭერენ, ფიქრობს, რომ მისი ცოლი ალქაჯია.

– თქვენ უკვე დარწმუნდით, რომ ქმარი გღალატობთ?

– ასი პროცენტით ამას ვერ ვიტყვი, რადგან, ის ყველაფერი, რაც მე ხელთ მაქვს, მხოლოდ არაპირდაპირი მტკიცებულებებია. ფაქტზე არ გამომიჭერია და ვერ ვიტყვი, რომ ეს ცოტათი არ მამშვიდებს. თუმცა, ალბათ, თავს ვიტყუებ – ყველა „ნიშანი“ სახეზეა. თვალს მარიდებს, არ მეჩხუბება, მაგრამ, ვატყობ, ნეგატივით არის სავსე... კუდიანი ალქაჯი არ ვარ და ეს მანაც იცის, მაგრამ, ეტყობა, რომ ძალიან ჩავაფიქრე. დისკომფორტი შევუქმენი. როცა დამნაშავე სააშკარაოზე გამოგყავს, მას ეს არ უხარია. მესმის მისი, მაგრამ, სამაგიეროდ, თავად დავიბენი... ახლა რა უნდა ვქნა, არ ვიცი – გავაგრძელო ჩემი ძიება თუ შევეშვა და ყველაფერი ისე დავტოვო, როგორც არის... არჩევანი უნდა გავაკეთო. ერთიც ძალიან რთული ვარიანტია და მეორეც... სადამდე მივალ, ჯერ არ ვიცი... ქმრის ნდობა აღარ მაქვს, მაგრამ, მიყვარს და მინდა, მის გვერდით ვიყო.

დალი მიქელაძე

მამაკაცი და ლტოლვა თვითდამკვიდრებისთვის...

ხშირად მამაკაცი ცოლს მარტო იმიტომ ღალატობს, რომ საკუთარი თავისადმი რწმენა შეემატოს... დიახ, ღალატის მიზეზი ძალიან არის კომპლექსი – არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელსაც, შესაძლოა თავადაც ვერ აცნობიერებდეს მამაკაცი. სამაგიეროდ, ამ ყველაფერს საკუთარ თავზე გრძნობს მისი მეუღლე... თუ მამაკაცი პატარაობისას დაჩაგრული იყო, თავის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდა და არც არასოდეს აქებდნენ, მოზრდილობისას ამ ყველაფრის „გამოსწორებას," კომპენსირებას შეეცდება. თვითდამკვიდრებისთვის კომპლექსიანი მამაკაცი გაცილებით გააფთრებული იბრძვის. ის ფიქრობს, თუ ბევრ ქალს „დაიპყრობს", მაგარი „ტიპი" იქნება, ძალიან ძლიერი მამაკაცი, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. რა უნდა ქნა, თუ შენი მეუღლე სწორედ ამ ტიპის არის?! – უპირველესად, უნდა მიხვდეთ, რა უნდა მას – შექება და აღიარება. დიახ, აღიარება მისი უპირატესობებისა, თუნდაც ისინი მას საერთოდ არ ჰქონდეს. შეეცადეთ, არ იფიქროს, რომ რაღაც არ გამოუვა. თუ კაცი თქვენთან ამას იგრძნობს და დარწმუნდება, რომ მართლაც „ყველაზე ყველაზეა", ის დამკვიდრდება თქვენთან და აღარსად წავა.

შენ მას სჭირდები

როგორ იქცევით, როცა თქვენს საყვარელ ადამიანს მხარდაჭერა სჭირდება? გაქვთ კი თანადგომის უნარი?! ზოგჯერ მხოლოდ გვეჩვენება, რომ უპრობლემოდ მოვახერხებთ ამას, მაგრამ მთავარი პრინციპები ან არ ვიცით, ან გვავიწყდება. ჩვენ მაინც შეგახსენებთ, გამოგადგებათ:

1. ნუ გააუფასურებთ მის პრობლემას. მით უმეტეს, ნუ დაიყვანთ ნულამდე და ნუ შეეცდებით დაარწმუნოთ, რომ მისი წუხილი ბლეფია და სრული სისულელე. ამით ვერ დაამშვიდებთ. პირიქით, გააღიზიანებთ. „დამშვიდდი, ძალიან გთხოვ!" – ესეც არ გამოდგება. ის თქვენგან სხვა რამეს ელის.

2. უთხარით საყვარელ ადამიანს, რომ თქვენზე მინდობა, დაყრდნობა შეუძლია. იმის განცდა, რომ შეუძლია თქვენი იმედი ჰქონდეს, საკუთარი თავის რწმენას შეჰმატებს. იფიქრებს, მარტო არ ვარო და იმედი მიეცემა. ეს პრობლემის გადაჭრისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯია.

ჰკითხეთ, რა უფრო სჭირდება კონკრეტულ მომენტში: რომ მოუსმინოთ და დაამშვიდოთ. მოიქეცით პასუხის შესაბამისად.

3. იყავით მაქსიმალურად დელიკატური. მოერიდეთ მის დადანაშაულებას, დამუნათებას – მაშინაც კი, როცა დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერში დამნაშავე თავად არის. საუბრისას გამოიყენეთ სიტყვები და ფრაზები: „რატომღაც მგონია", „შესაძლოა"...

4. თუ თქვენთვის ძალიან მტკივნეული თემაა, რომელშიც მასთან ერთად ხართ გახვეული, მაშინვე აღნიშნეთ ეს. და კიდევ, თუ კონკრეტულ მომენტში მხარდაჭერა არ შეგიძლიათ, ჯობია, მაშინვე გულახდილად უთხრათ...

მოგისმენე...

ყველას გვქონია ისეთი მომენტები, როცა ძალიან გვინდა, ვიღაცას მკერდზე მივეკრათ, ვიგრძნოთ ძლიერი მხრის სითბო და ავტირდეთ... ვიყოთ სუსტები... დაუცველები და ვიფიქროთ იმაზე, რომ მარტო არ ვართ – არსებობს ადამიანი, რომელიც მოგვისმენს... უბრალოდ, მოგვისმენს და შეეცდება მაინც, გაგვიგოს.

რას ველოდებით სანაცვლოდ?! ხშირად არაფერს, გარდა თანაგრძნობის სიტყვებისა და თავზე ხელის გადასმისა. მაგრამ ზოგჯერ, ჩვენც ვიბნევით და ისინიც, ვისგანაც ამ ყველაფერს ველოდებით. იმიტომ რომ, მოუსმინო – ძალიან რთულია. მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ მოსმენა შეგიძლია. ეს რომ რეალობას შეესატყვისებოდეს, ადამიანებს ურთიერთობის პრობლემა საერთოდ აღარ ექნებოდათ. უფრო ხშირად, მოსმენა ძალიან ჰგავს ჭკუის დარიგებას... შენიშნვების მიცემას და იმის ხაზგასმას, რომ შენ მასზე ჭკვიანი ხარ! სწორედ ეს არის მიზეზი ახლობელი ადამიანების გაუცხოებისა. აჯობებს, გაჩუმდეთ და უბრალოდ მოუსმინოთ. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა გინდა, რომ შენ მოგისმინონ?! ვერ ხედავ სათანადო მხარდაჭერას? ნუ იჩქარებთ, საყვარელ ადამიანს გულგრილობაში დასდოთ ბრალი. ნურც საკუთარ თავს გაკიცხავთ, რომ მეტისმეტად გულახდილი იყავით... აუცილებლად უნდა თქვათ სათქმელი, რადგან, თუ ამას არ გააკეთებთ, ჯანმრთელობასაც ავნებთ და ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავის მოსმენაც ძალიან სასარგებლოა.

უბრალო სურვილები

მოდი, გავარკვიოთ – რა გვამოძრავებს, ანუ, რა გვინდა, როცა ხმამაღლა გამოვთქვამთ ჩვენს გულისტკივილს, მეგობრის, საყვარელი ადამიანის გასაგონად... რისთვის გვჭირდება ეს? იმისთვის, რათა სწორად განვსაზღვროთ მოლოდინები.

* ვლაპარაკობთ ხმამაღლა – რადგან გვინდა გავთავისუფლდეთ დაგროვილი ნეგატივისგან, რომ ცოტა დავმშვიდდეთ.

* როცა პრობლემაზე ხმამაღლა ვლაპარაკობთ და თან, ვაანალიზებთ, გაცილებით მარტივი ხდება მისი გადაჭრის გზების დანახვა და გამოსავლის პოვნა.

* ბუნებრივი სურვილი – გვინდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მარტონი არ ვართ და გვყავს მხარდამჭერი – ის, ვინც მძიმე წუთებში ჩვენს მხარეს იქნება.

* ვლაპარაკობთ ხმამაღლა, რადგან გულწრფელად გვინდა, გავიგოთ მოსაუბრის აზრი, რომელიც უცხო თვალით შეხედავს ჩვენს პრობლემას. ის უკეთ დაინახავს იმ წვრილმანებს, რომლებიც ჩვენთვის შეუმჩნეველი დარჩა.

* დიახ, ჩვენ გვჭირდება კონკრეტული დახმარება, კონკრეტულ მომენტში. აშკარად შეიძლება, ამას არ ვითხოვთ, მაგრამ, რადგან ვლაპარაკობთ, ესე იგი, გვაქვს ამის იმედი.

* შეიძლება, არ ვაღიარებთ, მაგრამ, როცა ვისმენთ, რომ სხვასაც ჰქონია ჩვენნაირი პრობლემა, ჩვენნაირ მდგომარეობაში სხვაც ყოფილა, საკუთარი თავის რწმენა გვემატება – ისე აღარ ვნერვიულობთ.

აი, ის სურვილები, რომლებიც პრობლემაზე გვალაპარაკებს და ეს კარგია.

გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

რედაქციაში წერილი მოვიდა

ორი წელია, გათხოვილი ვარ და კიდევ ვერ გავარკვიე, როგორი ურთიერთობა უნდა მქონდეს ქმართან. ჯერ მინდოდა, გულახდილი ვყოფილიყავი და მემეგობრა მასთან. მაგრამ, უცნაური პრინციპები აქვს – რამდენჯერმე მითხრა, რომ ცოლს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. მეგობრობა კი საერთოდ არ ესმის. რა ვქნა – უნდა მეშინოდეს?

გამოხმაურება: **რატომ არ გინდათ, რომ დაელაპარაკოთ და თქვენი გულისტკივილის შესახებ უთხრათ? ოღონდ ეს საუბარი არ უნდა იყოს პრეტენზიული და კატეგორიული ტონით ნათქვამი. პირიქით, მაქსიმალურად თბილი და „ფისო" იყავით. მერე კი შეხედეთ – მისი ქმედებებისგან დასკვნას გააკეთებთ.**

ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე

ვის სიყვარულს გამოეთხოვა გრიგოლ რობაქიძე და როგორ იპოვეს სახლში რამდენიმე დღის გარდაცვლილი მწერალი

ლიტერატურის მუზეუმში ძალიან საინტერესო წერილები ინახება. ეს არის გრიგოლ რობაქიძისა და გიტა ფონ შტრახვიტცის პირადი, რომანტიკული ხასიათის წერილები, რომლებიც მუზეუმს გიტას დამ, ბეტინამ გადასცა. რიგოლ რობაქიძე უკვე 75 წლის იყო, გიტა კი 31 წლის, როცა მათ ერთმანეთი გაიცნეს მეგობრების წრეში. ეს იყო 1960 წელს. მათ შორის მიმოწერა კი 1961 წელს დაიწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ გიტა სპეციალურად სწავლობდა ქართულს და წერილის ბოლოში ყოველთვის წერდა: „გფარავდეს ლაშარი". გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალება სწორედ გიტას მიერ მისდამი გაგზავნილი წერილით გახდა ცნობილი, როდესაც მას ეს წერილი უკან დაუბრუნდა. აღნიშნული ბარათი კიდევ რამდენჯერმე იქნა გაგზავნილი, ის კი ისევ უკან ბრუნდებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ გატეხეს ბინა, სადაც გრიგოლი გარდაცვლილი იპოვეს.

ჩვენ დღეს ამ გენიალური მწერლის დღიურში ჩაგახედებთ, ამ უნიკალურ წერილებში, რომლებითაც სულ სხვა გრიგოლ რობაქიძეს გაიცნობთ. რასაც ახლა წარმოგიდგენთ, მხოლოდ ამონარიდებია ამ წერილებიდან.

15.6.1961

ჟენევა

ძვირფასო გიტა, გრაფინია შტრახვიტც!

თქვენმა 8 ივნისის მშვენიერმა სტრიქონებმა გულის სიღრმემდე შემძრა. ვგრძნობდი განა ქვეცნობიერად, რომ ჩემს შეკითხვაზე, წაკითხული გაქვს თუ არა ჩემი რომანი „Die Huter des Grals", შემდეგ პასუხს მივიღებდი? ეს წიგნი ჩემი შინაგანი შეხვედრა იყო თქვენთან, რომელიც შემდგომ ღრმა განცდად გადაიქცა. ბავშვობაში და სიყმაწვილეში ნანახი ყველა სურათი უეცარი რეალობით აღივსო. განა ეს ღრმა შინაგანი ნათესაობის შეცნობა არ იყო? (ნამდვილად! ასე ჩანს. ეს მახარებს)... გავიგე, რომ თქვენ ასტროლოგიურად unio mystica-ში ხართ მზესთან დაქორწინებული (გილოცავთ ამას). თუ თქვენს მარჯვენაზე აღნიშნულია ფიალა croix mystique-თი, ჩემს მარჯვენა ხელისგულზე გულის ხაზი მზის ფორმითაა გამოხატული, ეს ნიშნავს: გულისა და გონების ხაზები ერთადაა. როცა ხელს გართმევთ, ჩემი „მზის ხაზით„ ვეხები თქვენს „ფიალას".

ამით ჩვენი შინაგანი ერთიანობა სამუდამოდ დადასტურებულია...

ვენა

14.9.1961

ჩემო ძვირფასო შეგირდო!

„შეგირდი". ამაზე ამბობთ (3.9.1961): რით დავიმსახურე ეს სახელი? რა თქმა უნდა, მაქვს სურვილი, გავხდე თქვენი შეგირდი, რადგანაც ვიცი, როგორია თქვენი „ცოდნა". აქ საქმე მხოლოდ „ცოდნაში" არაა – მაშინ გიწოდებდით „მოსწავლეს". "შეგირდი" – „მოსწავლე": ნიუანსის ახსნა საჭიროდ არ მიმაჩნია. ვფიქრობ თქვენზე. ამავე დროს ვკითხულობ თქვენს წერილს.

ძალიან ინტროვერტირებულად მეჩვენებით, რაც უფრო გახსნილად მოეპყრობით თქვენს სამყაროს, იმდენად თავისუფლად და ნაყოფიერად გაიხსნებიან თქვენი მდიდარი ბუნების შესაძლებლობები. ჩემთან შეგიძლიათ სავსებით გულახდილი იყოთ: დიახ, უნდა იყოთ – თქვენი ჩემდამი ურთიერთობის განსაკუთრებულობის გამო.

ვხედავ, ასტროლოგიაზე მაღალი აზრის ხართ. „ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს წყვეტს ადამიანის პირადი „მე," რომელიც ბედის სასწორზეა შეგდებული... გუშინწინ გამოგიგზავნეთ ხელნაწერი ნიცშეს შესახებ. გთხოვთ, შემატყობინოთ მისი მიღება.

გელოდებათ თქვენი ნატრული

(გიგზავნით „Die Blitzberuhrte").

10.4.1962

ჟენევა

ჩემო შეუდარებელო გიტა!

მწერ: (5.04.62.) „ნუ ხედავ ჩემში ბევრ, თანაც დიდ ღირსებებს; უფრო მესიამოვნება, რომ ის სისუსტეები, რასაც საკუთარ თავში ვხედავ, დამიდასტურო, რასაც ვერ ვხედავ – მიმითითო. ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა შენ?" გეუბნები: დღევანდელამდე მე შენში ერთი ნაკლიც ვერ მიპოვნია (შენ იცი, რა გულწრფელიცა ვარ). თუკი ოდესმე აღმოვაჩენ – დაუფარავად გეტყვი (ჩემი სიმართლისმოყვარეობაც აგრეთვე ცნობილია შენთვის).

მე შენს ქალურ არსებას „ქალწულებრივი" განსაკუთრებული მნიშვნელობით ვუწოდე.

რომლით? გერმანული ენა ამბობს: Die See – ზღვა – მდედრობითი სქესის; Der See – ტბა – მამრობითი სქესის. გენიალურია. ქალი ნამდვილად უსაზღვროა, როგორც ზღვა და კაცი ნამდვილად შემოსაზღვრულია, როგორც ტბა. არსებობს კიდევ შემზარავი ქალური „რაღაც". თუ ის ერთხელ ქალში გამომჟღავნდა, იგი პიროვნებიდან უპიროვნო არსებად გადაიქცევა: ბრმა, ქაოტურ, ალოგიკურ, უხეშ. აქ შენ ბედნიერი გამონაკლისი ხარ. შენ ის „რაღაც" ქალური შენს პიროვნებას აქცევს უფრო ზეპიროვნებად და არა უპიროვნო არსებად. „ბრმის" ნაცვლად ხდები „ნათელი". აქედანაა შენი შეუდარებელი ნათელმხილველობის უნარი. თუ ყველაფერს ამას თავს მოვუყრით, მე ვიტყოდი: შენი ქალური არსება შეედრება მაგდალინელს: ის წმინდაა, „ქალწულებრივი". შენი არსების უდიდესი გახსნაა შენი სიყვარული: სიყვარული ჩემდამი. ამაოდ ვეძებ მსგავს სიყვარულს მსოფლიო ლიტერატურაში. უფრო გავს ჩემი ნორინას სიყვარულს ლევანისადმი („Die Huter des Grals"). ნორინას მსგავსად, შენც „მზის გზას" ადგახარ. მაგრამ, მისი სიყვარულისაგან განსხვავებით შენს სიყვარულს მისტიური საწყისი აქვს. შენ მე მიცნობდი მეტაფიზიკური სამყაროდან, გაუცნობიერებლად... სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ დედამიწაზე ჩემი შენდამი სიყვარულისთვის ასე ცოტა დრო დამრჩა. დიდხანს, დიდხანს უნდა მყვარებოდი. ეს ნიშნავს: მემსახურა შენთვის. ქვეცნობიერად მჯერა, რომ გრძნობ ჩემს ტკივილს. ხშირად ხმარობ გამოთქმას „მე შენ გიღიმი"... „ჩემი გული უერთდება შენს გულს და გადაიქცევა შენს გულისცემად", მესმის ჩემთვის ასე საყვარელი შენეული ხმა. მაგრამ ჩემი გული ერთხელ რომ შეწყვეტს ცემას! მერე? რა მოუვა შენს გულს, გიტა? იყავი მშვიდად! შენ ენგადი დაგამშვიდებს, რადგანაც მისი სუნთქვა ჩემს სუნთქვასთან მისტიურად დაქორწინდება. ცოტა ხნის წინ შენს არსებას „გენიალური" ვუწოდე. გადავამეტე? – არა! საოცარია: შენი ინტელიგენტობა, შენი სინათლე, ინტონაცია, განჭვრეტის უნარი, ღრმა აზრი არსებულზე და ლამაზზე, უნაკლო ლიტერატურული გემოვნება. კიდევ რა? მაგალითების მოყვანა აქ საჭიროდ არ მიმაჩნია.

ბოლოს შენი ხასიათი. ერთი კვირის მანძილზე ჩემს გვერდით განგიცადე. ერთხელაც არ ყოფილხარ ცუდ გუნებაზე, არც „faux pas" სიტყვაში ან მოქმედებაში. ყოველი ნიშანი – წამში გაგებული, ყოველი მინიშნება – აზრით მიღებული. ყველაფერში შეთანხმებულობა. „მე-ს ნაცვლად მეფობდა მხოლოდ „შენ". როგორ არ უნდა ვიყო შენით გაოცებული? ვგრძნობ, რომ არ ხარ განებივრებული. ასე რომ იყოს, შენი ქებისაგან თავს შევიკავებდი.

გეხვევა შენით აღტაცებული, შენით ზღაპრულად დასაჩუქრებული –

ტურიზმის ევროპული აკადემია – წარმატებული მომავლის არჩევანი!

თბილისში ახალი ევროპული სტანდარტის კოლეჯი – ტურიზმის ევროპული აკადემია დაფუძნდა. იმის მიუხედავად, რომ კოლეჯი სულ ახალი გახსნილია, მის შესახებ ინფორმაცია უცებ გახმაურდა. აქ იდეალურ და კომფორტულ გარემოში შეძლებთ, დაეუფლოთ პროფესიას, რომელსაც საქართველოში დიდი პერსპექტივა და მომავალი აქვს. რით არის გამორჩეული ტურიზმის ევროპული აკადემია და რას სთავაზობენ აქ სწავლის მსურველებს, ამის შესახებ კოლეჯის დამფუძნებლებს – ირაკლი გვარამაშვილსა და თეონა არახამიას გავესაუბრეთ.

ირაკლი გვარამაშვილი: „M point ჰოლდინგი" რვა თვის წინ დაფუძნდა, თუმცა, მეც და ჩემს პარტნიორებსაც ტურიზმში მუშაობის დიდი გამოცდილება გვაქვს. წლების განმავლობაში ვმუშაობდი უცხოეთში, მაგრამ, დადგა დრო, როცა შეველიე მაღალანაზღაურებად სამსახურს, დავბრუნდი საქართველოში და მუშაობა დავიწყე ტურიზმის დეპარტამენტში. ტურისტულ ბაზარზე მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ამ სფეროში საკმაოდ ბევრი პრობლემაა როგორც სერვისების მიმართულებით, ასევე, რთულია კვალიფიციური კადრების მოძიება. ჩვენი ჰოლდინგის მფლობელობაშია ტუროპერატორი კომპანია „მაქს ტურისტიკი"; გვაქვს სასტუმრო ქობულეთში, სადაც ასამდე პროფესიონალის დასაქმებას ვგეგმავთ; შესაბამისად, აღმოვჩნდით ახალი ბარიერების წინაშე. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ ტურიზმის ევროპული აკადემიის გახსნა, რომელიც გამორჩეული იქნება მაღალი სტანდარტით.

– რა მიმართულებებს მოიცავს ტურიზმის ევროპული აკადემია?

– უკვე დაწყებულია მიღება სპეციალობებზე: სასტუმროს (რესტორნის) მენეჯმენტი, გიდი, ტუროპერატორი, მიმღები-რესეფშენი, რესტორნის საქმე: კულინარი, მიმტანი, ბარმენი. სასწავლებლად ვიწვევთ ახალგაზრდებს 18 წლიდან, თუმცა, მსურველთა ასაკი შეზღუდული არაა და, ჩვენთან სასწავლო, ასევე, პრაქტიკული კურსის გავლა შეუძლია ნებისმიერი ასაკის მქონე მოქალაქეს, რომელსაც სურს, დაეუფლოს ახალ პროფესიას, იპოვოს თავისი ადგილი საქართველოს შრომით ბაზარზე. ჩვენ ვთანამშრომლობთ კომპანიებთან, რომლებიც შემოვიდნენ საქართველოში და მსოფლიოს ცნობილი ბრენდები არაინ. კოლეჯი მოამზადებს მაღალი კვალიფიკაციის კადრებს როგორც ამ კომპანიებისთვის, ისე მივცემთ მათ საშუალებას, დასაქმდნენ უცხოეთში. ჩვენი პარტნიორია ტურიზმის თურქულ-ამერიკული უნივერსიტეტი, რომელიც თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. თანამშრომლობა მოიცავს როგორც ჩვენი სტუდენტების სტაჟირებას მათ ბაზაზე არსებულ სასტუმროებში, ასევე ჩვენი ტრენერების გადამზადებას. კოლეჯში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხარისხის მართვას. ამ კოლეჯის დაფუძნებაში საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩავდეთ, ტექნიკური თვალსაზრისით კოლეჯი აბსოლუტურად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტს. არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო ჩემს კოლეგებს, თუმცა, ჩვენ ყველას გვახსოვს, როგორ ფუნქციონირებდნენ არასათანადო პირობებში გახსნილი კოლეჯები, სადაც ისე გასცემდნენ დიპლომებს, აკრედიტაციაც კი არ ჰქონდათ გავლილი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ჩვენმა სტუდენტებმა სწავლა-განათლების და პრაქტიკის გავლა შეძლონ ძალიან კომფორტულ, თანამედროვე ინფრასტრუქტურაში. ყველა აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერებით; თითოეულ სტუდენტს ექნება საშუალება, იმუშაოს მაღალ დონეზე. ჩვენ ვიზრუნეთ შეზღუდული შესაძლებლობის პირებზეც – მათთვის გვაქვს სპეციალური აუდიტორია, სადაც ისინი თავისუფლად მიიღებენ ყველა იმ სერვისს, რასაც კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს.

– როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი?

– ტურიზმის ევროპული აკადემიის დირექტორია ბატონი ზაალ გამყრელიძე, რომელსაც საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. სასწავლო პროცესს წარმართავენ პროფესორები, დოქტორები, რომლებსაც აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება. სასწავლო პროგრამა შესაბამისობაშია იმ სტანდარტთან, რასაც მოითხოვს განათლების სამინისტრო, რომელიც კეთილგანწყობილი და გახსნილია თანამშრომლობითვის. სტუდენტი, მისი სურვილისამებრ, გაემგზავრება ანტალიაში, სადაც მას სპეციალობის მიხედვით ექნება საშუალება, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო კომპლექსებში გაიაროს ანაზღაურებადი სტაჟირება, რაც ასევე მოიცავს კომპანიის მიერ მის უზრუნველყოფას საცხოვრებელი და სადაზღვევო პირობებით. სტაჟირების დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს საერთაშორისო სერტიფიკატს, რაც მას, ჩვენ მიერ გაცემულ საერთაშორისო დიპლომთან ერთად, მისცემს საშუალებას, წარმატებით დასაქმდეს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

თეონა არახამია: წლების განმავლობაში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ლონდონსა და მოსკოვში. აფხაზეთიდან ვარ და ჩემთვის განსაკუთრებით ემოციურია ყველაფერი, რაც ჩემს ქვეყანას უკავშირდება, ამიტომაც დავბრუნდი აქ. ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გვაქვს მისაღები ფასები. კოლეჯის ადმინისტრაცია განახორციელებს საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ პროექტებს: განსაკუთრებული პირობები გვექნება სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, წარმატებულ სტუდენტებს კი დაენიშნებათ სტიპენდია.

P.S. ასჯერ გაგონილს რომ ერთხელ ნანახი სჯობია, მარტივი ჭეშმარიტებაა – ეწვიეთ ტურიზმის ევროპულ კოლეჯს და თავად დარწმუნდებით, რომ ეს არის უმაღლესი სტანდარტის მქონე კოლეჯი, კომფორტული გარემოთი, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და კეთილგანწყობით, რასაც ყველაფერში იგრძნობთ! აქ თქვენი არჩევანია – თქვენი წარმატებული მომავალი!

დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 032 2 45-78-87; 555 55-59-51.

მისამართი: გურამიშვილის გამზირი №78 (მეტრო „ღრმაღელესთან")
www. mpointacademy.ge
დაგვიმეგობრდით „ფეისბუქზე"!

თამუნა ნიჟარაძე

17.6.1962
ჟენევა

ჩემო შეუდარებელო სიყვარულო: გიტა!

(რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები!..) სიყვარული ჩემდამი. რა ღრმად გამიცანი. მხოლოდ შენით შევძელი ეს. ჰო, შენდამი სიყვარულში როგორც ყვავილი, ისე გავიფურჩქნე. რადგანაც: შენ (შენგანვე ფარულად) ხარ ის: ხარ – ჩემი არსებობის მთავარი მიზეზი.

ახლა ვეკითხები ჩემს თავს: როგორ შეძლებდა გრიგოლი, რომელმაც შენს არსებაში თავისი სიყვარულის „ნათელი" ასე ღრმად შეაღწია, როგორ შეძლებდა ის შენთვის „ჩაკეტილად" ყოფნას?!

სიყვარული თავად „გახსნა" არაა?

მერე ვეკითხები ჩემს თავს: როგორ შეძლებდა ენგადი – გიტა, რომელიც გრიგოლის სიყვარულში ყვავილივით გაიფურჩქნა – როგორ შეძლებდა ის უკან დაბრუნებისას თავის შინაგანი განცდების შესახებ მისთვის, თავისი არსებობის მთავარი მიზეზისთვის არაფერი აღარ ეამბნა?.. ტყუილად კი არ მეშინოდა და ეხლაც მეშინია ბოროტების ჩარევის ჩვენს საკრალურ ურთიერთობაში. მართალია, დედამიწაზე არანაირ ძალას არ შეუძლია ამ ურთიერთობის დარღვევა – მაგრამ წმიერი „არეულობა" ჩვენს გრძნობებში შეძლებდა ბოროტების ჩადენას. ალბათ გული მიგრძნობდა, ერთხელ რომ მოგწერე: ჩვენი სიყვარული პირადულზე მაღლა დგას: ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ: ის „დავიფაროთ", დავიცვათ. უახლოეს დღეებში, როდესაც ყველას სიცოცხლის აღდგომას მხოლოდ ერთადერთი შენი სიტყვა გამომაცოცხლებს. ეს სიტყვა, დარწმუნებული ვარ, არ გამოგრჩება...

რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები!

გეხვევი ძლიერ, ძლიერ, შენი, შენი –

18.6.1962
ჟენევა

ჩემო შეუდარებელო გიტა!

15 აპრილის წერილი. „წერილი" მხოლოდ ერთი სტრიქონი. იმედგაცრუების წამები. სტრიქონი: „ნაზად გეხვევა..." „ნაზად". სინაზე მჭირდება ამ წუთში და თანაც: შენი (გუშინდლიდან მოყოლებული სული მეხუთება. გუშინ და გუშინწინ გწერდი ამის შესახებ). ახლა ვგრძნობ: შენი ხელები ეალერსებიან ჩემს დაღლილ საფეთქლებს. რა შვებაა...

„ჩემი გული იღვრება შენს გულში და იქცევა შენს გულისცემად". მოხდებოდა ეს შენთვის რომ გულდახურული ვყოფილიყავი? მოხდება, თუ უკან დაბრუნებისას შენს შინაგან განცდებზე აღარაფერს მიამბობ.

აღტაცებული გეხვევა –

(გიგზავნი „Die ruhende Stutte"-ს).

27.IV.1962
ჟენევა

ჩემო ღვთიურო მეგობარო: ენგადი!

ჩემო შეუდარებულო სიყვარულო: გიტა!

ჩემო მისტიურო მეუღლევ: ჰატჰორ!

ეს წუთია მივიღე შენი წერილი, 24 აპრილს გამოგზავნილი. ის ყველაფერს ნათელს ჰფენს. იყავი მშვიდად, სრულიად მშვიდად!

მწერ: „შენ გეშინია ბოროტების, რომელმაც შეიძლება ავნოს ჩვენს სიყვარულს? მე არა. ჩვენი ფარული შენ და მე მიუწვდომელია ყოველგვარი ბოროტებისათვის". დღეიდან აღარც მე მეშინია. ეს გრიგოლის – სიტყვაა, სიტყვა ლაშარის წინაშე.

დღეისათვის ეს იყოს. ხვალ მეტს მოგწერ...

ეკა პატარაია

როგორ ვებრძოლოთ ცელულიტს

ამ ნომერში ჩამოგითვლით ყველა იმ მიზეზს, რის შედეგადაც ჩნდება ცელულიტი და გასწავლით ელემენტარულ მეთოდებს, რომელთა წყალობითაც შეგეძლებათ მისგან თავის დაღწევა.

გარდა მემკვიდრეობითი ფაქტორისა და ზოგადად ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებისა, არსებობს რამდენიმე სერიოზული მიზეზი, რომელთა გამოც შემდეგ ხანგრძლივად ვნერვიულობთ და ვწვალობთ, რომ ფორმა აღვიდგინოთ. ეს მიზეზია:

საკვები: ფასტფუტი, ტკბილი გაზიანი წყლები, ჩიპსები, სხვადასხვა სახის სოუსი, შოკოლადიანი ფუნთუშები, მაიონეზი, ცხიმიანი, მარილიანი და ცხარე კერძები, შემწვარი ხორცი და კარტოფილი და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, ცელულიტის გაჩენას იწვევს მკაცრი დიეტების პერიოდულად დაცვა;

მავნე ჩვევები: ალკოჰოლი, თამბაქო და კოფეინი ამუხრუჭებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს და იწვევს ორგანიზმის გაუწყლოებას.

გაუწყლოება: ორგანიზმში სუფთა სასმელი წყლის უკმარისობა იწვევს ადრე მიღებული სითხის გამოდევნას უჯრედებიდან და ქსოვილიდან. რაც, საბოლოოდ, არღვევს ლიმფის ნაკადის მოძრაობას და ხელს უწყობს ცხიმოვანი ბურთულების დაგროვებას.

უმოძრაობა: ეგრეთ წოდებული „საოფისე ცხოვრება“ მათთვისაც კი ჩვეულებრივი მოვლენაა, ვინც ოფისში არ მუშაობს. უმოძრაობა იწვევს არა მარტო კალორიების ხარჯვის შემცირებას, არამედ ლიმფის ნორმალური ცირკულაციის დარღვევასაც.

სტრესი: ნერვების აშლა და გაღიზიანება ყოველ ნაბიჯზეა მოსალოდნელი. სტრესი ნეგატიურად მოქმედებს არა მარტო ფსიქიკაზე, არამედ ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციონირებაზე: კუნთები იკუმშება და ხელს უშლის ლიმფის ნაკადის მოძრაობას.

როგორ ვებრძოლოთ ცელულიტს? თუ საქმე აქამდე მივიდა, აღიჭურვეთ მოთმინებითა და ნებისყოფით.

კვება: დასაწყისისთვის, თანდათანობით

გამორიცხეთ თქვენი ცხოვრებიდან ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მავნე საკვები და ჩაანაცვლეთ ისინი სუფთა წყლით, სასარგებლო სასმელებითა და ახალი პროდუქტებით. შეეჩვიეთ დღეში მინიმუმ 2 ლიტრი წყლის დალევას. არ დაგავიწყდეთ, რომ წყალი უნდა დალიოთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე და, ამასთან, წყლის დღიური ნორმის მეტი ნაწილი მიიღეთ დღის პირველ ნახევარში. გარდა ამისა, მიირთვით ძირითადად უმი პროდუქტები; მარცვლეული და პარკოსნები (მოხარშული ან გაღივებული); ასევე, უცხიმო რძის ნაწარმი, ცილების შემცველი პროდუქტები (მაგალითად, მოხარშული ქათმის ფილე). შეეცადეთ, გამოიყენოთ იოდის შემცველი ზღვის მარილი.

მოძრაობა: რაც მეტად იმოძრავებთ, რაც მეტად აქტიური იქნება თქვენი ყოველი წუთი, მით ნაკლები შანსი ექნება თქვენს ცხიმოვან მტერს, მოახდინოს თქვენი სხეულის ოკუპირება.

შეზელა: ვის არ უოცნებია ჯადოსნურ ლოსიონზე, რომელიც ჩვენი სხეულის რბილ ადგილებში შეზელისთანავე ახდენს საოცრებას – კანის ზედაპირი სწორდება, კანი კი მკვრივდება... ასეთი სასწაულმოქმედი საშუალებები მართლაც არსებობს, ოღონდ, საჭიროა რეგულარული გამოყენება, თანაც, სამ ანტიცელულიტურ „ვეშაპთან“ – ჯანმრთელ კვებასთან, ვარჯიშთან და მასაჟთან ერთობლიობაში.

დათბობა: გარეგანი ზემოქმედების კიდევ ერთი შედეგიანი მეთოდია პრობლემური ადგილების გაოფლიანება. ამისთვის კარგი ადგილია საუნა. უკეთესი შედეგის მისაღებად სასურველია, სითბური პროცედურის წინ გაიწმინდოთ სხეული სკრაბით. უშუალოდ საუნაში ზედმეტი არ იქნება, პრობლემურ ადგილზე წაისვათ თაფლი. რაც გააძლიერებს გახურების ეფექტს.

ოსტატის ხელები: ერთ-ერთი კლასიკური და გამოცდილი მეთოდია ხელით მასაჟი, ჩქმეტები, მიტყაპუნება და შხაპის შემდეგ უხეში ტილოთი კანის გახეხვა. გაითვალისწინეთ, რომ ეს პროცედურა საკმაოდ მტკივნეულია, სასურველი შედეგის მისაღებად კი აუცილებელია 10-13 სეანსის ჩატარება.

ინიექცია: მათთვის, ვისაც არ ეშინია ჩხვლეტის და სურს, უფრო ღრმად ჩასწვდეს პრობლემას, კეთილმა ექიმებმა გამოიგონეს ახალი მეთოდი – მეზოთერაპია. ესაა მიკროინიექცია, რომელიც არა მხოლოდ ნაოჭებს ასწორებს, არამედ „ფორთოხლის კანსაც“ გლუვს ხდის.

ასე რომ, არჩევანი თქვენზეა!

კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: რა შინაური მეთოდი არსებობს პიგმენტური ლაქების გასაბაცებლად?

პასუხი: ყოველ დილა-საღამოს გაიწმინდეთ პრობლემური ადგილები ლიმონის ან გრეიპფრუტის პატარა ნაჭრით (რბილობის მხრიდან); ასევე, შეგიძლიათ, ლიმონის წვენში „ჩაალბოთ“ კიტრის მრგვალი ნაჭერი და შემდეგ იმით გაიწმინდოთ ლაქები; ან ერთმანეთს შეურიეთ (თანაბარი პროპორციით) კიტრისა და ლიმონის (კიტრისა და გრეიპფრუტის ან ლაიმის) წვენი და კანი გაიწმინდეთ მასში დასველებული დოლბანდის ტამპონით. უკეთესი შედეგი გექნებათ, თუ წვენების ამ ნარევისგან გააკეთებთ ყინულის კუბიკებს და ამ კუბიკებით დილა-საღამოს მსუბუქად დაიმასაჟებთ კანს, შეშრობის შემდეგ კი წაისვამთ თქვენს მკვებავ კრემს, რომელშიც უშუალოდ წასმის წინ შეაზელთ 2-3 წვეთ ლიმონის წვენს.

კითხვა: ახლოვდება პლაჟის სეზონი. როგორ უნდა დავიცვა სახის კანი და დეკოლტეს ზონა მზით გამოწვეული პიგმენტური ლაქებისგან?

პასუხი: პირველ ყოვლისა, მოიმარაგეთ კრემი SPF ფაქტორით, ასევე, არ დაგავიწყდეთ ქოლგა და ფართოფარფლებიანი შლაპა – ასე მაინც გაირუჯებით, მაგრამ, ლაქების გარეშე. თუ SPF-ფაქტორიანი კრემის ყიდვა დაგავიწყდათ, მოამზადეთ მაგარი ჩაის ნაყენი და მზეზე გასვლის წინ ამ ნაყენით გაიწმინდეთ სახე, კისერი და დეკოლტეს ზონა.

კითხვა: რომელი კოსმეტიკური საშუალებები უწყობს ხელს პიგმენტური ლაქების გაჩენას?

პასუხი: მოერიდეთ კოსმეტიკას, რომელიც შეიცავს კრაზანას, რეტინოლს (A ვიტამინს); ასევე პლაჟის სეზონის განმავლობაში ნუ დალევთ სტაფილოსა და ფორთოხლის წვენებსა და შავ ჩაის, რადგან ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობით კაროტინს, რაც ხელს უწყობს ლაქების წარმოქმნას.

კითხვა: რამდენ ხანს არის მიზანშეწონილი კოსმეტიკური საშუალებების შენახვა?

პასუხი: არანაირი კოსმეტიკური საშუალება (თვით ყველაზე ძვირფასიც კი) არ ინახება წელიწადზე მეტხანს, ზოგიერთი მათგანის შენახვის მაქსიმალური ვადა კი 6-8 თვეა. ვადაგასული კოსმეტიკა, გარდა იმისა, რომ არანაირ სიკეთეს არ მოუტანს თქვენს კანს (რადგანაც მასში შემავალი აქტიური კომპონენტები აღარ „მუშაობენ“), შესაძლოა, ალერგიის მიზეზიც გახდეს. ეს ეხება არა მხოლოდ კანის მოვლის, არამედ, დეკორატიულ საშუალებებს.

ტონალური კრემი გამოიყენება 1 წლის განმავლობაში; ტუჩის საცხი, თვალების „ჩრდილი“ და რუჟი – 3 წელი, ტუში კი ყოველ 3-4 თვეში ერთხელ უნდა გამოცვალოთ.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

სამი წელია, გათხოვილი ვარ. სხვათა შორის, სიყვარულით შევუღლდით და დაქორწინებამდე თითქმის ორი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს. ვერ ვიტყვი, რომ ამირანი ცუდი ქმარია – არც არანაირი თარიღი არ ავიწყდება, ძვირფას საჩუქრებსაც ყიდულობს ჩემთვის და, პრინციპში, ყველგან დავყავარ, სადაც თვითონ დადის წვეულებებზე, მაგრამ, ამ ბოლო დროს ვგრძნობ, რომ რაღაც ვერ არის მთლად ისე, როგორც უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ სანამ მე გამიცნობდა, მანამდე ჰყავდა შეყვარებული, რომელმაც უღალატა და გათხოვდა; მერე იმ ქმარს გაშორდა და მეორედ გათხოვდა, მაგრამ იმასაც მალე გაეყარა, ერთი სიტყვით, „გაგულავდა“ – ხან ვისი საყვარელი იყო და ხან ვისი. ისე, გარეგნობით, მართლა კარგი იყო, სპორტული სტილის. სულ შორტებით და შარვლით დადიოდა. იმ გოგოს „ჩერეზ-ჩერეზ“ ვიცნობდი და ისიც ვიცოდი, ოდესღაც ამირანის შეყვარებული რომ იყო, მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ჩემი ქმარი ძალიან მკაცრია ქალის მორალთან მიმართებაში და დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ გოგოსგან საშიშროების მოლოდინი არ უნდა მქონოდა; მაგრამ, ახლა რომ ვუკვირდები სიტუაციას, ვფიქრობ, რომ შევცდი, რადგან, გარდა იმისა, რომ ისედაც ვატყობ რაღაც-რაღაცეებში ცვლილებებს, აშკარად კატეგორიულად მოითხოვს ჩემგან, თმა ქერად შევიღებო, ჯინსებითა და „სარორჩკებით“ ვიარო სახლშიც და გარეთაც და, საერთოდ, სპორტულ სტილზე გადავიდე. შეიძლება ვინმემ თქვას, მერე რა მოხდაო, მაგრამ, საქმე ისაა, რომ, შეიძლება, თავისდაუნებურად, მაგრამ, უნდა, რომ გარეგნობით იმ თავის პირველ შეყვარებულს მიმამსგავსოს მაქსიმალურად. ეს კი რას ნიშნავს?! რა თქმა უნდა, იმას, რომ ისევ ის მოსწონს და უყვარს, ჩემთან ორწლიანი რომანი და სამწლიანი ქორწინება კი მხოლოდ გულის გაგრილება და იმ მოღალატის დავიწყების მცდელობა იყო, რაც აშკარად არ გამოუვიდა და ახლა რაღაცას ფხაკურობს, საკუთარ თავს ებრძვის და ჩემს სიყვარულსაც კარგავს. ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ და, თუ ჩემი ეჭვები გამართლდა, სულ კარგად ბრძანდებოდეს; ჰყავდეს ის თავისი სპორტული ბოზანდარა და იყოს იმასთან ბედნიერი, მე კი თავი დამანებოს. კიდევ კარგი, ჯერ შვილი არ გვყავს, თორემ, ალბათ, ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდებოდა.

და, საერთოდაც, რაში მჭირდება ქმარი, რომელიც ჩემთან იქნება და სხვაზე იფიქრებს და იოცნებებს?

ᲚᲐᲚᲘᲙᲝ, 26 ᲬᲚᲘᲡ.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

ᲒᲔᲚᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ?

როგორ ფიქრობთ, მიაღწიეთ საქმეში წარმატებას ან მიაღწევთ საერთოდ? იქნებ არანაირი პერსპექტივა არა გაქვთ და ტყუილუბრალოდ წვალობთ?! გულახდილად უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს. იქნებ ჯერ კიდევ ვერ იპოვეთ საქმე, რომელიც საკუთარ თავს გაპოვნინებთ და წინსვლის პერსპექტივას გაგიხსნით.

1. ხშირად აგვიანებთ სამსახურში?

ა) არა. თითქმის არასოდეს;

ბ) პერიოდულად;

გ) თითქმის ყოველდღე. ვერ ავაწყვე.

2. ჩვეულებრივ, თქვენ მიდიხართ სამსახურში...

ა) დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით;

ბ) ყოველგვარი ემოციის გარეშე;

გ) როგორც კატორღაზე.

3. კმაყოფილი ხართ ანაზღაურებით?

ა) ასეთ ანაზღაურებაზე ვოცნებობდი;

ბ) უკეთესიც შეიძლება;

გ) არანაირად.

4. დიდი ხანია, რაც პრემია არ მიგიღიათ?

ა) ახლახან მივიღე;

ბ) თითქმის აღარ მახსოვს;

გ) საერთოდ არ მიმიღია, არასოდეს.

5. ბოლოს როდის იყავით შვებულებაში. იცით, ეს რა არის?

ა) სამი თვეც არ იქნება. ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს დასვენება და ვიყენებ ჩემს შანსს;

ბ) ნახევარი წლის წინ ვიყავი შვებულებაში. წელიწადში ორჯერ თავს ამის უფლებას ვაძლევ;

გ) ერთ წელზე მეტი იქნება, ვიცი, უფრო ხშირად ჯობია დასვენება, მაგრამ...

6. რას გაძლევთ თქვენი სამუშაო?

ა) საშუალებას – გავიზარდო და მეტი ვისწავლო;

ბ) არსებობის საშუალებას – ფულს;

გ) მაძლევს? – უფრო მართმევს: ძალას, ენერგიას, ხალისს...

7. როგორია თქვენი ერთი სამუშაო დღე?

ა) სწრაფად და შეუმჩნევლად გადის;

ბ) ჩვეულებრივი, რუტინული...

გ) საშინლად დაუსრულებელი და დამღლელი.

ᲜᲐᲮᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ:

ᲗᲣ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ „Ა“ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ: მოტივაცია ნორმაში გაქვთ. ფაქტობრივად, იქ ხართ, სადაც უნდა იყოთ. თქვენი სამუშაო გაბედნიერებთ, სიხარულს განიჭებთ. ფაქტობრივად, არც იღლებით და წარმატებაც არ დააყოვნებს.

ᲠᲝᲪᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ „Ბ“: მუშაობთ ინერციით, იმიტომ რომ, იცით – ასეა საჭირო. ოცნებობთ დასვენებაზე. მოუთმენლად ითვლით შვებულებამდე დარჩენილ დღეებს. თუ წარმატებას მიაღწევთ – ეს გამართლება იქნება.

ᲗᲣ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ „Გ“ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ: საკუთარი თავი არ გეცოდებათ? რომელ წარმატებაზეა ლაპარაკი, როცა სამსახურში თავს ისე გრძნობთ, როგორც საპატიმროში. ეს თქვენთვის ძალიან მძიმე ტვირთია. იქნებ, რამე სხვა მოგენახათ? შეიცოდეთ საკუთარი თავი.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

პოლიტბიუროს კიდევ რომელმა წევრმა იცოდა ქართული, ბერიასა და სტალინის გარდა

1949 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში მოსკოვში ქართული კულტურის დღეები გაიმართა. საქართველოდან ჩამოსული ოთხასკაციანი დელეგაცია, ძირითადად, მუსიკოსების, არტისტების, პოეტებისა და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებისაგან შედგებოდა. სტუმრები მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ და დიდ მოწონებას იმსახურებდნენ. 20 სექტემბერს დიდი თეატრის სცენაზე დასკვნითი საღამო უნდა გამართულიყო, სადაც დიდ ბელადსაც ელოდნენ. ისე დაემთხვა, რომ იმავე დღეს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩი იმართებოდა „ცედეკასა“ (სამხედროების გუნდი) და თბილისის „დინამოს“ შორის. სამხედროების სტადიონზე რემონტი მიმდინარეობდა და „დინამოზე“ იმიტომ დაინიშნა თამაში. „ცედეკა“ იმჟამინდელი ფეხბურთის ლიდერი და თავდაცვის სამინისტროს სიამაყე იყო. მას პირადად თავდაცვის მინისტრი კურირებდა, მაგრამ, ეს კიდევ არაფერი – ამ გუნდზე ვასილი სტალინი იყო გადაყოლილი, რომელიც ფეხბურთზე ფანატიკურად იყო შეყვარებული და მოსკოველ არმიელებს საუკეთესო პირობებს უქმნიდა. ხშირად ვასილის მოქმედება ეთიკის ყოველგვარ ნორმებს სცილდებოდა – ახალგაზრდა გენერალი პირადად ხვდებოდა სხვა გუნდების წამყვან მოთამაშეებს და ცდილობდა, „ცედეკაში“ გადაებირებინა, რის შედეგადაც, მოსკოველ არმიელთა გუნდი, ფაქტობრივად, საუკეთესო ფეხბურთელების ნაკრები იყო და მასთან თამაში ყველას უჭირდა. ვასილი თამაშს არ ტოვებდა და გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მოგზაურობდა. შვილისგან განსხვავებით, დიდ ბელადს მაინცდამაინც არ იტაცებდა ფეხბურთი.

19 სექტემბერს ვასილ სტალინი კუნცევოში ესტუმრა მამას, სადაც დიდი ბელადის უახლოესი გარემოცვა შეკრებილიყო ვახშამზე. ტრადიციულად, სუფრას ლავრენტი ბერია თამადობდა. სტალინი თამადის გვერდით იჯდა. ვასილი მამის წინ დაჯდა, ბერიასგან ხელმარცხნივ. სტუმრები მშვენიერ ქართულ წითელ ღვინოს სვამდნენ და საუბრობდნენ. მოულოდნელად სიტყვა ქართული კულტურის დღეებზე ჩამოვარდა. საუბარი ბერიამ წამოიწყო და მანვე შესვა ქართული კულტურის სადღეგრძელო და ქართველების დადებით თვისებებზე ალაპარაკდა. სტალინს კომენტარი არ გაუკეთებია, სამაგიეროდ, ვასილი უწევდა ოპონირებას. „ლავრენტი პავლოვიჩ, – მიმართა მან თამადას, – ხვალ „დინამოზე“ ქართველები „ცედეკასთან“ თამაშობენ, მობრძანდით და თავად იხილეთ ქართველების სიმაგრე“. ბერიას ხმა არ ამოუღია, რადგან ისედაც აპირებდა თამაშზე დასწრებას, მაგრამ უეცრად დიდი ბელადი ალაპარაკდა: აუცილებლად დავესწრებით ამ თამაშს მე და ლავრენტი პავლოვიჩი და შენი სანაქებო „ცედეკას“ თამაშს ვიხილავთო.

20 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონის სამთავრობო ლოჟაში სტალინი და ბერია 10 წუთის დაგვიანებით შევიდნენ. ტაბლოზე უკვე 2:0 იყო „ცედეკას“ სასარგებლოდ. ვასილი იქ დახვდათ და ბერიას დანახვაზე ირონიულად გაეღიმა. პირველი ტაიმი ასე დამთავრდა. ვასილი მეცხრე ცაზე იყო, ბერიას ნიშნისმოგებით ელაპარაკებოდა და თან ფორთოხლის წვენს წრუპავდა. შესვენების დროს ბერიამ მოიბოდიშა, ლოჟა დატოვა და მხოლოდ ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა უკან. მეორე ტაიმი რომ დაიწყო, „ცედეკამ“ მესამე გოლი შეაგდო. ვასილმა თავი ვეღარ შეიკავა, ფეხზე წამოხტა და სიხარულით აყვირდა. ბერია გაქვავებული იჯდა და ხმას არ იღებდა. უეცრად სასნაული მოხდა – რამდენიმე წუთში თბილისელმა ფეხბურთელებმა ოთხი ბურთი გაუტანეს მეტოქეს, თამაში შემოაბრუნეს და გამარჯვებით დაასრულეს კიდეც. ბერიას სახე გაებადრა, დიდ ბელადს კი სიცილი აუტყდა და თავის ვაჟიშვილს მიუგო: „რაო, ვასკა, არ გაამართლეს შენმა არნივმა არმიელებმა? ნუ დაემდურები, მართლაც კარგად ითამაშეს, მაგრამ, რას იზამ, ხომ გაგიგონია: „ძალა აღმართს ხნავსო“. აკი გითხრა ლავრენტი პავლოვიჩმა, მაგრები არიან ქართველებიო, შენ კი არ დაიჯერე. ზოგჯერ უფროსებსაც უნდა დაუგდო ყური“. ვასილი თავჩაღუნული ტოვებდა სამთავრობო ლოჟას, დიდი ბელადი კი ბერიას მიუბრუნდა: „ლავრენტი, გამოტყდი, შესვენებისას ფეხბურთელებთან ჩახვედი და, ალბათ, დახვრეტით დაემუქრე, თუ არ მოიგებდნენ, არა?!“ ბერიას გაეცინა: „ამხანაგო სტალინ, მე ისინი, უბრალოდ, გავამხნევე, ვთხოვე, თავი არ შეერცხვინათ და შინ დასაბრუნებელი პირი ჰქონოდათ“. სტალინს კვლავ გაეღიმა და ვასილს მიაძახა: „დღეს საღამოს დიდ თეატრში გელოდები, ქართული კულტურის დღეების დასკვნითი კონცერტია და, მინდა, დაესწრო“. ვასილმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა მამას და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ლოჟიდან.

როგორც მოგვიანებით გაიკვეა, სტალინი და გალაკტიონი ძველი ნაცნობები იყვნენ და რაღაც-რაღაცეებიც კი გაიხსენეს

საღამოს დიდი თეატრის სამთავრობო ლოჟაში საბჭოთა მთავრობის წევრები მოვიდნენ. მალე სტალინიც გამოჩნდა. დარბაზმა მას მქუხარე ოვაცია მოუწყო. კონცერტზე ვასილი მამის გვერდით იჯდა, ხელმარცხნივ კი ბერია მოთავსდა. იმ საღამოს ქართველმა ხელოვანებმა ისეთი ქარიშხალი დაატრიალეს, დარბაზი ემოციებს ვერ იკავებდა, განსაკუთრებული მოწონება კი ქართულმა ცეკვებმა გამოიწვია. „ხანჯლურით“ ოთხჯერ გამოვიდნენ მოცეკვავეები „ბისზე“. ვასილი პირდაღებული უყურებდა ამას და აშკარად ეტყობოდა, რომ გაოცებული და აღფრთოვანებული იყო. კონცერტის შემდეგ კი დიდმა ბელადმა უთხრა: „აბა, როგორ მოგეწონა შენი თანამემამულეების გამოსვლა, განა სადმე მსგავსი რამ გინახავს?! ნუთუ მართლა გეგონა, რომ ასეთ ტემპერამენტსა და ცეცხლს რამე გაუძლებს? შენ კი აიჩემე, „ცედეკაო“!... განა ქართველი ფეხბურთელები ნაკლები ცეცხლით უტევდნენ, ვიდრე მოცეკვავეები ცეკვავდნენ?!“ ვასილს თავი აღარ ჩაუღუნავს, გაეღიმა და ბერიას გადახედა, რომელიც გაბადრული უმზერდა მამა-შვილს. სტალინი კულისებში მსახიობებისკენ გაემართა და მიულოცა ბრწყინვალე გამოსვლა, შემდეგ კი რამდენიმე მათგანი თავის აგარაკზე, კუნცევოში დაპატიჟა სავახშმოდ. „ვასკა, შენც აუცილებლად მოდი ამაღამ“, – უთხრა შვილს.

კუნცევოში ღამის პირველ საათზე ჩავედით. სასადილოში უკვე გაეშალათ სუფრა. სტალინი სუფრის თავში დაჯდა. მოწვეული ქართველების ვინაობა უკვე აღარ მახსოვს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც დამამახსოვრდა – იგი ჩემი სათაყვანო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე იყო. მაშინ არათუ პირადად მას, მის პოეზიასაც არ ვიცნობდი და გამართული ქართულით ლაპარაკიც კი მიჭირდა, თუმცა, ყველაფერი მესმოდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სტალინი და გალაკტიონი ერთმანეთის ძველი ნაცნობები იყვნენ და რაღაც-რაღაცეებიც კი გაიხსენეს. სტალინმა თამადად ამჯერადაც ბერია დანიშნა და მას სუფრის მეორე თავში დაჯდომა უბრძანა. პოლიტბიუროს წევრთაგან ვახშამზე ვოროშილოვი, მოლოტოვი, კალინინი, მიქოიანი, კაგანოვიჩი და ჟდანოვი იმყოფებოდნენ; აქ იყო ხრუშჩოვიც. თავიდან საკმაოდ თავშეკავებული და ოდნავ დაძაბული სიტუაციაც კი იყო, მაგრამ სტალინის უშუალობამ და ბერიას ხუმრობებმა სულ მალე გამოაცოცხლა სუფრა. რუსულ ენაზე საუბრობდნენ, თუმცა, ბერია დროგამოშვებით თითო-ოროლა ქართულ სიტყვასაც გადაუკრავდა ხოლმე ქართველებს. პოლიტბიუროს წევრებიდან სტალინისა და ბერიას გარდა ქართული კარგად იცოდა მიქოიანმა. ბერიამ ერთ-ერთი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ჭიქა ასწია და თქვა: „ქართველებმა დღეს მოსკოვი დაიპყრეს: ჯერ იყო და, მათ ჩვენი სახელოვანი „არმიელები” დაამარცხეს, შემდეგ კი ჭეშმარიტი ხელოვნების ზეიმი მოგვიწყვეს და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ, დიდ რუსებთან ერთად, უდიდესი კულტურისა და ტრადიციების ხალხი ვართ“. ეს „ვართ“ ბერიამ ხაზგასმით წარმოთქვა, რადგან ის თავს ქართველად მიიჩნევდა და ყოველთვის ცდილობდა ამის ხაზგასმას. სტალინს ხმა არ ამოუღია. ქართველ ხელოვანებს აშკარად ესიამოვნათ სადღეგრძელო და სასმისები გამოცალეს. შემდეგ ერთ-ერთმა ქართველმა სტუმარმა „გაფრინდი, შავო მერცხალო“ წამოიწყო, მას სხვებიც აჰყვნენ. მხიარულებამ დილამდე გასტანა. სტუმრები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, გალაკტიონ ტაბიძემ რამდენიმე ლექსი წაიკითხა; მისი ლექსი წაიკითხა ბერიამაც, თანაც, ისეთი ოსტატობით, რომ მსახიობსაც კი შეშურდებოდა. ვასილ სტალინი მათ გაოცებული უმზერდა, სიტყვაც კი არ დაუძრავს. ბოლოს სტალინმა სურათი გადაიღო ქართველ სტუმრებთან ერთად და დილის შვიდ საათზე ყველა წავიდ-წამოვიდა. დარჩა მხოლოდ ვასილი, რომელიც მამასთან ერთად აგარაკის ეზოში გამოვიდა ჰაერზე სასეირნოდ. უცებ დიდმა ბელადმა ვასილს მარცხენა ხელზე შეავლო ხელი, შეაჩერა და უთხრა: „ვასკა, რატომ არ იცი ქართული, შენ ხომ ქართველი ხარ?!“ ვასილს ხმა არ ამოუღია.

მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა
გიორგი ლაშაურმა

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გრიგოლი**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად „მღვიძარს“ ნიშნავს.

1721 წელს მუხათში მოიხსენიება პაპუნა **გრიგოლაშვილი**.

საქართველოში 703 **გრიგოლაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 183, თბილისში – 177, წყალტუბოში – 81. არიან სხვაგანაც.

ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔ

ადრე **ებრალიძეები გლახაშვილები** ყოფილან.

გვარი **გლახაშვილი** ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან – **გლახა**.

საკუთარი სახელი **გლახა** მოიხსენიება თეიმურაზ მეორის განჩინების წიგნში, 1753 წელს.

გლახო ებრალიძე 1823 წელს, სოფელ ერტისის აღწერაში, გედევანიშვილების გლეხად მოიხსენიება.

საქართველოში 1 539 **ებრალიძე** ცხოვრობს; ლანჩხუთში – 474, თბილისში – 445, შუახევში – 143. არიან სხვაგანაც.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ავთანდილაშვილი ეპონიმური ტიპის გვარსახელია. **ავთანდილ**, მნიშვნელობის მიხედვით, უკავშირდება არაბულ-ირანულ ენებს, ნიშნავს „სამშობლოს გულს“, „სამშობლოს რწმენას“ ან „სარწმუნოების სამშობლოს“. ის საკუთარ სახელად ქცეულა და ძალიან გავრცელებულია ქართულშიც. პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მისი მოფერებითი ფორმაა ავთო.

ავთანდილაშვილები, 1721 წლის აღწერის თანახმად, ქვემო ქართლში აზნაურები იყვნენ. მხოლოდ თავად ყაფლანიშვილებს ჰყავდათ ცხრა აზნაური. მათ შორის არიან: ყულიჯანა, ფრიდონა, ფარემუზა, ბერუა, გიორგი, დოლმაზა, ზავრიდა.

ავთანდილაშვილების გვარის შტო-გვარებია ბეჟანაშვილი და ტერტერაშვილი. ქვემო და შიდა ქართლში სამართლებრივ ძეგ-

ლებში მოიხსენიებიან: ბიძინა, ზაალ, გიორგი, როინ, თამაზ, იაგანა, იესე, ჟამურა, ბერუა **ავთანდილაშვილები**.

საქართველოში 203 **ავთანდილაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 101, თბილისში – 44, გორში – 12. არიან სხვაგანაც.

ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

მიქელა კაცის საკუთარი სახელია. აქედან არის ნაწარმოები გვარები: **მიქელაძე, მიქელავა, მიქელაია, მიქელაიშვილი, მიქელბაია, მიქელთაძე** და ასე შემდეგ.

მიქელაძეები დიდი თავადები იყვნენ.

მიქელა ძველ ებრაულ ენაზე „ღვთის სწორს“, „ღვთაებრივს“ ნიშნავს.

„აზნაური **მიქელაშვილის** წინაპარნი არიან იმერელი **მიქელაძეების** სახლის შვილთაგანნი, მდაბალ აზნაურად მიღებულნი, რომელნიც მოჰყვა ზითევსა შინა **მიქელაძის** ასულსა დედოფალს ხვარაშანს, მეუღლესა გიორგი მეფისასა და მუნიდგან არიან ცნობილ აზნაურად **მიქელაშვილებად** 1685 წელსა და მოხსენიებულია ტრაქტატსა შინა“.

საქართველოში 721 **მიქელაძე** ცხოვრობს: თბილისში – 163, ოზურგეთში – 109, ყვარელში – 67. არიან სხვაგანაც.

ᲓᲐᲠᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძე მიღებულია, სავარაუდოდ, ზმნიდან **სირბილი**.

დარბიაშვილი მოიხსენიება ენაგეთის ახალშენში 1713 წლის გაყრილობის წიგნში, რომელიც კათოლიკოს დომენტის ამილბარ და ახუა მაღალაძეებისთვის მიუცია.

საქართველოში 102 **დარბიაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 77, თბილისში – 20, ქუთაისში – 5. არიან სხვაგანაც.

ᲔᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ებალა.**

ასევე, გვხვდება მეტსახელი **ებალა.**

1721 წელს ციციშვილის ყმის, **ებალაშვილის** სახელი მოიხსენიება სამღერეთში.

საქართველოში 96 **ებალაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 75, თელავში – 15, თბილისში – 6.

აკადემიკოს ᲘᲐᲙᲝᲑ ᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მასალების მიხედვით მოამზადა ᲜᲝᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲨᲘᲫᲔ

ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

1. ავიაბილეთები ყველა
მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44;
599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს
საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო
ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო
ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის
ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52;
225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების
კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი) 28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის
ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების
სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლულის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23
599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00
შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა
ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი
ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია
სილნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

ახალგაზრდა, პროფესიონალი მუსიკოსი, ნიკა ნიკვაშვილი, მათ რიცხვშია, ვისაც ღმერთმა, ნიჭთან ერთად, ყველა დადებითი თვისება მიანიჭა, რაც კი ცხოვრებაში წარმატებისთვისაა აუცილებელი. ნიკა მოსკოვში მოღვაწეობს და ხშირად უწევს უცხოეთში გამოსვლა. თუმცა, ძალიან უყვარს თავისი ქვეყანა და მიაჩნია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეულად ნიჭიერი ერი ვართ. ნიკა ძალიან თბილი და კომუნიკაბელურია და მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

რატომ არ იტოვებს სულში ემოციებს ნიკა ნიკვაშვილი და რატომ დადის ის 70-იანი წლების ქართული ესტრადის ჩანაწერებით უცხოეთში

ნიკა ნიკვაშვილი: მაქსიმალისტი ვარ და მინდა, ყველაფერი გაცილებით უკეთ იყოს, ვიდრე არის. დიდი სიამოვნებაა, როცა პუბლიკას უყვარხარ, მათთვის უკრავ და ისინიც გრძნობენ, შენ დამოკიდებულებას მათდამი. ახლახან გადავიღეთ კლიპი, სადაც მე ვმღერი. ზოგადად, ეს ჩემი პირველი ნამღერია და ალბათ, უკანასკნელი. ვუკრავ, ვწერ მუსიკას, ვაორკესტრებ – ეს ჩემი საქმეა, მაგრამ იმდენად მომეწონა ჩემი საავტორო სიმღერა, ვიფიქრე, თავად შევასრულებ-მეთქი და ეს გადაწყვეტილება მივიღე. კლიპის პრეზენტაცია მოსკოვში ჩატარდა, ულამაზეს გარემოში.

– ნიკა, როგორც ვიცი, მოსკოვიდან ევროპაში აპირებ საცხოვრებლად გადასვლას. ეს გადაწყვეტილება უკვე მიიღე?

– მეხუთე წელია, რაც მოსკოვში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ. ამ ხნის განმავლობაში, ძალიან ბედნიერი ვარ. რუსეთში ჩემი გარკვეული პუბლიკა მყავს. მათგან უდიდეს მხარდაჭერას, სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ. მართლა ძალიან რთულია, უცხო ქვეყანაში საკუთარი თავის დამკვიდრება, მოსკოვში კი, მე ჩემი თავი აღმოვაჩინე. აქ არ იშურებენ გამოხატონ მუსიკოსის მიმართ ის, რასაც გრძნობენ – გაჩვენონ სიყვარული და ის, რასაც განიცდიან თბილი სიტყვებით გადმოგცენ. იმდენი ყვავილი მოაქვთ კონცერტზე, მანქანას ვტვირთავ და ახლობლებს ვურიგებ. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მოსკოვი არის ქალაქი, სადაც ჩემი ოცნებები ახდა. აქ ჩამოსულმა ნულიდან დავიწყე ყველაფრის კეთება და დღეს, ბედნიერი ვარ. რასაკვირველია, თავიდან სირთულეებისა და სიძნელეების გადალახვაც მომინია, მაგრამ მერე გავიფართოვე საახლობლო წრე და, მათი დახმარებითაც შევძელი მეკეთებინა ის საქმე, რამაც პოპულარობა მომიტანა. ბედისწერაც არსებობს, მაგრამ თუ ბევრი არ იშრომე, მარტო ბედის იმედზე ვერ დარჩები. ხომ არიან ადამიანები, ვისაც უმართლებს? ჩემს შემთხვევაში, ასე არ არის. ბევრი შრომის ფასად მივაღწიე იმას, რითაც დღეს მოვედი. უშრომლად და დიდი ენერგიის ხარჯვის გარეშე, წარმატებას ვერ ვაღწევ. მაგალითად, თბილისში კონსერვატორია მაქვს დამთავრებული, ბატონი ბიძინა კვერნაძის კლასი და ახლა მჭირდება სტიპენდია, რომ სწავლა ასპირანტურაში გავაგრძელო. არავინ გამოჩნდა, რომ ეს სტიპენდია ჩემთვის გამოეყოთ. თუ ბედი მწყალობს, ხომ დამაფინანსებდნენ? *(იცინის)*. როცა მიწვევა გაქვს, უფრო მეტად დაიხვეწები და განვითარდები. მაგრამ, თუ დაფინანსება არ გაქვს, რთულია, საკუთარი შრომით შეძლო სწავლის უზრუნველყოფა.

ოქტომბერში მოსკოვში ჩამოდის სტივ უანდერი და მეც ვარ მიწვეული

– თქვი, მოსკოვში ნულიდან დავიწყე ცხოვრებაო. ახლა ევროპაში აპირებ საცხოვრებლად გადასვლას, სადაც ისევ ნულიდან მოგიწევს ყველაფრის აწყობა. ამის არ გეშინია?

– არა, არ მეშინია! ახალი სასწავლო წლიდან, სხვა ქვეყანაში რომ მომიწევს ცხოვრება, ეს ფაქტია, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვით, სად ვუმიზნებ. მოდი, ჯერ ეს საიდუმლოდ დავტოვოთ *(იცინის)*. იმხელა გამოცდილება მივიღე მოსკოვში, ვფიქრობ, ეს ევროპაში გამომადგება. ზოგადად, სიახლეების არ მეშინია და ცხოვრებაში, დროდადრო, ახალი ემოციის, შთაბეჭდილების მიღება აუცილებელიცაა. ახალი ქვეყანა გაძლევს საშუალებას, კიდევ უფრო მეტი გამოცდილება მიიღო და კიდევ მეტი ახალი შექმნა. ამ ეტაპზე მივიღე გადაწყვეტილება, ევროპაში გადავსახლდე მოსკოვიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონცერტებზე არ ჩამოვიდე – ისე წავიდე, რომ არ დავბრუნდე. დროდადრო აუცილებლად ჩავალ და ჩავატარებ კონცერტებს სხვადასხვა ქალაქში. აი, ოქტომბერში, მოსკოვში სტივ უანდერი ჩამოდის და მეც ვარ მიწვეული.

– ამბობენ, მუსიკის საშუალებით, ადვილია ადამიანი მოაჯადოო, სხვა სამყაროში გადაიყვანო და ის გრძნობა გააღვიძო მასში, რაც მიძინებულიაო. ამ აზრს ეთანხმები?

– მუსიკის საშუალებით კი არ არის ადამიანის მოჯადოება ადვილი, უბრალოდ, მუსიკა ამაში გეხმარება. მე მუსიკით შემიძლია, ადამიანს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. უსიტყვოდ ავუხსნა სიყვარული და გამოვხატო ის გრძნობები, რასაც მის მიმართ განვიცდი. საფრანგეთში ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, სადაც მეც მივიღე მონაწილეობა. ამაზე მეტი საშუალება, რომ ერთმანეთს გვერდით დავუდგეთ და უსიტყვოდ დავეხმაროთ ჩვენი შემოქმედებით, მე მგონი, არ არსებობს?

– როდესაც სცენაზე ხარ, შეგიძლია აკონტროლო ემოციები, თუ როგორც ამბობენ, სხვა განზნომილებაში ხვდები და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევ?

– სცენაზე, ყოველთვის ვაკონტროლებ ემოციებს, არასდროს გადავდივარ სხვა განზომილებაში, თუმცა შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. რასაც ვუკრავ და ვასრულებ სცენაზე, აბსოლუტურად მოკლებულია სიყალბეს და მოდის გულიდან. ჩემს შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიას. თუ ის ინერტულია, შეიძლება, შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოაჩინო, მაგრამ თუ მაყურებლისგან სითბო მოდის, ის შენს ენერგეტიკაზეც დადებითად მოქმედებს. პეტერბურგში მქონდა კონცერტი. სცენაზე რომ ავედი, ჯერ აკორდი არ მქონდა აღებული და ისეთი სითბო ვიგრძენი დარბაზიდან, მივხვდი, მათთვის ბოლომდე უნდა დავხარჯულიყავი. როცა მართალი ხარ იმაში, რასაც აკეთებ, ამას მსმენელი ყოველთვის იგებს. მაყურებლის აურა და ენერგეტიკა, ჩემთვის მთავარია. შემოქმედმა სულში ემოცია არ უნდა დაიტოვო, მთლიანად უნდა გასცე, ბოლომდე დაიხარჯო და იგივეს მიიღებ ხალხისგან. გამორიცხულია, მათ არ უყვარდე. ხალხი ბრძენია და ზუსტად ხვდება ცუდსა და კარგს შორის განსხვავებას. მაგრამ რა ქნან, როცა თავს ახვევენ ამდენ უგემოვნებას და საშინელებას. უფროს თაობას რა უჭირს, მაგრამ ახალი თაობა, რომელიც ამდენ უნიჭო, ვითომ ხელოვანს უყურებს ყოველდღე ტელევიზიით და მათ შემოქმედებაზე იზრდება? საქართველო უნიჭიერესი ქვეყანაა და რომ ჩართავ ტელევიზორს, გამოდის მომღერალი და კაცმა არ იცის რას მღერის, ეს საშინელებაა. სცენაზე ტაშ-ფანდური აიტანეს, სცენიდან ხინკლის სუნი მოდის და ეს ჩვენი ერის სირცხვილია. უცხოეთში, ყველას ვუხსნი, ჩვენ ასეთები კი არ ვართ, იცით, როგორი მომღერლები და კომპოზიტორები გვყავდნენ-მეთქი, ანუ თავის მართლება მიწევს. ჩანაწერებით დავდივარ და 70-იანი წლების ქართულ ესტრადას ვასმენინებ. საქართველოში ესტრადამ დეგრადაცია განიცადა, იმის მაგივრად, რომ უკეთესობისკენ წასულიყო. ქართველს ამერიკულ სტილში მღერა არ უხდება. მერაია ქერი გადასარევად მღერის და მისი მიბაძვითა და კოპირებით თავის წარმოჩენა, სასაცილო ხდება. უცხოელი მომღერლის კოპირებით, ვერცერთი ქართველი მომღერალი უცხო ქვეყანაში წარმატებას ვერ მიაღწევს. ამას პირდაპირ ვამბობ. უცხოეთში იმდენი მერაია ქერი ჰყავთ, რომ არ სჭირდებათ ჩვენი დამატება. ამას ჯობია, აჩვენო უცხოელ მაყურებელს ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, რა გემოვნება გაქვს და რა – მდიდარი გენეტიკა. ამ წელს მინიმუმ ას დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვედი და არსად დამიკრავს უცხო ავტორის მუსიკა. იმიტომ კი არა, რომ პროტესტი მაქვს, უბრალოდ, გამოვდივარ და ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებს ვუკრავ. სადაც იგრძნობა ჩემი გენეტიკა და ჯიში, იმას გაცილებით უკეთ იღებს უცხოელი მსმენელი. თუმცა, გააჩნია როგორ მიაწვდი, თუ უგემოვნოდ არ გადააკეთებ და დაამახინჯებ. უნდა ვეცადოთ, ჩვენი ქვეყნისა და მუსიკის პოპულარიზაცია მოვახდინოთ და არა უცხოელების მიბაძვით ვეცადოთ, თავის დამკვიდრებას. ასე მოქცევა, ღრმა პროვინციალიზმს უფრო ჰგავს და გული მწყდება. ვგიჟდები ჩემს ქვეყანასა და ხალხზე და გული მტკივა, ამდენი შური, ბოღმა და დაცინვა რომ ტრიალებს ირგვლივ. მინდა უფრო უკეთესები ვიყოთ.

ნონა დათეშიძე

ფიზიკოსი ᲒᲘᲐ ᲧᲝᲠᲘᲐᲣᲚᲘ საქართველოდან 2002 წელს წავიდა. სამშობლოს შემდეგ მან მოღვაწეობა რუსეთიდან, კერძოდ კი დუბნიდან დაიწყო მაღალი ენერგიების ფიზიკაში და მონაწილეობა მიიღო მსოფლიო მნიშვნელობის, ძალიან წარმატებულ პროექტებში. ამის შემდეგ კანადაში განაგრძო საქმიანობა, ხოლო შემდეგ გერმანიაში გადავიდა. ამ დროისათვის ის ქალაქ მაინცში, იოჰან გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, პარალელურად კი ევროპის ბირთვული კვლევების ლაბორატორიაში – „ცერნში“ მოღვაწეობს, სადაც მონაწილეობს ერთ-ერთი უდიდესი მასშტაბის ექსპერიმენტში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, რომლის მიზანიც ახალი ფიზიკური პროცესებისა და ნაწილაკების აღმოჩენაა. პროექტმა გამოცდის პირველი ეტაპები ძალიან წარმატებით გაიარა.

როგორ აპირებს ეგრეთ წოდებული ახალი ფიზიკის აღმოჩენას ნობელის პრემიის მფლობელ ჰიგსის კვლევებში მონაწილე ქართველი ფიზიკოსი

– ბოლო წლებში ფიზიკით სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა ინტერესდება. რამ გამოიწვია ამ მეცნიერებისდმი თქვენი ინტერესი?

– ეს პიროვნული საკითხია და ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე დიდად არაა დამოკიდებული, უფრო ადამიანის შინაგან ინტერესებს ეყრდნობა. შეიძლება, ვარსკვლავებიანი ცა გაინტერესებდეს, შეიძლება – უხილავი ნაწილაკები ან სხვა ფუნდამენტური საკითხები. არჩევანი დიდი ხნის წინ გავაკეთე, ახლა ზუსტად ვერც ვიხსენებ, რატომ და როგორ. ალბათ, იმიტომ, რომ ბუნების კვლევის დიდი ინტერესი მქონდა და ეს დღემდე შემომრჩა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი ფიზიკის მასწავლებლის ფაქტორიც. ფიზიკა ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ, მეათე კლასში ვიყავი, როცა საბოლოოდ გადავწყვიტე მისი მომავალ პროფესიად არჩევა. როგორც ყველა ბავშვი, მეც გზაგასაყარზე ვიყავი, ფიზიკამ გადაძალა და ამას არ ვნანობ. თუმცა, შესაძლოა, არც სხვა მენანა *(იცინის).*

– რა იყო პირველი მნიშვნელოვანი მიღწევა, რის შემდეგაც უფრო დარწმუნებით განაგრძეთ მოღვაწეობა?

– როდესაც უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე, გადამწყვეტი იყო პირველი სემესტრი. უმაღლესი დონის სწავლა იყო, ძალიან კარგი ლექტორები მყავდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორ ჩავაბარებდი გამოცდებს – შევძლებდი თუ არა ფიზიკისა და მათემატიკის ფრიადზე ჩაბარებას. როცა ეს ეტაპი წარმატებით გავიარე, ჩემს შესაძლებლობებში დავრწმუნდი. გადაწყვეტილი მქონდა, თუ რომელიმე საგანში ოთხიანს მივიღებდი, თავი დამენებებინა *(იცინის).*

– როგორ წარიმართა თქვენი მოღვაწეობა სწავლის დამთავრების შემდეგ?

– ბაკალავრიატი ზოგადი ფიზიკის განხრით დავამთავრე და სპეციალობად ბირთვული და ატომური ფიზიკა ავირჩიე. უნივერსიტეტის შემდეგ რუსეთში, დუბნაში წავედი, სადაც მდებარეობს ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი. საქართველო დღემდე არის ამ ცენტრის წევრი. მაშინ გაცილებით მეტი წარმომადგენელი ჰყავდა იქ, ვიდრე დღეს და მეც მათ შევუერთდი. ჩავერთე „ატლასის“ ექსპერიმენტში და სხვადასხვა ამოცანის გადაჭრაში ვიღებდი მონაწილეობას. ძირითადად იყო პროგრამული უზრუნველყოფის წერა „ატლასის“ ერთ-ერთი დეტექტორისთვის, რომელსაც ჰქვია ადრონული კალორიმეტრი. ვსწავლობდი მის შესაძლებლობებს სიმულაციით, ანუ პროგრამული მოდელირებით. ექსპერიმენტში 2013 წლის ოქტომბრამდე ვიყავი, ვიმუშავე სხვადასხვა თემატიკაზე. სადოქტოროც ამ ექსპერიმენტში დავიცავი ბონის უნივერსიტეტში, გერმანიაში.

– ამჟამად რა პროექტზე მუშაობთ?

– ახლა სხვა ექსპერიმენტს წარმოვადგენ „ცერნში“, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. მას ჰქვია „NA62“. ამ ექსპერიმენტს აქვს იმის პოტენციალი, რომ აღმოაჩინოს ეგრეთ წოდებული ახალი ფიზიკა. ეს ელემენტარული



ჩვენ მისი არსებობა დავამტკიცეთ. გაიზომა მისი მასა, თვისებები და აღმოჩნდა, რომ არ გვაქვს არანაირი გადახრა თეორიულად ნაწინასწარმეტყველები თვისებებიდან

ნაწილაკების ფიზიკაში ყველაზე დიდი ექსპერიმენტია იმ თვალსაზრისით, რომ ყველაზე დიდი ექსპერიმენტული დარბაზი სჭირდება. დარბაზის სიგრძე 270 მეტრამდეა და დეტექტორებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით არის სავსე. მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, ჩვენ ამ ექსპერიმენტისთვის ერთ-ერთი ფიზიკური დეტექტორი გავაკეთეთ, რომელიც წინა კვირას ჩავიტანეთ მაინციდან „ცერნში“. ექსპერიმენტი წარმოადგენს უამრავი სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების დეტექტორების ერთობლიობას. ყველა დეტექტორს თავისი ფუნქცია აქვს. არსებობს სხვადასხვა ტიპის ნაწილაკები და სხვადასხვა დეტექტორმა სხვადასხვა მათგანი უნდა დაარეგისტრიროს, რომ მერე მათი ერთობლივი გამოყენებით მოხდეს ფიზიკური სურათის სრული რეკონსტრუქცია, რათა გავიგოთ, რა ფიზიკური პროცესი მოხდა. ჩვენი დეტექტორი, რომლის უშუალო გაკეთებასაც უკანასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში მე ვხელმძღვანელობდი, ელემენტარული ნაწილაკების, მიუონების რეგისტრაციას ახდენს. დეტექტორი საკმაოდ დიდია – ორმოცა ტონას იწონის და მისი გადატანა რთულია. მიუონებს ახასიათებს ძალიან დიდი შეღწევადობა მატერიაში, ამიტომ მათ დეტექტორს სჭირდება დიდი მასა, რათა აიძულოს მიუონები, დაკარგონ ენერგია დეტექტორში გავლისას. დეტექტორში არის მგრძნობიარე ელემენტები, რომლებიც მიუონების მიერ გადაცემულ ენერგიას გარდაქმნიან სინათლედ. სინათლე მოდის სპეციალური ოპტიკური ბოჭკოებით ელექტრონულ მონყობილობებში და ხდება მისი, როგორც ელექტრონული სიგნალის, რეგისტრაცია. ამ სიგნალების საშუალებით აღვადგენთ ნაწილაკის ტრაექტორიასა და მის ენერგიას – ეს არის ფიზიკური სურათი. ამის საფუძველზე აღვადგენთ ფიზიკურ პროცესს და დავუკავშირებთ მას ფიზიკაში არსებულ ცნობილ თუ უცნობ თეორიას.

– როგორც ვიცი, ჰიგსის ბოზონიც იყო თქვენი კვლევის საგანი.

– „ატლასის“, ამ უდიდესი ექსპერიმენტის მთავარი მიზანი იყო ჰიგსის ბოზონის არსებობის დადასტურება ან უარყოფა. ეს იყო ათასობით სპეციალისტის კოლექტიური შრომა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი ბევრ ქართველ მეცნიერთან ერთად. ჩვენ მისი არსებობა დავამტკიცეთ. გაიზომა მისი მასა, თვისებები და აღმოჩნდა, რომ არ გვაქვს არანაირი გადახრა თეორიულად ნაწინასწარმეტყველები თვისებებიდან. ამ თეორიას ჰქვია „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სტანდარტული მოდელი.” რამდენიმე ათეული წელია, მისი შემოწმება მიმდინარეობს და ჯერჯერობით არანაირი გადაცდომა არ იქნა აღმოჩენილი. ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა კი იყო გვირგვინის დადგმა სტანდარტული მოდელისთვის. ამ თეორიის ერთ-ერთმა შემქმნელმა, რომლის სახელსაც ატარებს ჰიგსის ბოზონი, პიტერ ჰიგსმა, ამ აღმოჩენისთვის შარშან ნობელის პრემიაც მიიღო.

– საქართველოსთან თუ გაქვთ მეცნიერული თვალსაზრისით კონტაქტი?

– ძალიან პასიური. მინდა, რომ უფრო აქტიური მქონდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ხერხდება.

– როგორ ფიქრობთ, ქართველ ახალგაზრდებს როგორი პერსპექტივები აქვთ ამ სფეროში?

– იმედი მაქვს, რომ საქართველოში, არა მარტო ფიზიკაში, არამედ, ზოგადად განათლების დონე აიწევს – უამისოდ წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა. თუმცა, ეს საკითხი კომპლექსურია და ერთიც და მეორეც ერთმანეთზეა დამოკიდებული. უცხოეთში ამის რესურსი და საშუალება არსებობს. საქართველოდან წასული ბევრი მეცნიერი მოღვაწეობს საზღვარგარეთ წარმატებულად. ასე რომ, მთავარია მონდომება და გზა ხსნილია.

– უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან თუ გაქვთ კონტაქტი?

– რა თქმა უნდა. ერთმანეთის სამუშაოზე და მიღწევებზე წარმოდგენა გვაქვს. კონტაქტები ინტენსიურია. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ პროექტების უმეტესობა, რომლებზეც ქართველები მუშაობენ, თავს იყრის ისეთ ცენტრებში, როგორიცაა „ცერნი“, დუბნა და სხვა. მგონი, ობიექტური ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტი ქართველი მეცნიერი სწორედ ელემენტარული ნაწილაკების, იგივე მაღალი ენერგიების ფიზიკაში მუშაობს.

– თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, თუ გრჩებათ დრო სამშობლოში ჩამოსასვლელად?

– ამისთვის დროს ვნახულობ და, იმედია, ყოველთვის ასე იქნება. ჩემი მშობლები, დაძმა, ნათესავები და მეგობრები საქართველოში არიან და, წელიწადში ერთხელ, როცა შვებულება მაქვს, სიამოვნებით მოვიჩქარი ხოლმე სამშობლოსკენ.

ᲥᲔᲗᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

ორშაბათი 8 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **21.00** ტ/სერ. **"ვიცე მეფეები"** **22.00** "გამომძიებელი რეპორტიორი" **22.30** "არენა" **00.00** მხ/ფ **"ამავე დროს მომავალ წელს"** **02.00** "პირადი ექიმი" **02.40** "სამოთხის ვაშლები".

06.00, 15.55 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** X-ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი სერიალი "წარსულის ნაიარევი"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაბრძნობა"** **19.00 სერიალი "ცოდვილი სისხლი"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40,** ქრონიკა **10.05** სერ. **"ჯარმა"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი" 1** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** მხ/ფ **"შიმშილის თამაშები 2"** **00.40** მხ/ფ **"სისხლის და თაფლის მხარეში"** **02.50** მხ/ფ **"შემზარავი წინათბრძნობა**.

06.10 მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.10** მხ/ფ **"ენი წმიანე სახუროვების მამულიდან"** VIII **07.45** თვენი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** დოკ.ფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი **17.05** დეკორატიული ფლორა **17.20** დოკ. ფილმი **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ჩვენი ამბავი "დავით გურამიშვილი" **22.25** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია" **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ.ფილმი **00.25** სათავეებთან-ლადო ასათიანი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

სამშაბათი 9 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20, 21.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** ტ/სერ. **"ვიცე მეფეები"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **21.55 ფეხბურთი**. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: **უკრაინა – საქართველო** (პ/ტრ ავსტრიიდან) **00.00** მხ/ფ **"მეორე დღე რომ დაღამდა"** (მ.ბრანდო) **01.30** "პირადი ექიმი" **02.30** "სამოთხის ვაშლები".

06.00, 15.55 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი. **03.30** მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05 სერიალი "თანაბრძნობა"** **19.00 სერიალი "ცოდვილი სისხლი"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **22.50 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 02.50** ქრონიკა **10.05** სერ. **"ჯარმა"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი" 2** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** ერთი ერთში **00.00** შალვა რამიშვილის შოუ **01.10** მხ/ფ **"ბალიის მეფე"** **03.00** ფარული კამერა.

06.10 მუს.პაუზა **06.20** სპექტაკლი **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია" **11.00** თაობა ზეტი **11.30** ჩვენი ამბავი "დავით გურამიშვილი" **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.15** სათავეებთან - ლადო ასათიანი **17.00** მგზავრები წუთისოფლისა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თვენი **19.50** მუს.პაუზა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფილ. **00.30** "ერთსულოვნების" სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 35-ე გვერდზე

კინოთეატრები

კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5. ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

8–14 ივნისი

დარბაზი 1

12.00, 14.40, 17.15, 20.00, 22.30 - **„სან ანდრეასი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

დარბაზი 2

14.00 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 20.00, 22.00 - **„შემთხვევითი პაემნები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

18.00 - **„ყარასტანში დაკარგული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

დარბაზი 3

12.00, 14.30 - **„ბეკეკა შონი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.35, 19.30, 22.15 - **„ადელაინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

დარბაზი 4

11.50 - **„სახლი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

13.50 - **„შურისმაძიებლები: ალტრონის ერა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

16.50, 19.40, 22.30 - **„მომავლის სამყარო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

დარბაზი 5

11.50, 14.30, 17.10, 19.50, 22.30 - **„შეშლილი მაქსი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)..

კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

დარბაზი 1

12.00, 14.30, 17.00, 19.45, 22.20 - **„სან ანდრეასი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

დარბაზი 2

12.00 - **„სახლი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

14.05, 16.55, 19.45 - **„მომავლის სამყარო"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

22.35 - **„ადელაინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

დარბაზი 3

12.00 - **„ბეკეკა შონი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

14.05, 16.50 - **„ადელაინი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

19.30 - **„სან ანდრეასი"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

22.10 - **„შეშლილი მაქსი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

ორიგინალური ღვეზელი ქიშმიშით

საჭირო ინგრედიენტები: 2/3 ჭიქა „ფშენო“ (ყვითელი, წვრილმარცვლოვანი ბურღული), 2 სადილის კოვზი კარაქი, 2 ჭიქა რძე ან წყალი, 200 გრამი ხაჭო, 3 ცალი კვერცხი, 2 სადილის კოვზი თაფლი, 200 გრამი შაქარი, 1 შეკვრა ვანილი, 0,5 ჩაის კოვზი მუსკატის კაკალი, 1/2 ჩაის ჭიქა ქიშმიში, მარილი, 100 მილილიტრი ხილის წვენი.

მომზადების წესი: „ფშენო“ გარეცხეთ, დაასხით წყალი და გააჩერეთ რამდენიმე საათის განმავლობაში. აურიეთ და გადაწურეთ.

ერთი სადილის კოვზი კარაქი გაადნეთ ტაფაზე, დაუმატეთ „ფშენო“ და მოშუშეთ 5 წუთის განმავლობაში, სანამ ოქროსფერი არ გახდება. ქვაბში ჩაასხით და ადუღებამდე მიიყვანეთ 2 ჭიქა რძე ან წყალი. ჩაყარეთ მასში მოშუშული „ფშენო“. დაახურეთ ქვაბს თავსახური და ძალიან დაბალ ცეცხლზე ხარშეთ. არ დაგავიწყდეთ, პერიოდულად ამოურიოთ. ცალკე შეურიეთ ერთმანეთს ხაჭო, კვერცხი და თაფლი. ძალიან ცოტა მარილიც უყავით. შეგიძლიათ, უფრო დაატკბოთ შაქრით. აურიეთ ძალიან კარგად, სანამ ერთგვაროვან მასად არ იქცევა. უკვე მზა „ფშენოს“ ფაფას შეურიეთ ხაჭოს, კვერცხისა და თაფლის ნაზავი. კიდევ აურიეთ და დაუმატეთ მარილი, მუსკატის კაკალი, ქიშმიში და ვანილი. აურიეთ. გააცხელეთ აირღუმელი 200 გრადუსზე. გამოსაცხობ ფორმას წაუსვით კარაქი. ჩაასხით „ფშენოს“ ცომი. ზემოდან დაადეთ დარჩენილი კარაქი და გამოაცხვეთ 45 წუთის განმავლობაში. ზედაპირი ოქროსფერი ქერქით უნდა დაეფაროს. ზემოდან შეგიძლიათ, მოასხათ ხილის წვენის გლაზური, რომელიც მოამზადეთ ასე: ხილის წვენს შეურიეთ ცოტა შაქარი და მიიყვანეთ ადუღებამდე. უნდა შესქელდეს მუდმივი მორევით, წყალში რომ ჩააწვეთებთ, ბურთულად უნდა იქცეს. ნამცხვარს მოასხით თბილი. შეგიძლიათ, ჩვეულებრივი შოკოლადის გლაზურიც მოასხათ ან ისე მიირთვათ.

მარტივი სალათა

საჭირო ინგრედიენტები: 20 ცალი ყვავილოვანი კომბოსტოს კუნწულა, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 4 ცალი მჟავე კიტრი (დამწნილებული), ცოტა არაჟანი (ან მაიონეზი), მარილი, შავი პილპილი, 1 კონა კამა.

მომზადების წესი: მდუღარე, მარილიან წყალში ჩათუთქეთ ყვავილოვანი კომბოსტო. არ ჩახარშოთ. მოათავსეთ საწურზე. დაიწრიტოს და გაცივდეს. შემდეგ კუბიკებად დაჭერით.

კამა დაჭერით ძალიან წვრილად, დაუმატეთ მარილი და შავი პილპილი, მოაყარეთ ყვავილოვან კომბოსტოს. დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი კიტრი და ბულგარული წიწაკა. მოასხით არაჟანი, აურიეთ და მზად არის. გემრიელი და სასარგებლო სალათაა.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

ფარშირებული თევზი

საჭირო ინგრედიენტები: 1 ცალი კარპი (ან ნებისმიერი, მსგავსი თევზი), 6 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 ცალი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 ცალი ბულგარული, 1 ცალი პომიდორი, 1 ცალი ბადრიჯანი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 ცალი ლიმონი, 1 სადილის კოვზი ტკბილი და ცხარე წიწაკა, მწვანილი.

მომზადების წესი: თევზი გაასუფთავეთ და მოამზადეთ მარინადი მისთვის. ერთ სადილის კოვზ პილპილის ნაზავს შეურიეთ 5 სადილის კოვზი სოიის სოუსი. წაუსვით თევზს და შიგნიდანაც კარგად დანამეთ. გააჩერეთ 1 საათის განმავლობაში. დაჭერით ბოსტნეული: ჩხირებად – ბადრიჯანი და გარეცხეთ ცივი, მარილიანი წყლით. გააჩერეთ 10-15 წუთი. სტაფილო გახეხეთ. დანარჩენი ბოსტნეული დაჭერით რა ფორმითაც გინდათ. ღრმა ტაფაზე დაასხით ზეთი. მოაყარეთ ხახვი, სტაფილო და ბულგარული წიწაკა. შუშეთ 5 წუთის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ ბადრიჯანი. კიდევ 5 წუთი შუშეთ. მოასხით 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი. აურიეთ კარგად. გადმოდგით ცეცხლიდან. დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი პომიდორი და მწვანილი. თევზი დადეთ გამოსაცხობ ტაფაზე. ქვემოდან დაუფინეთ ფოლგა. მუცელი ამოუვსეთ ბოსტნეულით. გარშემოც ბოსტნეული შემოულაგეთ. მოასხურეთ ლიმონის წვენი, დააფარეთ ფოლგა და გამოაცხვეთ 1 საათის განმავლობაში 150-170 გრადუსზე. ათი წუთით ადრე მოხსენით ფოლგა.

გარნირად ძალიან უხდება მოხარშული ბრინჯი ან მოხარშული კარტოფილი.

ხორცის ცივი წვნიანი მდოგვით

საჭირო ინგრედიენტები: 300 გრამი რბილი ხორცი, 12 ცალი ბოლოკი, 3 ცალი ცოცხალი კიტრი, 150 გრამი მწვანე ხახვი და კამა, 3 ცალი კვერცხი, 2 ლიტრი კეფირი, 2 სადილის კოვზი მდოგვი, მარილი.

მომზადების წესი: თხლად დაჭერით ბოლოკი. კუბიკებად დაჭერით კიტრი, მოხარშული ხორცი (კარგი იქნება, თუ ღორის ან ფრინველის ფილეს აიღებთ). კვერცხი მოხარშეთ და მერე დაჭერით. მწვანილი დაჭერით წვრილად.

1 ლიტრ კეფირს შეურიეთ მდოგვი, მარილი. ჩააწყვეთ მასში ყველა ინგრედიენტი და დაასხით მეორე ლიტრი კეფირი. აურიეთ.

შეგიძლიათ, მიირთვათ არაჟანთან ერთად.

ქათმის ფილე ბრინჯითა და ხახვით – ნინი წიკლაურისგან

ძალიან გამიტაცა კულინარიამ და მიმაჩნია, რომ კარგი კერძის მომზადება ივივე ხელოვნებაა. სადმე თუ გავსინჯე რამე კერძი და მომეწონა, აუცილებლად ვიკითხავ, როგორ კეთდება და მერე თავად, სახლში ვცდი მის მომზადებას. მიყვარს, როცა ჩემს ნახელავს მეგობრები აფასებენ. ასე რომ, გარდა მომღერლობისა, კარგი მზარეულიც ვარ. დღეს კი შემოგთავაზებთ ქათმის ფილეს ბრინჯითა და ხახვით, რომელიც ძალიან გემრიელია.

საჭირო ინგრედიენტები: 400 გრამი ქათმის ფილე, 200 გრამი ბრინჯი, 2 ცალი კვერცხი, 0,5 ჩაის კოვზი ქონდარი, 1 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, 1 ცალი ბულიონის კუბიკი, 3 ძირი მწვანე ხახვი, 1 ცალი მოზრდილი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი სტაფილო, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, მარილი, შაქარი, წითელი წიწაკა და შავი პილპილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: 500 მილილიტრ წყალში გახსენით 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, ძმარი, 2 სადილის კოვზი მარილი და 2 სადილის კოვზი შაქარი და ჩადეთ ქათმის ფილე დაახლოებით 5 საათის განმავლობაში. 1 ლიტრ წყალში ჩააგდეთ ბულიონის კუბიკი, ჩაყარეთ ცოტა მარილი და წამოადუღეთ. ქათმის ფილე დაჭერით კუბებად და ჩაყარეთ ბულიონში. როცა მოიხარშება, ჯამში ამოიღეთ. იმავე ბულიონში ჩაყარეთ გარეცხილი ბრინჯი და მოხარშეთ ისე, რომ არ ჩაიშალოს. მოხარშული ბრინჯი გადაიტანეთ თუშფალანგზე, გადაავლეთ ცივი წყალი და, კარგად რომ დაიწურება, ჯამში გადაიტანეთ. ფილეს დაუმატეთ ხმელი ქონდარი, 2 ძირი დაჭრილი მწვანე ხახვი, მსხვილ სახეხზე გახეხილი სტაფილო, მოგრძო ნაჭრებად დაჭრილი ბულგარული წიწაკა და 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა; ჩაახალეთ კვერცხი და ამოურიეთ. მიღებული მასა დააყარეთ ბრინჯს, თქვენი გემოვნებით დაუმატეთ მარილი, პილპილი და კიდევ ერთხელ ფრთხილად ამოურიეთ. გამოსაცხობ ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, მოათავსეთ მასზე ინგრედიენტებთან არეული ქათმის ფილე და მაღალ ტემპერატურაზე 3-4 წუთით გააჩერეთ ღუმელში. ბოლოს მოაყარეთ დარჩენილი 1 ძირი დაჭრილი მწვანე ხახვი.

სოფელიე
თეიმურაზ ბენიძე

სატაცურის ომლეტი

საჭირო ინგრედიენტები: 500 გრამი სატაცური, 1 ცალი ცხარე წიწაკა, 1 კბილი ნიორი, 20 გრამი ყველი პარმეზანი, 1 კონა რეჰანი, 4 ღერო ოხრახუში, 2 სადილის კოვზი ზეთი, 5 კვერცხი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: სატაცური გარეცხეთ და დაახლოებით 3 სანტიმეტის სიგრძის ნაჭრებად დაჭერით. წიწაკა სიგრძეზე გაჭერით, ამოაცალეთ თესლი და ნიორთან ერთად დაკეპეთ. პარმეზანი გახეხეთ. მწვანილი წვრილად დაჭერით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, დაუმატეთ სატაცური და 5 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაუმატეთ ნიორი და წიწაკა. კვერცხი ათქვიფეთ, დაუმატეთ დაჭრილი მწვანილი, ყველი, მარილი და პილპილი. კვერცხი დაასხით სატაცურს და თავდახურული დაბალ ცეცხლზე 8-10 წუთის განმავლობაში შეწვით.

ბროკოლის წვნიანი იოგურტით

საჭირო ინგრედიენტები: 2 სადილის კოვზი კარაქი, 2 კბილი დანაყილი ნიორი, 2 სავსე ჭიქა დაჭრილი ბროკოლი, 2 ჭიქა ბოსტნეულის ბულიონი, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 70 მილილიტრი ცხიმიანი იოგურტი, 60 მილილიტრი თბილი წყალი, 0,5 ჭიქა გახეხილი ყველი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: ქვაბში გააცხელეთ 1 სადილის კოვზი კარაქი, დაუმატეთ ნიორი და 2 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაუმატეთ ბროკოლი და როცა დაიბრაწება, დააყარეთ მარილი. ცეცხლს დაუწიეთ და თავდახურული 5-7 წუთი შუშეთ. დაასხით ბოსტნეულის ბულიონი. ცალკე გაადნეთ დარჩენილი კარაქი, დაუმატეთ ფქვილი და მოურიეთ. ფქვილი რომ გაოქროსფრდება, დაუმატეთ თბილ წყალში გახსნილი იოგურტი და წამოდუღებისთანავე შეურიეთ ყველი. როცა ყველი გადნება, ტაფა ცეცხლიდან გადმოდგით. წვნიანი ბლენდერით ათქვიფეთ, დაუმატეთ ყველისა და იოგურტის სოუსი, პილპილი და მომზადებისთანავე მიირთვით.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

სურათიც და ბარათიც

თუ არ დაგეზარებათ და ცოტას გაირჯებით, ძალიან ლამაზ სურათს დაამზადებთ თქვენი ინტერიერისთვის. ეს ნივთი სასაჩუქრე ბარათადაც გამოგადგებათ. ყურადღებით დაათვალიერეთ სურათები. ნებისმიერი გაზეთიდან გამოჭერით ხე – მარტივი კომპოზიცია. უკანა მხრიდან ხეს რამდენიმე ადგილას ორმხრივი „სკოჩი" დააკარით და ისე დააწებეთ თეთრ ფურცელზე „3D" ეფექტის მისაღებად

ტოტზე შეგიძლიათ, თოკით ჩამოკიდოთ წითელი გულები, რომლებსაც ან ისევ გაზეთიდან გამოჭრით და წითლად შეღებავთ, ან წითელი ფურცლისგან გამოჭრით და ჩამოკიდებთ. ეს უკვე მისალოცი ბარათია, მაგრამ თუ ჩარჩოში ჩასვამთ, იქნება ეფექტური კომპოზიცია – სურათი.

სანათი რომანტიკული საღამოსთვის

რომანტიკული ნატურა ხართ? მაშინ ამ სურათებს დახედეთ და საკუთარი ხელით დაამზადეთ მინიატურული სანათი რომანტიკული ღამისთვის.

დაგჭირდებათ მაღალფეხიანი ბოკალი. სანთელი, „სტეპლერი", შპალერის ნაჭერი, მაკრატელი.

შპალერი გამოჭერით ნახევარწრედ და შეკარით „სტეპლერით". ჭიქაში ჩადეთ სანთელი, აანთეთ და შპალერის „ქუდი" ჩამოაფარეთ. შეგიძლიათ, ატლასის ლენტი შემოახვიოთ და გაბაფთოთ.

* გადამლაშებული წვნიანი შეიძლება საჭმელად ვარგისი გახდეს, თუ მასში სუფთა ნაჭერში გახვეულ მოხარშული ბრინჯის გუნდას ჩაუშვებთ და წამოადუღებთ: ბრინჯი ზედმეტ მარილს შეიწოვს.

30-ე გვერდიდან

ოთხშაბათი 10 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ვიცე მეფეები" 16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** მხ/ფ **"კიდევ ერთი ნელი" 00.10** მხ/ფ **"ბასკერვილების ძაღლი" 02.00** "პირადი ექიმი" **02.40** "სამოთხის ვაშლები".

06.00, 15.55 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედის-წერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები" 18.55** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.55** სერ. **"ქარადაი" 22.00** "ნანუკას შოუ" **23.55** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი" 7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი" 12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.35** გადაცემა "თქვენი გადახდილია" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა" 19.00 სერიალი "ცოდვილი სისხლი" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე".**

06.45 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40,** ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა" 11.20** სერ. **"ივნისის ღამე" 12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი" 17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური" 18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი" 3** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ **"წყვდიადის სამეფო" 02.50** მხ/ფ **"მითი".**

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.10** დოკ. ფილმი **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **10.40** ბავშვები მუზეუმში **11.20** დოკ.ფილმი **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.30** დოკ.ფილ. "წინაპართა ნაკვალევზე" **16.50** კვირიაკე **17.45** საქართველოს სამართლის ისტორია **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ლუარსაბ თათქარიძე" 20.30** დოკ. ფილმი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილმი **00.30** დოკ. ფილ. "ქორეოგრაფიის მეტრი--რ. ჭოხონელიძე" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

ხუთშაბათი 11 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ვიცე მეფეები" 16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.40** "უცნობი მუსიკა" **01.10** მხ/ფ **"ტურა"** (რ.გირი) **03.10** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად.

06.00, 15.55 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედის-წერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები" 18.55** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.55** სერ. **"ქარადაი" 22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი" 7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი" 12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა" 19.00 სერიალი "ცოდვილი სისხლი" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **22.50 სერიალი "დიდებული საუკუნე" 0.00** გადაცემა "ოლიმპიური დღიურები".

06.50 სერ. **"ივნისის ღამე" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10,** ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა" 11.20** სერ. **"ბოშა ქალი" 1** სერ. **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი" 17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური" 18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი" 4** სერ. **20.55** სერ. **"შავი ვარდი" 22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ **"უცხოები" 02.20** მხ/ფ **"დომ ჰემინგუეი".**

06.10 მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ერთსულოვნების სალონი" **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ლუარსაბ თათქარიძე" 13.15** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.55** საღვთისმეტყველო საუბრები **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **19.55** მოკ/ფ **"საერთო კედელი" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** განათლება გამოგვარჩევს **22.25** კარაბადინი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილ. **00.30** დიდ ხარ შენ უფალო **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

პარასკევი 12 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20, 15.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 14.20** "საუკუნის პორტრეტები" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.55** ევროპის პირველი თამაშები "ბაქო – **2015**" გახსნის საზეიმო ცერემონია **22.05** პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია **00.00** მხ/ფ **"ჰავანა"** (რ.რედფორდი) **01.50** "პირადი ექიმი" **02.30** "სამოთხის ვაშლები" **03.30** "სადილის დრო".

06.00, 15.55 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედის-წერა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები" 18.55** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.55** სერ. **"ქარადაი" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 45 01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"სონიკ იქსი" 7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "წარსულის ნაიარევი" 12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.35** გადაცემა "მონიტორი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა" 19.00 სერიალი "ცოდ-**

ვილი სისხლი" 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

06.50 სერ. **"ივნისის ღამე"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, ქრონიკა 10.05 ერიალი: **"კარმა"** 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 2 სერ. 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 5 სერ. 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 რეაქცია 00.00 შალვა რამიშვილის შოუ 01.10 მხ/ფ **"წყვდიადის სამეფო: ევოლუცია"** 03.10 მხ/ფ **"შენ გამო"**.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ. ფილ. "ქორეოგრაფიის მეტრი--რ. ჭოხონელიძე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ.ფილ. "წინაპართა ნაკვალევზე" 11.25 კარაბადინი 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.30 დოკ.ფილ. "უჯარმის პატარა სახლი"-რეზო ინანიშვილი 17.30 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ძველი აფიშა "წუთისოფელი ასეა" 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დოკ.ფილმი 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

შაბათი 13 ივნისი

08.00, 12.30, 16.30 ევროპის პირველი თამაშები "ბაქო – 2015" 12.00, 16.00 "მოამბე" 19.55 **ფეხბურთი**. ევროპის 2016 წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი: **პოლონეთი – საქართველო** (პ/ტრ პოლონეთიდან) 22.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"იძებნება"** (ა.ჯოლი) 03.20 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 მოგზაურობა გ.გაბუნიასთან 14.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 15.30 X-ფაქტორი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 46 (სეზ.7) 23.50 რა? სად? როდის? 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ."

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 17.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00, 20.05 **სერიალი "ცოდვილი სისხლი"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 მხ/ფ **"დომინოს პრინციპი"**.

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 6 სერ. 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.10 ქ.მხ/ფ **"შერეკილები"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.20 იმედის გმირები 11.35 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 6 სერ. 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** 4 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"ლოლუა მაიამიდან"** 01.15 მხ/ფ **"ნოემბრის კაცი"** 03.00 მხ/ფ **"ფანტომასი აბობოქრდა"**.

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.20 თბილისის ტაძრები 06.40 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "ჩვენი საგანძური" (ჩვენი ფონდი). გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ.ფილ. "მრავალთათვის საკეთილო-ერლომ ახვლედიანი" 10.50 კვირიაკე 11.00 ჩვენი ამბავი 12.10 მოკ/ფ 13.25 განათლება გამოგვარჩევს 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ.ფილმი 15.40 თაობა ზეტი 16.10 დოკ.ფილ. "ფრესკა" 16.40 კონცერტი 17.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.10 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმეტყველო საუბრები 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ **"მამა გორიო"** I.

კვირა 14 ივნისი

პროგრამის გახსნა: ანონსი ბლოკი "ბოლო ნექსტი 08.00, 12.30, 16.30, 21.00 ევროპის პირველი თამაშები "ბაქო – 2015" (პ/ტრ) 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 20.30 "ტელებლოგი" 22.30 "მშვიდობით იარაღო" 23.30 კონცერტი: ნუკრი კაპანაძე 01.00 მხ/ფ **"როდესაც პოლი გამოჩნდა"** (ჯ.ენისტონი) 02.30 დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ 10.30 სახლი 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 47 (სეზ.7) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 11.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია **"სონიკ იქსი"** 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 **სერიალი "თანაგრძნობა"** 18.30 გადაცემა "ქალაქი და ადამიანი" 19.00 **სერიალი "ცოდვილი სისხლი"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**।

07.30 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 7 სერ. 08.00 სერ. **"ჰანა მონტანა"** 09.00 ერთხელ საქართველოში 09.30 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.20 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** 4 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.30 ერთი ერთში 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"ნოკაუტი"** 01.10 მხ/ფ **"სექსი გაცვლით"** 02.35 მხ/ფ **"ფანტომასი სკოტლენდ იარდის წინააღმდეგ"**.

06.10 მუს.პაუზა 06.20 განათლება გამოგვარჩევს 06.40 კვირ. სიუჟ 06.50 საღვთისმეტყველო საუბრები 07.30 მულტ.ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ **"ენი ნწვანე სახურავების მამულიდან "** IX 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მულტ.ფილმი ქართული 15.40 მუს.პაუზა 15.55 "ერთსულოვნების სალონი" 16.45 ეპოქის სახელები 17.15 თვენი 17.40 ბავშვები მუზეუმში 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ **"მე ვხედავ მზეს"** 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.05 საქართველოს სამართლის ისტორია 23.15 დოკ. ფილმი "ღალიის ხატი კვიპროსზე დაბრუნდა" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ **"მამა გორიო"** II.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲠᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

ᲙᲣᲠᲢ ᲕᲝᲜᲔᲒᲣᲢᲘ

ასტროლოგიური წესების მიხედვით, ადამიანები, რა მუხტსაც ვუშვებთ სამყაროში, როგორი აზრები და განწყობაც გვაქვს, ისეთივე მომავალი გვექნება. ამიტომ, აუცილებელია, რა წარუმატებლობის წინაშეც არ უნდა იდგეთ, სწორი აზროვნება შეინარჩუნოთ და შეძლოთ ფიქრებისა და აზრების კონტროლი. რაც მეტი რწმენა და კარგის მოლოდინი აქვს ადამიანს, მით მეტი წარმატებით აჯილდოებს მას კოსმოსი. აზროვნების შეცვლა და იმის გათავისება, რომ თვითონვე ვართ საკუთარი ბედის მმართველნი, რაშიც ვარსკვლავებიც გვეხმარებიან, თავად ჩვენზეა დამოკიდებული.

ასტროლოგიური ლოგიკით, წარუმატებელი, პესიმისტი, მუდამ უიმედო ადამიანი საკუთარ ბედსა და ცხოვრებაზე აგებს პასუხს და თავად უქმნის კოსმიურ ძალებს ბარიერს. ბედს თვითონვე სძენს პესიმისტურ ელფერს და საკუთარი ქმედებითა და აზრებით, ასტრალური ძალების მოდინებას ბლოკავს.

ნებისმიერი ფიქრი, აზრი და ემოცია ჩვენსავე ენერგეტიკულ ველზე ანუ აურაზე აისახება. თუ ბედს ვემდურით, აგრესიული და დეპრესიული ვართ, ცხოვრებას უიმედოდ ვუყურებთ, ეს გარკვეულ დამანგრეველ და ნეგატიურ კვალს ტოვებს ენერგეტიკულ ველზეც. სამყაროში მოქმედებს ასტრალური კანონები და ჩვენ ვიზიდავთ სწორედ ამ ნეგატიური ვიბრაციის შესაბამის მოვლენებს.

დაიწყეთ აზროვნების შეცვლა, გადადით ნეგატიურიდან პოზიტიურ ფიქრსა და აზროვნებაზე. როცა ადამიანი ფიქრობს არა დადებითზე, არამედ უარყოფითზე და ამბობს, რომ ირგვლივ ყველაფერი ცუდადაა, არ უნდა ელოდოს კარგს – მომავალშიც არაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ. უნდა ახსოვდეს, რომ მისი ფიქრი კოსმოსში იგზავნება და იქიდან სასიკეთოს აღარ უნდა ელოდოს. გახსოვდეთ, ყველა ადამიანი თავის ასტროლოგიურ პერიოდს გადის და იქ, როგორც წარმატება, ასევე წარუმატებლობაც გარდაუვალია. თუმცა, ორივე დროებითია.

ბევრმა არ იცის, რა არის კარმა და რა დანიშნულება აქვს მის კარმულ-კოსმიურ მისიას დედამიწაზე. კარმა მიზანმიმართული და განზრახი ქმედებაა, რომელსაც თავისი შედეგი აქვს. ამასთან, აზრიც და სიტუაციაც ქმედებად ითვლება. ასტროლოგიურად, კარმას თავისი კანონი აქვს. კარმის კანონი მოქმედებს ისე, რომ თითოეული მოქმედება ანაბეჭდს მომავალში დატოვებს ან წინ დაგვხვდება. თითოეული ადამიანი საკუთარი მისიით მოდის დედამიწაზე. შესაბამისად, თავისი გაკვეთილი კარგად უნდა გაითავისოს და გაითვალისწინოს ის, რასაც კოსმოსი უქადის. ეს, ადამიანებს თავისი მდგომარეობის უკეთ გაცნობიერებაში ეხმარება.

თუ გსურთ, გაიგოთ რა არის თქვენი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე, ამისთვის, საკუთარ ზოდიაქოს ნიშანს უნდა დააკვირდეთ:

ვერძი – დედამიწაზე თქვენი კარმული მისიაა, გაუნაწილოთ ენერგია სხვა ადამიანებს. დაეხმაროთ უმწეოებს. იყავით გულღია, კომუნიკაბელური, ქველმოქმედი და ადვილად შეძლებთ ბედნიერების მოპოვებას.

კურო – ნუ იქნებით დიქტატორი და მეტი ყურადღება მიაქციეთ, რას ითხოვენ თქვენგან გარშემო მყოფები. გაითვალისწინეთ მათი რჩევები. ეს თქვენი კარმული მისიაა და ბედნიერებას მოგიტანთ.

ტყუპები – იბრძოლეთ თქვენი სიმართლისთვის და შემოიკრიბეთ გარშემო ერთგული ადამიანები. ამით გარშემო ჰარმონიულ გარემოს შეიქმნით და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ.

კირჩხიბი – ნუ იყურებით წარსულში, მომავალში უკეთესი რამ შეიძლება, მოხდეს და მასზე იყავით ორიენტირებული. აწმყოში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა თქვენი კარმული მისიაა დედამიწაზე, რაც მომავალში წარმატებას მოგიტანთ.

ლომი – შეეცადეთ, გარემოცვა ისეთი მიიღოთ, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც გსურთ. მაშინ ცხოვრებაც გაგიადვილდებათ და კარმულ მისიასაც დედამიწაზე ადვილად დაძლევთ.

ქალწული – მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ და ნუ იქნებით სხვების ხელის შემყურე. მთავარია, არ მოადუნოთ ყურადღება, ყური უგდეთ ინტუიციას და ის მიგიყვანთ საჭირო ადგილამდე. ისწავლეთ მოთმენა, რადგან ამას გავალებთ თქვენი კარმა.

სასწორი – შეხედეთ სამყაროს სხვა თვალით და აღიქვით მოვლენები ისე, როგორც არის. დაფიქრდით, ზოგჯერ რეალობა უფრო საინტერესოა, ვიდრე ოცნება. თქვენი კარმული მისიაა, დედამიწაზე იყოთ რეალისტი.

მორიელი – გადაწყვეტილების მიღებისას, ნუ აჩქარდებით, ჩაუღრმავდით საკუთარ გრძნობებს. თქვენი კარმული მისიაა, ადეკვატურად მიჰყვეთ მოვლენებს და სწორად მოახდინოთ რეაგირება.

მშვილდოსანი – მეტად უსმინეთ საკუთარ ინტუიციას. თქვენი კარმული მისიაა, ყური უგდოთ გულის კარნახს, არ დაზოგოთ შესაძლებლობა და ენერგია საქმეში და იყოთ გულისხმიერი სხვების მიმართ.

თხის რქა – ნუ აჰყვებით ემოციებს. გარშემო მყოფები თქვენგან მხოლოდ სიმართლეს ელიან და ეს თქვენი კარმული მისიაცაა დედამიწაზე. თქვენ უნდა იყოთ მაგალითი სხვებისთვის. ამიტომ, შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. იყავით ოპტიმისტი და ეს წინსვლაში დაგეხმარებათ.

მერწყული – იყავით რეალისტი. გახსოვდეთ, ამქვეყნად იმისთვის მოხვედით, რომ გაულამაზოთ ცხოვრება გარშემო მყოფებს. თქვენი მთავარი კარმული მისიაა, იყოთ დამთმობი, ჰუმანური და მეტად კომუნიკაბელური.

თევზები – თქვენი კარმული მისიაა დედამიწაზე, სხვებზე იზრუნოთ, დაეხმაროთ მათ. დაისახეთ მიზანი და ყველა ღონე იხმარეთ ამის მისაღწევად. ამ შემთხვევაში, ბედი ნამდვილად გაგიღიმებთ და კარმულ-კოსმიურ მისიასაც შეასრულებთ დედამიწაზე.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲡ

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲩᲔᲛᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 2008 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲨᲘ. ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲒᲕᲘᲠᲩᲘᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: მისთვის მისაღები და წარმატების მომტანი პროფესიებია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სამხედრო სტრუქტურები, მანქანათმშენებლობა, ავტოდიზაინი, სპორტი, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო, საგანმანათლებლო საქმე, ფსიქოთერაპია, პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, ქირურგია, რეანიმატოლოგია, ფსიქიატრია, ხალხური მედიცინა, მაკონტროლებელი ორგანოები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო, სადაზღვევო კომპანიები, სამართალდამცავი სტრუქტურები. ამ სფეროებში მას მეტი წინსვლის უნარი აქვს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1996 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ. ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲗ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: უცხოეთი მისთვის საშუალოა. ინგლისი ცუდი ნამდვილად არ არის. უნდა გამოავლინოს მეტი შრომის უნარი და დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები. ეს მისთვის კარგი იქნება. ვურჩევ ინგლისის დასავლეთ მხარეში გადანაცვლებას, იქ მეტი წარმატების შანსი აქვს.

ვერძი

ეცადეთ, თქვენი საქმიანობა შეათანხმოთ ხელმძღვანელ პირებთან და კოლეგებთან. მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ნუ აიღებთ ზედმეტ ვალდებულებებს. ეცადეთ, დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ და მოიხსენით შინაგანი დაძაბულობა. საყვარელ ადამიანთან კი გაგიჭირდებათ გრძნობების გამოხატვა.

კურო

სულიერი განცდები გაიძულებთ, დაასრულოთ ზოგიერთი ურთიერთობა. უკეთ წარმოაჩინეთ თქვენი პიროვნული თვისებები, დასახეთ შემდგომი გეგმები და მიზნები. მეგობრები დაგეხმარებიან ნებისმიერ საქმეში. იყავით თამამი საყვარელი ადამიანის გვერდით.

ტყუპები

მეტ დროს მოგთხოვთ სამსახურის საქმეები. კარგია შემოქმედებითი მუშაობა. არავის დაუპირისპირდეთ. გადაადგილებები და მოგზაურობები გაგიზრდით შემოსავალს. მეგობრული ურთიერთობა კი შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

კირჩხიბი

გაიზრდება საოჯახო საქმეების რაოდენობა. შემცირდება კონტაქტები და გადაადგილებები. ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას იყავით ფრთხილი და წინდახედული. ფლირტი კი არ არის გამორიცხული, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

ლომი

ნუ გამოიყენებთ სხვის ფინანსებს პირადი მოგებისთვის და იყავით მეტად გულისხმიერი. ეს ავტორიტეტს აგიმაღლებთ. არ ჩაერთოთ ავანტიურაში და ნუ გამოიყენებთ საეჭვო მეთოდებს. ეს დანაკარგებს გიქადით. კარგია თუ სასიყვარულო კავშირს დააკანონებთ.

ქალწული

რეალურად შეაფასეთ ცხოვრება. საქმიან პარტნიორებთან მოაგვარეთ ურთიერთობები. ახალი სასიყვარულო კავშირი სასურველ შედეგს ვერ მოგცემთ, საიდუმლო კი არ დაიმალება. შესაძლოა სოციალური სტატუსის ამაღლება.

სასწორი

ქვეცნობიერად ეცდებით მოერიდოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, გადგეთ გვერდზე და გადაწყვეტილებების მიღება სხვებს დაავალოთ. შეასრულეთ მხოლოდ მნიშვნელოვანი საქმეები. საყვარელი ადამიანი და ახლობლები კი გვერდში დაგიდგებიან ნებისმიერი პრობლემის მოგვარებისას.

ღრიანკალი

ხელმძღვანელ პირებთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ. იყავით თავშეკავებული. ნუ ენდობით მეგობრების რჩევებს და იმოქმედეთ თქვენი შეხედულებისამებრ. ნუ მიიღებთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. სიყვარულში კი ეცადეთ მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება. დაზოგეთ ფინანსები.

მშვილდოსანი

მეტი კონტაქტი იქონიეთ გარშემო მყოფებთან. არ არის გამორიცხული, ახალი შემოთავაზება მიიღოთ საქმიან სფეროში. წინასწარი გათვლების გარეშე, ნუ გარისკავთ. დაუახლოვდით გავლენიან ადამიანებს. სამომავლო გეგმები კი საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან ერთად დასახეთ.

თხის რქა

ოჯახის საქმეები ხელს შეგიშლით ძირითად საქმიანობაში. ნუ დაგენანებათ ფინანსები საყვარელი ადამიანისთვის. ცოდნის გაღრმავება კარიერულ წინსვლას გპირდებათ. არ არის გამორიცხული, ზოგ მეგობართან დამოკიდებულება შეიცვალოთ.

მერწყული

დამატებითი ცოდნისა და ინფორმაციის მიღება სამომავლო გეგმების მიღწევაში დაგეხმარებათ. ინტელექტუალური სამუშაო შემოსავალს გიქადით. საბანკო ოპერაციების დროს მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. საყვარელ ადამიანზე კი უმიზეზოთ ნუ გაბრაზდებით და ამით ნუ გაიფუჭებთ ურთიერთობას.

თევზები

თქვენი გეგმების განხორციელებას ბევრი შრომა დასჭირდება. არ არის გამორიცხული, შემოსავლების ახალი წყარო გამოგიჩნდეთ. ნუ აჩქარდებით და კარგად დაფიქრდით. საყვარელი ადამიანისთვის დახმარება ნუ დაგეზარებათ. საქმიანი გადაადგილებები კი დასვენების საშუალებას არ მოგცემთ.

ახალმთვარეობა – 16 ივნისი, 14:03 სთ.

კვირის დღეების ასტროპროგნოზი

ორშაბათი

კარგია შემოქმედებითი მუშაობა, საქმიანი კავშირები, გავლენიან პირებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, ადგილსამყოფლის შეცვლა, იურისტებთან კონსულტაცია, მცენარეების დარგვა-გადარგვა. ატარეთ მწვანე, იისფერი, ლურჯი, ფირუზისფერი, ყვითელი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, მარჯანი, მარგალიტი, აკვამარინი, გიაცინტი ან ამეთვისტო. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება ტერფები, თვალები, ლიმფური სისტემა.

პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.

სამშაბათი
გეომაგნიტური დღე

ინტუიცია დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. ატარეთ იისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, ლურჯი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, გიშერი ან მარჯანი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, სამეცნიერო კვლევა, შემოქმედებითი მუშაობა, კაპიტალდაბანდება. მოერიდეთ საიდუმლო სასიყვარულო კავშირებს. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა, კანი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.

ოთხშაბათი
გეომაგნიტური დღე

კარგია ადრე დაგეგმილი საქმეების დაწყება. ატარეთ ფირუზისფერი, იისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო, ლალი, იაგუნდი, ძოწი ან წითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები, თავი.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.

ხუთშაბათი
გეომაგნიტური დღე

კარგია მეგობრული კონტაქტები, ახალი ნაცნობობა. თუმცა, მაღალია კონფლიქტების ალბათობაც. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულებების დადება, თმის შეჭრა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი ან ფირუზი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. კარგია სწრაფად შესრულებადი საქმეები. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.

ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.

პარასკევი

იმოქმედეთ წინასწარგანსაზღვრულად. აკონტროლეთ ეგოიზმი, ემოცია და აგრესია. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, სასიყვარულო კავშირები, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, თმის შეჭრა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ყავისფერი, ლიმონისფერი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ტოპაზი, აქატი, მალაქიტი ან ფირუზი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. კარგია საყოფაცხოვრებო საგნების შეძენა, გართობა. სუსტდება თავი, ყელი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.

შაბათი
გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

კარგია კონტაქტები, ახალი ნაცნობობა. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფობას. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მიწათმოქმედება, შემოქმედებითი მუშაობა, სამშენებლო მასალების შეძენა, მოგზაურობა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნანლავი.

პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.

კვირა
გეომაგნიტური დღე

კარგია ვარჯიშების ჩატარება, ფიზიკური დატვირთვა, ინტელექტუალური განვითარება, მცენარეების დარგვა-გადარგვა. მოერიდეთ რისკს, სულსწრფობას. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ახალი ნაცნობობა, ვაჭრობა, გართობა, მოგზაურობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სასუნთქი სისტემა.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.

ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.

ნამდვილი ერთგულება

დეილიშ ფორმანი

კლარა კოკსტერი ყოველთვის სუფრის თავში იჯდა და ისე მიირთმევდა საკვებს, როგორც დედოფალი, ან, მინიმუმ – ჰერცოგინია. მარჯვენა მხარეს თავისი საყვარელი სიამის შავი კატა ეჯდა და საკუთარი ხელით ურჩევდა კრევეტებს. კატა ისე იყო განებივრებული, რომ მხოლოდ ყველაზე მსუქან და დიდრონ კრევეტებს მიირთმევდა, დანარჩენებს კი თეფშზე ტოვებდა. ამ სურათს დაუფარავი ზიზღითა და სიძულვილით შესცქეროდა კლარას მეუღლე, ჯორჯ კოკსტერი, რომელიც ცოლის მოპირდაპირე მხარეს იჯდა და მუდმივად მზად იყო, შეესრულებინა მეუღლის ნებისმიერი სურვილი, არა ნებითა და სიხარულით, რა თქმა უნდა და, ეს სულაც არ იყო გასაკვირი, რადგან ჯორჯს კლარა არ უყვარდა და ცოლადაც მისი ქონების გამო შეირთო, თუმცა მოტყუვდა – ქალი საკმაოდ ხელმომჭირნე და ანგარიშიანი აღმოჩნდა.

– ძვირფასო, ჩემს ყავაში ნაღები შეურიე, მაგრამ, ბევრი არ მოგვიდეს, თუ ძალიან გააცივებ, ვეღარ დავლევ...

„ძვირფასო“ – უფრო ბრძანებასავით ჟღერდა, კლარა მხოლოდ კატას ეფერებოდა ალერსიანი ტონით.

კოკსტერმა ნაღებიანი თასი ფინჯნისკენ წაიღო და ცოლის ყავაში ნაღები შეურია.

კლარამ მოსვა და დაიჭყანა.

– ოჰ, რა საშინელებაა... ისევ ყველაფერი გააფუჭე და ეს იმიტომ, რომ საერთოდ არ გაინტერესებ. არც ჩემი სურვილები და ჯანმრთელობა გადარდებს...

– აბა, რას ამბობ, კლარა... მე დავლევ შენს ყავას, შენ კი ახალს დაგისხამ.

– საჭირო არ არის, – კლარამ ფინჯნიდან ცოტა ყავა ფიცოს ჩაუსხა თასში, ფინჯანში კი ყავა ჩაამატა, – შენ ხომ ვერაფერს მოიფიქრებ... ჰო, მართლა, ხვალ რობესპიერი უნდა წაიყვანო საპარიკმახეროში.

– მე? ჰო, მაგრამ, საყვარელო, ბოლოს რომ მყავდა პარიკმახერთან, ისე დამკაწრა, ლამის ნაკერი დამადეს. სისხლი მადინა. მე მას ვძულვარ.

– ვიყოთ გულახდილები, ჯორჯ, რობესპიერი შენც არ გეხატება გულზე.

– მაგ კატას მარტო შენ უყვარხარ, – გამოსცრა ჯორჯმა და გაიფიქრა, დიდი სიამოვნებით მიგახრჩობდით შენც და შენს მახინჯ კატასაცო, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმა არ შეეძლო – კლარასთვის ფული უნდა ეთხოვა და ამიტომ სიტუაციას ვერ გაამწვავებდა.

– ცოტა ფულს ხომ არ მომცემდი? სულ აღარ მაქვს, – ჯორჯმა შურით შეხედა კატას, რომელზეც მთლიანად იყო გადატანილი კლარას ყურადღებაც და სიყვარულიც. ქმარი იმის მესამედადაც კი არ უყვარდა, როგორც თავისი კატა... ჯორჯმა კიდევ ერთხელ იფიქრა, რომ სიამოვნებით დახოცავდა ორივეს.

– გამომართვი ასი დოლარი და ცოტა გაუფრთხილდი. ძალიან ბევრს ხარჯავ. მუშაობ, ჯორჯ და, წესით, შენი ხელფასი ჯიბის ფულად მაინც უნდა გყოფნიდეს, თუკი, რა თქმა უნდა, საყვარლებში და კაზინოში არ ფლანგავ...

– კლარა, აბა, რას ამბობ?

– იმას, რისი ეჭვიც მაქვს... მაგრამ ახლა ჩხუბი არ მინდა, სავარჯიშოდ უნდა წავიდე, ცოტას ვირბენ. ხომ არ შემომიერთდები?

– არა, გმადლობ. აივანზე წიგნს წავიკითხავ.

კლარამ მხრები აიჩეჩა:

– შენი ნებაა. თუმცა, ჩემი აზრით, ვარჯიში არ გაწყენდა, შესამჩნევად ხარ გასუქებული.

– აუცილებლად ვირბენ შენთან ერთად, ოღონდ, დღეს არა, – დაჰპირდა ჯორჯი.

მოგვიანებით, როცა აივანზე, სარწეველა სკამში იჯდა, სერიოზულად ფიქრობდა ცოლის მოკვლაზე. ჯერ კლარა უნდა მოეკლა და მერე რობესპიერიც ზედ მიეყოლებინა. პირველად კატა რომ მოეკლა, კლარას ვერ გადაურჩებოდა. მთავარი ახლა სხვა იყო – საშუალება, რომელიც საძულველ ცოლს მოაშორებდა. რომელი უფრო სძულდა – კლარა თუ რობესპიერი – ამ კითხვაზე მას პასუხი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, დარწმუნებული იყო, რომ ორივეს მოკვლით დიდ სიამოვნებას მიიღებდა... უცებ გონებაც გაუნათდა – ჭიქა ვისკიმ და სიგარამ თავისი საქმე გააკეთა – მეზობელი კლოდი ანტიკვარულ მანქანებს აგროვებდა. ბოლოს მუქი ლურჯი „შევროლე“ შეიძინა – ერთი საუკუნის მაინც იყო. სწორედ გუშინ ეუბნებოდა ჯორჯს, მოტორი იდეალურ მდგომარეობაში აქვს, სხვა დანარჩენი კი შესაცვლელიაო... გარაჟშიც აღარ მეტევა და სილვიამ ლამის მომკლასო... ანუ, „შევროლე“ გარეთ იდგა, მისი სახლის გვერდით. ჯორჯი თავის ადრეულ ახალგაზრდობაში, სანამ კლარას შეხვდებოდა, მანქანებს იპარავდა და „შევროლეს“ დაქოქვა არ გაუჭირდებოდა. კლარა გზატკეცილის განაპირას, ქარაფის პირას დარბოდა ხოლმე... ყურსაცმელებითა და თავისი განუყრელი ფლეერით... ამიტომ მანქანის მიახლოებას ვერ გაიგებდა... ჯორჯმა ისიც მოიფიქრა, როგორ შეექმნა ალიბი... ცოლს დაეჯახებოდა, მანქანას იქვე მიაგდებდა... სწრაფად გამოიქცეოდა სახლში და მოსამსახურეს პატარა სკანდალს აუტეხდა – მიზეზის მოფიქრება არ იყო რთული... რობესპიერის მოშორებაც იმავე საღამოს ჰქონდა გადაწყვეტილი... მორჩა, აღარ გადადებდა, დილითვე უნდა დაესრულებინა ეს საქმე... მანქანა ზუსტად სამ წუთში დაქოქა. სახლიდან რომ გამოდიოდა, კატა ფეხებში გაებლანდა, გაბრაზებულმა შეიგინა და ჩაილაპარაკა – არა უშავს, დიდი დრო აღარ დაგრჩენიაო... „შევროლე“ უხმაუროდ დაიძრა, რამაც გაახარა... თუმცა, მოტორს რომც ეხმაურა, მეზობელი კლოდი ვერაფერს გაიგებდა – ასე ადრიანად მას ყოველთვის ღრმად ეძინა. მისი ცოლი კი სახლში არ იყო. რამდენიმე დღით შოპინგისთვის გაემგზავრა პარიზში...

კლარა ნელა გარბოდა. ყურებში ყურსაცმელები ეკეთა და, როგორც ჯორჯმა ივარაუდა, საერთოდ არაფერი ესმოდა... ყველაფერი, ალბათ, დაბაში მცხოვრებ ყმაწვილებს დაბრალდებოდათ – მათ გაიტაცეს მანქანა, საჭე ვეღარ დაიმორჩილეს და საცოდავ ქალს შეეჯახნენ. ჯორჯმა წარმოიდგინა, როგორი დამწუხრებული სახე ექნებოდა კლარას დაკრძალვაზე და მერე როგორ გაშლიდა ფრთებს მისი ფულებით. გზის სატერფულს ფეხი დააჭირა და სიჩქარეს მოუმატა... მანქანასა და კლარას შორის მანძილი სულ უფრო მცირდებოდა... ჯორჯი უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, რომ ერთბაშად მწვავე, გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო კისერში და ხმამაღლა იბღავლა... მოულოდნელი დამაბრმავებელი და აუტანელი ტკივილისგან კოკსტერმა საჭეს ხელი გაუშვა, მანქანამ მკვეთრად შეიცვალა მიმართულება და დიდი სიჩქარით შეასკდა ვეება მუხას... ავტომობილის ჩამსხვრეული ფანჯრიდან რაღაც შავი გუნდა გადმოხტა. სწორედ იმ მომენტში, გამაყრუებელი აფეთქების ხმაც გაისმა და „შევროლე“ ცეცხლის ალში გაეხვია... ჯორჯ კოკსტერი მომენტალურად გამოეთხოვა სიცოცხლეს, შავი სიამის კატა კი მსუბუქი ნახტომებით მივიდა დიასახლისამდე და ფეხებზე მიეგლასუნა... კლარა გაშტერებული იდგა და განცვიფრებული შესცქეროდა ალში გახვეულ მანქანას, გამაყრუებელი ტკაცუნით რომ იწვოდა და ბინდიან ცას ანათებდა.

თარგმნა
ნინო ნულუკიძემ

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.

ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.

ზღვაცვმული ანგელოზები

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №9-22(753)

დოდოშკამ ჩაფიქრებულმა მოისრისა შუბლი. ტატაშკა მოლოდინით შესცქეროდა. ლალი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, მაგრამ სიჩუმეს ამჯობინებდა. აღარ უნდოდა, ტატას ეყვირა ან დოდოშკასთვის ფიქრში შეეშალა ხელი.

– ბოლოს და ბოლოს, მეტყვი რამეს თუ არა? – ვეღარ გაუძლო ტატამ მტანჯველ მოლოდინს.

დოდოშკამ სიგარეტს მოუკიდა და მხრები აიჩეჩა:

– ძალიან უცნაური ვინმე ხარ. ისეთ რამეს მეკითხები, რაზეც პასუხი არ მაქვს.

– რატომ არ გაქვს? შენ ხომ სამედიცინოზე სწავლობდი? წესით, ეს ყველაფერი უნდა იცოდე.

– მე სამედიცინო კი დავამთავრე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეპროდუქტოლოგია უნდა ვიცოდე.

– რა? – ვერ მიხვდა ტატა, – რა „ლოგიაო“?! საერთოდაც, მაგ საქმეს კრიმინალის სუნი უდის.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთი რაღაცის გაკეთება არ შეიძლება. მგონი, იმ კაცმა უნდა იცოდეს, რომ მისგან შვილის გაჩენას აპირებ. თუ, სპერმის მოპარვა ქურდობა არ გგონია?

– არ მგონია და, იცი, რატომ? თავად არაფერში სჭირდება. პრეზერვატივთან ერთად აგდებს და, არ მითხრა ახლა, რომ მართალი არ ვარ.

– არ ვიცი, არ ვიცი... შეიძლება, მართალიც ხარ. გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ... თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ შეცდომას დაუშვებ.

– ჩემს შეცდომებზე თავად ვაგებ პასუხს, შენ მაგაზე არ იდარდო, – ჩაიცინა ტატაშკამ, – რა გინდა, ოდესმე ხომ უნდა გავხდე დედა?

– პათეტიკა არ გიხდება, – მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა დოდოშკამ, – დედობა დიდი პასუხისმგებლობაა და, მეეჭვება, შენმა შვილმა გაგიგოს, როცა ეტყვი, მოპარული სპერმით გაგაჩინეო, – მიახალა შეუბრალებლად.

– იდიოტი ხარ, – გამოცრა ტატაშკამ და გაწითლდა.

– არა, უბრალოდ, ის რეალობა განგიმარტე, რომლის წინაშეც დიდი ალბათობით აღმოჩნდები.

– ნუ დამჩხავი... პირდაპირ მითხარი, რომ არ დამეხმარები.

– არ დაგეხმარები კი არა, ვერ დაგეხმარები, – ამოიოხრა დოდოშკამ, – ნეტავი ვიცოდე, ჭკუა რამ ამოგიტრიალა.

– მე ვიცი? – წამოიყვირა თვალებაცრემლებულმა ლალიმ, – რამ კი არა, ვინ!

– რა „ვინ“? – ვერაფერი გავიგე, მართლა... – დაიბნა დოდოშკა.

– რა ვერ გაიგეთ? შეყვარებულია... უყვარს ის კაცი და მისგან შვილის გაჩენაც ამიტომ მოუნდა... – მოზეიმე ხმით განაცხადა ლალიკომ.

დოდოშკამ სიბრალულით შეხედა გაბრწყინებულ ლალიკოს და სინანულით ჩაილაპარაკა:

– სად არის სამართალი, თორემ, ამას ხუთი შვილი და ქმარი როგორ არ უნდა ჰყავდეს?!

– გეთანხმები, – დაუდასტურა ტატაშკამაც, – ზოგჯერ მეც ვფიქრობ, რომ ამისი ადგილი ჩვენს სფეროში არ არის. აშკარად მაგარ გაუგებრობაშია.

– ვითომ რატომ ვარ გაუგებრობაში? – ეწყინა ლალიკოს, – ან რა ვთქვი ისეთი წარმოუდგენელი, არ შეიძლებოდა, შეჰყვარებოდა?

– არა! – თითქმის ერთ ხმაში გასცეს პასუხი დოდოშკამ და ტატამ და მერე ორივეს სიცილი აუტყდა.

– რა უნდა გელაპარაკოთ! – განაწყენდა ლალიკო, – დამცინით, იმიტომ, რომ მე სოფლელი ვარ, თქვენ კი გამოსული, „სვეცკი” ქალაქელები? ვიცი, რომ თქვენში სიყვარული არ მოსულა და „ტეხავს”, მაგრამ, რამდენიც არ უნდა იცინოთ, მე მაინც მჯერა სიყვარულის და, მინდა, ვიღაცა მართლა მიყვარდეს. მერე რა, რომ ახლა სექსმუშაკი ვარ! ყოველთვის ასე არ ყოფილა და სულ ასეც არ იქნება.

– რა თქმა უნდა, არ იქნება, – დაეთანხმა დოდოშკა და შემრიგებლურად გაუღიმა, – შენ შეგიძლია გიყვარდეს და ეს მარტო შენი საქმეა. მე რომ სიყვარულმა კარგი არაფერი მომიტანა, იმას არ ნიშნავს, შენც გადაუკეტო გრძნობას გულის კარი.

– აჰა, ისევ დამცინი, – გაიბუსხა ლალი, – იცით, რამდენი ხანია, ვგრძნობ თქვენს ირონიულ დამოკიდებულებას ჩემდამი? მაგრამ ჩუმად ვარ. თუმცა, მწყინს.

ტატაშკამ მხრები აიჩეჩა:

– ცივი წყალი დალიე.

ლალიკოს ტუჩები აუკანკალდა:

– აი, ხედავ? მე ასე არასოდეს გეტყოდი. მართალი იყავი, როცა ამბობდი, ჩვენი მეგობრობა სასაცილოაო, მაგრამ, ასე თუ გეკიდე ფეხებზე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

– ეეე, დაიწყო და აღარ დაამთავრა! აქვითინდება ახლა. ვერ ვიტან სენტიმენტებს და, ძალიან გთხოვ, ნუ ფშლუკუნებ, მოიღუშა ტატა, – არც არავინ დაგცინის. უბარლოდ, მეცინება შენს სულელურ რომანტიზმზე და ოპტიმიზმზე. რაც შეეხება სიყვარულს, საერთოდ არაფერ შუაშია იმასთან, მე რომ ბავშვის გაჩენა მომინდა.

– მე ეს ვიცი, – თავი დაუქნია დოდოშკამ, – თუ გინდა, ჭეშმარიტ და ერთადერთ მიზეზსაც გეტყვი, რატომ გადაწყვიტე მოპარული სპერმით შვილის გაჩენა.

ტატაშკამ უკმაყოფილოდ შეუბღვირა დოდოშკას. ლალიკომ ლოყებზე შემოირტყა ხელები:

– აი, ყველაფერი გამიგია, რაღა არ მინახავს ამ ცხოვრებაში, მაგრამ სპერმის მოპარვა ნაღდად არ გამიგია, დედას გეფიცებით. მოიცა და, მერე რა მოხდება? შპრიცით შეისხამ იმ სპერმას თუ როგორ იქნება ეგ საქმე?

– აუ, ახლა ამას რა გაანათლებს!.. ხელოვნური განაყოფიერების შესახებ რამე გსმენია? ჰე, დაძაბე გონება, დაძაბე, – ღიმილით წაახალისა ტატაშკამ

– მსმენია! – გამოაჯავრა ლალიკომ, – ეგეთი შტერიც კი არ ვარ, მაგრამ, ვერ წარმოვიდგინე, როგორ მოიპარავ სპერმას და მერე როგორ გაანაყოფიერებ იმით შენს კვერცხუჯრედს.

– ისე, მეც ვფიქრობ, რომ თეორიულად ეს, ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ, პრაქტიკაში როგორ მოხერხდება მისი განხორციელება, ვერ წარმოვიდგინე – სერიოზულად თქვა დოდოშკამ.

– წარმოიდგინე-მეთქი, არ მითხოვია. ზუსტად მინდა ვიცოდე, გამომივა თუ არა ეს ამბავი.

– ვერ გავიგე. შენ გინდა, რომ მე გავარკვიო ეს ამბავი? – განცვიფრებით ჰკითხა დოდოშკამ.

ჰო, – მშვიდად მიუგო ტატაშკამ.

– შეუძლებელს ხომ არ მთხოვ?

– არა მგონია, შეუძლებელი იყოს. თუ წამახალისებელი პრიზი გჭირდება, ფულსაც გადაგიხდი.

– რას იზამ? – დოდოშკა ადგა, დოინჯმომარჯვებული ტატაშკას წინ გაჩერდა და დაჟინებით მიაშტერდა.

– რას მიყურებ? – არ ესიამოვნა ტატას მისი მზერა, – რა გითხარი, ფულს გადაგიხდი-მეთქი.

– შეიძლება, ბოზი ვარ, მაგრამ, პრასტიტუტკობა მეტისმეტია. თუ შევძლებ და თუ მართლა გინდა, დაგეხმარები.

ტატაშკას სახე გაუნათდა:

– ეს უკვე მეგობრობისკენ გადადგმუ-

ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

ჩაწერა ხდება წინასწარ.

ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

ლი ნაბიჯია.

– სიმპათიური მაინც თუ არის? – შეკრული შუბლი გახსნა დოდოშკამ.

ტატაშკამ თვალები მოჭუტა, რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა და გაიღიმა:

– კიიი, ძალიან... მაგრამ, მარტო ამაში არ არის საქმე, საჯიშე ტიპია.

– გეგონება, ცხენზე ლაპარაკობ, – ტუჩი აიბზუა ლალიკომ.

– რატომ? კაციც შეიძლება იყოს ჯიშიანი, – მხრები აიჩეჩა ტატაშკამ, – თან, ძალიან კეთილია, შეძლებული, ჭკვიანია...

– ანუ, მისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელსაყრელია, შვილი გაუჩინო. – თქვა ლალიკომ და ისე ამოისუნთქა, თითქოს რაღაცისგან გათავისუფლდაო.

– თუნდაც, – არ უარყო ტატაშკამ, – მერე ეს ასეთი უმნიშვნელო გგონია? მე ცხოვრება მინდა, უზრუნველი და ლაღი ცხოვრება. ჰოდა, რა საშუალებაც მაქვს, გამოვიყენებ, ამას რომ მივაღწიო.

– ესე იგი, აქამდე ცუდად ცხოვრობდი? – შეუბრალებლად დაუკონკრეტა დოდოშკამ.

– რატომ ასეთი მწარე შეფასება? – გაიღიმა ტატამ, – არ მიმაჩნია, რომ აქამდე ცუდად და უაზროდ ვცხოვრობდი. მეტსაც გეტყვით: ძალიანაც მომწონს ჩემი არჩევანი. ეს წლები წყალში არ გადამიყრია, პირიქით, მაქსიმალური სიამოვნება მივიღე ცხოვრებისგან. მაგრამ, მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქრო? ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც გამისწორდებოდა და გართობასა და დროსტარებაზე უარის თქმას არც ახლა ვაპირებ.

– გისმენ და, სიმართლე გითხრა, არ მიკვირს, – მხრები აიჩეჩა დოდოშკამ, – თუმცა, შენი ლოგიკა არც ისეთი დამაჯერებელია.

– ლოგიკა არაფერ შუაშია, იმას ვლაპარაკობ, რასაც მართლა ვფიქრობ. შენ ჩემზე უკეთესად იცი, რომ ჩვენი ცხოვრების ეტაპებს ყველა ჩვენებურად გავდივართ. მე ახლა მინდა ახალი ეტაპი, რომელიც გამაბედნიერებს.

– მოპარული სპერმით გაჩენილი შვილი გაგაბედნიერებს? – ორაზროვნად იკითხა დოდოშკამ.

– რას ჩაიხვიე ეს მოპარული სპერმა, მოპარული სპერმა... თითქოს მართლა კრიმინალი იყოს.

– რა, არ არის? ცოტა უცნაური, მაგრამ, მაინც კრიმინალია.

– მოკლედ, არ მეხმარებით და ამ საქმეში მარტო ვარ, – დამარცვლით და მკაცრი ტონით წარმოთქვა ტატაშკამ.

– მე ბავშვის გაზრდაში მოგეხმარები, – გაუღიმა ლალიკომ, – თუ სხვა რამ შემიძლია, მითხარი და არ დაგზარდები.

– გმადლობ, ლალიკო, შენ მართლა ძალიან კარგი ადამიანი ხარ და ამას დაგიფასებ.

– მე კი ურჩხული გამომიყვანე, – ამოიოხრა დოდოშკამ, – არ არის ასე, მაგრამ, მინდა რეალური სურათი დაგანახვო.

– რეალური სურათი ის არის, რომ ყველა კაცი ჩემში მხოლოდ სექსუალურ პარტნიორს ხედავს. არც მინდა ვიფიქრო და დავუშვა, რომ ეს ადამიანი, რომელიც მესიმპათიურება, სერიოზულ ურთიერთობაზე უარს მეტყვის.

– აი, თურმე, რა ყოფილა. შენ იმედი გაქვს, რომ, თუ ჩუმად შვილს გაუჩენ, მისი დათრევის რაღაც შანსი გაგიჩნდება?

– რისი შანსი გამიჩნდება, ეს მე ვიცი, – დაიქადნასავით ტატაშკამ, – მოდი, შორს მიმავალ გეგმებზე ნუ ვილაპარაკებთ, არ მიყვარს. მაგრამ, ერთს გეტყვი: ამაზე ბევრი ვიფიქრე და დარწმუნებული ვარ, რომ სწორად ვიქცევი. ვნახოთ, რა შეუძლია ქალს, რომელიც მხოლოდ გასართობად გინდა და თან უმტკიცებ, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია.

– მე ასეთი ქმარი მყავდა, – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა დოდოშკამ, – თუმცა, ჩემით სხვანაირად გაერთო. იმედგაცრუება ისეთივე თანმდევია ჩემი, როგორც ბოზის იარლიყი.

შენ ცოტა ხანს მაინც იყავი პატიოსანი და უმწიკვლო რეპუტაციის. ცოლიც გერქვა და საზოგადოებაც შესაბამისად აღგიქვამდა.

– კარგი, დაგეხმარები, თუ რამე შემიძლია, – წარბშეკვრით ჩაილაპარაკა დოდოშკამ, – ოღონდ, ჩემს წარსულზე ლაპარაკი აღარ არის საჭირო. მინდა, ტვინში მეხსიერების ეგ უბანი საერთოდ გამოვრთო.

– ეგ შესაძლებელია? – გაოცებით იკითხა ლალიკომ.

– ყოველ შემთხვევაში, ვცდი მაინც, – დოდოშკა თავის თითებს ჩააშტერდა და უცებ ხმამაღალი სიცილი აუტყდა. რამდენიმე წუთი ჩაბჟირებამდე იცინოდა, ხელისგულებით ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლებს იწმენდდა და ყურადღებას არ აქცევდა გოგოების გაოცებულ მზერას.

ბოლოს ლალიკომ ვეღარ მოითმინა:

– რა გჭირს, წყალი ხომ არ მოგიტანო?

დოდოშკამ ამოისუნთქა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია:

– ნუ გეშინია, ისტერიკა არ მაქვს. უბრალოდ, რაღაც წარმოვიდგინე. ის ანდაზა რომ არის, ხომ იცით – „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო"... ტატაშკას თუ ეს ამბავი გამოუვიდა, ანდაზა თანამედროვე ელფერს შეიძენს – სპერმის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო. კაცები კი მაგრად დამანდრაჟდებიან, განსაკუთრებით – ფულიანები და ჯიშიანები: ნახმარ პრეზერვატივებს ჯიბეში ჩაიდებენ და სახლში წაიღებენ – გადაგდებულმა სპერმამ ცხრა თვის შემდეგ კარზე არ მოგვიკაკუნოსო.

– ჰა, ჰა, ჰა! ძალიან სასაცილოა! – გამოაჯავრა ტატაშკამ, – ძალიან ბოროტულად გამოგივიდა.

– ჰო, ცოტათი შავი იუმორი იყო, მაგრამ, რაეალური. კარგი, ახლა სერიოზულად, სამედიცინო ლიტერატურა უნდა გადავქექო. მოკლედ, თავსატეხი გამიჩინე. ფული და ნაცნობობაც დაგვჭირდება, თუმცა, ეს უკვე მოგვიანებით.

– ნაცნობობის რა გითხრა, მაგრამ, ფული არ იქნება პრობლემა, – თავი დაუქნია ტატამ და ხელები მოიფშვნიტა, – ერთი წელი არაფერს ვეტყვი, ორსულს სიმშვიდე დამჭირდება – ჯანმრთელი ბავშვი ხომ უნდა გავაჩინო?

– ანუ, პირდაპირ ფაქტის წინაშე დააყენებ? – უკმაყოფილო ტონით ჰკითხა ლალიკომ, რომელსაც აშკარად არ მოეწონა ტატაშკას მსჯელობა.

– ფაქტის არა, ბავშვის, – გადაიკისკისა ტატაშკამ, – მაგრამ, იმის სურვილი, რომ ჩემ გამო ვინმეს ოჯახი დაენგრას, ნამდვილად არ მაქვს. ამიტომ ორივეს ინტერესში იქნება, საიდუმლოებას ფარდა არ აეხადოს, რაც ჩემი და ჩემი მომავალი შვილის კეთილდღეობის გარანტიაც იქნება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

ფლორის სამყაროში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: რა ტემპერატურაზე ვამყოფო იუკა?

პასუხი: თუ იუკას ზამთრის ბაღში დარგავთ, ის ზაფხულის თაკარა მზესაც აიტანს და ზამთრის სიგრილესაც. მისთვის კარგია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი, ხოლო ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 8-10 გრადუსი.

კითხვა: როგორ ავაყვავო ხელმეორედ გარდენია?

პასუხი: გარდენია განთქმულია თავისი ულამაზესი ყვავილებით. მართალია, მისი გაზრდა რთული არ არის, მაგრამ ძნელი მისი ხელმეორედ აყვავებაა. ამისათვის საჭიროა სტაბილური ტემპერატურა და ტენიანობა. ტემპერატურის უეცარმა ცვლილებამ, ორპირმა ქარმა და ცვალებადმა ტენიანობამ შეიძლება მცენარეს კოკრები დააცვენინოს. ამ მხრივ, გარდენია ძნელი მოსავლელია. შესაძლებელია ის მეორედ ვეღარ ააყვავოთ და ახალი მცენარის შეძენა მოგიწიოთ.

კითხვა: როგორ მოვუარო ფიტონიას?

პასუხი: მისთვის აუცილებელია სითბო და მაღალი ტენიანობა. ზაფხულის თვეებში, მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში, ფიტონია გაზავებული ბალანსირებული სასუქით მორწყეთ. ზედმეტად ნუ მორწყავთ, განსაკუთრებით ზამთარში, თორემ შეიძლება ღეროები დაულპეს. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ არა სველი. კარგი იქნება, თუ მცენარეს ქილაში ან აკვარიუმში ჩადგამთ.

კითხვა: თუ შეიძლება, რომ გინურას ფოთლებს წყალი მოხვდეს, ხომ არ დააზიანებს მას?

პასუხი: მის ფოთლებზე წყლის დასხმა სასურველი არ არის. ეცადეთ, მორწყვისას, წყალი პირდაპირ მიწაზე ან ლამბაქზე დაუსხათ. ზაფხულობით მისი მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთარში კი, იშვიათად მორწყეთ.

კითხვა: როგორ მოვუაროთ გერანს?

პასუხი: გერანს სჭირდება ნახევრად ჩრდილი, ასევე, ყვავილობის დროს არ გაიტანოთ მზეზე. გაზაფხულზე დაუმატეთ ხსნარის სახით ვიტამინების ნაკრები. მცენარე ყვავილობის დროს არ გასხლათ. გადარგეთ მხოლოდ შემოდგომაზე. მცენარე მრავლდება როგორც თესლით, ასევე, გაყოფითა და კალმით. კალამი შეგიძლიათ აიღოთ შემოდგომით. მცენარე იოლი მოსავლელია და არ არის პრეტენზიული. საქართველოში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის გერანი – როგორც მრავალწლიანი, ისე, ერთწლიანი. ამიტომ, ეცადეთ, შეიძინოთ მრავალწლიანი. ზამთარში შეიტანეთ სახლში და გამოაზამთრეთ 15-20 გრადუს ტემპერატურაზე. ეს მცენარე გამოიყენება პარფიუმერიასა და ხალხურ მედიცინაშიც.

კითხვა: როგორ მოვუაროთ ზაფხულის სიცხეში ციკასს, რადგან ამ დროს ფოთლები უყვითლდება?

პასუხი: გახსოვდეთ, რომ ციკასის ოჯახი საგოვანაა და არა პალმა. ზაფხულის სიცხეებში მცენარე უფრო კარგად გრძნობს თავს და ეცადეთ, გაფანტული მზის ადგილზე დადგათ. მცენარე კარგად გრძნობს თავს, როცა შუადღის მწველი მზე არ აწუხებს. ამიტომ, კვირაში ერთხელ, საღამოობით ფოთლები დაუნამეთ. მცენარის სამშობლო ტროპიკებია და ამიტომ ნიადაგს ნუ მიიყვანთ გამოშრობამდე. მიწის გამოშრობა იწყებს მცენარის ფოთლების გამოშრობას და გაყვითლებას. ამიტომ, მორწყეთ ყოველ მესამე დღეს. მცენარე საქართველოს პირობებში არ ყვავის. თუმცა, ტოვებს ამონაყრებს, რომლითაც შეგიძლიათ, გაამრავლოთ ეს მცენარე.

მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა

ადვოკატი გირჩევთ

რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

კითხვა: ფერმერმა მოქალაქისგან სესხის სახით აიღო 2 000 დოლარი. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დააგირავა 40 ცხვარი. დაგირავების შემდეგ ნამატმა შეადგინა 16 ბატკანი. ფერმერმა ვერ დააბრუნა სესხი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მოგირავნემ მოითხოვა, ვალდებულების სრულად უზრუნველყოფისთვის, გირაოს რეალიზაცია ნამატთან ერთად. კანონიერია თუ არა ეს მოთხოვნა?

პასუხი: გაცნობებთ, რომ მოცემული ურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი. როცა ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ, თუ სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონება სრულად ვერ უზრუნველყოფს ვალის თანხას, შესაძლებელია, მოხდეს ვალის დაბრუნება სხვა ქონებითაც, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია, მოთხოვნა გავრცელდეს ნამატზეც და მოვალის სხვა ქონებაზეც. სხვა შემთხვევაში, სესხის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ქონებით, რომელიც გამოყენებულია სესხის უზრუნველსაყოფად.

კითხვა: ჩემს მეზობლად დასახლდა ირანის მოქალაქე, რომელსაც ირანში ჩადენილი ჰქონდა დანაშაული, კერძოდ, გააუპატიურა მცირეწლოვანი. გამოდის, რომ მან თავი შეაფარა საქართველოს. ამ დანაშაულისთვის ირანში გათვალისწინებულია სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა. ვალდებულია თუ არა საქართველო, მოახდინოს ამ პირის ექსტრადიცია?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ არ შეიძლება, სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. შესაბამისად, საქართველო არ არის ვალდებული, მოცემულ შემთხვევაში, მოახდინოს ამ პირის ირანში ექსტრადიცია. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

კითხვა: სამ მოქალაქეს თანასაკუთრებაში აქვთ სახლი. თითოეული 1/3-ის მესაკუთრეა. საცხოვრებელი სახლი იყო ავარიული, რის გამოც ქუჩის კედელი ჩამოინგრა და დააზიანა გამვლელი მოქალაქე, რომელმაც მოთხოვა ზიანის ანაზღაურება. ერთ-ერთმა მესაკუთრემ თანხა გადაიხადა თავისი წილის კვალობაზე. დანარჩენები უარს აცხადებენ, იმ მოტივით, რომ კედლის ჩამონგრევაში ბრალი არ მიუძღვით. როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

პასუხი: თუ განსაზღვრული არ არის სახლის რომელ ნაწილს რომელი მოქალაქე ფლობს, მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია, პასუხისმგებლობა სოლიდარულად დაეკისროს სამივე მოქალაქეს. ზოგადად მოცემულ შემთხვევაში, ცალსახად მითითება არ იქნებოდა მართებული. თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს და თუ გადაწყვეტილებას გამოიტანს სამივე მოქალაქის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

რჩევები ავტომოყვარულებს

რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

კითხვა: მყავს „ფოლკსვაგენ ჯეტა“. რადიატორიდან წვეთავს. შეიძლება თუ არა, ამოვავსო სპეციალური ამოსავსები სითხით?

პასუხი: არის სითხეები და ფხვნილები, რომლებიც პატარა ხვრელებს ავსებს და კარგადაც მუშაობს, მაგრამ ეს მაინც დროებითი შველაა. ჩემი რჩევა იქნება, რადიატორი შეაკეთოთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

კითხვა: მანქანაში ჩავრთე კონდიციონერი და რაღაცნაირი სუნი დადგა. ისე, ჩვეულებრივად მუშაობს. რა შეიძლება იყოს მიზეზი?

პასუხი: ეს, შესაძლოა, არის ფრეონის სუნი, რომელიც, სავარაუდოდ, შესაცვლელია. რადგან თქვენს კონდიციონერს თვეების განმავლობაში არ უმუშავია, ამიტომ, შეიძლება, ის გაფუჭდა, და, უმჯობესია, შეცვალოთ, რაც დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. ახალი კონდიციონერი ჰაერს უფრო კარგად და სწრაფად გააცივებს, რაც დამატებითი ეკონომიის საშუალებას მოგცემთ.

კითხვა: მინდა შევიძინო „ნისან ტიდა“. მარტივია თუ არა მისი მოვლა და რას უნდა გავუფრთხილდე ყველაზე მეტად?

პასუხი: „ნისან ტიდა” საკმაოდ პრაქტიკული და ეკონომიური ავტომობილია. გარედან თითქოს პატარაა, მაგრამ, შიგნიდან სალონი ფართო და ტევადი აქვს. მას აქვს სიჩქარის ვარიატორული ტიპის კოლოფი და, უმჯობესია, თუ ვარიატორის ზეთს ყოველ 30 000 კილომეტრზე შეცვლით. ასე ვარიატორს ძალიან დიდხანს შეინახავთ. თუ ის გაფუჭდა, დიდი თავის ტკივილი გაგიჩნდებათ.

კითხვა: მყავს ეკოტეკისძრავიანი ავტომობილი. რა არის საჭირო, რომ მოტორი დიდი ხნის განმავლობაში არ გამოვიდეს მწყობრიდან?

პასუხი: ყველანაირი ტიპის ძრავის მოვლა ნიშნავს კარგი ზეთისა და კარგი ბენზინის მოხმარებას. მინიმუმ, ნახევრად სინთეტიკური ზეთი უნდა ჩაასხათ ძრავში და ყოველ 8 000 კილომეტრზე ცვალოთ.

კითხვა: ჩემს ავტომობილს ზეთი გასდის და სისტემატურად საჭიროებს ზეთის დამატებას. რამდენ ხანს შეიძლება ასე გავაგრძელო, ამით ძალიან ხომ არ დავაზიანებ ძრავას?

პასუხი: ზეთის მუდმივი დამატებით არაფერი არ დაზიანდება, მთავარია, ზეთი სულ იყოს ძრავაში. შეიძლება, ახლა ცოტა გასდის და დროთა განმავლობაში მოიმატოს, მაგრამ, მნიშვნელოვანია, საიდან გასდის. რა თქმა უნდა, ნაკლები პრობლემა გექნებათ, თუ იპოვით პრობლემას და შეაკეთებთ.

კითხვა: როცა ავტომობილი შევიძინე, ჩეკი არ ენთო, ზუსტად ორ დღეში აანთო ჩეკი. კომპიუტერზე პრობლემას არ აჩვენებს. სახიფათოა თუ არა ასეთი ავტომობილით სიარული? უკვე სამი თვეა, მყავს და ჯერჯერობით არანაირი პრობლემა არ ჰქონია.

პასუხი: ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელი მარკის ავტომობილი გყავთ. შესაძლოა, სისტემას არ მოსწონს საწვავის ის ხარისხი, რომელსაც ასხამთ ავტომობილში და ხშირად ჩეკი ამის გამო ინთება, მაგრამ ეს კომპიუტერზე აუცილებლად გამოჩნდება. როგორც ჩანს, არასწორ ადგილზე იყავით.

ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
ჯეიმს დუგლასი

კითხვა: დადგა ზაფხული და ცხოველებსაც განსაკუთრებული მოვლა სჭირდებათ. იქნებ მცირედი კონსულტაცია გაგვიწიოთ ამის შესახებ?

პასუხი: ზაფხული წელიწადის ყველაზე ცხელი დროა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ძაღლების პატრონებისგან. სასურველია, ლეკვები და ახალგაზრდა ძაღლები, რაც შეიძლება, მეტხანს გყავდეთ სუფთა ჰაერზე, ასეირნოთ ტყეში ან სანაპიროზე. კარგია, თუ ხშირად აბანავებთ მდინარეში ან ტბაში. ტემპერატურის სხვაობა მატონიზებლად მოქმედებს ძაღლის ორგანიზმზე და აკაჟებს მას. ძაღლზე ცურვის პროცესი დადებითად მოქმედებს და ანვითარებს კუნთოვან და გულსისხლძარღვთა სისტემას. რა თქმა უნდა, წყალი არ უნდა იყოს ძალიან ცივი და პირველმა ჩასვლამ არ უნდა შეაშინოს ცხოველი. ეს მას შემდგომში წყლის მიმართ შიშს გაუჩენს. ასევე, აუცილებელია, ცხოველი აცრილი იყოს ლეპტოსპირზე. ამ მეტად საშიში დაავადებით დასნებოვნება სწორედ ტბებსა და მდინარეებზე ბანაობის დროს შეიძლება, მოხდეს.

კითხვა: ვცხოვრობ ბეთანიაში და მყავს 8 თვის გერმანული ნაგაზი. ახლოს გვაქვს ტყეც, სადაც ხშირად ვასეირნებ ჩემს ძაღლს. წელს მისთვის პირველი ზაფხულია და იქნებ მითხრათ, სიცხეში მისი სეირნობისას რა უნდა გავითვალისწინო?

პასუხი: ძალიან კარგია თუ მას ტყეში ხშირად ასეირნებთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ტყეში სეირნობისას ყურადღება მიაქციოთ, რომ ძაღლმა ეკლებზე არ დაიზიანის კანის საფარველი, განსაკუთრებით თვალების მიდამო. ასევე, ამ პერიოდში, მინდორსა და ტყეში სეირნობისას, დიდი შანსია, ძაღლს ტკიპამ უკბინოს, რომელიც მეტად საშიში დაავადების გადამტანია. მაგალითად, როგორიცაა პიროპლაზმოზები. აღნიშნულის პროფილაქტიკისთვის საჭირო, გამოიყენოთ ანტიპარაზიტული საშუალებები. მაგალითად, ანტიპარაზიტული სპრეი, წვეთები და საყელოები. თუ შენიშნავთ ძაღლზე ტკიპას, აუცილებლად მიმართეთ ვეტერინარს. იცოდეთ, რომ ამ პერიოდში ძაღლს ისეთი მწერები კბენენ, როგორებიცაა: ჭიანჭველა, კრაზანა და ფუტკარი. მათი ნაკბენი იწვევს ძლიერ ალერგიულ რეაქციას, რაც დიდი სტრესია ცხოველისთვის. ამ დროს აუცილებელია, ცხოველს გაუკეთდეს ანტიჰისტამინური საგულე და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. დაუმუშავდეს ნაკბენი ადგილი.

კითხვა: კვების რაციონი უნდა შეიცვალოს ზაფხულში, თუ არ აქვს მნიშვნელობა?

პასუხი: რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალოს, რადგან ამ პერიოდისთვის დიდი ყურადღება ექცევა კვებას, რომ საკვები ახალი იყოს, რადგან სიცხეში ადვილად ფუჭდება. ამ პერიოდისთვის ცხოველს სასურველია, მისცეთ ნაკლებად ცხიმიანი საკვები. სიცხეში ზოგიერთი ძაღლი ნაკლებს ჭამს, რაც ნორმალურია. დეტალური ინფორმაციისთვის კი, აუცილებლად მიმართეთ თქვენ მიერ შერჩეულ ვეტერინარს, რომელიც შესაბამის კონსულტაციას გაგიწევთ.

მძარცველთა საგანძური

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №22(753)

– გვეყო ბაზარი. გოიმებივით ვდგავართ და არ დავიწვათ. წავედით. მანქანა ავიყვანოთ და ბაითში გავემგზავროთ, – თქვა

სედოიმ და გასასვლელისკენ გაემართა. დანარჩენები კი უკან მიჰყვნენ.

კონსპირაციული ბინა, სადაც გაქცეულები დაბინავდნენ, ყოფილ ოლიმპიურ სოფელში მდებარეობდა. იქ მათ საშუალო ასაკის, გამხდარი მამაკაცი დახვდათ. ახალგამოსულები ბინაში შეიყვანა. კარი გადარაზა, სედოის გადაეხვია და ჰკითხა:

– როგორ ხარ, სედოი, ძმაო? ფრანტივით გამოწყობილხარ და სადმე რომ შემხვედროდი, ვერც კი გიცნობდი.

– შენ თვითონ როგორ ხარ, „მაკ“, ძმობილო? – მიუგო სედოიმ და მასპინძელს ზურგზე მოუთათუნა ხელები.

მაკი ცნობილი მძარცველი და სედოის ძველი პაძელნიკი იყო. კიჭას, მარსს და დიმკას მასზე ბევრი რამ სმენოდათ. ამიტომ, პირდაღებულები უყურებდნენ ძველი ძმაკაცების საუბარს და ხმას არ იღებდნენ.

– სედოი, ამ ხალხს არ გამაცნობ? – ჰკითხა მაკმა ძმაკაცს და გაიღიმა.

– კიჭა, მარსი და დიმკა – გაიცანი. პატიოსანი ხალხია და საქმე ერთად უნდა გავაკეთოთ, – მიუგო სედოიმ.

მაკმა ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. გაეცნო და კვლავ სედოის მიუბრუნდა:

– კირიუშა სადღაა. ჩვენი ძველი ძმა და შემსრულებელი?

– მოკვდა. ღმერთმა აცხონოს მისი სული, – მიუგო სედოიმ.

– რას ლაპარაკობ. როგორ, რა დაემართა?

– შუმოკის დროს ზონაში დაბრიდეს. ვიღაც ნაბოზარმა შტირი გაუყარა ყელში და დააგდო.

– მერე, ის ნაბოზარი არ დასაჯეთ?

– დავსჯით.

– აქამდე რას უყურებდით?

– ვინაობა არ ვიცით. ბიჭები იკვლევენ და როგორც კი გაიასნდება, მაშინვე მოუყომარებენ.

– გასაგებია. ეეჰ, კირიუშა, კირიუშა... რა კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს მისი სული – სინანულით თქვა მაკმა, – არადა, როგორ გამოგვადგებოდა ამ საქმეში!

– ღმერთმა აცხონოს, – გაიმეორა სედოიმ.

– რას იზამ, გვეყოფა გლოვა. ოდესღაც ყველა საიქიოში წავალთ, – ხელი ჩაიქნია მაკმა, – წამოდით, მოშიებულები იქნებით და ვისადილოთ.

ჭამის დროს სედოიმ მასპინძელს უთხრა:

– მაკ, ეს ბაითი ხომ სუფთაა? ხომ იცი, ძებნაში ვართ და ძაღლები პირველად შენ მოგაკითხავენ.

– ბაითი სუფთაა. ჯერ კიდევ დო პერესტროიკი დავაკონსერვე და ეშმაკიც ვერ მოგვაგნებს. ძაღლები კი უკვე დამადგნენ.

– მართლა? როდის?

– გუშინ, დილით. მეძინა და ის ბოზები პირდაპირ საძინებელში შემომიცვივდნენ. ყველაფერი დაშმონეს და „მურში“ მივყავდი.

– მერე?

– რა მერე? – მხრები აიჩეჩა მაკმა, – პოლკოვნიკი იყო ერთი, მაგათი უფროსი და ასე ვუთხარი:

– უფროსო, ხომ იცი, რომ ასეთ საქმეებს უკვე დიდი ხანია, შევეშვი-მეთქი. ძველი დრო ხომ არ გგონია, სახლში რომ მივარდები და ინვალიდ კაცს მაწუხებ. „ცეკაში“ გიჩივლებ, ფირმა ჟურნალისტებს ინტერვიუს მივცემ და შენს უფროსს რომ საქვეყნოს გახდიან, პანლურისკვრით გააგდებენ, არც შენ დაგადგება-მეთქი კარგი დღე.

– რაო მერე, რა გიპასუხა? – გაეცინა სედოის.

– ატბოიო, – უთხრა ძაღლებს და წაიყვანა. ფირმების ხსენებამ შეაშინა, ალბათ, – გაეცინა მაკს.

– ჩემგან არ გესწავლება, მაკ, მაგრამ, ხომ იცი, ძაღლების ამბავი. კუდი ხომ არ დაგიტოვეს ნეტავ სათვალთვალოდ?

– დამიტოვეს, როგორ არა, – ჩაეცინა მაკს.

– მერე?

– მერე მატარებლამდე მომდია. მჩიჩმა და მჩიჩმა... ხოლო, რომ დარწმუნდა, გავემგზავრე, პირველივე სადგურში ჩავიდა და თავი დამანება.

– სად მიემგზავრებოდი? – ახლა უკვე სედოის გაეცინა.

– ესენდუკში, სამკურნალოდ. ასე ვუთხარი ძაღლებს. მე თვითონ კი ტულაში ჩამოვედი. მოსკოვში დავბრუნდი და პირდაპირ აქ მოვედი. ასე რომ, ძმაო, ახლა მე ესენდუკში ვმკურნალობ და ძაღლები აღარ დამიწყებენ ძებნას. საქმეს რომ გავაკეთებთ, მართლა იქ გავემგზავრები და ცოტას დავისვენებ.

– ყოჩაღ! არ იცვლები, ყველაფერი კარგად მოგიფიქრებია. საქმეზე რას გვეტყვი. როგორი გეგმა გაქვს?

სადილი რომ დაასრულეს, ყველამ სასტუმრო ოთახში გადაინაცვლა. მაკმა კი გაქცეულებს გადახედა და უთხრა:

– გეგმა ასეთია. ქარხნის ინკასაციას, ფული ზუსტად დილის თერთმეტ საათზე მოაქვს. მოლარეა, ორი დამხმარე და ორიც ინკასატორი. იარაღები მხოლოდ ინკასატორებს აქვთ, ისიც „ნაგანები“. ორი ტომარა ფულია. ოთხასი-ხუთასი ათასი მანეთი, სავარაუდოდ. შეიძლება, ოდნავ მეტიც. ჩვენ ასე ვაკეთებთ. მძღოლი თავისი მიკროავტობუსით, ქარხნის შესასვლელიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით უნდა იდგეს და ძრავა ჩართული ჰქონდეს, რადგან, როგორც კი ფულიან ტომრებს დავითრევთ, მოვიდეს. ეს – რაც შეეხება მძღოლსა და მანქანას. ახლა, რას აკეთებენ დანარჩენები, ანუ – თქვენ, რადგან მძღოლი მე ვიქნები. ზუსტად თერთმეტს რომ ხუთი წუთი დააკლდება, თქვენ ოთხნი ქარხნის შესასვლელთან სპეცოვკებში გაიჩითებით. გააბოლებთ და შეყოვნდებით. მანქანა რომ მოვა და ფულიან ტომრებს გადმოიტანენ, ორი კაცი ინკასატორებს შეაყენებს. მათ მიწაზე დაწოლას აიძულებენ და მუშკაზე ეყოლებათ. მეორე წყვილი კი, იარაღის მუქარით ფულიან ტომრებს დაითრევს. ამ დროს მე მანქანას მოვაყენებ და ყველანი მოვტყდებით. ოპერაციის პირველი ფაზა, მაქსიმუმ, ნახევარ წუთში უნდა დასრულდეს.

– მეორე ფაზაც არსებობს? – ჰკითხა სედოიმ.

– რა თქმა უნდა, – მიუგო მაკმა, – დამწვარი მანქანით ხომ არ ვიმოძრავებთ? ამიტომ, მიკროავტობუსს ჩიხში დავტოვებთ. იქ სხვა მანქანაში გადავსხდებით და ეძიონ მინდორში ქარი. მანქანაში ფულებს ხუთ ჩანთაში გადავანაწილებთ და მეტროთი მშვიდად დავბრუნდებით სახლში. მანქანაშივე გამოვიცვლით სამოსს. როგორი გეგმაა?

– ორი შეკითხვა მაქვს... – თქვა სედოიმ.

– გისმენ, – მიუგო მაკმა.

– მაკ, ძმაო, თუ სწორად მივხვდი, გამოდის, რომ იმ ქარხანას მანქანების შესასვლელი არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულს მანქანით შეიტანდნენ ეზოში და არა ხელით.

– მართალი ხარ, სედოი. ქარხანას არც ეზო აქვს და არც მანქანის შესასვლელი კარი.

– უცნაურია. აბა, რას ამზადებენ იქ? რაც არ უნდა იყოს, ნედლეული ხომ სჭირდებათ და ხელით შეაქვთ?

– ლოგიკური შეკითხვაა და გპასუხობ. ქარხანა საიდუმლო და გასამხედროებულია. ვფიქრობ, მიწისქვეშა გვირაბი აქვს და ნედლეულიც, ალბათ, იქიდან შედის. სხვა ახსნა მე არ ვიცი.

– ჭკუასთან ახლოა. ახლა მეორე: ვის

რა როლი ეკისრება, ანუ, ვინ ვის შეაყენებს?

– ვფიქრობ, მარსმა და კიჭამ ინკასატორები უნდა შეაყენონ. შენ და დიმკა კი, ფულს დაითრევთ.

– გეთანხმები. ასე ჯობია, – თქვა სედოიმ.

– ჰო, კიდევ ერთი. ორი ტეტე მაქვს, ორი პარაბელიუმი და ერთი მაკაროვი. აირჩიეთ, ვის რომელი რკინა გევასებათ. ჩემთვის სულ ერთია, – თქვა მაკმა. კომოდის უჯრიდან პისტოლეტები ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა.

მარსმა და სედოიმ „ტეტე“ აირჩიეს. კიჭამ და დიმკამ – „პარაბელიუმები“. მაკს კი „მაკაროვი“ დარჩა და იარაღიც განაწილდა.

– ახლა დაისვენეთ, ძმებო. მე კი წავალ და მანქანების ამბავს გავარკვევ. ბიჭებისთვის შეკვეთა მაქვს მიცემული და უნდა შევამოწმო. თან, ბეს გადავუხდი, – თქვა მაკმა და წამოდგა.

– მაკ, ძმაო, შენ ხომ ახლა ესენდუკში ხარ და შემთხვევით, რომ ვინმე ნაცნობმა ძაღლმა გნახოს, დაიწვები და ყველაფერი ჩაგვეშლება, – უთხრა მაკს სედოიმ.

მასპინძელს გაეცინა. ძმაკაცს არაფერი უპასუხა და მეორე ოთახში გავიდა. ათი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა და სტუმრებს დაენახვა. მაკს მოტვლეპილ თავზე თეთრი პარიკი ჰქონდა მორგებული. ნიკაპზე კი ბლანჟე აეკრა. თავზე საზაფხულო ქუდი ეხურა. ხელში ტროსტი ეკავა და თეთრი სამოსი ეცვა. მუქი მწვანე სათვალე ეკეთა და ისე ჰქონდა გარეგნობა შეცვლილი, მშობელი დედაც ვერ იცნობდა.

– როგორია, ძმებო, ვგავარ ახლა მე ძველ მაკს? – იკითხა მაკმა, გაეცინა, კარისკენ გაემართა და სათვალთვალოში გაიხედა. შემდეგ ფრთხილად გააღო კარი, გავიდა და უხმაუროდ გაიხურა.

***

სამი დღის შემდეგ მაკი და ციხიდან გაქცეულები მოპარული „რაფის“ მიკროავტობუსით საქმეზე გაემართნენ. ძებნილები ქარხნიდან სამასი მეტრის მოშორებით ჩამოვიდნენ მანქანიდან და გზა ფეხით გააგრძელეს. მაკმა კი „რაფი“ ქარხნის შესასვლელიდან ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით გააჩერა. ძრავა არ გამოურთავს და მშვიდად გააბოლა. თან, ინკასაციის მანქანის გამოჩენას ელოდა. „რაფს“ ჯერ გაქცეულებმა ჩაუარეს. ქარხნის შესასვლელთან შეჩერდნენ. სიგარეტი გააბოლეს და ერთმანეთში საუბარი გააბეს. ზუსტად თერთმეტ საათზე, ქარხანას ინკასაციის მანქანა მიადგა. შესასვლელთან გაჩერდა და იქიდან ხუთი ადამიანი გადმოვიდა. წინ პირველი ინკასატორი მიდიოდა. შუაში – მოლარე და ფულის ტომარამომარჯვებული ორი დამხმარე. უკან კი მეორე ინკასატორი მიჰყვებოდა. მუშის უნიფორმებში გამოწყობილი, შეჯგუფული, პისტოლეტმომარჯვებული მძარცველები უცებ გაიშალნენ. მარსი წინა ინკასატორს გადაუდგა, კიჭა კი – უკანას. მათ იარაღები მიუშვირეს და მიწაზე დაწოლა აიძულეს. ამის პარალელურად, სედოიმ და დიმკამ დამხმარეები შეაყენეს, ფულით სავსე ტომრები აართვეს და „რაფისკენ“ გაქანდნენ, რომელიც უკვე ქარხნის შესასვლელთან იდგა. „რაფში“ პირველები სედოი და დიმკა შეხტნენ და ფულით სავსე ტომრები იატაკზე დაყარეს. შემდეგ კიჭა და მარსიც მანქანისკენ დაიძრნენ. ყველასთვის მოულოდნელად, მოლარე ქალმა, რომლისთვისაც ყურადღება არავის მიუქცევია და რომელიც ერთ ადგილზე იყო გაშეშებული, ჩანთიდან „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ამოაცურა და უკან მყოფ მარსს ესროლა. ტყვიამ მარსს გულის უკანა კედელი გაუხვრიტა და ადგილზევე მოკლა. სროლის ხმაზე კიჭა შემობრუნდა და დაცემული მარსისკენ გაქანდა, რომ დახმარებოდა. იმას კი ვერ მიხვდა, თუ ვინ ესროლა. სროლის ხმამ მიწაზე გართხმული ინკასატორებიც გამოაფხიზლა. მათაც „ნაგანები“ იშიშვლეს და დაწოლილებმა გაუხსნეს ცეცხლი კიჭას, რომელიც უკვე მოკლული მეგობრის წამოყენებას ცდილობდა. ერთი ინკასატორის მიერ გასროლილმა ტყვიამ, კიჭა ფეხის მარცხენა კოჭში დაჭრა და ძირს დააგდო. მეორის ტყვიამ კი წაქცეულ კიჭას თავის ქალა შუაზე გაუპო და ადგილზევე დაიღუპა. სროლის დაწყებისთანავე მაკი, დიმკა და სედოი პისტოლეტმომარჯვებულები გადმოხტდნენ „რაფიდან“ თავიანთი პაძელნიკების დასახმარებლად. მაკმა მოლარეს ესროლა. ქალი მხარში დაჭრა და ძირს დააგდო. მარჯვნიდან გადმოსულმა დიმკამ და სედოიმ კი, მიწაზე გართხმულ ინკასატორებს გაუხსნეს ცეცხლი. დიმკამ პირველი ინკასატორი მხარში დაჭრა და სროლა შეაწყვეტინა. სედოის იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ კი მეორე ინკასატორს ორივე ყბაში გაუარა და ისიც გააჩერა. ამის პარალელურად, ქარხნის შესასვლელიდან სამხედრო ფორმაში ჩაცმული, ავტომატმომარჯვებული რიგითი ჯარისკაცი გამოხტა და მძარცველების მიმართულებით ავტომატის ჯერი გაუშვა. ტყვიებმა დიმკას ყურთან გაუწუილა და ერთი მათგანი სედოის მარჯვენა მკლავსა და ბარძაყში მოხვდა და მიწაზე დააგდო. მეორე ჯერმა კი მაკი დაცხრილა და ადგილზევე მოკლა. დიმკამ მიწაზე დაწოლა მოასწრო და ავტომატმომარჯვებულ ჯარისკაცს სამჯერ ესროლა. ერთი ტყვია მას წვივში მოხვდა და წააქცია. ავტომატი ხელიდან გაუვარდა და სროლაც შეწყდა. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. სულ რაღაც ოცდაათიოდე წამი გაგრძელდა და სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ხუთი კი დაიჭრა. ჯარისკაცი, მოლარე და ინკასატორები – მსუბუქად. სედოის ორი ჭრილობიდან კი ერთი მძიმე და სიცოცხლითვის საშიში იყო. ბარძაყში მოხვედრილმა ტყვიამ მას არტერია გადაუჭრა და სედოის ფეხიდან შადრევანივით ასხამდა სისხლი. დიმკამ სედოი ხელში აიყვანა და „რაფში“ დააწვინა. შემდეგ საჭეს მიუჯდა და ადგილიდან მოწყდა. თან, სედოის უღრიალა, – ჩქარა, ფეხზე პერანგის ნახევი შემოიჭირე, სისხლისგან არ დაიცალოო.

სედოი არ დაბნეულა. თვითგადარჩენის ინსტინქტმა და მრავალწლიანმა გამოცდილებამ ზონაში თავისი ქნა. ზურგჩანთიდან მან ბრიტვასავით ალესილი დანა ამოაცურა და ჯერ უნიფორმა გაჭრა, მერე კი, საშინელი ტკივილის მიუხედავად, სასწრაფოდ გაიძრო. შემდეგ პერანგი შემოიჭირა. საშინელი ტკივილი დაძლია და დაჭრილი მარჯვენა ხელის დახმარებით, ჯერ სახელო დაგრიხა, შემდეგ გაშიშვლებულ ბარძაყზე შემოიხვია და დაატრიალა. ამ მანიპულაციის დროს სედოის ჯოჯოხეთურად სტკიოდა დაჭრილი მარჯვენა მკლავი. ამიტომ, თან ნაჭერს ატრიალებდა, თან მგელივით ყმუოდა. რომ დაასრულა, მარჯვენა ხელი ჩამოუვარდა და მთელს სხეულზე სიმწრის ოფლმა დაასხა. მას დაგრეხილი ნაჭრის ნახევი მარცხენა ხელით ეჭირა და მართალია, ძალები ელეოდა, მაინც არ ნებდებოდა. რომ იტყვიან, სული კბილით ეჭირა.

– როგორ ხარ, სედოი? – ჰკითხა დიმკამ, რომელიც აუღელვებლად მართავდა „რაფს“ და შემდგომი მოქმედების გეგმა თითქმის მოფიქრებული ჰქონდა.

– არა მიშავს. სისხლდენა თითქმის შემიჩერდა, – მიუგო სედოიმ.

– მაგრად გეჭიროს და მალე მივალთ. იქ კი უკეთეს ნახვევს დაგადებ, – უთხრა დიმკამ.

– რას აპირებ?

– რაც დავგეგმეთ, იმას, – მიუგო დიმკამ, – თუმცა, მცირედი ცვლილებებით.

– მანქანის გამოცვლას გულისხმობ, ხომ?

– კი. კიდევ კარგი, რომ გუშინ მაკმა გენერალური რეპეტიცია გაგვატარა და ყველაფერი დავიმახსოვრე, თორემ ამ მანქანით შორს ვერ წავიდოდით. დარწმუნებული ვარ, ამ „რაფს“ უკვე მთელი მილიცია ეძებს. „ნივით“ კი შანსი გვაქვს.

დიმკამ რომ „რაფი“ ჩიხში შეაყენა, თორმეტის თხუთმეტი წუთი შესრულდა. ძარ-

ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.

ცვის დაწყებიდან სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთი იყო გასული. დიტომ „რაფის“ ფანჯარას, რომელზეც ფარდა ეკიდა, კაპრონის თოკი ჩამოაჭრა, ზედ ჯოხის ნაჭერი მიამაგრა, სედოის ბარძაყზე ამოსდო, დაატრიალა და დაუმაგრა. ძველი ნახვევი კი მოხსნა და იქვე დააგდო. შემდეგ სედოი „ნივის“ უკანა სავარძელზე დააწვინა. ფულით სავსე ტომრები უკანა სალონში დაალაგა. ჯერ ჩანთები დააწყო ზედ, ბოლოს კი ბრეზენტი გადააფარა. საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილიდან დაძრა. ჩიხს რომ სამიოდე კილომეტრით გასცდა, მანქანა ექვსსართულიანი კორპუსის ძველებური ეზოს ბნელ კუთხეში გააჩერა და სედოის უთხრა:

– მშვიდად იწექი. მალე მოვალ.

– კარგი, – მიუგო სედოიმ და ბიჭს თვალი გააყოლა, რომელიც სადარბაზოში შევიდა.

დიმკა ხუთი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა. წინა სავარძელი გადასწია და სედოის უთხრა:

– უნდა გადმოგიყვანო. ჭრილობაზე ხელი დაიდე, რომ არ გაგეხსნას.

სედოი უსიტყვოდ დაემორჩილა დიმკას. ბიჭმა ის სადარბაზოში შეიყვანა. ლიფტში ჩასხდნენ და დაიძრნენ.

– სად მივდივართ? – ჰკითხა სედოიმ დიმკას.

– სახურავზე.

– სახურავზე რა გვინდა?

– იქ დაგტოვებ. მე კი წავალ და ქირურგს მოვიყვან, რომ ჭრილობებს მიხედოს, – მიუგო დიმკამ.

სედოის ხმა არ ამოუღია. ბიჭს მორჩილად აჰყვა სახურავზე და გუდრონმოსხმულ ზედაპირზე წამინვა. დიმკა კი სასწრაფოდ ქვევით დაეშვა და „ნივით“ უახლოესი პოლიკლინიკისკენ გაემართა, რომელიც ჯერ კიდევ გზაში შეათვალიერა. რეგისტრატურაში მან ქირურგის ვინაობა და კაბინეტის ნომერი გაიგო და მეორე სართულზე ავიდა. საბედნიეროდ, ქირურგი მარტო იყო კაბინეტში. დიტო მიესალმა მას და უთხრა:

– ქირურგი ბრძანდებით?

– დიახ. რით შემიძლია გემსახუროთ? – მიუგო ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცმა ბიჭს.

– თქვენთან ერთი შეკითხვა მაქვს.

– გისმენთ, ბრძანეთ.

– ექიმო, რა უნდა გაკეთდეს ბარძაყიდან არტერიული სისხლდენის დროს?

– ჭრილობა უნდა დამუშავდეს და გაიკეროს, – მიუგო ექიმმა.

– მკლავზე ნატყვიარის შემთხვევაში? – კვლავ ჰკითხა დიტომ.

ექიმმა გაოცებული მზერა ესროლა დიმკას და კოპები შეკრა. მაგრამ, უცნაური სტუმრის მზერამ თვალი მოსჭრა და უთხრა:

– იქაც ასევე. ჭრილობა უნდა დამუშავდეს და გაიკეროს... ხოლო, თუ ტყვიაა ჩარჩენილი, ჯერ ტყვია უნდა ამოვიღოთ და მხოლოდ ამის მერე, გაიკეროს ჭრილობა.

– თქვენ ეს შეგიძლიათ?

– რა თქმა უნდა, მე ხომ ქირურგი ვარ.

– ექიმო, უნდა წამომყვეთ და ჩემს მეგობარს დაეხმაროთ. მას მარჯვენა ბარძაყის არტერია აქვს ტყვიით გაგლეჯილი და მარჯვენა მკლავშია ტყვიით დაჭრილი. ჩარჩენილი აქვს თუ არა, არ ვიცი. რომ ნახავთ, თვითონვე მიხვდებით.

ექიმმა რომ დიმკას სიტყვები მოისმინა, გაიფიქრა, დამცინისო. შემდეგ კი, ალბათ შეშლილიაო და თავიდან რომ მოეცილებინა, გაუღიმა და რბილად უთხრა:

– რა თქმა უნდა, მივხვდები და დავეხმარები. მაგრამ, თქვენი მეგობარი აქ უნდა მოიყვანოთ. თქვენ ახლა წადით და პაციენტი მომიყვანეთ, მე კი საჭირო ინსტრუმენტებს მოვამზადებ.

– აქ ვერ მოვიყვან და უნდა წამომყვეთ, – მტკიცედ უთხრა დიმკამ ექიმს.

– თქვენ რა, ამას სერიოზულად ამბობთ?

– აბსოლუტურად.

– ახლავე ნაბრძანდით აქედან, თორემ მილიციას გამოვიძახებ, – ხმას აუწია ექიმმა, თან ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

დიმკამ ექიმს „პარაბელიუმი“ მიუშვირა და კბილებში გამოსცრა:

– დადე ყურმილი და გააკეთე, რასაც გეუბნები, თორემ აქვე გაგათავებ!

ექიმი მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე და უთხრა:

– კეთილი. წამოგყვებით. ინსტრუმენტებს გავამზადებ მხოლოდ.

– ჩქარა ქენით, ექიმო. დრო არ ითმენს, – უთხრა დიმკამ, – იცოდეთ, ზედმეტი არაფერი გაბედოთ, თორემ გაუფრთხილებლად გესვრით.

– გასაგებია, – მიუგო ქირურგმა. შემდეგ საკვოიაჟში საჭირო ინსტრუმენტები, სხვადასხვა წამალი და მედიკამენტები ჩაალაგა და დიმკასთან ერთად კაბინეტი დატოვა.

დიმკამ ქირურგი „ნივით“ წაიყვანა და სახურავზე რომ ადიოდნენ, გაოცებულმა ექიმმა მას ჰკითხა:

– სახურავზე მიგყავართ?

– დიახ, ექიმო.

– დაჭრილი იქ იმყოფება?

– სწორედ იქ და სახურავზე უნდა დაეხმაროთ მას, – უთხრა დიმკამ.

ექიმს ხმა აღარ ამოუღია და სახურავზე ავიდა. ჯერ ჭრილობები დაუთვალიერა სედოის. შემდეგ საკვოიაჟი გახსნა და ყველაფერი ამოალაგა. თეთრ ხალათზე განალაგა და თქვა:

– მკლავზე მხოლოდ რბილი ქსოვილებია დაზიანებული, არც ტყვიაა ჩარჩენილი და არც ძვალზეა შეხებული. ამიტომ საშიში არაა. აი, ბარძაყი კი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს და გაიკეროს. ბოლოს კი მკლავს დავუბრუნდეთ.

– გასაგებია. თუ დაგჭირდეთ, დაგეხმარებით, – მიუგო დიმკამ.

ექიმმა მანიპულაციები დაიწყო და ყველაფერი სამოცდაათ წუთში დაასრულა. შემდეგ თავისი ინსტრუმენტები კვლავ საკვოიაჟში ჩააბრუნა და მხოლოდ წამლები დატოვა. ცელოფნის პარკში ჩააწყო. ფურცელზე დანიშნულება დაწერა. პარკთან ერთად დიმკას მისცა და უთხრა:

– ამ ფურცელზე ყველაფერი წერია და ზუსტად ისე მოიქეცით, როგორც დაგიწერეთ. ნახევარ საათში, პაციენტს დაეძინება და მხოლოდ რვა საათის შემდეგ გაიღვიძებს. პირველადი დახმარება აღმოვუჩინე, მაგრამ სასურველია, მისი სტაციონარში გადაყვანა. აი, სულ ესაა.

– ექიმო, ქვევით ჩამაყვანინეთ, – უთხრა დიმკამ ქირურგს.

ქვევით რომ ჩავიდნენ, სედოი „ნივის“ უკანა სავარძელზე დააწვინეს. დიმკამ კი ფულიან ტომარაში ხელი ჩაყო, იქიდან ასმანეთიანების ათიათასიანი დასტა ამოიღო. ექიმს გაუწოდა და უთხრა:

– ძალადობისთვის ბოდიშს გიხდით, დახმარებისთვის კი – დიდ მადლობას. ეს კი – თქვენ. დაიმსახურეთ.

ექიმმა ფულს დახედა. გაეცინა, თავი გაქნია და დიმკას მიუგო:

– ვერ გამოგართმევთ, დაიტოვეთ.

– რატომ?

– სულერთია, უნდა ჩავაბარო და იმიტომ. თვალთმაქცობას არ დავიწყებ და პირდაპირ გეტყვი, რომ ვალდებული ვარ, ეს ყველაფერი მილიციას შევატყობინო.

– გასაგებია, – მიუგო დიმკამ. ფულის დასტა კვლავ ტომარაში ჩააბრუნა. საჭეს მიუჯდა და სანამ მანქანას ადგილიდან დაძრავდა, ექიმს უთხრა, – მილიციაში წასვლას ნუ იჩქარებთ. ერთი საათი მაინც მოიცადეთ. კარგად იყავით.

ეზოდან რომ გავიდნენ და ფართო ქუჩაზე მისრიალებდნენ, სედოიმ დიმკას უთხრა:

– შენი დიდი მადლობელი ვარ და ამ ამაგს არასდროს დაგივიწყებ. ყოჩაღ, ძმაო!

– როგორ ხარ, სედოი?

– რა მიჭირს. რაც მთავარია, ცოცხალი ვარ, – მიუგო სედოიმ და დაამატა, – ახლა რას აპირებ?

– კონსპირაციულ ბინაში უნდა დავბრუნდეთ და დროებით ფსკერზე დავწვეთ. მაკმა ხომ თქვა, ამ ბინის შესახებ არავინ არაფერი იცისო და ჩვენც ვერავინ მოგვაგნებს.

დიმკამ „ნივა“ ბინიდან ასიოდე მეტრის მოშორებით, მყუდრო ადგილზე გააჩერა და ჯერ სედოი აიყვანა, შემდეგ კი ბრეზენტში გახვეული ფულის ტომრები. ისევ უკან და-

ბრუნდა და მანქანა მოსკოვის ცენტრში დატოვა. კონსპირაციულ ბინაში კი ტაქსით დაბრუნდა. ოთახში რომ შევიდა, სედოის უკვე ღრმად ეძინა.

***

დიმკამ საათს დახედა. ისრები სამს უჩვენებდა. ძარცვიდან ოთხი საათი იყო გასული. სედოის გაღვიძებამდე კი ექვსი საათი რჩებოდა. დიტო სავარძელში მოკალათდა. სიგარეტი გააბოლა და ჩაფიქრდა. შემდეგ ფული გაახსენდა. წამოდგა, ფულით სავსე ტომრებიდან დასტები იატაკზე დაყარა და დაჩერდა. ამდენი ფული არასდროს ენახა და ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენდა ასეთ რამეს. დიტომ მაგიდა გაასუფთავა და ფულის დათვლა დაიწყო. იატაკიდან დასტებს იღებდა, მაგიდაზე ალაგებდა და მათ რაოდენობას იმახსოვრებდა. ბოლო დასტაც რომ დადო, აღმოჩნდა, რომ ზუსტად ნახევარი მილიონი მანეთი იდო იქ. შემდეგ საათს დახედა. უკვე ხუთის ნახევარი სრულდებოდა. დიმკა კვლავ სავარძელში მოკალათდა. გააბოლა და ისევ ფიქრებს მიეცა. მალე იგრძნო, რომ ეძინებოდა. წამოდგა და სიგარეტი ჩააქრო. შემდეგ ფეხაკრეფით მივიდა კართან და სათვალთვალოში გაიხედა. დერეფანში სიწყნარე იყო. კვლავ უკან დაბრუნდა და ჯერ მძინარე სედოის დახედა, შემდეგ ფეხსაცმელები გაიხადა. გაიფიქრა, – ცოტას დავისვენებო. ტახტზე წამოწვა, მაგრამ დაღლილობამ თავისი ქნა და დიმკას ჩაეძინა.

დიტო კანდელაკი სედოის ხმამ გამოაღვიძა. მას ზუსტად ცხრა საათზე გაეღვიძა და რომ ვერავინ დაინახა, რადგან საძინებელში იწვა, დიმკას დაუძახა. ბიჭი ტახტიდან წამოდგა. საძინებელში შევიდა და სედოის ჰკითხა:

– როგორ ხარ, სედო?

– არა მიშავს, – მიუგო სედოიმ.

– ფეხი გტკივა?

– უფრო მკვლავი.

– ეგ არაფერი. ექიმმა თქვა, საშიში არ არისო. ფეხიც გაკერილია და მოგირჩება. გილოცავ გადარჩენას.

სედოიმ მადლიერი თვალებით შეხედა თავის გადამრჩენელს და უთხრა:

– შენი დამსახურებაა ჩემი გადარჩენა. მადლობელი ვარ, ძმაო და ამ ამაგს სიცოცხლის ბოლომდე არ დაგივიწყებ. ყოჩაღ, დიმკა! შენს ადგილზე ბევრი არ გააკეთებდა ასეთ რამეს.

– რის მადლობა. მთავარია, რომ დროზე დადგე ფეხზე და აქედან მშვიდობიანად გავაღწიოთ. კი ვართ მოყუჩებულები, მაგრამ, რა იცი, რა ხდება. ჩვენ ახლა მთელი ძაღლობა გვეძებს და ყოველ კუთხე-კუნჭულში დაიწყებენ ძრომიალს. ხუმრობა ხომ არაა, ნახევარი მილიონი წაგვიღია.

– მართლა? – სახე გაებადრა სედოის.

– კი. დავითვალე.

– ძმურად, სიგარეტი მომაწევინე, – სთხოვა დიტოს სედოიმ და რომ გააბოლა, თქვა, – ჩვენი საცოდავი პაძელნიკები. ის ნაბოზარი ქალი რომ არა, გადარჩებოდნენ და ყველანი ერთად ვიქნებოდით. უნდა ჩამეძაღლებინა ის ძუკნა. ვიზამდი კიდეც, რომ არ დავჭრილიყავი.

– ვინ წარმოიდგენდა, რომ მოლარეს იარაღი ექნებოდა, – თქვა დიმკამ, – ბედია ყველაფერი. არ გაუმართლათ იმ საცოდავებს.

– არ გაუმართლათ, მართალი ხარ.

– სედო. მოგშივდებოდა და საჭმელს მოგიტან, – უთხრა დიმკამ.

– გარეთ უნდა გახვიდე?

– არა. მაცივარში ცოტა პროდუქტია და დღეს გვეყოფა.

– მიდი, ვჭამოთ.

სედოიმ და დიმკამ ივახშმეს. მიუხედავად იმისა, რომ სედოის არყის დალევა უნდოდა, დიმკამ არ დაანება და უთხრა:

– ექიმმა კატეგორიულად აგიკრძალა, არ შეიძლება, უნდა მოითმინო. ფეხზე რომ დადგები, შემდეგ ერთად შევუბეროთ.

– არა და არა, – გაეცინა სედოის და ხელები გაშალა, – ვემორჩილები რეჟიმს.

ნავახშმევს, სედოის ფეხის საშინელი ტკივილი დაეწყო. თავიდან ითმენდა. შემდეგ გაუძლიერდა. სიმწრის ოფლმა დაასხა და ისე გაფითრდა, რომ დიმკამ ჰკითხა:

– რა მოგვიდა?

– ვეღარ ვუძლებ ტკივილს. გული მიმდის და შეიძლება, გავითიშო, – მიუგო სედოიმ და რომ არ დაეყმუვლა, სიმწრისგან ტუჩი მოიკვნიტა.

დიმკამ ცოტა ხანს უყურა სედოის ტანჯვას. შემდეგ კი იძულებული გახდა, მისთვის გამაყუჩებელი ნემსი გაეკეთებინა, რომელიც ქირურგმა დაუტოვა. ნემსმა სედოი დაამშვიდა და ჩაეძინა. მეორე დილით, ნასაუზმევს, სედოის კვლავ განუახლდა ტკივილი და დიმკამ ბოლო ნემსიც გაუკეთა. შემდეგ სედოის დახედა და უთხრა:

– წამალი გამოილია. რამე უნდა მოვიფიქროთ.

– მოვიფიქროთ, მოვიფიქროთ... – მიუგო გაბრუებულმა სედოიმ და ჩაეძინა.

დიმკა საძინებლიდან გამოვიდა. სავარძელში მოკალათდა და ჩაფიქრდა. დიტო შანსებს წონიდა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უზარმაზარი თანხით, ოთხ კედელს შორის იყვნენ გამომწყვდეულები ის და სედოი. თანაც, სედოის გადაადგილება არ შეეძლო. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ გამაყუჩებელი წამალიც გაუთავდათ. გაუთავდათ პროდუქტებიც, მაგრამ სურსათ-სანოვაგის ყიდვა გასტრონომში შეიძლებოდა. აფთიაქში გამაყუჩებელი წამლის ყიდვაც შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან სახიფათო იყო. ქირურგი, რომელმაც სედოი გადაარჩინა, მილიციას ყველაფერთან ერთად, იმასაც ეტყოდა, რომ ავადმყოფს სხვა წამლებთან ერთად გამაყუჩებელიც დასჭირდებოდა. მილიცია კი ამით ისარგებლებდა, ყველა აფთიაქს შეატყობინებდა და იმის დიდი შანსი იყო, ამგვარად გასულიყვნენ მათ კვალზე. მერე კი ორთავე შეეპყროთ. ყველაფერი ეს რომ გაიაზრა, დიმკა მიხვდა, რომ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რაღაც მომენტში სასოწარკვეთილებამაც შეიპყრო. დიმკას, რა თქმა უნდა, შეეძლო, სხვაგვარადაც მოქცეულიყო. მთლიანი თანხა თუ არა, ნახევარი მაინც აეღო და თავის გზაზე წასულიყო. მაგრამ, ისიც კარგად იცოდა, რომ ასეთ რამეს არ გააკეთებდა. სედოის განსაცდელში არ მიატოვებდა და თუკი ცუდი რამ ელოდათ, ამგვარი გზით არ შეეცდებოდა თავის დაღწევას.

მომდევნო ორი დღე დიმკამ სედოის არყით გაატანინა. გამაყუჩებლის ნაცვლად, ავადმყოფს ბევრ არაყს ასმევდა და აძინებდა. მესამე დღეს, სედოის უზომოდ გაუსივდა ფეხი, რადგან დაუჩირქდა და დიმკა მიხვდა, რომ ექიმის ჩარევის გარეშე ავადმყოფი განწირული იყო.

– დიმკა, არაყი დამალევინე, თორემ ფანჯრიდან გადავხტები. ტკივილს ვეღარ ვუძლებ, – კვნესოდა სედოი.

დიმკამ სედოის თითქმის ერთი ლიტრი არაყი დაალევინა. ამან ავადმყოფი დაამშვიდა და დააძინა. თუმცა ბიჭმა იცოდა, რომ სედოის სიმშვიდე ერთ საათზე მეტხანს არ გასტანდა და ტკივილი ახალი ძალით შეუტევდა. ამიტომ, სასწრაფოდ ჩაიცვა. მაგიდიდან ხუთი ცალი ასმანეთიანების დასტა აიღო და შავი ცელოფნის პაკეტში მოათავსა. პიჯაკი მოიცვა. ქამარში „პარაბელიუმის“ სისტემის პისტოლეტი ჩაიდო. პიჯაკის შიდა ჯიბეში ათმანეთიანების ერთი დასტა ჩაიცურა და სასწრაფოდ გავიდა ბინიდან.

დიტო კანდელაკი ნაცნობ ქირურგთან მიიჩქაროდა. მან იცოდა, რომ ეს ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ, სხვა გზა არ ჰქონდა და ასეთი გადაწყვეტილება ამიტომ მიიღო. დიმკამ ორასიოდე მეტრი ფეხით გაიარა. შემდეგ კერძო მანქანა გააჩერა და პოლიკლინიკისკენ აიღო გეზი.

– იური სერგეევიჩი დღეს არ მუშაობს. ისვენებს, – უთხრა პოლიკლინიკაში მისულ დიმკას ახალგაზრდა ექთანმა და დაამატა, – ხვალ იქნება.

– გუშინ ვიყავი დაბარებული და მოსვლა ვერ მოვახერხე. დღეს კი მივემგზავრები, – იცრუა დიმკამ, თან ექთანს გაუღიმა, – იქნებ, იური სერგეევიჩის ბინის მისამართი მომცეთ, ასე მითხრა, კიდევ ერთხელ უნდა გავსინჯოო. თანაც, არც პატივი მიცია მისთვის. ეს კი თქვენ. რომ მცოდნოდა, ასეთი მშვენიერი გოგონა დამხვდებოდა აქ, ყვავილებსა და „ბანბანერკას“ მოგართმევდით. ჩათვალეთ, რომ მოგართვით, – დიმკამ ექთანს წითელი თუმნიანი ჩაუდო ჯიბეში და გაუღიმა.

გოგონამ ღიმილითვე უპასუხა დიმკას. ფურცელზე ქირურგის მისამართი დაუწერა, გაუწოდა და უთხრა:

– აი მისამართი. გამომართვით. ყვავილებისა და „ბანბანერკისთვის“ კი, მადლობელი ვარ.

– რის მადლობა... უკან რომ დავბრუნდები, ზღვა ყვავილებს მოგართმევთ და რესტორანშიც დაგპატიჟებთ, თუ, რა თქმა უნდა, თანახმა იქნებით.

– უარს არ ვიტყვი, – გაუღიმა დიმკას ექთანმა.

– ნახვამდის, ლამაზო... შეხვედრამდე.

– მე ლენა მქვია. თქვენ?

– პავლე.

– შეხვედრამდე, პავლე.

– შეხვედრამდე, ლენაჩკა. ნახვამდის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რას წარმოადგენდა „ტვირთი №200“ და როგორ გაიხსნა მსხვილი ნარკოსაქმე საფლავის თვითნებური ექსჰუმაციის შედეგად

ტვირთი №200

1984 წლის ივლისში, თბილისში 20 წლის პავლე გოცირიძის ცხედარი ჩამოასვენეს ავღანეთიდან. იქ ის სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა და მოჯახედებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს დაილუპა. ჯარისკაცის სხეული თუთიის კუბოში იყო მოთავსებული. მას ორი ოფიცერი ჩამოჰყვა. ისინი მთელ პროცესს თავიდან ბოლომდე დაესწრნენ და მხოლოდ მას მერე გაემგზავრნენ უკან, გოცირიძე კუკიის სასაფლაოზე რომ დაკრძალეს.

თუთიის კუბო დადუღებული იყო და მისი გახსნა მხოლოდ აუტოგენს შეეძლო. დაღუპული ჯარისკაცების მშობლებსა და ნათესავებს ნეშტის ჩვეულებრივ კუბოში გადასვენება და მისი ამგვარად დასაფლავება სურდათ. მაგრამ, თანმხლებმა ოფიცრებმა ამის უფლება არ მისცეს. მაიორმა პროხოროვმა მათ უთხრა:

– სხეული ისეა დაფლეთილი, მისი ნახვა არავის მოჰგვრის სიამოვნებას. გარდა ამისა, ბალზამირებაც არ აქვს გაკეთებული და ამ სიცხეში მას სუნი აუვა. დაღუპვიდან ორი კვირაა გასული და ის უკვე საკმაოდ გახრწნილი იქნება.

ერთი სიტყვით, პროხოროვის არგუმენტები საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა. მან გოცირიძის ოჯახს დაღუპული პავლეს საბუთები და ტვირთი №200-ის თბილისში ჩატანის ბლანკის ასლი დაუტოვა. შემდეგ კი, თანმხლებ ოფიცერთან ერთად გაემგზავრა. საბუთებში ეწერა, რომ რიგითი პავლე გოცირიძე ქალაქ ყანდაღართან ბრძოლის დროს დაილუპა. ცნობას ხელს აწერდა პოლკოვნიკი ივან სობკო, რომელიც მოტომსროლელთა პოლკს მეთაურობდა. ტვირთი №200 – ავღანეთში დაღუპულთა სამშობლოში ტრანსპორტირების კოდი გახლდათ.

თვითნებური ექსჰუმაცია

პავლე გოცირიძის დაკრძალვიდან ექვსი თვის შემდეგ, ანუ 1985 წლის იანვარში, თბილისში ვინმე მერაბ გიგაური დაბრუნდა. ისიც ავღანეთში მსახურობდა და გოცირიძეების მეზობლის ნათესავი იყო. ისე მოხდა, რომ ძველით ახალ წელს, მერაბი და პავლეს მამა ერთმანეთს სუფრაზე შეხვდნენ. საუბრის დროს მერაბმა ავღანეთი ახსენა და ყანდაღართან შეტაკებაც გაიხსენა. მან თქვა:

– იმ ბრძოლაში ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მე მეზობელ ნაწილში ვმსახურობდი და შეტაკების შემდეგ, ბრძოლის ველიდან მოკლულთა ცხედრები გამოგვქონდა. ჩვენივე ნაწილიდან მოხდა უკვე თუთიის კუბოებით მათი გაგზავნა სახლებში და იქაც ვმონაწილეობდი. ბრძოლის ველიდან სამოცდაცამეტი ჯარისკაცის გვამი გამოვიტანეთ. გასაგზავნი კუბოები კი სულ ას სამი იყო...

პავლეს მამამ, ოთარ გოცირიძემ გიგაურს ჰკითხა:

– დანარჩენი ოცდაათი კუბო, სხვა ბრძოლაში დაღუპული ჯარისკაცების იყო?

– არა მგონია, ძია ოთარ. იმ პერიოდში მხოლოდ ის ბრძოლა იყო იქ.

– აბა, დანარჩენზე რას იტყვი?

– მე ვფიქრობ, რომ კუბოები ცარიელი უნდა ყოფილიყო. იმიტომ რომ, ყველა დაღუპულის მოძებნა ვერ მოხერხდა. ალბათ, კლდის ნანგრევებში მოჰყვნენ ან ხეობაში ჩაცვივდნენ და იქ ტურებმა შეჭამეს, – მიუგო ოთარს უკვე საკმაოდ მთვრალმა გიგაურმა, რომელსაც სუფრაზევე ჩაეძინა და ოთარ გოცირიძეს აღარ უცდია მისგან რაიმეს გაგება.

ორი დღის შემდეგ ოთარ გოცირიძემ, მისმა ძმამ ლევანმა და გოცირიძეების მეგობარმა, კუკიის სასაფლაოზე შემდუღებელი აიყვანეს ღამით. პავლე გოცირიძის საფლავი გათხარეს

თუთიის კუბო რომ გახსნეს, ცხედრის მაგივრად მასში ორი ცალი ლოდი იპოვეს

და გვამის ექსჰუმაცია მოახდინეს. შემდუღებელს თუთიის კუბო აუტოგენით უნდა გაეჭრა. მაგრამ, მან რომ კუბოს ფანარი მიანათა, რათა ნაკერი ენახა, თქვა:

– ამას აუტოგენი არ სჭირდება, უფროსო. კუბო გაჭრილია.

ცინკის კუბო სასწრაფოდ გახსნეს და შიგნით მხოლოდ ორი ცალი ლოდი იპოვეს...

ოპერაცია „ღამის უჩინარნი“

თვითნებური ექსჰუმაცია 1985 წლის 17 იანვარს მოხდა. 21 იანვარს, ოთარ გოცირიძე უკვე მოსკოვში იმყოფებოდა. მან თავისი მეგობრის დახმარებით „კაგებეს“ პოლკოვნიკ ივან დავიდოვთან შეხვედრა მოახერხა. მას ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ბოლოს უთხრა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, მიწაში რომ ვდებდით, კუბო მყარად იყო დადუღებული და აშკარაა, ის შემდეგ, ვიღაცეებმა რაღაცისთვის გახსნეს...

ივან დავიდოვი კონტრდაზვერვის ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ამ საქმეს უმალვე მისცა მსვლელობა. 22 იანვარს, თბილისში „კაგებეს“ სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ეწვია. თუთიის კუბოს გამოკვლევამ ცხადყო, რომ მასში არასდროს მოუთავსებიათ გვამი. სამაგიეროდ, იქ ჰეროინის კვალი აღმოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუთიის კუბოს ნარკოტიკების ტრანსპორტირებისთვის იყენებდნენ.

ავღანეთში სასწრაფოდ მიავლინეს „კაგებეს“ საგანგებო-ოპერატიული რაზმი. დააპატიმრეს მოტომსროლელთა პოლკის მეთაური ივან სობკო. მაიორი სტეპან პროხოროვი და კაპიტანი ევგენი ზორინი, რომლებმაც ტვირთი №200 თბილისში ჩამოიტანეს. გამოძიებამ საბჭოთა უშიშროება გენერალ-მაიორ ვიტალი სომოვზე გაიყვანა. ის ავღანეთში ზურგის უზრუნველყოფისა და სამეურნეო სამსახურის ერთ-ერთი მეთაური გახლდათ. გაირკვა, რომ სომოვი ჰეროინის ავღანელ მწარმოებლებთან იყო შეკრული და ვითომდა დაღუპული მეომრების მაგივრად, ავღანეთიდან ჰეროინი გამოჰქონდა. შემდეგ კი ნარკოტიკი სხვადასხვა მიმართულებით იგზავნებოდა. სულ რაღაც ორ კვირაში, „კაგებეე“ 30 ადამიანი დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა. გენერალი სომოვი კი გაიქცა და მოჯაჰედების მხარეს გადავიდა.

საბჭოთა გენერლის გაქცევამ შოკში ჩააგდო პარტიული ელიტა. პოლიტბიუროს საგანგებო, დახურულ სხდომაზე მისი სასწრაფოდ უკან დაბრუნება, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი ლიკვიდაცია გადაწყვიტა. ამ მისიის შესრულება კი „კაგებეს“ საგანგებო-ოპერატიულ რაზმს დაევალა, რომელსაც ქართველი პოლკოვნიკი ვიქტორ გიორგაძე მეთაურობდა. გიორგაძის ხელქვეითები ყველაზე საპასუხისმგებლო და საიდუმლო ოპერაციებისთვის გამოიყენებოდნენ. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებდნენ და არაერთი საიდუმლო ოპერაცია ჰქონდათ ჩატარებული შორეულ ქვეყნებში, მტრის ზურგში. 1985 წლის 2 თებერვალს ოცკაციანი რაზმი ავღანეთში, ქალაქ ღაზნიში გადაისროლეს, რომელიც პაკისტანის საზღვართან ახლოს მდებარეობდა. იქვე, მიუვალ მთებში იყო განლაგებული მოჯაჰედების ბანაკი და სწორედ იმ ბანაკს აფარებდა თავს გენერალი ვიტალი სომოვი. დაზვერვის მონაცემებით, სომოვი პაკისტანში აპირებდა გადასვლას, რაც უფრო მოუხელთებელს გახდიდა მას. ამიტომ, ოპერაცია „ღამის უჩინარნი“ სასწრაფოდ დაიგეგმა და მისი განხორციელება 3 თებერვალს, ღამით დაიწყო. მებრძოლებს თავად 42 წლის ვიქტორ გიორგაძე მეთაურობდა. მათ წარმატებით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე შეაღწიეს მოჯაჰედების ბანაკში და ვიტალი სომოვი უხმაუროდ გაიტაცეს. შემდეგ კი საბჭოთა შვეულმფრენებმა იერიში მიიტანეს ექვსკაციან ბანაკზე და ქვა-ქვაზე არ დატოვეს. სომოვი მოსკოვში ჩამოიყვანეს. გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს.

P.S. პავლე გოცირიძე, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, „წითელი ჯვრის“ მეშვეობით, 1989 წელს იპოვეს პაკისტანში. იქ ის, 35 საბჭოთა მეომართან ერთად, ტყვეობაში იმყოფეოდა და დეკემბერში ყველანი სამშობლოში დააბრუნეს.

ნიკა ლაშაური

როგორ იძია მამაკაცმა შური ცოლზე, რომელიც მის მეგობართან ერთად გაიპარა

ახალგაზრდა მამაკაცი – წარსულში ნასამართლევი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რომელსაც პატარა ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა, ცოლისა და მეგობრის მიმართ მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის დააკავეს. მან ჯერ ცოლი მოკლა, შემდეგ კი მძიმე დაზიანებები მიაყენა წლების მეგობარს, რომელთან ერთადაც მისი ცოლი რამდენიმე დღე იყო დაკარგული.

სასტიკ მკვლელობას, რომელიც 36 წლის ჯონი ჯ-შვილმა ჩაიდინა, წინ უძღოდა მისი მეუღლის, 40 წლის თაკო თ-იას სამდღიანი გაუჩინარება. ქალი ერთ ჩვეულებრივ დღეს ისე უგზოუკვლოდ გაუჩინარდა, რომ მის ძებნაში სამართალდამცველებიც ჩაერთვნენ. ორი შვილის დედა, ყველას უბედური შემთხვევის მსხვერპლი ეგონა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მეგობართან დატოვებული წერილი აღმოაჩინეს, რომლის მიხედვითაც ქალი თავისი ნებით იყო სახლიდან წასული, მისი ძებნა მეგობრის დახმარებით უკვე სხვა ვერსიით გაგრძელდა. სამდღიანი ძიების შემდეგ, თაკო თ-ია, სახლში დაბრუნდა – ოჯახის წევრებისთვის მეგობართან დატოვებული წერილის შინაარსი და ქალის გაუჩინარების რეალური მიზეზი, მისივე თხოვნით, არ გახმაურდა. ქალმა თავი ქმართან და ოჯახთან შეთხზული ვერსიით გაიმართლა – დეპრესიულ მდგომარეობაში ვიყავი და მარტო ყოფნა მინდოდაო. თუმცა, ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში, ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა ქალის გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი – ის გათხოვების მიზნით, ქმრის მეგობართან, ვადო მ-შვილთან ერთად იყო გაპარული.

საქმის მასალების მიხედვით, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ თაკო თ-იას ფარული რომანი ჰქონდა ვადო მ-შვლთან, რომელიც მისი ქმრის მეგობარი იყო. ამონაწერი მოწმის, ჯონი ჯ-შვილის დის, მარინა ჯ-შვილის ჩვენებიდან: „როდესაც ჩემი ძმა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ციხეში მოხვდა, თაკო რამდენიმე თვე თავის მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად. ჯონიმ ციხიდან შემოუთვალა, თუ ჩემი ცოლი ხარ, ჩემს ოჯახში უნდა დარჩეო. ვხვდებოდი, რომ ჯონისა და თაკოს ურთიერთობა არეული ჰქონდათ, უფრო მეტიც, რამდენჯერმე ყური მოვკარი, რომ მას ზედმეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩემი ძმის მეგობართან, ვადო მ-შვილთან. ამაზე ყურადღება არ გამიმახვილებია. ჯონიმ ექვის წლის ნაცვლად, ორწლიანი პატიმრობა მოიხადა. ციხიდან გათავისუფლებულს ხასიათი გაუფუჭდა, თუმცა ეს ბუნებრივი იყო და ვფიქრობდით, გაუვლიდა. თაკოსა და ჯონის ურთიერთობა უფრო და უფრო არ მომწონდა, ბოლო პერიოდში გამუდმებით ჩხუბობდნენ. იმ დღეებში, თაკო რომ სახლიდან გაუჩინარდა, მეც დავეჭვდი, თუ სად შეიძლებოდა, გამქრალიყო. ჩემი მეგობრისგან გავიგე, რომ ვადოსთან ერთად იყო წასული, რომელიც თაკოს ცოლად მოყვანას დაჰპირდა. ისე, რომ ჩემს ძმას ეს არ გაეგო, ვადოს დავუკავშირდი და ვუთხარი: თაკო სახლში დააბრუნე, თორემ ამას დიდი ტრაგედია მოჰყვება-მეთქი. ვადომ ჩემთან თავიც კი იმართლა, შენი თაკო კი არ მომიტაცია, თვითონ გამომეკიდაო. ასე იყო ეს ამბავი, თაკო სახლში დაბრუნდა, მაგრამ მე ჯონისთვის არაფერი მითქვავს. თაკო გავაფრთხილე: ახლა ჩემს ძმას ვუფრთხილდები, თუმცა მოვა დრო და ამ ამბავს არ გაპატიებ-მეთქი. მან ჩემთან აღიარა, რომ ქმრის მეგობარს გაჰყვა ცოლად. თუმცა, იმის გამო, რომ ამას დიდი აურზაური მოჰყვებოდა, ცოტა ხნით უკან დაბრუნდა. ჩვენი საუბრიდან,

ბრალდებული ნანობდა, რომ ცოლი შვილების თვალწინ მოკლა

ალბათ, სამი დღე იქნებოდა გასული, გვიან ღამით ცოლ-ქმრის საძინებლიდან ყვირილის და მტვრევის ხმა გავიგონე. ოთახში შევვარდი. ჯონი თაკოს ფიზიკურად უსწორდებოდა და უყვიროდა: მითხარი, სად იყავი ეს სამი დღეო. თაკო ქმარს ფეხებში ჩავარდნოდა და პატიებას სთხოვდა. მივხვდი, ეს ამბავი ასე არ დასრულდებოდა. ჯონი თუ გაიგებდა, რა მოხდა სინამდვილეში, არც ცოლს და არც თავის მეგობარს ამას არ აპატიებდა."

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობის დღეს ჯონი ჯ-შვილისთვის ცნობილი გახდა, თუ სად იმყოფებოდა მისი მეუღლე. ჯონი ჯ-შვილი სახლში გვიან დაბრუნდა. ოჯახის წევრების ჩვენების მიხედვით, ის პირდაპირ მეორე სართულზე ავიდა, სადაც მის მეუღლესა და ბავშვებს უკვე ეძინათ. ამონაწერი მოწმის, მარინა ჯ-შვილის ჩვენებიდან: „როდესაც ხმაურსა და ბავშვების კივილზე, მე და ჩემი და მეორე სართულზე ავედით, ყველაფერი უკვე დასრულებული იყო. ჯონი სისხლიან თაკოს საწოლში ადგა თავზე. ყველაფერი ირგვლივ სისხლით იყო მოსვრილი. ჯონი ისეთ აფექტურ მდგომარეობაში იყო, ვერავის გვხედავდა და ისევ ყვიროდა: ასე რატომ გადამიარე, ასე როგორ გამწირეო. მე და ჩემმა დამ ძლივს წავართვით ხელიდან სისხლიანი დანა. უცებ თითქოს გონს მოეგო და მაშინვე ქვედა სართულისკენ დაეშვა. მე შემეშინდა და გავეკიდე. ჭიშკრამდე მივდიე, მაგრამ ვერ დავეწიე – მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. დაახლოებით ერთ საათში, მეზობლისგან გავიგე, ჯონიმ ვადო სახეში დაჭრაო. პოლიცია მთელი ღამე ეძებდა ჯონის და მეორე დღეს ჩვენი ნათესავის სახლში მიაგნეს. ჯონიმ თქვა, რომ დამალვას არ აპირებდა. თვითონ დარეკა თავის თანაკლასელთან, რომელიც პოლიციაში მუშაობს და უთხრა თავისი ადგილსამყოფელი. არ მინდა, ჩემმა შვილებმა ნახონ, როგორ დამაკავებენ და ამიტომ გავერიდე ჩემს სახლსო, – უთქვამს თავისი კლასელისთვის". საქმის მასალებით, მას შემდეგ, რაც ჯონი ჯ-შვილმა ცოლს ღამით ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, მან შემთხვევის ადგილი დატოვა და წავიდა რესტორანში, სადაც იცოდა, რომ მისი მეგობარი ქეიფობდა. თვითმხილველთა განცხადებით, ჯონი ჯ-შვილი რესტორანში შეშლილი სახით შევიდა. ერთ-ერთი მამაკაცი გამოძიებასთან აცხადებდა, რომ კარში ჯონის შეჩერება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. მამაკაცმა მოღალატე მეგობარს დანა ორჯერ დაარტყა თვალისა და ყბის არეში. მაგრამ, მიყენებული მძიმე დაზიანებების მიუხედავად, ვადო მ-შვილი სიკვდილს გადაურჩა. ამონაწერი თვითმხილველის ჩვენებიდან, რომელიც რესტორანში ხსენებული შურისძიებისა და სასტიკი დანაშაულის მომსწრე გახდა: „ჯონი იმ კუპეში შევარდა, სადაც ვადო და მისი ორი მეგობარი ქეიფობდნენ. ვადო თურმე კართან ახლოს იჯდა. სანამ მისი მეგობრები გონზე მოვიდნენ, ჯონიმ დანა ორჯერ მოუქნია და თან, ყვიროდა – ისეთი „შრამი" უნდა დაგადო, ვერასდროს მოიცილიოო. რესტორნის დარაჯმა, მე და ვადოს მეგობრებმა ძლივს მოვახერხეთ ჯონის გაჩერება. სისხლმაც კი ვერ მოიყვანა გონზე, ისეთ აფექტურ მდგომარეობაში იყო".

ბრალდებულმა ჯონი ჯ-შვილმა, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე ცოლის მკვლელობისა და მეგობრის მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა, ჩადენილი დანაშაული აღიარა. ბრალდებული ნანობდა, რომ ცოლი შვილების თვალწინ მოკლა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო, ბრალდებულის ახლობლები აცხადებდნენ, რომ მამაკაცმა დანაშაული ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. სასამართლომ ეს გაიზიარა შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ მას ჩადენილი დანაშაულისთვის ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ეკა ბარაბაძე

ისწავლეთ ხატვა ზღვიურთან ერთად

1. დიუნჩით დაიწყეთ მეტფიცმის გმირის ხატვა

2. მიახატეთ თავი და თვალები

3. შემდეგ – ყბიღები

4. პირიც აქ დაგავიწყდეთ

5. „დაახვიეთ" ქუდი და მიახატეთ ჯისური

6. შემდეგ – ყურები

7. დაასრულეთ ნახატი

ბაბულ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თბილისი №36
ტელ.: 272 9191

იპოვეთ 10 განსხვავება

რომელი ელექტრონივთია ჩართული



რამდენი სამკუთხედი, ოთხკუთხედი და ოვალია ნახატზე

ლომი „3D-ში"



ძალიან ლამაზი აპლიკაცია გამოვა. დახედეთ სურათებს. დაგჭირდებათ ცოტა სქელი ღრუბელი „3D" ეფექტის მისაღწევად.

აპლიკაციის შესაქმნელად საჭიროა ფერადი მუშამბა, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი და წებო.

დეტალები გამოჭერით ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. მერე კი ააწყვეთ დეკორაცია – ტორსსა და ფეხებს შორის ღრუბელი ჩააწებეთ, რომ აპლიკაციამ ვიზუალურად წინ წამოიწიოს. თუ ჩარჩოსაც გაუკეთებთ, ძალიან ლამაზი სურათი გამოვა.

რიცხვრებუსი

„2 „3, 1,,, „7





ბალახისმჭამელი დინოზავრების სახეობა
ქართული ხალხური ზღაპარი
„... და ქლოა“
გერმანელი სამრეწველო მაგნატი
მუსულმანთა წმინდა თვე
„ანტიკრედიტი“
მწვავე გადამდები დაავადება
თომას მაინ ...
ისლანდიის დედაქალაქი
ქვემეხის დაზგა
რუსი მფრინავი
ქალაქი იაპონიაში
საზღვაო ბრძოლის ხერხი
რკინიგზის მუშა
თოვლში სასრიალო საზიდარი
კომში
ნიუ-იორკის „შავი კვარტალი“
ბრაზილიელი ფეხბურთელი
იგივეა, რაც თვალსაწიერი
ეკლიანი ბუჩქი, ნაყოფი იჭმება
კამერუნელი ფეხბურთელი
„... და ფრედი“
ფრანგი მომღერალი ქალი
მსჯელობის, განსჯის პროდუქტი
ტომი და ...
„მთების ფიქრი“
მძიმე შრომა, ანუ ...
იუპიტერის მეუღლე
მარკ ტვენის ტომის გვარი
„ლორის“ ჭია
საზეიმო პროცესია
ზოგიერთი ცხოველის ფეხის დაბოლოება
რთული სიტყვის თავსარი, ნიშნავს უკიდურესს
ქართული მოკლემეტრაჟიანი კომედია
საოლქო ცენტრი რუსეთში
ვენერიული დაავადება
ფრანგი საესტრადო მომღერალი ქალი
აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი
საჯარისო ქვეგანაყოფი
„სამხალე“ მცენარე
კაპიტან ნემოს გემი
კურორტი სოჭთან
უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე
„სირცხვილის ძაფის“ ადგილი
ჩამოხრჩობილი რუსი ხალხოსანი
პანკისელი ვაინახი
ველი ივრის ზეგანზე
ძლიერი სიცივე, ანუ ...
მუცლის აპკის ანთება
ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი
პაკისტანის სახელმწიფოენა
მხედველობის გაორება
უდიდესი საჯარო წარმატება
ბოჭკოვანი მცენარე

იგივეა, რაც ტარიფი
ოსური ცეკვა
ხალხის შეკრება (ძვ.)
დეტექტივების ინგლისელი მწერალი ქალი
„შაქრიანი“ დაავადება

						2		2																			
					2	2	6	3	2			4	2	2	2												
			2	2	23	25	26	27	31	34	33	27	26	25	23	3	4	4	5	5	6	6	6	6	6	6	6
		2																									
		4																									
2	2	9																									
2	3	12																									
		21																									
		22																									
	8	11																									
2	3	7																									
	2	5																									
	1	7																									
		9																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		11																									
		9																									

სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

ადვილი ამოცანა

2		1	9	4		8		6
4		8	2	3	1		7	
	5			7		2	4	1
8		6	1		3		2	
	1	4			2		9	5
7	2	5	6	9		3	1	
	8			1		7	6	3
6	3	9	5	2	7	1		4
1			3			9		2

რთული ამოცანა

6		1		2		7		5
7		3			4		9	
	5		3			6	4	2
	3		6		7			9
	7			8		4		
4			1				6	
	6		4		8		2	
2	1							
				1	6		7	4

ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ნიჭთა შორის, რითაც ადამიანი უფალმა დააჯილდოვა და რაც, როგორც გონიერ არსებას, ცხოველთა სამყაროსგან ასხვავებს, შებრალება, თანადგომა და ქველმოქმედებაა. ასეთი ადამიანები ერიდებიან ზედმეტად თავის წარმოჩენას, იშვიათად ჩნდებიან საჯაროდ. ჩვენი შემთხვევაც ასეთია: 15 წლის ნიჭიერ ახალგაზრდას მიხეილ სხვიტარიძეს, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს. მას უანგაროდ გვერდში დაუდგნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ ხელმძღვანელი გურამ ადამაშვილი, ჟურნალისტი თამთა ღლონტი და ქუჩის მუსიკოსები. მათგან ერთ-ერთთან, კოსტა კარანაძესთან, საინტერესოდ მივიჩნიეთ გასაუბრება.

რა უმძიმესი ტრავმა გადაიტანა ქუჩის მუსიკოსმა კოსტა კარანაძემ და როგორ გახდა ის ქველმოქმედი

კოსტა კარანაძე: ვფიქრობ, ჩვენი მსმენელთა რიცხვი გაცილებით მრავალფეროვანი და საინტერესოა, ვიდრე სხვა, ნებისმიერი, შემდგარი მუსიკოსის. იქ, სადაც ჩვენ ვმღერით, ყოველთვის ხალხმრავლობაა. ჩვენი მუსიკა არა მხოლოდ ბავშვებს და მოზარდებს მოსწონთ, არამედ ყველა სეგმენტის ადამიანს. ვმღერით და ჩვენს თავზე დიდი წარმოდგენა არ გვაქვს. ვფიქრობ, ახალგაზრდები ჯობია, მუსიკით დაკავდნენ, ვიდრე სიგარეტის მონევას, ალკოჰოლს ან ნარკოტიკს მიეძალონ.

– მოგვიყევი, როდის დაიწყე სიმღერა?

– ბავშვობიდან ვმღერი და ვფიქრობ, ეს გენეტიკურად გადმომეცა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო დედა, რომელიც ხიდია ჩემსა და მუსიკალურ სამყაროს შორის. თუმცა, ხანდახან ვსაყვედურობ, როცა ჩემით მიწევს ფორტეპიანოსთან ურთიერთობა. შეეძლო, მეტი ესწავლებინა, თუმცა ყველაფერი წინაა. ბებია დისციპლინის საკითხებს კურირებს – განსაკუთრებით დილით დროზე გაღვიძებას, დროზე დაძინებას და ასე შემდეგ *(იცინის)*. თავიდან ჩემმა ძმამ დაიწყო გიტარაზე დაკვრა და მეც დავინტერესდი. საერთოდ, სიმებიანი საკრავი მერჩივნა კლავიშებიანს და შედარებით, მარტივად ავითვისე. გიტარით ყოველდღე ახალ-ახალ სიმღერას ვმღეროდი, იქამდე, სანამ მეზობელი არ დამიკაკუნებდა, შუაღამეა დაგვაძინეო *(იცინის)*. ამ ბოლო დროს გავაანალიზე, რომ შეიძლებოდა, მუსიკა შემოსავლის წყაროდაც მექცია. ახლა კი მის გარეშე, ერთ დღესაც ვერ ვძლებ.

– რაც შეეხება ქუჩის მუსიკოსობას. როდის გადაწყვიტე ქუჩაში დაგეწყო სიმღერა?

– სრულიად შემთხვევით, ჩემმა მეგობარმა, თემო ანდრიაძემ შემომთავაზა, რომ მასთან ერთად მემღერა. ერთხელ მეც წავყევი. ვიფიქრე, ამით არაფერი დაშავდებოდა, თან დროც მქონდა და დაახლოებით, ნახევარი საათი ვიმღერე. ხალხის დადებითმა ემოციამ და თბილმა სიტყვებმა სტიმული მომცა, რომ კიდევ ერთხელ მემღერა მათთვის. როცა სახლში ვბრუნდებოდი, ვგრძნობდი, როგორ მაკლდა და მენატრებოდა იმ ადამიანების რეაქცია, რომელთაც ჩემი მოსმენა ძალიან სიამოვნებდათ.

– ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?

– სხვადასხვა რეაქცია ჰქონდათ. მაგალითად, დედამ და მამამ იციან, რომ „ბითლზებიდან“ დაწყებული, თითქმის ყველა ცნობილი ჯგუფითა და მომღერლით დამთავრებული, ყველას მუსიკალური პირველი ორი ნაბიჯი მიწისქვეშა გადასასვლელში (ანდერგრაუნდში), ან ქუჩაში აქვთ გადადგმული. თუმცა, რა თქმა უნდა, ბებია და ბაბუა დიდად არ მოხიბლულან ამ ფაქტით *(იცინის)*.

– რეპერტუარს რის მიხედვით არჩევ?

– ვმღერი თითქმის ყველა ჟანრს საკუთარი ინტერპრეტაციით. თავიდან დავიწყე ქართული სიმღერით, მინდოდა, ბებიას გული გამეხარებინა. ძალიან მიყვარს როკი. „სლეშის“ გამო დავიწყე გიტარაზე დაკვრა და „პლანტის“ გამო – სიმღერა. რაც შეეხება ჩემს რეპერტუარს, ანდერგრაუნდში დაკვრის დროს, ძალიან მრავალფეროვანია. ყველა ასაკის მსმენელზეა მორგებული. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა მოხუცებულმა ქალბატონმა გამოიარა, მამუკა ჩარკვიანის სიმღერა „სულ ზევით ზევით“ ვუმღერე და თვალზე ცრემლიც კი მოადგა. ძირითადად, უცხოურ სიმღერებს ვმღერი, რადგან მსმენელთა უმრავლესობა თინეიჯერია და რა თქმა უნდა, მეც ძალიან მიყვარს.

– ალბათ, უკვე თაყვანისმცემლების დიდი არმიაც გყავს.

– ამ ბოლო დროს ჩემი თაყვანისმცემლების რიცხვი მართლაც გაიზარდა, რაც ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს. თქვენ აშკარად, შეყვარებული მყავს თუ არა, ის გაინტერესებთ, არა? *(იცინის)*.

– კი, ნამდვილად საინტერესო იქნება ამ-

ის გაგება შენი თაყვანისმცემელი გოგონებისთვის.

– ძალიან მიყვარს სიყვარული *(იცინის)*, თუმცა ამ ეტაპზე ჩემნაირი „გიჟი“ ჯერ ვერ ვიპოვე *(იცინის)*.

– რომელიმე ცნობილ მომღერალს თუ შეუფასებია შენი სიმღერა და ხომ არ მიგიღია რაიმე სერიოზული შემოთავაზება?

– კი, ყოფილა შემთხვევები, როცა კომპლიმენტები უთქვამს თემურ ყვითელაშვილს, თიკა ფაცაციას, ზაზა ხუციშვილს, მაგდა ვასაძეს და სხვა არაერთ ცნობილ მუსიკოსს. თუმცა, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო სალომე ქათამაძესთან ერთად, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში სიმღერა. 28 მაისს საქველმოქმედო კონცერტზე, სადაც მე ვმღეროდი, ზაზა ხუციშვილს ძალიან მოეწონა ჩემი ნამღერი და მირჩია, რომელიმე მუსიკალურ კონკურსში მიმეღო მონაწილეობა. კიდევ იყო არაერთი შემოთავაზება. რაც მთავარია, ნებისმიერი ასეთი მომენტი მე უდიდეს სტიმულს მაძლევს, რომ გავაგრძელო და განვავითარო ჩემი მუსიკალური კარიერა. რაც შეეხება შემოთავაზებებს, მე ეს ტელევიზიაშიც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: მქონდა შემოთავაზება ბარებიდან, დაახლოებით ოთხი ბარიდან და ასევე, რამდენიმე უცხოელმა მიმიწვია კორპორატიულ საღამოზე, რათა ეს წვეულება მუსიკალურად გამეფორმებინა. არც ერთ შემოთავაზებას არ დავთანხმდი, რადგან მიმაჩნდა, რომ საკმარისად არ ვიყავი მომზადებული. ახლა კი ყოველდღე ვმუშაობ ჩემს თავზე, რათა მზად დავხვდე ასეთ გამოწვევებს.

– სიმღერის გარდა, კიდევ რით ხარ გატაცებული?

– ძალიან მიყვარს ფეხბურთი და კალათბურთი. ვთამაშობ ჭადრაკსა და ჩოგბურთს, მაგრამ ჩემი დროის უდიდეს ნაწილს შიდა ტურნირებისთვის მზადებას ვუთმობ, მინდა გავხდე მსახიობი და ცოტა დრო დარჩა გამოცდებამდე. მე კი ჯერ არაფერში მოვმზადებულვარ *(იცინის)*. ნეტა, რა მაცინებს... თუ თეატრალურში ვერ მოვხვდი, სხვაგან სწავლას მირჩევნია, ჯარში წავიდე *(იცინის)*.

– შენი სამომავლო გეგმების შესახებ მოგვიყევი.

– უპირველესად, ვაპირებ, გამოცდების ჩაბარებას. შემდეგ მინდა, წავიდე ბათუმში, ქობულეთსა და თურქეთში კომბით და მიკროფონით. გარკვეული თანხა უნდა მოვაგროვო, რომ ვიყიდო „საუნდ-კარტა“, კონდენსატორული მიკროფონი და „მიქშერი“. ეს ყველაფერი მჭირდება იმისთვის, რომ ჩემი სიმღერა მეტ ხალხს მოვასმენინო და „ქავერები“ „იუთუბზე“ დავდო. ასევე, მინდა, შევქმნა ბენდი და დავწერო ახალი სიმღერები. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გვერდში მიდგას

გურამ ადამაშვილი: ორგანიზაცია „პოზიცია“ ექვსი თვეა, რაც დაარსდა. მას აქვს სხვადასხვა მიზანი, მაგრამ ჩვენი მიმართულება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. სურვილი გვქონდა, გაგვეკეთებინა საქველმოქმედო საღამო და მას აუცილებლად ექნება მრავალჯერადი სახე. საღამოები ყოველი თვის ბოლოს ჩატარდება ქუჩის მუსიკოსების მონაწილეობით. ვფიქრობ, ამით ორი კარგი საქმე გაკეთდება. ერთია – ქუჩის მუსიკოსების და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია, მეორე – ქველმოქმედება.

თამთა ღლონტი: „პოზიციასთან“ ვთანამშრომლობ საქველმოქმედო პროექტების თვალსაზრისით. გაგვიჩნდა იდეა, გაგვეკეთებინა პროექტი – „ქუჩის მუსიკოსები სხვების დასახმარებლად“. ერთი მხრივ, გულწრფელად გვინდა, დავეხმაროთ ქუჩის მუსიკოსებს რეალიზებაში, რადგან ვფიქრობ, ქართულ შოუ-ბიზნესს სჭირდება ახალი, ნიჭიერი სახეები. მეორე მხრივ, რაც ყველაზე მთავარია და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ჩვენთვის, ეს არის ამ პროექტის საქველმოქმედო მიმართულება.

დაბოლოს, შემთხვევითი არაა, რომ კოსტა უსიტყვოდ დასთანხმდა გურამისა და თამთას ქველმოქმედებას, რადგან თვითონ, პირადად გადაიტანა უმძიმესი ტრავმა, ჯერ სიკვდილს ჩახედა თვალებში, შემდეგ სიცოცხლისთვის იბრძოლა და რეანიმაციის განყოფილებაში, მხოლოდ მეშვიდე დღეს შეიტყო, რომ ღვთის, ექიმებისა და ნათესავების თანადგომის წყალობით, გადარჩა. მაშინ ის ცხრა წლის იყო.

ხატია კარანაძე

იშვიათად მინახავს ისეთი მიზანდასახული, შრომისმოყვარე, მოსიყვარულე, ლამაზი და იმავდროულად, დამოუკიდებელი ადამიანი, როგორიც 23 წლის სოფო ციხკარიშვილია. ის ერთადერთი მოდელი-მაშველი გოგონაა, რომელიც ცხოველების უფლებებს იცავს და თავის საქმეს, მიუხედავად დიდი რისკისა, პროფესიონალურად ასრულებს.

როგორ გახდა ერთადერთი მაშველი-დამჭერი მოდელი სოფო ციხკარიშვილი, სად იპოვა მან სიმშვიდე და რა ასწავლა ცხოვრებაში იმედგაცრუებებმა

სოფო ციხკარიშვილი: ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ცხოველები. ადრე, კრასნოდარში ვცხოვრობდით მთელი ოჯახი და მამამ მომიყვანა სიამის კატა და დოგი. საქართველოში რომ წამოვედით, ისინი იქ დავტოვეთ. გავაჩუქეთ და ახლაც მათზე ვდარდობ. უფროსი და-ძმა მყავს და არ უყვარდათ ცხოველები. იმდენი გავაკეთე, დღეს, ვერც კი წარმოუდგენიათ მათ გარეშე ცხოვრება *(იცინის)*. ოთხი დედმამიშვილი ვართ – ორი და მყავს და ერთი ძმა. ყველაზე პატარა მე ვარ. ბავშვობიდან, ძალიან მიზანდასახული ვიყავი, „რქებით ვაწვებოდი" ცხოვრებას. მორიდებული არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, სხვის ხარჯზე, არასდროს მიფიქრია, ჩემი ცხოვრების აწყობა. მიყვარს და მომწონს დამოუკიდებლობა. 16 წლიდან ვმუშაობ და ჩემი შემოსავალი მაქვს. მაქსიმალურად ვცდილობ, საკუთარი თავის რეალიზება მოვახდინო და ჯერჯერობით, მგონი, გამომდის. არ დამავიწყდება, ჩემი პირველი სამუშაო იყო ქუჩაში მობილურის ნომრების გაყიდვა. პირველი ხელფასი – 60 ლარი რომ ავიღე, სიხარულით ჭკუაზე არ ვიყავი *(იცინის)*. ის განცდა, რომ ჩემი ფული მაქვს, ძალიან მაგარია. 18 წლისამ, პიცერიაში დავიწყე მუშაობა მიმტანად. ერთ მშვენიერ დღეს, შეფ-მზარეული წავიდა და მისი მოვალეობაც ჩემს თავზე ავიღე. თანაც – შეკვეთებს ვიღებდი, თან მიმტანი ვიყავი და თან მენეჯერი. ასე რომ, თუ მოინდომე, ყველაფერს მოახერხებ და მოასწრებ. მიყვარს, როცა ვიხარჯები, დამოუკიდებლად ვასრულებ სამუშაოს და ხელფასს ჩემს ჭკუაზე ვხარჯავ. ძალიან აქტიური ვარ, ერთ ადგილას ვერ ვჩერდები.

– რა პროფესიის ხარ?

– პროფესიული განათლება მაქვს – საბანკო საქმის სპეციალისტი. წელს გავდივარ ეროვნულ გამოცდებზე. ბავშვობიდან მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ეს ოცნება ჯერ ვერ ავიხდინე. ახლა ფსიქოლოგიურზე ვაბარებ. სხვათა შორის, კარგად ვუკრავ. მუსიკალური შვიდწლედიც მაქვს დამთავრებული და მინდოდა, კონსერვატორიის სტუდენტი გავმხდარიყავი, მაგრამ ნოტების ცნობა დღემდე მიჭირს *(იცინის)*.

– სოფო, მოდელობაც ხომ სცადე? რატომ დაანებე თავი ამ საქმეს?

– 19 წლის რომ ვიყავი, დედამ დაიჟინა, გარეგნობა გიწყობს ხელს და იქნებ მოდელობა გეცადაო. ამ საქმეში ჩემი დიდი ინტერესი არ იყო. მოხდა ისე, რომ სატელევიზიო პროექტ „ტოპ-გოგოში" მოვხვდი. სამ თვეში გამომიშვეს და მიმაჩნია, რომ დაუმსახურებლად. კი მენატრება პოდიუმზე დგომა, მაგრამ მივხვდი, მოდელობა ჩემი საქმე არ არის. მიფიქრია კიდეც უცხოეთში მოდელობაზე, მაგრამ ახლა ჩემი საყვარელი საქმე ვიპოვე, ვმუშაობ და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

– როგორ მოხვდი მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს სამაშველო სამსახურში? როგორც ვიცი, იქ ერთადერთი მაშველი გოგონა ხარ.

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ვმუშაობდი და შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ მერიის სამსახურში გამოცხადებული იყო ვაკანსია – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში, დამჭერი-მაშველის სპეციალისტზე. სივი შევავსე და გავაგზავნე. იმედი არ მქონდა, მაგრამ დამირეკეს და დადებითი პასუხი მითხრეს. რომ მივედი, სულ ბიჭები დამხვდნენ. მითხრეს კიდეც, მხოლოდ შენ ხარ გოგო და ამაზე რას იტყვიო. რასაკვირველია, ამაზე გამეღიმა. ბავშვობიდან იმას ვამტკიცებ, რომ ქალი ძლიერია და იგივე საქმე, რასაც მამაკაცი აკეთებს, ქალსაც ძალიან კარგად გამოსდის-მეთქი. მოკლედ, ორი კვირა საცდელი ვადით ამიყვანეს და თავი გავართვი სამუშაოს. ჩემს მორიგეობაში, ორი არაჩვეულებრივი ბიჭია, ხელის გულზე მატარებენ.

ცხენს შემოვახტი და გავაჭენე, თავი ვერ შევიკავე, გადმოვვარდი და მათრია. კიდევ კარგი, ცხენი თვითონ გაჩერდა. მეც მშვიდად წამოვდექი, პანიკის გარეშე, მტვერი ჩამოვიბერტყე და ჩვენებაზე გამოვედი

– ალბათ, ძალიან რთულია, ოპერატიულობასთან ერთად, საკუთარი სიცოცხლის გარისკვა ამის ფასად, რომ ცხოველი გადაარჩინო. არ მეთანხმები?

– ძალიან რთულია, მაგრამ, როცა ცხოველები გიყვარს, გასული ხარ მის დასახმარებლად, არ ფიქრობ საკუთარ თავზე. იმაზე ხარ ორიენტირებული, გაჭირვებაში მყოფის სიცოცხლე გადაარჩინო. არ დამავიწყდება, შეტყობინება შემოვიდა, რომ მეთექვსმეტე და მეთხუთმეტე სართულების ჩაშენებას შორის, ფისო იყო ჩავარდნილი. რომ მივედით, განწირულად კნაოდა, გული დამეწყვა. ის ფისო ამოვიყვანეთ და გადავარჩინეთ. იმ დღეს უბედნიერესი ვიყავი. ეს ჩემი პირველი სამაშველო ოპერაცია გახლდათ. ამას წინათ კი, საჰაერო მილში გაჭედილი ფისო გადავარჩინეთ. სასაცილო ის იყო, რომ საკმაოდ წვრილ შესასვლელში მხოლოდ მე შევეტიე *(იცინის)*. ის ფისო კი, ისე მომეწონა, არ დავთმე და სახლში წამოვიყვანე. ჟანა დავარქვი. ძაღლიც მყავს, რომელსაც ალბი ერქვა, მაგრამ ბებიას წავუყვანე და ლუსი დაარქვა. სულ ვამბობ, ნება რომ მომცენ, რაც კი თავშესაფარში ცხოველებია, ყველას სახლში წამოვიყვანდი-მეთქი. დამიჯერეთ, არ დამენანება საკუთარი სიცოცხლის გარისკვა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ცხოველის გადასარჩენად. ბევრი ძაღლიც გადაგვირჩენია და ჩვენს თავშესაფარში წაგვიყვანია. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ზარი შემოდის სამაშველო სამსახურში და ჩვენც მზად ვართ ოპერატიულად მოვახდინოთ მათზე რეაგირება. ზოგადად, მოსახლეობას ძალიან ცუდი დამოკიდებულება აქვს ცხოველებისადმი და ეს მწყინს. ჰგონიათ, რადგან ძაღლი ქუჩაშია, ის აუცილებლად აგრესიულია და მათ რამეს დაუშავებს. პანიკაში ჩავარდნილები რეკავენ, გვიშველეთო. არადა, თუ მაწანწალა ძაღლს ადამიანურად, ჰუმანურად მიუდგები, ის საფრთხეს არ შეგიქმნის. ბევრ ხალხთან მიწევს ურთიერთობა და ზოგადად, ცხოველების მიმართ კი არა, მეზობელს, მეზობლის მიმართაც ცუდი დამოკიდებულება აქვს. რაც ამ სამსახურში დავიწყე მუშაობა, ახლა უფრო მივხვდი, რომ ცხოველები ადამიანებზე მეტად მიყვარს. არავის გაკვირვებია ჩემი მაშველობა, რადგან იციან, ეს ის საქმეა, სადაც სიმშვიდე ვიპოვე.

– წარმოშობით თუში ხარ და ვფიქრობ, ცხენზე ჯდომაც გეცოდინება. ასეა?

– დიახ, ცხენებიც ძალიან მიყვარს და აღარც კი მახსოვს, როდის ვისწავლე ცხენით ჯირითი. ეს გენში მაქვს. პირველად ცხენზე რომ დავჯექი, 11 წლის ვიყავი. ერთხელ, ზაფხულში ჩვენება ტარდებოდა თუშეთში. მეც გამოვდიოდი. დავინახე ცხენი, ვიფიქრე, ვიჯირითებ-მეთქი, შემოვახტი და გავაჭენე. თავი ვერ შევიკავე, გადმოვვარდი, მაგრამ ხელი არ გავუშვი და მათრია. კიდევ კარგი, ცხენი თვითონ გაჩერდა. მეც მშვიდად წამოვდექი, პანიკის გარეშე, მტვერი ჩამოვიბერტყე და ჩვენებაზე გამოვედი *(იცინის)*. ალბათ, თუშური წარმოშობის ბრალია, ჩემი ასეთი დამოუკიდებლობა, თავისუფალი ხასიათი, ბუნებისა და ცხოველების სიყვარული. სხვათა შორის, თუშები დინჯი ხალხია, მაგრამ ეს თვისება ჩემში არ ზის.

– პირად ცხოვრებაში რა ხდება?

– პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება. ჯერ სიყვარულის დრო არ მაქვს. თუმცა, ადამიანი რომელიც მეყვარება, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. აუცილებლად უნდა უყვარდეს ცხოველები, იყოს დამოუკიდებელი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე. „მამიკოს ბიჭები" არასდროს მომეწონება. ბევრჯერ მქონია იმედგაცრუება ცხოვრებაში და ეს იყო მოტივაცია, რომ მიზნად დამესახა, ჩემი ძალებით ბევრი რამისთვის მიმეღწია. დამიჯერეთ, როცა ფიზიკურად კარგი ხარ, უფრო მეტი წინაღობა გხვდება. ზოგადად, თუ პირად ცხოვრებას გამოვრიცხავთ, იღბლიანი ვარ. ბევრი მეგობარი მყავს, სამსახურში მაფასებენ, ნელ-ნელა, ჩემი შრომით წინ მივიწევ და ვფიქრობ, ყველაფერი წინ მაქვს. ერთბაშად, არ მინდა ცხოვრება ავიწყო. მირჩევნია, ბარიერები გადავლახო, სიმშვიდე შევინარჩუნო და ყველაფერი გამომივა.

ნონა დათეშიძე

რატომ იბრძოდნენ ეგვიპტელებთან ომში ქართველები წინა აზიაზე და როგორ დაანგრიეს ძაღლური ყეფით ციხე-ქალაქი

1259 წელს, ჩინგიზ ყაენის ვაჟის, ტოლუის შვილმა, ილხანმა ჰულაგუმ (ქართული წყაროთი – ულო) ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა და საქართველოს მეფეს, დავით მეშვიდე ულუს მოუწოდა თავისი ჯარით.

ჰულაგუს ჯარში იყვნენ ჩინგიზ ყაენის შვილის, ჯუჩის ძის, ოქროს ურდოს ახალი ბატონის, ბერქას მეომრებიც. ამ დახმარების სანაცვლოდ, ჰულაგუს ბერქასთვის ალაფის მესამედი უნდა გადაეგზავნა. ბერქა ყაენი დაინტრესებული იყო, ჰულაგუ რაც შეიძლება მოშორებით ყოფილიყო მისი ოქროს ურდოსგან. დიდ საყაენოში მწიფდებოდა შიდა მონღოლური ურთიერთდაპირისპირება. ოქროს ურდო აღმოსავლეთ კავკასიას, შირვანს, ჩრდილო და სამხრეთ ადარბადაგანს თავის საკუთრებად მიიჩნევდა და თვალი ეჭირა მცირე და წინა აზიაზე.

აღმოსავლეთ კავკასია, ირანი, ერაყი, თურქმენეთისა და ავღანეთის უდიდესი ნაწილები, ასევე, ტაჯიკეთის, პაკისტანის ნაწილი, ჰულაგუს ჰქონდა დაკავებული. მისი ვასალები იყვნენ: საქართველოს სამეფო, ტრაპიზონის საკეისრო და რუმის სასულთნო. არცთუ შორს იყო ჰულაგუს ულუსის დედაქალაქი მარაღაც, რომელიც ურმიის ტბასთან მდებარეობს (მერე თავრიზში გადაიტანა)...

იკვეთებოდა ჯუჩის შთამომავლებისა და ილხანების ინტრესთა დაპირისპირება.

ათიოდე წლით ადრე ეგვიპტის სასულთნო მამლუქებმა ჩაიგდეს ხელში. 1259 წლის ნოემბერში ეგვიპტის სულთანი გახდა მამლუქი ალ-მალიქ ალ-მუზაფარ საიფ ად-დინ ქუთუზი. მის შესახებ დადიოდა ხმები, თითქოს ჯალალედინის დისა და ბიძის შვილი იყო, მონღოლების მიერ ტყვედ აყვანილი და მონათა ბაზარზე გაყიდული. მანამდე ეგვიპტეს აიუბიდების დინასტია მართავდა. დინასტიის განაყოფი ამირები და მელიქები მართავდნენ სირიის, ერაყის, წინა აზიისა და პალესტინის ზოგიერთ ნაწილს, როგორც ვასალები სულთნისა, თუმცა, ხშირად არც ემორჩილებოდნენ. მამლუქებსა და ძველ დინასტიებს შორის დაპირისპირება დაიწყო, მაგრამ მონღოლების შეტევამ მათ გაერთიანება აიძულა.

მონღოლებმა გაიარეს შუამდინარეთი და შეიჭრნენ სირიაში, სადაც მათ შეუერთდა ანტიოქიის ქრისტიანი მთავარი ბოჰემუნდ მეოთხე თავისი ჯარით.

მაჰმადიანთა ჯარი მდინარე ევფრატის ხეობაში დახვდა მონღოლთა ჯარს. ამასობაში მონღოლებმა და მათმა მოკავშირეებმა გადალახეს მდინარე ევფრატი. მაჰმადიანთა და მონღოლთა ჯარები პირისპირ აღმოჩნდნენ.

„იქმნა ძლიერი ომი“. დავით მეფე და ქართველები წინამბრძოლობდნენ – იმდროინდელ ქართველებს სხვაგვარად არ შეეძლოთ, ჯერ ერთი, იმიტომ რომ, მიუხედავად ბოლო ხანების დამარცხებისა, რასაც ბედისწერას აბრალებდნენ და რაღაც ვითარებებს, საკუთარ მეომრობაზე და საქართველოზე მაინც განსაკუთრებული მოსაზრება ჰქონდათ და ვერ წარმოედგინათ ქართველი, რომელსაც ომში წინამბრძოლობა არ მოესურვებოდა.

მეორეც, გამწარებული იყვნენ მაჰმადიანთაგან, რადგან, თბილისის აღებისას სულთანმა ჯალალედინმა წარმოუდგენელი სისასტიკე გამოიჩინა და მთლიანად განყვიტა მთელი ქალაქის მცხოვრებნი, ასევე, ქალაქში შეხიზნული გაშემო სოფლებისა და დაბების მოსახლეობა.

ქართველები შურს იძიებდნენ...

მოაწყდა ორივე მხრიდან ურიცხვი მეომარი. მაჰმადიანები გაიქცნენ.

მიადგნენ ალეპოს. ექვსი დღე ლოდსატყორცნებს ესროდნენ ქალაქის კედლებს და დაანგრიეს. დედაციხემ ოთხი კვირა გაძლო. 1260 წლის იანვარში მონღოლებმა აიღეს ალეპო. მაჰმადიანური მოსახლეობა გაწყვიტეს, ქრისტიანული კი დაინდეს. შემდეგ მიადგნენ დამასკოს, რომელიც უბრძოლველად დანებდა.

ევფრატის ნაპირას დააბანაკა ყაენმა ჰულაგუმ თავისი არმია და დაასვენა. იქვე იყო ერთი პატარა ქალაქი, მდინარეზე გადმომდგარი, კარგად გამაგრებული: ერთი მხრიდან კლდე იცავდა, მეორე მხრიდან ევფრატი. ეს რომ იხილა ილხანმა ჰულაგუმ, მიხვდა, რომ ქალაქზე შეტევა უაზრობა იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ

თან ჰყავდა ჩინელი ინჟინრები, მის მეომრებს კი არაერთი ქალაქი ჰქონდათ აღებული.

როგორც უცნობი ქართველი ჟამთაააღმწერელი გადმოგვცემს, ყაენმა მოიგონა უცნაური ხერხი და ასეთი დავალება მისცა თავის სარდლებს: „შეუძლებელია ამ ქალაქის ალყით აღება. გიბრძანებთ, ამხედრდეთ, შემოერტყათ ქალაქს და დაიწყოთ ძაღლებივით ყეფა და ყმუილი“.

ყველას გაუკვირდა, მაგრამ, ვინ გაუბედავდა ყაენს შეპაექრებას ან ვინ გაბედავდა ბრძანების უარყოფას. ასეც მოიქცნენ: ამხედრნენ, მოიცვეს ქალაქი, მიუახლოვდნენ ციხის გალავანს და დაიწყეს ძაღლურად ყეფა. ყეფის ხმამ ქალაქამდე რომ მოაღწია, მოხდა საოცრება: გასკდა ქალაქი ორგან, ნახევარი წამოიქცა კლდესთან ერთად წყლისკენ და ბევრი ქალაქელი ჩაიყოლა. ასეთი საკვირველი მეთოდით ჩაიგდეს ხელში მონღოლებმა ეს ქალაქი. აღნიშნული სიუჟეტი ძალიან ჰგავს ბიბლიური ქალაქის – იერიქონის

ვინ იცის, რამდენი ასეული ქართველი ჩაწვა იმ დღეს პალესტინის მიწაში, რამდენი დაატყვევეს და გაყიდეს

აღებას ებრაელთა მიერ. შესაძლოა, რაღაც ფარული მეთოდია ამით გადმოცემული ჩვენს წყაროში. შესაძლოა, ეს ალეპოს აღების ამბავი იყოს ლეგენდის სახით გადმოცემული.

ჰულაგუ ყაენმა წერილი მისწერა ეგვიპტის სულთანს: „ღმერთმა გამოარჩია ჩინგიზ ყაენი და მისი შთამომავლობა ამ ქვეყნის ბატონებად. ვინც არ დაგვემორჩილა, განადგურდა თავის ცოლებთან, შვილებთან, ახლობლებთან და მონებთან ერთად. დაეცა მათი ქალაქები. ჩვენი არმიის დიდება გავრცელდა ქვეყანაზე. დაგვმორჩილდი და გამოგვიგზავნე ხარკი და თავადაც ეახლე ჩვენს ნოინს მორჩილების ნიშნად. ან ემზადე ომისთვის“.

ამ დროს მონღოლთა ბანაკში მოვიდა ცნობა ჰულაგუ ყაენის ძმის, დიდი ყაენის – მანგუს (მუნქეს) გარდაცვალების შესახებ.

დავით მეფემ ჰულაგუ ყაენს სამშობლოში გაშვება სთხოვა, რადგან დიდი ხნის წამოსულები იყვნენ სალაშქროდ, ქვეყანას კი მიხედვა სჭირდებოდა. ყაენმა ულომ (ჰულაგუმ) გაათავისუფლა ქართველები სამხედრო კამპანიიდან. ჰულაგუ ყაენიც იძულებული იყო, წამოსულიყო დასავლეთ აზიიდან – მას მონაწილეობა უნდა მიეღო დიდი ყაენის არჩევაში.

მანგუ ყაენის გარდაცვალების შემდგომ გაიზრდებოდა ბათო ყაენის ძმის, ბერქას ამბიციები. ბათო ყაენის მიერ დაარსებულ საყაენოს და ილხანთა საყაენოს, ანუ ჰულაგუს მიერ დაარსებული სახელმწიფოს შორის დაპირისპირების საგანი იყო ადარბადაგანი, შირვანი და სხვა ტერიტორიები.

ამგვარად, ჰულაგუ ყაენი ვერ დატოვებდა თავის საბრძანებელს დიდი ხნით, თორემ, შეიძლება, დაეკარგა კიდეც. ვერც თავისი უმთავრესი მოკავშირის – დავით ულუს ჯარს შეელეოდა და ვერ დაეძალებდა დარჩენას დასავლეთ აზიაში ეგვიპტელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველები კარგ და ერთგულ მეომრებად ითვლებოდნენ და ამიტომ ქართული არმია ახლოს უნდა ჰყოლოდა ჰულაგუს – თუ ბერქა შემოიჭრებოდა კავკასიაში, ჯობდა, მას იქ მოწინააღმდეგედ ჰულაგუს მონღოლებთან ერთად დახვედროდა დავით ულუც. დავით ულუ ამ დროს კავკასიაში უმთავრესი ლიდერი იყო.

ქართველების რაღაც ნაწილი დარჩენილა ნოინ კიტბუღას მეთაურობით ჰულაგუს მიერ დატოვებულ მცირერიცხოვან არმიასთან, 20 000 მეომართან ერთად, თუმცა, უდიდესი ნაწილი, მეფეს წამოჰყვებოდა.

ამასობაში დავით ულუ თავისი ჯარის დიდი ნაწილით საქართველოსკენ წამოვიდა. დიდი ალაფით დატვირთული ქართველები ადარბადაგანის მხრიდან შემოვიდნენ ქვეყანაში და მოვიდნენ თბილისში.

ჰულაგუ ყაენის უკან გაბრუნებით გულმოცემულმა სულთანმა ქუთუზმა დაწვა ჰულაგუს წერილი და დახოცა მონღოლთა ელჩები.

კიტბუღა ყაენმა აიღო რამდენიმე ქალაქი პალესტინაში, თუმცა არ გამოიჩინა სიფრთხილე და ძალიან ღრმად შეიჭრა უკონტროლო ტერიტორიებზე. ამასობაში ეგვიპტელმა მამლუქებმა გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია ჯიჰადისათვის (საღვთო ომისათვის), შეკრიბეს დიდი ჯარი და გადმოვიდნენ პალესტინაში. მათ პალესტინის ქრისტიანთა ნაწილი ნეიტრალიტეტზე დაიყოლიეს, თავისუფლად გაიარეს და დაისვენეს იერუსალიმის სამეფოში (აკრში). მოიმხრეს მცირე აზიის რამდენიმე მელიქი, მათ შორის აიუბიდი ალნასირ უსუფი, ასევე, ბედუინები, ჰულაგუს მიერ დამარცხებული და დევნილი ქურთები და პალესტინის ტერიტორიებზე შესული კიტბუღას განადგურება გადაწყვიტეს.

1260 წლის 3 სექტემბერს ნაზარეთთან ახლოს, აინ-ჯალუთის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მონღოლები მოკავშირეებითურთ და მამლუქები მოკავშირეებითურთ.

მრავალრიცხოვანი ნაწილების სამი მხრიდან შეტევას ვეღარ გაუძლეს ხაფანგში მოქცეულმა მონღოლებმა და მათმა მოკავშირეებმა, კიტბუღამ უკან დახევა არ იკადრა. მონღოლები დამარცხდნენ, ნოინი კიტბუღა კი ტყვედ ჩავარდა. მაჰმადიანებმა მონღოლთა სახელგანთქმული ნოინი სიკვდილით დასაჯეს. ვინ იცის, რამდენი ასეული ქართველი ჩაწვა იმ დღეს პალესტინის მიწაში, რამდენი დაატყვევეს და გაყიდეს.

გიორგი მახოგონოვილი

ᲐᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘ ᲬᲜᲔᲕᲐᲡ, ᲜᲔᲠᲕᲣᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

რა სასარგებლო თვისებები აქვს სპილენძს, როდიდან დაიწყეს სამკურნალო დანიშნულებით მისი გამოყენება და რა პათოლოგიებს იწვევს ორგანიზმში ამ ნივთიერებების ნაკლებობა თუ მეტობა, ამ საკითხებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის მოწვეულ პედაგოგს, კარდიოლოგ ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲑᲣᲪᲮᲠᲘᲙᲘᲫᲔᲡ ვესაუბრეთ: ადამიანის ორგანიზმის შემადგენლობაში მენდელეევის სისტემის ყველა ელემენტი შედის. ისინი ჩვენს განუყოფელ ნაწილს შეადგენენ და ქმნიან ადამიანის შინაგან გარემოს. ამ გარემოს მუდმივობას ჰქვია ჰომეოსტაზი. ჰომეოსტაზის დარღვევით ვითარდება პათოლოგიური მდგომარეობა. იმ ნივთიერებებს შორის, რომლებიც ქმნიან ჰომეოსტაზს, ერთ-ერთია სპილენძი (კუპრუმი). შესაბამისად, მისი მატებაც და კლებაც ჩვენს ორგანიზმში სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის განვითარებას იწვევს.

– რაში ეხმარება სპილენძი ორგანიზმს, რა სასარგებლო თვისებები აქვს მას?

– სპილენძი მონაწილეობს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მისი კონცენტრაცია თავის ტვინში, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ სპილენძის შემცველობა დიდ როლს თამაშობს გონებრივ განვითარებასა თუ ჩამორჩენილობაში. არსებობს მოსაზრება, რომ სპილენძი მონაწილეობს სისხლძარღვის კედლის შენებაში. იმისთვის, რომ მოხდეს გულის მიერ გადატყორცნილი სისხლის კარგად მიდინება ნებისმიერ უჯრედამდე და იქიდან უკან წამოსვლა, სისხლძარღვის კედელი უნდა იყოს ელასტიკური. ხოლო იმისთვის, რომ სისხლძარღვის კედელი ელასტიკური იყოს და გაუძლოს იმ წნევას, რომლითაც მასში სისხლი გადის, კედელში ლაგდება კოლაგენის ბოჭკოები. სწორედ ეს ნივთიერება განაპირობებს სისხლძარღვების ელასტიკურობას. კოლაგენის ბოჭკოების ერთმანეთთან დაკავშირებაში კი დიდ როლს სწორედ სპილენძი თამაშობს. თუ ეს ბოჭკოები ერთმანეთთან კარგად არ იქნება დაკავშირებული, სისხლძარღვი, რა თქმა უნდა, იარსებებს, მაგრამ, მისი კედელი გახდება ნაკლებ ელასტიკური, რაც სხვა პრობლემებთან ერთად, გამოიწვევს სისხლძარღვის კედლის ხშირ ანევრიზმულ დაზიანებებს, რაც ზრდის სისხლძარღვის კედლის მთლიანობის დარღვევის, სისხლდენებისა და ინსულტების რისკს. ეს კი განსაკუთრებით საშიშია თავის ტვინში. როგორც აღვნიშნეთ, სისხლძარღვის ელასტიკურობის დაკარგვა ნებისმიერი ორგანოსთვის სისხლის მიწოდების ნაკლებობას იწვევს. სისხლი კი ორგანიზმის ყველა უჯრედს საკვები ნივთიერებებით და, რაც ყველაზე მთავარია, ჟანგბადით ამარაგებს. როგორც ვიცით, სისხლი სწორედ სისხლძარღვის მეშვეობით გადაადგილდება და, შესაბამისად, როცა კედელი დაზიანებულია, ეს უარყოფითად აისახება ნებისმიერ ორგანოზე, განსაკუთრებით კი თავის ტვინზე. ამ დროს მცირდება მისთვის საკვებისა და ჟანგბადის მიწოდება, რაც ჰიპოქსიას, ანუ ჟანგბადის ნაკლებობას იწვევს და ეს, თავის მხრივ, ბევრი დაავადების მიზეზი ხდება. ადრეულ ასაკში სისხლძარღვის კედლის ელასტიკურობის დაკარგვა, ხშირ შემთხვევაში, სპილენძის თანდაყოლილ უკმარისობასთან არის დაკავშირებული.

სისხლძარღვის წნევა დაბლა ჩამოდის. ემოციური ლაბილობისას იგივე მექანიზმი მოქმედებს, თავის ტვინს სისხლი უკეთ მიეწოდება და აგზნებადობა იკლებს

ასევე დადგენილია, რომ სპილენძს დიდი როლი მიუძღვის ადამინის კანის შეფერილობის განსაზღვრაში. ადამიანის კანის შეფერილობას პიგმენტი მელანინი განსაზღვრავს. ეს პიგმენტი მუდმივად ლაგდება ჩვენს კანში და, კანის შეფერილობა, მისი ღია თუ მუქი ფერი, სწორედ, მასზეა დამოკიდებული. თუ ადამიანის ორგანიმში არის სპილენძის ნაკლებობა, მაშინ კანიც და თმაც შედარებით ღია ფერისაა, თუმცა აქ ალბინოსობა არ იგულისხმება.

– სპილენძის სამკაულები როგორ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე?

– სპილენძის სამკურნალოდ გამოყენება ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს დროს დაიწყეს – ისინი სხეულის დაზიანებული ადგილის აღსადგენად სპილენძის მონეტებს იყენებდნენ. ალბათ, ახლაც გაგვიგია კოპზე დადებული მონეტა. ითვლება, რომ დაზიანებულ ადგილზე სპილენძის დადება უზრუნველყოფს ადგილობრივად მიკროცირკულაციის გაზრდას, ანუ, იზრდება სისხლის მიწოდება იმ კონკრეტულ ადგილას არსებულ ქსოვილებზე, რაც დაზიანებულ ქსოვილზე ძალიან კარგად მოქმედებს. რადიკულიტის დროს სპილენძის ფირფიტებს იდებდნენ. მისი მეშვეობით ხდებოდა ანთებითი პროცესის ალაგება, რადგან აქაც იზრდებოდა მიკროცირკულაცია, სისხლის მიდინება. სისხლს ანთებით კერაში მიაქვს ის ნივთიერებები, რომლებიც ებრძვიან ანთებას და ის ნადგურდება. სპილენძის სამკაულს ხშირ შემთხვევაში ატარებენ წნევიანი, ნევროზული და ძილის პრობლემების მქონე ადამიანები. თანამედროვე მედიცინაში სპილენძის როლზე შეიძლება ვინმეს გაეცინოს და უფრო სანდოდ ჩათვალოს არსებული წამლები. თუმცა, ერთ-ერთი დაუზუსტებელი თეორიის თანახმად, მაჯაზე სპილენძის სამაჯურის გაკეთება ქმნის ელექტრომაგნიტურ ველს. მაჯაზე, იმ ადგილას, სადაც ჩვენ პულსს ვისინჯავთ, გადის სხივის არტერია, რომელიც ზუსტად ამ ადგილას არის ყველაზე ზედაპირული და სწორედ ამიტომ ვისინჯავთ იქ პულსს. სპილენძის სამაჯური სწორედ ამ ადგილას ქმნის ელექტრომაგნიტურ ველს, რომელიც შემდეგ მთელ ორგანიზმში ვრცელდება და უზრუნველყოფს პერფუზიის გაუმჯობესებას (პერფუზია არის თითოეულ ორგანომდე სისხლის მიწოდება) და, შესაბამისად, თითოეული ორგანო უკეთ იწყებს მუშაობას. ამ ყველაფრის ნორმალიზება განაპირობებს იმას, რომ სისხლძარღვის წნევა დაბლა ჩამოდის. ემოციური ლაბილობისას იგივე მექანიზმი მოქმედებს – თავის ტვინს სისხლი უკეთ მიეწოდება და აგზნებადობა იკლებს. იგივე ხდება მოუწესრიგებელი ძილის შემთხვევაშიც. ამ ყველაფერს, ერთ-ერთი თეორიით, სწორედ სპილენძის სამაჯური აწესრიგებს. თუმცა, მედიცინაში არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება ფსიქოლოგიურ მომენტთან შეიძლება იყოს დაკავშირებული; მაგალითად, როცა ადამიანს სჯერა, რომ რომელიღაც მედიკამენტის მიღება მის მდგომარეობას გაუმჯობესებს, ასეთ დროს მას ცარიელ რომ დააღექინო, დადებით შედეგს მიიღებ. ამას მედიცინაში „პლაცებოს ეფექტი" ჰქვია და იგივე შეიძლება ვიფიქროთ სპილენძის სამკაულთან დაკავშირებითაც.

ᲥᲔᲗᲘ ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

				ა					
				პ	ა	ლ	მ	ა	ო
				ე		ე	ა	ს	ზ
ი	ლ	ზ	ი	რ	გ	თ	ნ	ა	მ
მ		ს		კ		ა	ჩ	მ	ა
პ		ე	ლ	ო	თ	რ	ე	ბ	
ო	გ	ნ	ა	ტ		გ	ს		
რ		ა	დ	ი		ი	ტ		ი
ტ	ო	ტ	ო		ა	ა	ე	ე	ნ
ი		ი	გ	ო	დ		რ	ძ	ე
	მ		ი	ს	ი	რ	ი	ა	რ
	ა	ი		ო	დ	ა		რ	ტ
ა	რ	ტ	ა	ლ	ა		ლ	ო	უ
პ	ლ	უ	ტ	ო	ს	ი		ი	ლ
	ა	კ			ი	უ	ა	ნ	ი

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

6	3	4	8	1	5	7	9	2
9	5	1	2	7	4	3	8	6
7	2	8	6	9	3	5	4	1
5	8	3	7	6	1	9	2	4
4	9	6	5	3	2	8	1	7
2	1	7	9	4	8	6	3	5
8	4	5	3	2	7	1	6	9
1	7	9	4	8	6	2	5	3
3	6	2	1	5	9	4	7	8

ᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

2	7	6	5	1	8	4	9	3
1	3	4	2	9	6	8	7	5
5	8	9	4	7	3	2	1	6
4	5	3	6	8	9	1	2	7
9	6	1	7	4	2	3	5	8
7	2	8	3	5	1	9	6	4
8	4	2	1	6	5	7	3	9
3	9	5	8	2	7	6	4	1
6	1	7	9	3	4	5	8	2

„ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝᲑᲗ" ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ: **1. შოკოლადის. 2. ფაიფურს. 3. ოაზისში. 4. „სულაც არა. წელს მე მასზე უკეთესად ვითამაშე". 5. სირაქლემა – თავს ყოფს ქვიშაში. 6. დიოგენე. 7. დალტონი. 8. ამონი. 9. სახამებლის. 10. ნახატს მხოლოდ სახელი – რემბრანდტი მოაწერა.**

თამო ვაშალომიძე ერთ-ერთი სკანდალური მოდელია და, შესაბამისად, ის ყოველთვის არის მედიის ყურადღების ცენტრში. როგორც ცნობილია, თამო ცოტა ხნის წინ უკრაინაში გაემგზავრა რუსული „ფლეიბოისთვის" ფოტოების გადასაღებად, თუმცა, რუსულ მხარესთან უთანხმოების გამო, მისი ეროტიკული ფოტოები უკრაინულ ჟურნალში, XXL-ში გამოქვეყნდება.

რა ეკრძალებოდა თამო ვაშალომიძეს „ფლეიბოის" კონტრაქტის მიხედვით და რომელი ჟურნალისთვის გადაილო მან ეროტიკული ფოტოები უკრაინაში

თამო ვაშალომიძე: აღარ ვიღებ ფოტოებს რუსული „ფლეიბოისთვის", ვინაიდან, უკრაინული ჟურნალის XXL-ის რედაქტორებისგან უკეთესი შემოთავაზება მივიღე. რუსულ მხარესთან პრობლემა იმ საკითხზე შემექმნა, რომ სულ სხვა კონტრაქტი დამახვედრეს უკრაინაში, რომელიც გულისხმობდა გადაღებების შემდეგ მოსკოვში ცხოვრებას და, კიდევ, მეკრძალებოდა სხვა ჟურნალებისთვის ფოტოსესია. ვინმეს რომ ეთქვა, თამო, თეთრეულის რეკლამა გამიკეთეო, ამასაც ვერ შევძლებდი; თან, ვერ ვიცხოვრებდი მოსკოვში, რადგან, ბებია მყავს და სამსახური მაქვს საქართველოში. მოდელი ვარ და არ მივეცი ჩემს თავს უფლება, კონტრაქტზე ხელი მომეწერა. იყო მეორე გარემოებაც: მოსკოვში გამგზავრებაზე პრობლემა შემექმნა – არ ჩამირტყეს ვიზა, მათ კი მოწვევაც არ გამიკეთეს. XXL-ის გადაღებებზე ბევრად კარგი სიტუაციაა; რაც მთავარია, ფოტოსესიის დროს თეთრეულით ვარ და არა შიშველი. ჟურნალი სექტემბერში გამოვა, რომელიც, შესაძლებელია, საქართველოშიც ჩამოიტანონ გასაყიდად.

ქალბატონო, ისეთი ლამაზი ხართ, ველარ გითხარით, სხვა მანქანაში რომ აღმოჩნდითო

– გარეკანზე იქნები? სამუშაო გარემო როგორია?

– სამუშაო გარემო არის ძალიან მაგარი. თბილად მიმიღეს; ლანჩზე და წვეულებაზე დამპატიჟეს, სადაც მოდელები და ჟურნალისტები გავიცანი. რაც ყველაზე მთავარია, ახალი იმიჯით წარვდექი საზოგადოების წინაშე, ანუ, თვალები არ მქონდა ჩაშავებული *(იცინის)*. ეს გადაღება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სამომავლოდაც არის პატარ-პატარა შემოთავაზებები და, ვნახოთ, რა იქნება. ისე, ამ თემის გახმაურებაც არ მინდოდა სექტებრამდე, თუმცა, არ გამომივიდა.

– ფოტოსესიისთვის მთლიანად გაშიშვლება შენთვის პრობლემა იყო?

– როდესაც ჟურნალი გაძლევს უფლებას, როგორ ფორმაშიც გინდა, ისე გადაიღო ფოტო, პლიუს, გარეკანზეც იქნები, ეს მოდელისთვის საუკეთესო შემოთავაზებაა. ძალიან ცოტა მოდელს ეძლევა უფლება, თავად აირჩიოს, შიშველმა გადაიღოს, ბიკინით თუ სხვა სამოსით ფოტოები. კმაყოფილი ვარ შემოთავაზებით და ლამაზი, ეროტიკული ფოტოებიც გამოვიდა. მე სულ სხვა გეგმები მაქვს, ამ ჟურნალით არ შემოიფარგლება ჩემი შემოქმედება. არ მინდა იმით ვიყო აქტუალური, რომ სულ გავშიშვლდე, ამიტომაც არ დავთანხმდი რუსული „ფლეიბოის" შემოთავაზებას და მომავლისთვის შემოვინახე.

– რომ არა უკრაინის შემოთავაზება, მაინც უარს იტყოდი?

– შემოთავაზება რომ არ ყოფილიყო, არ ვიტყოდი უარს, პირველი სინჯიც კი მქონდა მათთვის. თავიდან მეგონა, მთლიანად სიშიშვლე არ იქნებოდა საჭირო, ცოტათი დაფარული მაინც მექნებოდა სხეული. თუმცა, ეს მათ ინტერესში არ შედიოდა. საქართველოში ასეთი ცნობილი რომ არ ვყოფილიყავი და პირდაპირ „ფლეიბოიდან" დამეწყო სამოდელო კარიერა, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. თუმცა, როდესაც უკეთესი შანსი გეძლევა, რატომაც არ უნდა გამოიყენო?! ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, „დავატორმუზე" მთლიანად გახდაზე. ახლა ბევრად საინტერესო ფოტოები გამოვიდა, სადაც საყვარლად მიჩანს საჯდომი ან სხეულის სხვა რაღაც ნაწილი. რაც მთავარია, ჟურნალის გარეკანზე ეწერება, რომ ვარ ქართველი მოდელი; ასევე, საიტისთვის დამონტაჟდება ვიდეო და ორი გვერდი დამეთმობა ჟურნალში, სადაც ოთხი ფოტო განთავსდება.

– უკრაინელი მამაკაცებისგან ყურადღებას არ გრძნობ?

– კი, როგორ არა. პირველი რეაქციაც მახსოვს: სპორტულები მეცვა და მაღაზიაში მივდიოდი. როგორც მამაკაცები, ასევე გოგონებიც, თვალს არ მაშორებდნენ. ცოტა შავგვრემანი რომ ვარ და სხვანაირი იერი მაქვს, ეს უფრო იწვევდა მათ დანტერესებას. პირველივე დღეს ბევრი თბილი სიტყვა და კომპლიმენტი იყო. საერთოდ, ძალიან მიყვარს უკრაინა, ვინაიდან, თბილი ხალხი ცხოვრობს. უკვე მესამედ ვარ ამ ქვეყანაში და ყოველ ჩასვლაზე უფრო კარგი შთაბეჭდილებებით ვბრუნდები.

– ძირითადად რას გეუბნებიან ხოლმე?

– მანქანებს მიჩერებენ და მეუბნებიან: რა ლამაზი ხარ, საიდან ხარ, ვინ ხარო *(იცინის)*. ეს არ გამკვირვებია, ყურადღებას ისედაც მიჩვეული ვარ. უბრალოდ, ჩავდივარ ისეთ ქალაქში, სადაც ყველა ლამაზია გოგოა, ქერა, ცისფერთვალება, საყვარელი და ჩემ მიმართ ასეთ დამოკიდებულებას არ ველოდი. როდესაც ვსეირნობ, სულ გაღიმებული სახეები მხვდება.

– რთული რეჟიმი გაქვს?

– დიახ, საკმაოდ. ბევრს ვვარჯიშობ. ერთხელ სავარჯიშო დარბაზში ვერ მოვახერხე წასვლა და ნომერში დავიწყე სირბილი *(იცინის)*, თან, ლახტი ვიპოვე და, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი სასაცილო ვიქნებოდი *(იცინის)*. უზომოდ მომწონს აქაური სიტუაცია, ძალიან კარგი გარემოა. გამიმართლა, აქ რომ მოვხვდი. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. თბილისმა ცუდად არ გამიგოს, მაგრამ, უკრაინელი ხალხისგან უფრო კარგი დამოკიდებულება მოდის ჩემ მიმართ, ვიდრე ქართველებისგან.

– ბევრი ყურადღების გამო, უხერხულ სიტუაციში ხომ არ აღმოჩენილხარ?

– ყურადღების ცენტრში ყოფნის გამო, უფრო სახალისო ისტორიები გადამხდა. ერთ დღესაც, რედაქტორი მირეკავს და მეუბნება: თამო, სასტუმროს წინ დაბურულმინებიანი, შავი „კია" გელოდება და, ეცადე, მალე მოხვიდე, გადაღებაზე გელოდებითო. სასტურმოს წინ მართლა დამხვდა მსგავსი მანქანა და მეც პირდაპირ ჩავჯექი, სხვა რამისთვის არც მიმიქცევია ყურადღება. გავიდა დაახლოებით ნახევარი საათი და მირეკავს რედაქტორი – სად ხარ ამდენ ხანს, გელოდება მძღოლიო. ვაიმე-მეთქი, შევტრიალდი მძღოლისკენ და ვეკითხები: თქვენ ის არ ხართ, ვისაც გადაღებაზე უნდა წავეყვანე-მეთქი? *(იცინის)* არა, ქალბატონო, მაგრამ, ისეთი ლამაზი ხართ, უარი ველარ გითხარით, სხვა მანქანაში რომ აღმოჩნდითო. ჩემი რეაქცია იყო – გააჩერეთ! *(იცინის)*. გადაღებიდან მე და ჩემი დაქალი წავედით შოპინგზე. უკან რომ ვბრუნდებოდით, დაგვავიწყდა სასტუმროს სახელი. კიდევ კარგი, ფოტო მქონდა გადაღებული და ტაქსის მძღოლს ვაჩვენეთ. მეც მეგონა, რომ მშვიდობით მიგვიყვანდა ეს კაცი დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ, სულ სხვა სასტუმროში აღმოვჩნდით, რომელსაც იგივე სახელწოდება ჰქონდა. არ არის, ბატონო, ეს ჩვენი სასტუმრო, სხვა კვარტალშია და იქ წაგვიყვანეთ-მეთქი *(იცინის)*.

– შოპინგისთვის დრო არ გრჩება?

– რა თქმა უნდა, მრჩება. ზოგადად, ძალიან მიყვარს უკრაინაში შოპინგი, კარგი რაღაცეებია, განსაკუთრებით – ქალის თეთრეული *(იცინის)*.

– შეიძინე ახალი თეთრეული?

– აბა, ამ შანსს გავუშვებდი ხელიდან?! *(იცინის)*.

– საჩუქრებს თუ იღებ უცხოელი თაყვანისმცემლებისაგან? იუნას საჩუქარზე რას იტყვი?

– წითელი და თეთრი ვარდები მივიღე – შემოქმედებითმა ჯგუფმა მაჩუქა, – მითხრეს, რომ ძალიან საყვარელი და კარგი გოგო ვარ *(იცინის)*. ეს საჩუქარი იუნას მეშვეობით გადმომცა, Sexmarket-ის ხელმძღვანელობამ. არ ვიცი, რატომ გადაწყვიტეს ვიბრატორის ჩუქება *(იცინის)*. ამ ყოველივემ უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ, აქ არც მე და არც იუნა არაფერ შუაში ვართ. მაჩუქეს და უარს ხომ არ ვიტყოდი? *(იცინის)*.

– როგორ ფიქრობ, ამ შენს ნაბიჯს როგორ მიიღებენ ქართველები?

– იმედია, ხალხი არ გამლანძღავს და შემიყვარებს ისეთს, როგორიც ვარ. ასევე ხალხმა განსაჯოს, რატომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. ქართველებო, ძალიან მიყვარხართ და, იმ ქვეყანაში ვარ ახლა, სადაც ყველაზე მეტად გვაფასებენ!

ეთო ხურციძე

კანადურ სასწავლო ცენტრში – CanSchool Georgia – მოსწავლეების მიღება 1 ივნისიდან დაიწყო

CanSchool
Learning Centre for Canadian High School

საქართველოში კანადური სასწავლო ცენტრი – **CanSchool Georgia** იხსნება, რომელიც საშუალო სკოლის ბოლო სამ წელს მოიცავს – მეათე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. მოსწავლეები და მშობლები ამ სკოლის არჩევის შემთხვევაში, ხელშეკრულებას ტორონტოს სასწავლო ცენტრთან აფორმებენ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კანადური საშუალო სკოლის დიპლომის – SSD ქვეყნიდან გაუსვლელად მოპოვება. პროექტი აკრედიტებულია კანადის განათლების სამინისტროს მიერ, ხოლო OSSD დიპლომი აღიარებულია ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების უმრავლესობისა და კანადის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მიერ. ის მოსწავლეები, რომლებიც **CanSchool**-ის სამწლიან კურსს გაივლიან, არა მხოლოდ საფუძვლიან ცოდნას შეიძენენ სხვადასხვა მიმართულებით, არამედ საშუალება ეძლევათ, გამოცდების გარეშე გააგრძელონ სწავლა კანადის ნებისმიერ უნივერსიტეტში ბაკალავრზე, მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. სწავლება არის სამწლიანი, დისტანციური, ონლაინ-რეჟიმში, ინგლისურ ენაზე. მოსწავლეებს ეყოლებათ ქართველი კურატორი, რომელიც დაეხმარება მათ ენობრივი თუ საგნობრივი გაურკვევლობის შემთხვევაში. ზოგადად, სასწავლო პროცესს კი, ხელმძღვანელობენ კანადელი პედაგოგები. სწავლების ხანგრძლივობაა 2-2 საათი, დღის მეორე ნახევარში, ონლაინ-რეჟიმში. პროგრამა ძირითადად, გათვლილია მათზე, ვისაც უცხოეთში ბაკალავრზე სურს სწავლის გაგრძელება. კანადაში, რა თქმა უნდა, ეს ყველაზე მოსახერხებელია, რადგან იქ ყველა გამოცდა ეხსნებათ ნებისმიერ უნივერსიტეტში და ირიცხებიან ავტომატურ რეჟიმში. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ, წავიდნენ სხვა ქვეყნებშიც, კანადური სასწავლო ცენტრის დიპლომი, ქართული საშუალო სკოლის დიპლომს აძლევს აკრედიტაციას. ვისაც სურს ამერიკული სისტემის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელება, სადაც დამატებით ითხოვენ SAT-ის გამოცდებს, ჩვენთან შეუძლიათ SAT-ის პროგრამაში მომზადება.

კანადურ სასწავლო ცენტრ **CanSchool Georgia**-ში მოსწავლეების მიღება პირველი ივნისიდან დაიწყო, სწავლა კი – 15 სექტემბრიდან დაიწყება. მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო ტესტს, გაივლიან რეგისტრაციას კანადური საშუალო სკოლის საიტზე. შემდეგ მათ ექნებათ საკუთარი გვერდები, ეგრეთ წოდებული, ექაუნთები, სადაც ყოველკვირეულად, ავტომატურად აეტვირთებათ საშუალო სკოლის მასალა. კანადური სასწავლო ცენტრი მდებარეობს კერძო სკოლა – „XXI საუკუნის“ ტერიტორიაზე. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები: მოსწავლის დაბადების მოწმობა და წინა წლის ნიშნების ფურცელი. საბუთების გამოგზავნა შესაძლებელია იმეილზე ან უნდა გადასცენ კურატორს. ტელეფონი: 599-199-888; მისამართი: უნივერსიტეტის ქუჩა №7. იმეილი: Canschoolgeorgia@gmail.com, site: www.canschool.net

ნათია უტიაშვილი

„გამოუვალმა მდგომარეობამ“ ს

მრავნოული აზრები

რუსო: რაც უფრო მეტი თანამშრომელი ჰყავს, მით უფრო სუსტია ხელისუფლება.

ზოუ: დემოკრატია დასტურია იმისა, რომ ჩვენ გვეყოლება ისეთი ხელისუფლება, როგორსაც ვიმსახურებთ.

გიორნე: თემიდას მახვილი რომ არ ეჭიროს ხელში, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ.

მაიმონდი: თუკი შემოსავალი შრომის გარეშე გვაქვს, მაშინ, კიდევ ვიღაც შრომობს ისე, რომ შემოსავალს არ იღებს.

ოეში: ვინც მუდმივად ლოდინს ირჩევს, მასთან ყველაფერი გვიან მიდის.

გოეთე: ნუ იტყვი ყველაფერს, რაც იცი, მაგრამ, მუდამ იცოდე, რას ამბობ.

დეშნერი: დემოკრატია არის ხელოვნება, ხალხს ხალხისავე სახელით, საზეიმო ვითარებაში ამოვდოთ ლაგამი.

ჰეიერდალი: ვინც სიკვდილს თავაწეული ხვდება, სწორედ ის არის სიცოცხლის ღირსი.

გრაფი: ერთიანობა გვაძლიერებს, მაგრამ ხშირად გვაბრმავებს.

რატენაუ: ვისაც სიამოვნებს, იბატონოს მონებზე, თვითონ არის გამოქცეული მონა; თავისუფალი კი მხოლოდ ის არის, ვისაც ნებაყოფლობით ჰბაძავენ და ემსახურებიან.

გრინერი: ყოველივე გასაოცარი ჩვენს სამყაროში ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ვიღაცა იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე ევალება.

დოდენერი: დროდადრო უნდა დაშორდე ადამიანს, რომ უკეთესად გაიცნო იგი.

ტვენი: აღზრდა მოზრდილების მიერ ორგანიზებული თავდაცვაა ახალგაზრდებისგან.

ლი იაკოვა: ადამიანი, რომელსაც სიკვდილის წინ თუნდაც ხუთი ნამდვილი მეგობარი ჰყავს, არ უნდა იყოს უკმაყოფილო თავისი ცხოვრებით.

ლამარტინი: რწმენა – ეს ისაა, რაც გონებას საშუალებას აძლევს, იცხოვროს თავის შესაძლებლობებზე მაღლა.

ბისმარკი: ცუდი კანონებითა და კარგი თანამშრომლობით მართვა შესაძლებელია; ცუდი თანამშრომლების შემთხვევაში კი საუკეთესო კანონებიც გამოუსადეგარია.

ოქტავიო პაზი: თავისუფლების გარეშე დემოკრატია დესპოტიაა, თავისუფლება დემოკრატიის გარეშე – ქიმერა.

ბერტუხი: შეცდომა დასაშვებია. სხვისმა შეცდომამ შეიძლება ჭკუა გვასწავლოს; ჩვენი შეცდომა კი ტკივილის გადატანას გვასწავლის.

ვულფი: დედამიწაზე არ არსებობს იმაზე მშვენიერი თამაში, ვიდრე ლამაზი ქალის მიერ საყვარელი ადამიანისთვის საძილის მზადების პროცესია.

თუ გაგოიცნოგთ

1. უძველესი მექსიკური რეცეპტი: „კაკაოს მარცვლებს დაასხით მდუღარე წყალი, აადუღეთ სიმინდის ფქვილთან ერთად, დაამატეთ თაფლი“. **რისი რეცეპტია ეს?**

2. მარკო პოლოს მიაჩნდა, რომ ჩინელები მას ამზადებდნენ დანაყილი ნიჟარებისგან. თანამედროვე მონაცემებით დადგინდა, რომ მათ უმატებდნენ დანაყილ ძვლებსაც. **რას ამზადებდნენ ამ შემადგენლობისგან?**

3. არაბები მას უწოდებდნენ „ალში გახვეულ ბაღს“. **დაასახელეთ, სად შეიძლება იქ ნამდვილი ბაღის ნახვა?**

4. 1931 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიდი დეპრესია“ სუფევდა, ცნობილმა ბეისბოლისტმა ბეიბ რუტმა იმ დროისთვის ფანტასტიკური ხელფასი – 80 000 დოლარი აიღო წელიწადში. ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტმა ჰკითხა: „ნუთუ უხერხული არ არის, სპორტსმენი უფრო მეტ ფულს იღებდეს, ვიდრე თვით პრეზიდენტი ჰუვერი?” რაზეც რუტმა ისეთი პასუხი გასცა, რამაც მისი კრიტიკოსები გააჩუმა. **რა უპასუხა სპორტსმენმა?**

5. ამბობენ, რომ იგი ამას შიშის გამო სჩადის, სინამდვილეში კი ამას ჰიგიენური მოსაზრებებით აკეთებს, რათა თავი პარაზიტი მწერებისგან გაწმინდოს. **ვინ არის ის და მის რა საქციელზეა საუბარი?**

6. როდესაც მეფის თანმხლებმა პირებმა მას დაცინვა დაუწყეს, მეფემ შეაჩერა ისინი და უთხრა: „ალექსანდრე რომ არ ვყოფილიყავი, მე ის ვიქნებოდიო“. **ვინ – „ის”?**

7. ამ ინგლისელი მეცნიერის მთავარი მიღწევა მისი აღმოჩენებია ნივთიერებათა აღნაგობის ატომური თეორიის დარგში, თუმცა ის საზოგადოებისთვის ცნობილია სულ სხვა ტერმინით, რომელიც მისმა ბოტანიკაში მოღვაწეობამ გამოიწვია, რადგან მხედველობის დეფექტის გამო, ვერ მოახერხა ყვავილოვანი მცენარეების კლასიფიკაცია. **დაასახელეთ მეცნიერის გვარი.**

8. რამზეს მეორე თავის დივიზიებს ეგიპტური ღმერთების სახელებს უწოდებდა. **დაასახელეთ, რა ერქვა განსაკუთრებული დანიშნულების ქვედანაყოფს, რომელშიც ოცი ათასი მეომარი შედიოდა?**

9. 1795 წელს, შიმშილობის საშიშროების გამო, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უილიამ პიტმა შემოიღო დიდი გადასახადი მისი არასასურსათო დანიშნულებით – საყელოებისთვის, მანჟეტებისა და პარიკებისთვის გამოყენების გამო. **დაასახელეთ, რისი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ საკვებად?**

10. რემბრანდტ ჰერმანს ვან რეინმა თავისი ნახატის – „დოქტორ ტულპის ანატომიის გაკვეთილის“ დამთავრების შემდეგ გააკეთა ის, რამაც ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის კრიტიკა გამოიწვია, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით ის თავს ტიციანის, მიქელანჯელოსა და რაფაელის ტოლად მიიჩნევდა. **რა გააკეთა მხატვარმა?**

პასუხები იხილეთ 57-ე გვერდზე

რა მოხდა ამ დღეს

8 ივნისი

1824 – ნოა კაშინგმა კვებეკიდან დააპატენტა სარეცხი მანქანა.

1869 – აივზ მაკგაფინმა (ჩიკაგო) დააპატენტა მტვერსასრუტი.

1925 – დაარსდა კომპანია კრაისლერი.

9 ივნისი

68 – თავი მოიკლა რომის იმპერატორმა ნერონმა.

1866 – დაიწყო ავსტრია-პრუსიის ომი.

10 ივნისი

1886 – ექიმთა კონსილიუმმა შეშლილად ცნო ბავარიის მეფე – ლუდვიგი, სამ დღეში კი ის ტბაში დაიხრჩო.

1898 – ამერიკელებმა დააარსეს გუანტანამოს სამხედრო ბაზა.

1909 – დაარსდა ქალაქი კანბერა (ავსტრალიის დედაქალაქი).

1943 – უნგრელმა ლასლო ბირომ გამოიგონა ბურთულიანი კალამი.

11 ივნისი

1930 – ამერიკელმა ზოოლოგმა უილიამ ბიბმა და ინჟინერმა ოტის ბერტონმა, ბათისკაფის საშუალებით, პირველად მიაღწიეს 400 მეტრ სიღრმეს.

1937 – ამ დღეს საბჭოთა კავშირში განხორციელდა გენერალთა მასობრივი დახვრეტა (ტუხაჩევსკი, უბორევიჩი, იაკირი ...).

1982 – ეკრანებზე გამოვიდა სტივენ სპილბერგის ფილმი „უცხოპლანეტელი“ (ითი).

1993 – ეკრანებზე გამოვიდა სტივენ სპილბერგის ფილმი „იურული პერიოდის პარკი“.

12 ივნისი

1963 – ნიუ-იორკში შედგა პრემიერა ფილმისა „კლეოპატრა“ ელიზაბეტ ტეილორის მონაწილეობით.

1965 – ჯგუფ „ბითლზის“ წევრებს მიენიჭათ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი ჯილდო.

13 ივნისი

1494 – ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა კუბა.

1825 – ნიუ-იორკელმა უოლტერ ჰანტმა დააპატენტა უსაფრთხო საკინძე.

1895 – საფრანგეთში შედგა მსოფლიოში პირველი ავტორბოლა, პარიზი-ბორდო.

1926 – დედამ გააშვილა თორმეტი დღის ნორმა ჯინი (მერლინ მონრო).

1944 – დაიწყო ლონდონის დაბომბვა გერმანული, „ფაუ-1“ რაკეტებით.

14 ივნისი

1777 – კონტინენტურ კონგრესზე დაამტკიცეს აშშ-ის სახელმწიფო დროშა.

1834 – ისააკ ფიშერმა (აშშ) დააპატენტა საშრობი ქაღალდი.

1940 – საკონცენტრაციო ბანაკმა „ოსვენციმმა“ მიიღო პირველი პატიმრები.

1942 – ეკრანებზე გამოვიდა დისნეის მულტფილმი „ბემბი“.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:
1. b2-b3!
შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

რძალ-დედამთილი სოფელში მიდის. ვაგზალზე ორი ახალგაზრდა მიუახლოვდება და სთხოვს: ძმაკაცი დაგვეღუპა, იქნებ, გამოგვყვეთ და დაგვატირებინოთო. ესენიც დათანხმდებიან. მივლენ დანიშნულების ადგილამდე და... რა მკვდარი, რის მკვდარი. ორივეს გააუპატიურებენ. შერცხვენილი რძალ-დედამთილი დაბრუნდებიან სახლში. დედამთილი მოსთქვამს:

– ეს რა დაგემართა, რა გვიყვეს, რა ვუთხრათ ქმრებსო.

რძალმა უსმინა, უსმინა და ბოლოს მიაძახა:

– შენი არ ვიცი, რაც გინდა ის თქვი, მაგრამ მე ორმოცს ვერ გამოვტოვებო.

***

ცოლ-ქმარი მიხო და მარო პაპუასებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს, ცეცხლზე ქვაბი შემოდგეს და ბარაბნების დაკვრის ფონზე, ცეცხლის გარშემო ცეკვა დაიწყეს. შეშინებული მარო ეკითხება მიხოს:

– მიხავ, რას გვიპირებენ, კაცო? უნდა გაგვაუპატიურონ?

– არა ქალო, რა უნდა გაგვაუპატიურონ, უნდა შეგვჭამონ!

– უი ქა, სულ ჭამაზე უნდა ფიქრობდე, შე უბედურო?!

***

ცოლი ეუბნება გურულ ქმარს:

– ეჰ, რა ბრმა და ყრუ ვიყავი, შენ რომ გამოგყევი

– ხედავ, რა ავადმყოფობისგან განგკურნე?

***

ორი ქალი საუბრობს:

– ჩემს ქმარზე გაბრაზებული ვარ.

– ასეთი რა დააშავა?

– რა და, გუშინ 30 ლარი ვთხოვე, სილამაზის სალონში მივდივარ-მეთქი და იცი, რა ქნა? ამათვალ-ჩამათვალიერა, ამოიოხრა და 300 ლარი მომცა.

***

მიხო სიკვდილის პირასაა. შვილი დაიბარა და უთხრა:

– ბიჯო, ცოლის მოყვანას თუ აპირებ, ქალაქელი მაიყვანე.

– რათა, მამი?

– რათა და, მაგათ 3 თვეში უჩნდებათ შვილი და ეგება, შვილიშვილს მავესწრო.

***

სვანი უნდა შეამოწმონ სიცრუის დეტექტორზე. შეაერთეს. ოპერატორი უხსნის:

– ბატონო, კითხვებს რომ დაგისვამთ, თუ სიმართლეს იტყვით, მწვანე ნათურა აინთება, თუ მოიტყუებით – წითელი. გაიგეთ?

– გავიგე, – უპასუხა სვანმა და აინთო წითელი.

ᲕᲚᲐᲓ ᲐᲠᲐᲛᲝᲕᲘᲡ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

მიხო უყვირის შვილს:

– მიტოვ, მოეშვი მაგ ჩაქუჩის თავში რტყმასა!

– რათა, მამი, ვხმაურობ?

***

შვილი ურეკავს მამას:

– მამი, ცოლი მოვიყვანე!

– ვაა, გილოცავ შვილო! გოგოა თუ ბიჭი?

***

გოგო ისეთი მახინჯი იყო, დაქალმა ფოტოზე დაუკომენტარა: „რა კარგი ხასიათი გაქვსო“.

***

მეგრელი ეკითხება ქალს:

– ქალბატონო, ჩემთან ჯადოსნური სექსი გნებავთ?

ქალი დაფიქრდა და ჰკითხა:

– ჯადოსნური სექსი როგორია?

– როგორია და, სექსის მერე გავქრები!

მიცვალებული ადგა

პროფესიით მედესანტე ვარ და 1980-1984 წლებში ავღანეთში ვმსახურობდი, სადაც №2 საჰაერო-სადესანტო პოლკის მოიერიშეთა ქვედანაყოფს ვმეთაურობდი. 1981 წლის 13 მაისია, ის ისტორიული დღე, როდესაც თბილისის „დინამომ“ თასების თასი მოიგო და, როგორც ფეხბურთის თავგამოდებული ქომაგი, განსაკუთრებულად ველოდი თამაშის დაწყებას. თან, ვლოცულობდი, რომ „ჩეპე“ არ მომხდარიყო და რადიორეპორტაჟისთვის მშვიდად მომესმინა. იმ პერიოდში ქალაქ ყანდაღარში ვიყავით დისლოცირებულები, სადაც ჯოჯოხეთი ტრიალებდა და ცივილიზებულ ცხოვრებაზე, მით უმეტეს, ტელევიზორზე, ოცნებაც კი ზედმეტი იყო. რადიომიმღებიც ძლივს ვიპოვეთ, რომელიც დიდი წვალების მერე, დავაყენეთ შესაბამის ტალღაზე და თამაშის დაწყებამდე საათებს ვითვლიდით. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ჩვენც ასე დაგვემართა. სწორედ იმ დილას გადაგვისროლეს ახლომდებარე მთებში მოჯაჰედების მსხვილი დაჯგუფების გასანადგურებლად. ისეთი სასტიკი ბრძოლა გაიმართა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. თუმცა, ამოცანა შევასრულეთ, მოჯაჰედები გავანადგურეთ, მაგრამ არც ჩვენ დაგვდგომია კარგი დღე – 11 კაცი დაგვიჭირეს, უფროსი ლეიტენანტი, ტაშკენტელი იუსუფ ბადაევი კი მოგვიკლეს. დაჭრილები ჰოსპიტალში გავამწესეთ. საცოდავი ბადაევის ცხედარი კი, თაკარა სიცხეში რომ არ გაფუჭებულიყო, შიშველი დავაწვინეთ სპეციალურ ოთახში, რომელშიც ისე ციოდა, „მაცივარს“ ვეძახდით. მეორე დღეს კი ცინკის კუბოთი სამშობლოში უნდა გაგვეგზავნა. საერთოდ, მიცვალებულებს მაშინვე „ცინკებში“ ვაწვენდით და ისე ვინახავდით გამგზავრებამდე. მაგრამ, ბადაევის შემთხვევაში, ცარიელი კუბო არ აღმოჩნდა და მისი ჩასვენება ამიტომ გადაიდო დილამდე. ამასობაში, ფეხბურთიც დაიწყო და მთელი ჩვენი პირადი შემადგენლობა რადიომიმღებს მივუსხედით რეპორტაჟის მოსასმენად. ალბათ, ყველას ახსოვს ვიტალი დარასელიას ისტორიული გოლი მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე, რამაც გამარჯვება მოგვიტანა. ჰოდა, ვიტალიმ რომ ის გოლი შეაგდო, ისეთი ყიჟინა და ავტომატების ბახბუხი გავმართეთ სიხარულისგან, ლამის ყაზარმა დაინგრა. ეს გნიასი 2-3 წუთს გაგრძელდა და როცა დავმშვიდდით და გამარჯვების აღსანიშნავად მოვემზადეთ, რაც თამაშის დამთავრებისთანავე უნდა დაგვეწყო, ყაზარმაში შიშველი, „დალუპული“ ბადაევი შემოვარდა და გვიღრიალა:

– აქ რას სხედხართ, ჩქარა წამოდით, დუშმანებმა შემოგვიტიეს!

მკვდრის დანახვაზე გავშრით და ყველას ენა მუცელში ჩაგვივარდა. უფროსმა ლეიტენანტმა კი, ავტომატს დაავლო ხელი და იარაღასხმული და შიშველი გაემართა საბრძოლველად. რა თქმა უნდა, თავს არავინ დაგვსხმია და „მკვდარს“ ჩვენი ყიჟინა მოეჩვენა თავდასხმად. თავად ბადაევს კი, თურმე, შოკისგან კლინიკური სიკვდილი ჰქონია და, რომ არა კუბოს დეფიციტი და ვიტალი დარასელიას მაცოცხლებელი გოლი, საცოდავ ბადაევს ცოცხლად დავმარხავდით.

მოამზადა
ᲜᲘᲙᲐ ᲚᲐᲨᲐᲣᲠᲛᲐ

მთლიანი ცოლი

ტანმორჩილი მხატვარის, გოგი თოთიბაძის მაღალ, წარმოსადეგ ცისანა ტატიშვილზე დაქორწინების ამბავი ბიძინა კვერნაძეს ნუგეშამ ამცნო:

– ბიძინა, გაიგე? გოგის ცისანა მოუყვანია ცოლად.

ბიძინამ გაიკვირვა:

– როგორ, მთლიანად?

ნიჭიერმა მომღერალმა, ენერგიულმა, პოზიტიურმა სოფი სააკაშვილმა მსმენელს თავი „X ფაქტორიდან“ დაამახსოვრა. მას შემდეგ სოფი ხშირად არ ჩანს ეკრანზე, მაგრამ, ის უსაქმოდ როდია, თავის მუსიკალურ კარიერას წარმატებულად აგრძელებს. სულ მალე საერთაშორისო კონკურსზე გაემგზავრება, სადაც დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნამდვილად ასახელებს.

როგორ აპირებს დედის შემდეგ „სლავიანსკი ბაზარზე“ საკუთარი ძალების მოსინჯვას სოფი სააკაშვილი და როგორ ახერხებს ის ჰაერში აწევას

სოფი სააკაშვილი: ყოველდღიურად არ ვჩანვარ ტელევიზორში, მაგრამ ჩემს საქმეს მუდმივად ვაკეთებ. ყველაზე დიდი სიახლეა ის, რომ წელს საქართველოს სახელით, ბელორუსში „სლავიანსკი ბაზარზე“ მივდივარ. როგორც იცით, ეს საკმაოდ ძველი და პრესტიჟული კონკურსია, თითქმის იგივეა, რაც „ახალი ტალღა“. სხვათა შორის, ბევრ ქართველს აქვს ამ კონკურსში მონაწილეობა მიღებული. ჯერ კიდევ 1996 წელს დედაჩემი იყო და მეორე ადგილი აიღო. მეც ყოველთვის მინდოდა „სლავიანსკი ბაზარზე“ გამოსვლა. დედაჩემს ხშირად უწევდა იქ წასვლა, როგორც მიწვეულ სტუმარს და მეც სულ თან დავყავდი. ამიტომ, შიდა სამზარეულო ვიცი, ყველა მიცნობს როგორც მაის პატარა გოგოს. ახლა, ქასთინგზე რომ გავაგზავნე ჩემი ფოტოები, ვიდეოები, არ სჯეროდათ: ის პატარა გოგო შენ ხარო.

ფიმბერგის ორკესტრთან მექნება ერთი კვირა რეპეტიციები, ამიტომ ერთი კვირით ადრე ჩავდივარ. ისე კონკურსი 9-დან 13 ივლისამდე გაგრძელდება

– რა გახსოვს ძველი დროიდან?

– 4-5 წლის ვიყავი, როცა დედა წავიდა სტუმრის სტატუსით და მეც თან წამიყვანა. იქ, პარალელურად, საბავშვო კონკურსიც ტარდება და მე ვიჯექი ბავშვების ჟიურიში. რა თქმა უნდა, უბრალოდ ვიჯექი, დედაჩემი იყო ჟიურის წევრი. კიდევ ერთი მომენტი მახსოვს. ყვავილები ძალიან მიყვარს, მაფანატებს. დედას დიდი თაიგული მიართვეს. შემდეგ სცენაზე გამოვიდა თამარ გვერდწითელი, დედამ მითხრა: მიდი, აჩუქე, სცენაზე აუტანეო. ბოლოს თვითონ მისცა ყვავილები, მე ეს გულში ჩამრჩა და რომ შევხვდი, ვუთხარი: ეს ჩემი ყვავილებია-მეთქი.

– როგორ მიიღო დედამ შენი გადაწყვეტილება?

– ძალიან გაუხარდა და რაც მთავარია, მომყვება, ჩემ გვერდით იქნება. ფიმბერგის ორკესტრთან მექნება ერთი კვირა რეპეტიციები. ამიტომ, ერთი კვირით ადრე ჩავდივარ. ისე, კონკურსი 9-დან 13 ივლისამდე გაგრძელდება. დედაჩემმა ხომ მეორე ადგილი აიღო, არ მინდა, მე ნაკლები ვიყო. აქედან გამომდინარე, ცოტა ვღელავ. მინდა, საქართველო ვასახელო. ამიტომ, გამიხარდება, თუ ყველა დამიდგება გვერდში – მე იქ ჩვენი ქვეყნის სახელით მივდივარ.

– შეარჩიე სიმღერები?

– სამი სიმღერა გამაქვს: ერთი ქართული, ერთი ინგლისური და ერთიც ბელორუსული, რომელიც ორკესტრთან ერთად უნდა შევასრულო. ქართული სიმღერაც ისეთი შევარჩიე, რომელიც რუსეთსა და უკრაინაში ძალიან ცნობილია, უყვართ.

– როდის გადაწყვიტე, ამ კონკურსში მონაწილეობა?

– ერთი წელია, რაც ვგეგმავ. თუმცა, როცა ამერიკიდან ჩამოვედი, მერე გადავაგზავნე ჩემი მონაცემები. მარტში მომივიდა უკვე მიწვევა. ზოგადად, მე ერთი რამ მახასიათებს: სანამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან, მანამდე არ ვლაპარაკობ. „X ფაქტორზეც“ ასე იყო – არავინ იცოდა, მათ შორის არც მამაჩემმა. ახლა მართვის მოწმობა ავიღე. ესეც არავინ იცოდა. მარტო ჩავედი რუსთავში, ავიღე და მერე დავურეკე დედას. ასე ვაკეთებ რაღაცეებს. ჯობია, გააკეთო და მერე ილაპარაკო. ზოგჯერ გადაწყვეტილიც რომ გაქვს და ლაპარაკს იწყებ, მერე აღარ გამოდის. ამიტომ, წინასწარ თქმისგან თავს ვიკავებ.

– როგორც მივხვდი, დედის გარდა მამაც ძალიან გიდგას გვერდში.

– კი. მამა ბელორუსში, კონკურსის, „სლავიანსკი ბაზრის“ წრეებში ძალიან ცნობილია. ის იყო დედაჩემის პროდიუსერი და ქართველი მომღერლებიც მას მიჰყავდა ხოლმე – მათი წარმომადგენელი იყო საქართველოში. უბრალოდ, რამდენიმე წელია, აღარავინ წაუყვანია, დაანება ამ ყველაფერს თავი. ახლა ისევ მოუწია ჩართვა. თავიდან თვითონ შემომთავაზა: უკვე შეგვიძლია, გავაგზავნოთ მონაცემებიო... ასაკი უკვე მიწყობს ხელს. მეც დავთანხმდი, რადგან ძალიან მინდოდა მონაწილეობა. ბავშვობაში ამ სცენაზე ვიდექი კიდეც და მიმღერია. გოგონებთან ერთად ვიყავი წასული, მაგრამ მარტო არ გამოვსულვარ ისე, რომ თან შოუ გამეკეთებინა. ძალიან კარგი ამფითეატრია და იქ ტარდება კონკურსი. მამას იქ ყველა კარგად იცნობს, კონკურსის პრეზიდენტი, ორგანიზატორები, მომღერლები... ცოტა ხნის წინ პრეზიდენტი შეიცვალა და მამა ამბობდა: არ ვიცნობო. მაგრამ, რომ დარეკა, ისიც იცნო: იქ კარგად ახსოვთ. საქართველოში არ იცნობენ, თორემ უცხოეთში ძალიან აფასებენ მამაჩემს. ძალიან ბევრ საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორებთან აქვს ურთიერთობა. მას მიჰყავდა საქართველოდან ბევრი კონკურსანტი. დღემდე ყველასთან აქვს კონტაქტი. ჩემი წასვლა ძალიან უხარია და უნდა, კარგი საპრიზო ადგილი ავიღო. მეც ყველანაირად ვეცდები. სხვათა შორის, ნინი ბადურაშვილი და დათო ფორჩხიძე დამიკავშირდნენ და „ახალ ტალღაზე“ გამოსვლა შემომთავაზეს. რამდენიმე მომღერლიდან, მე ამარჩიეს. მოსკოვში უნდა წავსულიყავი ქასთინგზე, მაგრამ ფიზიკურად ვერ შევძელი, რადგან კონტრაქტში პირდაპირ წერია: თუ „სლავიანსკი ბაზარზე“ გადიხარ, იმ წელს „ახალ ტალღაზე“ გასვლა არ შეგიძლია. თან, სოჭში ტარდება წელს და გული დამწყდა: მინდოდა წასვლა. სოჭი ჩვენი მიწაა, არ ვარ ნამყოფი. ვნახოთ, მომავალში. წელს კონკურსების ბუმი კი მაქვს.

– ამერიკაში, ალბათ, ისევ აპირებ წასვლას.

– კი, ეს დაგეგმილია. უბრალოდ, ტრანსფერის პერიოდია და ველოდები: საბუთების გადაგზავნას, იქიდან პასუხის გამოგზავნას დიდი დრო სჭირდება. სხვათა შორის, ახალი წლის მერე იოგათი დავინტერესდი. აქტიურად დავდივარ, ჩამითრია. ჰაერში აწეული ფოტოები მიდევს სოციალურ ქსელში – საკუთარ თავს ვწევ უკვე ხელებით, თავზეც ვდგები. ნელ-ნელა ვაკეთებ ყველაფერს, დიდი სიამოვნებით დავდივარ, ამდენი არსად მივლია. „ბოქსზეც“ დავდიოდი და ერთ თვეში გამოვედი, ათას რამეს ვედები ხოლმე მცირე ხნით. მაგრამ, იოგამ ძალიან ჩამითრია. გარდა ამისა, სპორტდარბაზშიც დავდივარ. აქტიურად ვვარჯიშობ, სწორად ვიკვებები.

– პირადში რა ხდება?

– როგორც ყოველთვის, ახლაც არაფერი ხდება. რა თქმა უნდა, ვიღაცეები არიან, მეგობრები მყავს, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს. არც იმ ასაკში ვარ, რომ ურთიერთობა გავასერიოზულო. არც მე მცალია და ალბათ, არც მას, თორემ „პაკლონიკები“ არ მაკლია. ვიღაცეებს ყვავილები მოაქვთ. „X ფაქტორის“ პერიოდში ვიღაცამ სახლის კართან კალათა დამიტოვა, ყვავილები, სუნამო, „რაფაელო” იდო. არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ, ალბათ, მეზობელია, რადგან ჩემი სახლის მისამართი ბევრმა არ იცის. ზაფხულშიც დამიტოვა ვიღაცამ ყვავილები, ვერ მოვასწარი მენახა, ვინ იყო. ეს გარკვეულწილად დამაინტრიგებელია, დამაინტერესა, რადგან ორიგინალობით გამოირჩევა. ზოგადად, მიყვარს, როცა ადამიანი ორიგინალური იდეებით გამოირჩევა, ბანალურობა არ უყვარს. მაგრამ, ისეთი სასაცილოა ეს ყველაფერი, სერიოზულად არ ვუდგები. რა თქმა უნდა, ყურადღება ყველას სიამოვნებს, მაგრამ თუ პიროვნების მიმართ რაღაც გრძნობა, ინტერესი არ გაქვს, ოქროს კოშკებიც, რომ აგიგოს, ალბათ, არ ექნება მნიშვნელობა. ეს ყველაფერი მისგან გსიამოვნებს, ვის მიამრთაც ინტერესი გაქვს.

ნათია უტიაშვილი

დიმა კობეშავიძე „X ფაქტორის“ ერთი-ერთი გამორჩეული მონაწილეა. როგორც თავად ამბობს, ამ პროექტში მან საკუთარ თავსაც ბევრი რამ დაუმტკიცა, დაშვებული შეცდომებიც გამოასწორა და მაყურებელს სხვა კუთხით დაანახვა თავისი შესაძლებლობები. ასე რომ, ვისაც გსურთ პროექტში დიმას დარჩენა, ყოველ ორშაბათს დაურეკეთ ნომერზე: 0903300306.

როლის გადავა სცენაზე მამასავით ყირაზე „X ფაქტორის“ მონაწილე დიმა კობეშავიძე და ვის უშლიდა ის თავისი აქტიურობით ნერვებს

დიმა კობეშავიძე: „ვოისში“ ის ვერ გავაკეთე, რაც მინდოდა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე რაღაც ვერ ჩავჯექი. ალბათ, პირველი კონკურსი რომ იყო, რაღაცეებს ვერ ვუძლებდი და ეს მოქმედებდა ჩემზე. პირველი კარგი გამოსვლის შემდეგ ჩავარდნილი რინგი – ეს იყო ჩემთვის რთული და სტრესული. ამან დამიგდო ყველანაირი რეიტინგი და თვითშეფასებაც. ცოტა მეწყინა ჩემი თავისგანაც. როგორც კი „ვოისი“ დამთავრდა, მაშინვე დაიწყო „X ფაქტორი“, მაგრამ გასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან იგივეს ვანახვებდი ხალხს. ერთი წელი ავიღე პაუზა მუსიკალური განვითარებისთვის და წელს განვახორციელე.

– მამა იყო ამ მხრივ ჩართული?

– დედაა ჩართული, რადგან ვოკალის პედაგოგია. მამა უფრო გამზადებულს აქცევს ყურადღებას. ახლა მეც სხვანაირად გავიცანი ჩემი თავი. ჩემი ასეთი ნოტები მეც გამიკვირდა. „X ფაქტორი“ პირველი კონკურსია, სადაც ბრძოლის ჟინის გამო დავიწყე ეს ყველაფერი. გადავწყვიტე, საკუთარ თავს გადავაბიჯო, გადავახტე. არსად, არცერთ სცენაზე, არცეთ კლუბში ასე არ მიმღერია. ეს სხვა კონკურსია, სხვანაირად გიწევს საკუთარი თავის წარმოჩენა. ამიტომაც გადავწყვიტე საკუთარ ხმაში ისეთი რაღაც მომეძებნა, რაც ხალხს მოეწონებოდა. ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ოთხი სკამის კონკურსისთვის გადავწყვიტე, სტივ უანდერის სიმღერა შემეცვალა, რომ საკონკურსო სიმღერას დამსგავსებოდა. პიანინოზე ნოტს რომ აიღებ და აბა, ამას მივწვდებიო, ასე ვიყავი: აბა, თუ გამომივა... აბა, თუ გამომივა... საბოლოო ჯამში, რომ მივწვდი, მერე ვთქვი: რატომ არ უნდა ვაჩვენო ეს მაყურებელს და ამოვუშვა ის ხმა-მეთქი. საკმაოდ საპასუხისმგებლო იყო. არ ვიცოდი, როგორ მიიღებდა მაყურებელი. თავიდან დედასთან მივედი სურვილით: ამ ნოტების ამოშვება მინდა-მეთქი. დედამ: მოდი, ვნახოთო. დავიწყეთ ამაზე მუშაობა. მთელი წელი კი ვმუშაობდი, მინდოდა დიაპაზონი გამზრდოდა, მაგრამ ეს პროექტისთვის არ მქონია გათვალისწინებული. მაგრამ მერე ჩავრთე, ვცადე და გამომივიდა. თან ისე, რომ დედასაც გაუფართოდა თვალები. მთელი ცხოვრება მისმენს და მითხრა, რომ მართლაც გაზრდილი და დახვეწილი ვარ.

– მამაშენი სცენაზე უფრო აქტიურია, თუმცა ვფიქრობ: ერთანირი ენერგეტიკა გაქვთ.

– მამაჩემი უფრო აქტიურია სცენაზე – ტრიალებს, ყირამალა დგება. მე ჩემი აღნაგობიდან გამომდინარე, ვერ გავაკეთებ ასეთ რაღაცეებს, თორემ რატომაც არა. თუ გადავლახავ შემდეგ ლაივებს და მომცემენ ისეთ სიმღერას, სადაც შეიძლება ყირამალა მომიწიოს დგომა, არ არის პრობლემა – დავდგები.

– ადრე, ალბათ, სულ ამბობდნენ: დიმა ზურა კობეშავიძის შვილიაო. ახლა კი ამბობენ: ეს დიმა კობეშავიძის მამაა.

– არის რაღაც ადგილები, სადაც ზურას ეუბნებიან: თქვენ იმის მამა ხართ? სულ ვეუბნებოდი: მოვა შენს ცხოვრებაში დრო, როცა გეტყვიან – დიმას მამაო. როგორც ჩანს, მოვიდა ეს მომენტი. მამას ჩარევა არასდროს დამჭირვებია და ამას არც არასდროს გამოვიყენებ. არ მინდა, ვინმემ თქვას:

ან ანესთეზიოლოგი ვიქნები, ან რეანიმატოლოგი. რთულია, დიდი ნერვები უნდა და ცოტა გიჟი თუ არ ხარ, არ გამოგივა ეს საქმე, რადგან საკმაოდ დიდი სტრესია

დიმა კობეშავიძე მამის ნაცნობობით იქაჩებაო. რა თქმა უნდა, ვინ არის მამა, ეს არასდროს დამიმალავს, მაგრამ ყოველთვის ვეცდები, ისე ვიმღერო, მაყურებელმა ამის თაობაზე არაფერი თქვას.

– ამ პროექტში ჩაცმის სტილიც განსხვავებული გაქვს.

– ამაში დიზაინერები არიან ჩართულები. მიხარია, რომ განსხვავებული იმიჯით გამოვდივარ. ჩემს მეგობარს ასეთი აზრი მოუვიდა: მხოლოდ დიმას აცმევს დიზაინერიო. არა, ყველას გვაცმევს, უბრალოდ, მე სხვანაირი სტილი შემირჩია. მე მომწონს და ვცდილობ, მათ საქმეში არ ჩავერიო.

– რა ხდება რეპეტიციებზე, სცენის მიღმა? როგორც ვიცი, ძალიან აქტიური და ენერგიული ხარ, აუტანელიც...

– აქტიური ვარ, შეიძლება, ზოგჯერ აუტანელიც. რეზი ქარცივაძეს ვუშლიდი ნერვებს. მეუბნებოდა: დაწყნარდი, ძალიან აქტიური ხარო. ძალიან ბევრ რეპეტიციას გავდივართ, რომ მაყურებლამდე მივიდეს კარგი შოუ.

– მენტორსაც უშლი შენი აქტიურობით ნერვებს?

– მენტორს არ ეშლება ნერვები. ზოგი გაწონასწორებული უნდა იყოს, ზოგი – გიჟი, ვავსებთ ერთმანეთს.

– შენ როგორი ხარ?

– მე მხიარული ვარ, ასაკთან შედარებით ბავშვურიც. არ მიყვარს ძალიან სერიოზული ხალხი, მათთან ვერც ვკონტაქტობ, რადგან ისინიც ვერ კონტაქტობენ ჩემთან. თუ მოწყენილი ვარ, მაშინ ვარ ჩუმად. ბევრსაც არ ვლაპარაკობ, უფრო მოქმედებით გამოვხატავ ყველაფერს: შეიძლება, ვიხტუნაო – თვითონაც არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ.

– ძირითადად, რაზე გაკრიტიკებენ სოციალურ ქსელში?

– არ მოსწონთ ჩემი წონა და თმა. წლევანდელი იქსფაქტორელები რევოლუციას ვახდენთ. ჯერ ჯგუფი „პულსი“ გამოვიდა კაბებით და ქერათმიანი ირაკლი ნონიაშვილით. მეორე კონცერტზე თორნიკე გულაშვილი იყო ქერა თმით. მე გრძელი თმა მაქვს და ისეთი ტანსაცმლით გამოვდივარ, არ არის ჩვეულებრივი. ალბათ, ჩვენ ამ ყველაფრით, ჩვენი ქცევით გვინდა, ხალხს შევატყობინოთ, რომ არ გვსურს ჩარჩოებში ყოფნა. სცენა მოითხოვს ასეთ რაღაცეებს. მე ყოველდღიურად ხომ არ დავდივარ ასეთი ტანსაცმლით, მაგრამ კილტი, გრძელი, ქერა თმა უხდება სცენას. ყველა კონკურსანტი გამოწვევებს ჩვეულებრივ იღებს და ჩვენთვის ეს არ არის პრობლემა. მე, ზოგადად, მიყვარს გამოწვევები და ამ მხრივ, სიახლეების კეთება.

– გარდა კონკურსისა, სხვა რა ხდება შენს ცხოვრებაში?

– დავამთავრე სამედიცინო, რასაც ჩემს ცხოვრებაში დიდი დრო მიჰქონდა. გამოცდა მაქვს მალე და ახლა დიდ დროს სწორედ მეცადინეობას ვუთმობ. თუმცა, ძირითადი დრო მაინც „X ფაქტორს“ მიაქვს.

– აპირებ შენი პროფესიით მუშაობას?

– კი, ვერ გადავიფიქრებ. ადამიანს საკუთარი პროფესია უნდა გქონდეს. გამოხვალ პროექტში, იმღერებ, პოპულარობის პიკში იქნები, მაგრამ ეს დროებითია, დამთავრდება ყველაფერი. პროექტში იმიტომაც გავედი, რომ გავხდი პოპულარული, დავიხვეწე, გამოვასწორე შეცდომები, ხალხმა სხვანაირი დიმა დაინახა – ეს მინდოდა ყველაზე მეტად. მომავალში მინდა, ჩემი პროფესია მქონდეს, რითაც ვარჩენ ოჯახს და საკუთარ თავს. ან ანესთეზიოლოგი ვიქნები და ან რეანიმატოლოგი. რთულია, დიდი ნერვები უნდა და ცოტა გიჟი თუ არ ხარ, არ გამოგივა ეს საქმე, რადგან საკმაოდ დიდი სტრესია. ვფიქრობ: ცუდი ექიმი არ ვიქნები, ვნახოთ.

– რა ხდება პირად ცხოვრებაში?

– ჯერჯერობით, არაფერი. ჩემ ირგვლივ იმდენი შეყვარებული წყვილია, მათ უაზრო ჩხუბს, კინკლაობას რომ ვუყურებ, არ შემიძლია. რომ გავიზრდები და ცხოვრება მოითხოვს დაქორწინებას, მერე გადავწყვეტ. თორემ გამვლელი მილიონი მომწონს, ფლირტი და ასეთი რაღაცეები სულ არის, მაგრამ ჯერ სერიოზული ურთიერთობისთვის არ ვარ მზად.

– სოციალურ ქსელებშიც, ალბათ, აქტიურობენ გოგონები.

– ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ჩემი წონა არ გამომარჩევს როგორც ბრედ პიტს, შესაბამისად, ჩემთან აქცენტი მაინც ვოკალზე კეთდება – ეს ძალიან მიხარია. ადელს აქვს ნათქვამი: მირჩევნია, ხუთი ტონა ვიყო და კარგი მუსიკა ვაკეთოო.

ნათია უტიაშვილი

რა ეკრძალებოდა თამო ვაშალომიძეს „ფლეიბოის“ კონტრაქტის მიხედვით და რომელი ჟურნალისთვის გადაიღო მან ეროტიკული ფოტოები უკრაინაში

გვ. 58

ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭდია

ობილისი – შიგ ჩასმული ბადახში

თბილელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით

№23 (754) * 8-14 ივნისი * ფასი 1,50 ლარი